

დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმი (IRM): საქართველოს წინსვლის ანგარიში – 2016-2017

ლაშა გოგიძე, დამოუკიდებელი მკვლევარი
თამარ გზირიშვილი, დამოუკიდებელი მკვლევარი

სარჩევი

რეზიუმე: საქართველო	3
I. შესავალი	22
II. კონტექსტი	24
III. ხელმძღვანელობა და მრავალმხრივი პროცესი	33
IV. ვალდებულებები	45
1. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მოთხოვნებთან იუსტიციის სახლის სერვისების ადაპტირება	49
2. ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი სისტემის საინფორმაციო პორტალის დანერგვა	53
3. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ლიცენზიების ელექტრონული სისტემის დანერგვა	58
4. ენერგეტიკის დარგობრივი სივრცითი (გეოგრაფიული) მონაცემების ვებპორტალის შექმნა	62
5. ინოვაციების ეკოსისტემის შექმნა	66
6. სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და განკარგვის ელექტრონული პორტალი – მომხმარებლის მოდული	71
7. ინფორმაციის თავისუფლების კანონის შემუშავება	74
8. სამთავრობო პოლიტიკისა და საკანონმდებლო აქტების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემუშავება	79
9. თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის დანერგვა	83
10. სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების ერთიანი წესის დადგენა	88
11. რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის დარგში გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება	92
12. მსჯავრდებულთა მონაცემთა ბაზის სრულყოფა და პენიტენციური დეპარტამენტის სრულად გადასვლა ელექტრონულ საქმისწარმოებაზე	98
13. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების მონაცემების გამოქვეყნება დანაშაულის კვალიფიკაციისა და გეოგრაფიული არეალის მიხედვით	102

❖14. საჯარო ფინანსების ზედამხედველობის (საჯარო აუდიტის) პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა	106
15. ელექტრონული ინოვაციები საჯარო შესყიდვების მეტი გამჭვირვალობისა და ეფექტიანობისთვის	113
❖16. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიღება	120
17. „112“-თან დაკავშირების ალტერნატიული არხის – მობილური აპლიკაციის დანერგვა	125
18. დანაშაულის პრევენციის მიზნით შექმნილი ადგილობრივი საბჭოების განვითარება	129
19. ეკონომიკური აგენტებისათვის გზამკვლევის შემუშავება	134
20. კომერციული მომსახურების ხარისხის კონტროლის პროგრამის შემუშავება და დანერგვა	139
21. კომპანიების მიერ ანგარიშების ელექტრონულად წარმოდგენა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	139
22. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე პეტიციების ელექტრონული პორტალისა და „ზუგდიდი-INFO“-ს დანერგვა	145
23. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომების გამჭვირვალობა	149
24. ქალაქ ქუთაისის, ქალაქ ბათუმის, ქალაქ ახალციხისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების დაგეგმვის ელექტრონული მექანიზმის შექმნა	154
V. ზოგადი რეკომენდაციები	159
VI. მეთოდოლოგია და წყაროები	164
VII. დასაშვებობის მოთხოვნები	175



რეზიუმე: საქართველო

დამოუკიდებელი ანგარიშების მექანიზმი (IRM) – წინსვლის ანგარიში (2016-2017)

საქართველოს მესამე სამოქმედო გეგმა საკითხების ფართო სპექტრს მოიცავდა, თუმცა ზოგიერთ ვალდებულებას მთავრობის ღიაობასთან კავშირი არ ჰქონია. ძირითადი მიღწევებია თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ახალი ვებპორტალის – „ბიუჯეტის მონიტორის“ დანერგვა. რაც შეეხება მომავალ ნაბიჯებს, პრიორიტეტად რჩება ინფორმაციის თავისუფლების კანონის მიღება, მთავრობის კონტრაქტების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და მოქალაქეთა ჩართულობის ინსტიტუციონალიზაცია მთავრობის ყველა დონეზე.

ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP) არის ნებაყოფლობითი საერთაშორისო ინიციატივა, რომლის მიზანია, მთავრობები მოქალაქეებისადმი უფრო ანგარიშვალდებული იყვნენ გამჭვირვალობის გაზრდით, მოქალაქეთა შესაძლებლობების გაძლიერებით, კორუფციასთან ბრძოლით და მმართველობის რეფორმისთვის ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით. საქართველო ამ ინიციატივას 2011 წელს შეუერთდა. 2016 წლის მაისში იგი პარტნიორობის თანათავმჯდომარე ქვეყნად აირჩიეს. დამოუკიდებელი ანგარიშების მექანიზმი (IRM) აღნიშნული ინიციატივის წევრი თითოეული ქვეყნის მიერ ერთი წლის განმავლობაში განხორციელებულ ღონისძიებებს აანალიზებს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტი პასუხისმგებელია საქართველოში OGP-ის ღონისძიებების კოორდინაციისთვის.

OGP-ის ფორუმი, რომელიც სამთავრობო

მოკლედ:

წევრი: 2011 წლიდან
ვალდებულებათა რაოდენობა: 24

შესრულების დონე:

შესრულებული: 25% (6)
არსებითი: 33% (8)
შეზღუდული: 42% (10)
არ დაწყებულა: 0% (0)

ვალდებულების აქცენტი:

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა: 67% (16)
მოქალაქეთა ჩართულობა: 25% (6)
საჯარო ანგარიშვალდებულება: 13% (3)
ტექნოლოგიები და ინოვაცია
გამჭვირვალობისა და
ანგარიშვალდებულებისათვის: 17% (4)

იმ ვალდებულებათა რაოდენობა:

რომლებიც გარკვევით უკავშირდება
OGP-ის ღირებულებებს: 71% (17)
რომელთაც ტრანსფორმაციული
პოტენციური შედეგი აქვთ: 17% (4)
რომლებიც არსებითად ან სრულად
შესრულდა: 58% (14)
რომლებიც სამივე ზემოაღნიშნულ
პირობას აკმაყოფილებს (☺): 13% (3)

უნყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან შედგება, საქმიანობს, როგორც მუდმივმოქმედი, მრავალმხრივი ორგანო, რომელიც OGP-ის სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და განხორციელებას ზედამხედველობს.

OGP-ის პროცესი

OGP-ის წევრი ქვეყნები OGP-ის საკუთარი ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისას და განხორციელებისას კონსულტაციებისთვის დადგენილ პროცედურებს იცავენ.

OGP-ის სამდივნომ ქვეყნის 15 ქალაქში 19 საჯარო კონსულტაცია ჩაატარა. ამ კონსულტაციებში მონაწილეობდა 800 ადამიანი – ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი მთავრობების, მედიისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლები, სტუდენტები და სხვა დაინტერესებული მოქალაქეები. მთავრობას ცალკე ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები არ გაუმართავს და OGP-ის პროცესისა და სამოქმედო გეგმის ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია კონსულტაციების მონაწილეებს შეხვედრებზე მიანოდა. კონსულტაციებისას საზოგადოებისგან მიღებული კომენტარების გათვალისწინებით, სამოქმედო გეგმას დაემატა რამდენიმე ახალი ვალდებულება, მაგალითად, თვითმმართველ ერთეულებში ბიუჯეტების პროცესში მოქალაქეთა ჩართვის ვალდებულება. კონსულტაციების პროცესი შეიძლება კიდევ უფრო გაუმჯობესდეს უკუკავშირის ონლაინმექანიზმის შექმნით მათთვის, ვინც საკონსულტაციო შეხვედრებს პირადად ვერ ესწრება. ამას გარდა, მთავრობამ საზოგადოებას უკეთ უნდა აუხსნას OGP-ის მისია, მანდატი და ღირებულებები, რომ კონსულტაციების მონაწილეებისგან OGP-სთვის რელევანტური კომენტარები მიიღოს.

2017 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით, მთავრობას თვითშეფასების ანგარიში გამოქვეყნებული არ ჰქონდა.

ვალდებულებების შესრულება

OGP-ის წევრობა ქვეყნებს ავალდებულებს, საკუთარი ვალდებულებები ორწლიან სამოქმედო გეგმაში ჩამოაყალიბონ. საქართველოს სამოქმედო გეგმა 24 ვალდებულებას შეიცავს. ცხრილი 1 მოკლედ აღწერს თითოეული ვალდებულების შესრულების დონეს და პოტენციურ შედეგს. ცხრილი 2 თითოეული ვალდებულების მიხედვით წინსვლას აანალიზებს და მომავალ ნაბიჯებთან დაკავშირებით რეკომენდაციას იძლევა. ზოგიერთ შემთხვევაში მსგავსი ვალდებულებები დაჯგუფებულია ან სხვაგვარადაა დალაგებული, რომ უფრო ადვილად აღსაქმელი იყოს.

საქართველოს მესამე სამოქმედო გეგმაში არის სამი „ვარსკვლავური“ ვალდებულება. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის დასაწყისში IRM-მა „ვარსკვლავური“ ვალდებულების განსაზღვრის კრიტერიუმები განაახლა და OGP-ის სამაგალითო ვალდებულებებისთვის ზღვარი გაზარდა. ამ კრიტერიუმების მიხედვით, ვალდებულებები კონკრეტული უნდა იყოს, ნათლად უნდა უპასუხებდეს OGP-ის ღირებულებებს, ტრანსფორმაციული პოტენციური შედეგი უნდა ჰქონდეს და არსებითად ან სრულად უნდა იყოს შესრულებული. საქართველომ სამი „ვარსკვლავური“ ვალდებულება (ვალდებულებები 9, 14 და 16) მიიღო.

ცხრილი 1: ვალდებულების მიხედვით წინსვლის შეფასება

ვალდებულების მოკლე დასახელება	პოტენციური შედეგი				შესრულები ს დონე			
	არსებითი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შემოქმედებული	არსებითი	შესრულებული
⊗ ვალდებულება კონკრეტულია, ნათლად უპასუხებს OGP-ის ღირებულებებს, ტრანსფორმაციული პოტენციური შედეგი აქვს და არსებითად ან სრულად არის შესრულებული.								
1. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მოთხოვნებთან თბილისის იუსტიციის სახლის სერვისების ადაპტირება								
2. ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი სისტემის საინფორმაციო პორტალი								
3. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ლიცენზიების ელექტრონული სისტემა								
4. ენერგეტიკის დარგობრივი სივრცითი (გეოგრაფიული) მონაცემების ვებპორტალი								
5. ინოვაციების ეკოსისტემის შექმნა								
6. სახელმწიფო ქონების აღრიცხვის ელექტრონული პორტალი – მომხმარებლის მოდული								
7. ინფორმაციის თავისუფლების კანონის შემუშავება								
8. სამთავრობო პოლიტიკისა და საკანონმდებლო აქტების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა								
⊗ 9. თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემა								
10. სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების ერთიანი წესი								
11. რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის დარგში გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა								
12. მსჯავრდებულთა მონაცემთა ბაზა								
13. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების მონაცემების გამოქვეყნება								

ვალდებულების მოკლე დასახელება	პოტენციური შედეგი				შესრულები ს დონე			
	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შემდეგული	არსებითი	შესრულებული
❖ ვალდებულება კონკრეტულია, ნათლად უპასუხებს OGP-ის ღირებულებებს, ტრანსფორმაციული პოტენციური შედეგი აქვს და არსებითად ან სრულად არის შესრულებული.								
❖14. აუდიტის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა								
15. ელექტრონული ინოვაციები საჯარო შესყიდვების მეტი გამჭვირვალობისთვის								
❖16. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიღება								
17. „112“-თან დაკავშირების ალტერნატიული არხის - მობილური აპლიკაციის დანერგვა								
18. დანაშაულის პრევენციის მიზნით შექმნილი ადგილობრივი საბჭოები								
19. გზამკვლევი ეკონომიკური აგენტებისათვის								
20. კომერციული მომსახურების ხარისხის კონტროლის პროგრამა								
21. კომპანიების მიერ ანგარიშების ელექტრონულად წარმოდგენა								
22. პეტიციების ელექტრონული პორტალი და „ზუგდიდი-INFO“								
23. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომების გამჭვირვალობა								
24. ქალაქ ქუთაისის, ქალაქ ბათუმის, ქალაქ ახალციხისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების დაგეგმვის ელექტრონული მექანიზმი								

ცხრილი 2: ვალდებულების მიხედვით წინსვლის ანალიზი

ვალდებულების დასახელება	შედეგები
<p>1. შებლუდული შესაძლებლობების მქონე პირების მოთხოვნებთან თბილისის იუსტიციის სახლის სერვისების ადაპტირება</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებებთან მიმართება: გაურკვეველი • პოტენციური შედეგი: მცირე • შესრულება: შესრულებული 	<p>ვალდებულების მიზანი იყო უსინათლო და მხედველობადაქვეითებული პირების მოთხოვნებთან თბილისის იუსტიციის სახლის სერვისების ადაპტირება. ვალდებულება შებლუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის იუსტიციის სახლის სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდაზე მცირე გავლენას ახდენს, რადგან ღონისძიება ამ სერვისების მხოლოდ უსინათლო და მხედველობადაქვეითებული პირების მოთხოვნებთან ადაპტირებას გულისხმობს. 2017 წლის თებერვლისთვის თბილისის იუსტიციის სახლმა დაამონტაჟა სპეციალური სანავიგაციო სისტემა, რომელიც უსინათლო და მხედველობადაქვეითებულ ბენეფიციარებს მიმართულებების მიგნებაში ეხმარება. ამასთანავე, იუსტიციის სახლმა საკუთარ ვებგვერდზე დააყენა აუდიონამკითხველი პროგრამა, რომელიც სერვისების შესახებ ინფორმაციას იძლევა. თბილისის, ბათუმის, ქუთაისისა და რუსთავის იუსტიციის სახლების 400-ზე მეტ ოპერატორს ჩაუტარდა ტრენინგები სამიზნე ჯგუფთან კომუნიკაციის მეთოდებზე. მთავრობას რეკომენდაცია ეძლევა, შენობების შებლუდული შესაძლებლობების მქონე პირების საჭიროებებისთვის მორგების ერთიანი სტანდარტი შეიმუშაოს. ვალდებულების OGP-ის ღირებულებებებთან პირდაპირ დასაკავშირებლად საჭიროა უფრო ინკლუზიური მიდგომა, რომ უზრუნველყოფილ იქნეს უსინათლო და მხედველობადაქვეითებული პირების აქტიური მონაწილეობა მათთვის განსაზღვრული დახმარების პროგრამების შემუშავებაში და ამ პროგრამების მათი საჭიროებებისთვის მორგებაში.</p>
<p>2. ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი სისტემის საინფორმაციო პორტალი</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებებთან მიმართება: გაურკვეველი • პოტენციური შედეგი: მცირე • შესრულება: შებლუდული 	<p>ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი პორტალის (e-portal) მიზანია სამედიცინო დანესებულებებისა და სერვისების შესახებ ინფორმაციის ჩვენება. პორტალი შეიცავს აგრეთვე მოქალაქეთა სამედიცინო ისტორიებს და ელექტრონულ სამედიცინო დანიშნულებებს (რეცეპტებს) და მათ სამედიცინო სერვისების მიმწოდებელ დანესებულებებში ჩანერით ექიმთან ვიზიტის დანიშვნის საშუალებას აძლევს. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ დაიწყო პორტალის კონცეფციის შემუშავება, თუმცა სამოქალაქო საზოგადოებამ პორტალის შინაარსსა და ამოქმედებასთან დაკავშირებით ნათელი ხედვის ნაკლებობაზე მიუთითა. იქიდან გამომდინარე, რომ პორტალზე დიდი მოცულობის დელიკატური პერსონალური ინფორმაციის არსებობა მაღალ რისკს შეიცავს, მოქალაქეებს უნდა მიეცეთ იმის არჩევის საშუალება, თუ რა სახის პერსონალური მონაცემები განთავსდეს პორტალზე. არასაკმარისი დაფინანსების გამო პორტალის 2017 წლის</p>

	<p>ბოლომდე ამოქმედება ნაკლებად სავარაუდოა. თუ ვალდებულება მომდევნო სამოქმედო გეგმაში იქნება შეტანილი, სამინისტრომ მოქალაქეებისგან კომენტარები უნდა მიიღოს, რომ პორტალი მათ საჭიროებებს მოარგოს. ამ სფეროში უფრო აქტუალური ვალდებულება იქნებოდა პორტალზე სამედიცინო სერვისების მიმწოდებლებთან და შესაძლო კორუფციის შემთხვევებთან დაკავშირებით უკუკავშირის/პრეტენზიების დაფიქსირების მექანიზმის ინტეგრირება.</p>
<p>3. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ლიცენზიების ელექტრონული სისტემა</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებთან მიმართება: ნათელი • პოტენციური შედეგი: მცირე • შესრულება: შეზღუდული 	<p>ლიცენზირების პროცედურების გასაუმჯობესებლად გარემოს ეროვნულმა სააგენტომ ახალი ელექტრონული სისტემის შექმნის და სტატისტიკური მონაცემების, ონლაინრუკების და ბუნებრივი რესურსების ლიცენზირების სახელმძღვანელო დოკუმენტების გამოქვეყნების ვალდებულება აიღო. სააგენტომ პირველი ეტაპი ბიზნესპროცესების ანალიზით დაასრულა. ამჟამად იგი სწავლობს, რამდენად შესაძლებელია ახალ სისტემაში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინტეგრირება ლიცენზიატების მიერ სალიცენზიო ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის მიზნით. შემდეგი ეტაპისთვის სამოქალაქო საზოგადოება მთავრობას რეკომენდაციას აძლევს, წინასწარ გამოაქვეყნოს დაგეგმილი ლიცენზიების შესახებ ინფორმაცია და აუქციონის პროცესის დაწყებამდე განუმარტოს საზოგადოებას მათი სარგებელი.</p>
<p>4. ენერგეტიკის დარგობრივი სივრცითი (გეოგრაფიული) მონაცემების ვებპორტალი</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებთან მიმართება: ნათელი • პოტენციური შედეგი: მცირე • შესრულება: შეზღუდული 	<p>ენერგეტიკის სფეროში საჯაროდ ხელმისაწვდომი მონაცემების ნაკლებობის გამო საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ ვალდებულება აიღო, შეექმნა ონლაინპორტალი, რომელზედაც მთავრობის ენერგეტიკული პროექტების ადგილმდებარეობისა და მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია განთავსდებოდა. სამინისტრომ შიდა სამუშაო ჯგუფი შექმნა და პორტალზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის კატეგორიებზე შეთანხმებას მიაღწია. სამინისტროსადმი დაქვემდებარებულმა ენერგოკომპანიებმა ზოგიერთი საკუთარი მონაცემის გაზიარება დაიწყეს. სამინისტრო განიხილავს ინვესტორებთან დადებული ხელშეკრულებებისა და მათი ღირებულების შესახებ მონაცემების გამოქვეყნების საკითხს, თუმცა შესაძლოა ინვესტორებმა მოითხოვონ ამ ინფორმაციის გასაიდუმლოება კომერციული საიდუმლოების წესების თანახმად. 2017 წლის აგვისტოს მდგომარეობით, პორტალი ამოქმედებული არ იყო. კომპიუტერული პროგრამისთვის საჭირო თანხების და ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე მომუშავე თანამშრომლების ნაკლებობის გამო შესაძლებელია ვალდებულების შესრულების ვადამ გადაინიოს. სამოქალაქო საზოგადოება ინვესტორების შერჩევის მეთოდოლოგიისა და მათთან დადებული ხელშეკრულებების პირობების საჯაროობის უზრუნველყოფის, ენერგობიუტების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში</p>

	<p>საზოგადოების სანყის ეტაპზე ჩართვის და პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშების გამოქვეყნების აუცილებლობაზე მიუთითებს.</p>
<p>5. ინოვაციების ეკოსისტემის შექმნა</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებებთან მიმართება: გაურკვეველი • პოტენციური შედეგი: საშუალო • შესრულება: შეზღუდული 	<p>საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს მენარმეობისა და მოქალაქეთა უნარების გასაუმჯობესებელ ტრენინგებს ტექნოპარკებისა და ინოვაციების ცენტრების განვითარებით. დაგეგმილი ორი ტექნოპარკისა და 13 ინოვაციების ცენტრის ნაცვლად, სააგენტომ ზუგდიდში ერთი ტექნოპარკი, ხარაგაულში, ბაღდათსა და ჭოპორტში კი სამი ინოვაციების ცენტრი გახსნა. ამას გარდა, სამი საპილოტე ცენტრი გაიხსნა ხარაგაულში, ბაღდათსა და ჭოპორტში. სხვა ცენტრების გახსნას ფინანსების ნაკლებობამ შეუშალა ხელი. ტექნოპარკები და ინოვაციების ცენტრები უზრუნველყოფს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ ტრენინგებს, დისტანციური სწავლების კურსებს, ინოვაციური იდეებისთვის საგრანტო პროგრამებს, მაღალი ტექნოლოგიის მქონე ინფრასტრუქტურას და საკონსულტაციო სერვისებს. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრების OGP-სთან კავშირი გაურკვეველია, IRM-ის მკვლევართა რეკომენდაციას, შეიქმნას ერთიანი ონლაინპორტალი, რომელზედაც ცენტრების მიერ შეთავაზებული პროგრამებისა და სერვისების შესახებ დეტალური ინფორმაცია განთავსდება. ამასთანავე, ცენტრებს შეუძლიათ რეგულარული ჰაკათონების ორგანიზებით ადგილობრივი მთავრობების წახალისება და დახმარება, რათა მათ ინფორმაციული ტექნოლოგიები და ონლაინმექანიზმები ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების იდენტიფიცირებისთვის და ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებზე მისი აზრის გამოსაკითხად გამოიყენონ.</p>
<p>6. სახელმწიფო ქონების აღრიცხვის ელექტრონული პორტალი – მომხმარებლის მოდული</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებებთან მიმართება: ნათელი • პოტენციური შედეგი: მცირე • შესრულება: შეზღუდული 	<p>კორუფციის რისკების შემსუბუქების და საკანცელარიო სამუშაოს შემცირების მიზნით ვალდებულება მოიცავს ელექტრონული პორტალის – მომხმარებლის მოდულის შექმნას, რომელიც მოქალაქეებს მათ საკუთრებაში არსებული სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და მათი შეხედულებისამებრ განკარგვის საშუალებას მისცემს. ვალდებულება ასევე მოიცავს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების, გამოცხადებული აუქციონების შესახებ და სხვა ინფორმაციის გამოქვეყნებას, რაც შეესაბამება ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და ტექნოლოგიებისა და ინოვაციის გამოყენებას. ანგარიშის წერისას სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს პროგრამის შემუშავება დაწყებული ჰქონდა. ამჟამად სააგენტო მომხმარებლის მოდულის სარეგერვო სისტემის ტესტირებას ახორციელებს. IRM-ის მკვლევარები მთავრობას რეკომენდაციას აძლევენ, უზრუნველყოს განმცხადებლებისა და მათი წინადადებების პირობების შესახებ ინფორმაციის საჯაროობა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესების მიხედვით, რათა</p>

	<p>სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა უკეთ წარმართონ მონიტორინგისა და ადვოკატირების ღონისძიებები მთავრობის ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად.</p>
<p>7. ინფორმაციის თავისუფლების კანონის შემუშავება</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებებთან მიმართება: ნათელი • პოტენციური შედეგი: ტრანსფორმაციული • შესრულება: შეზღუდული 	<p>ინფორმაციის თავისუფლების კანონის პროექტის შემუშავება და პარლამენტისთვის წარდგენა წინა სამოქმედო გეგმაში არსებული ვალდებულება იყო. თუ კანონის ნორმები ამჟამინდელი პროექტის ფორმით აღსრულდება, ახალი კანონი საქართველოში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდაზე ტრანსფორმაციულ გავლენას მოახდენს. 2017 წლის მაისში საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განახლებული კანონპროექტი ყველა დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის, ანტიკორუფციულ საბჭოს და სამუშაო ჯგუფისა და OGP-ის ფორუმის წევრებს, მიანწოდა. ახალი კანონპროექტი შეიცავს წინა პროექტში არსებულ ბევრ დებულებას, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია დებულებები ინფორმაციის თავისუფლების კომისიონერის სახით არსებული კანონის აღსრულების მექანიზმის და კანონის დარღვევის შემთხვევაში სანქციების დანესების შესახებ. სამინისტრომ კანონპროექტთან დაკავშირებით მრავალი კომენტარი მიიღო და სხვადასხვა საჯარო უწყებასთან შეხვედრები გამართა, რათა მათთვის წარმოდგენილი სიახლეები განემარტა. 2017 წლის სექტემბრის მდგომარეობით, კანონპროექტი მთავრობისთვის წარდგენილი არ იყო. არასამთავრობო ორგანიზაციები კანონპროექტში შეტანილ დებულებებს მიესალმებიან და მის დროულ მიღებას უჭერენ მხარს. ამასთანავე, მათი რეკომენდაციები ეხება პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის სიის გაფართოებას, ინფორმაციის უფრო ნათელ, მკაფიო კლასიფიკაციას, მაღალი საჯარო ინტერესის გამომწვევი პერსონალური ინფორმაციის გამოქვეყნებას და ინფორმაციის თავისუფლების კანონის დებულებების ისეთ საწარმოებზე გავრცელებას, რომელთა მნიშვნელოვანი წილიც სახელმწიფო საკუთრებაშია.</p>
<p>8. სამთავრობო პოლიტიკისა და საკანონმდებლო აქტების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებებთან მიმართება: ნათელი • პოტენციური შედეგი: 	<p>საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია მიზნად ისახავს სამთავრობო რეგულაციების, ქვეყნის საკანონმდებლო აქტების და პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტების წინა (ex-ante) და შემდგომი (ex-post) შეფასების ერთიანი სისტემის შემუშავებას. ანგარიშის წერისას მთავრობის ადმინისტრაციას შერჩეული ჰქონდა ხუთი საპილოტე სამინისტრო, სადაც კონკრეტული სტრატეგიები შემუშავდება და მონიტორინგი განხორციელდება. ამჟამად მთავრობის ადმინისტრაცია ელექტრონული სისტემის მონიტორინგის კომპონენტის შექმნაზე მუშაობს. დღემდე განხორციელებული ღონისძიებებიდან გამომდინარე,</p>

<p>საშუალო</p> <ul style="list-style-type: none"> შესრულება: შეზღუდული 	<p>ბუნდოვანია, რამდენად ხელმისაწვდომი იქნება მოქალაქეებისთვის გემოაღნიშნული სისტემა და შეძლებენ თუ არა ისინი უკუკავშირის მინოდებასა და მიღებას. შემდეგი ეტაპისთვის მთავრობას რეკომენდაცია ეძლევა, უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეებისთვის კონსულტაციისა და უკუკავშირის ონლაინმექანიზმის შექმნა, მათი რეგულაციების შემუშავების პროცესში ჩართვა და შეფასებისადმი დაქვემდებარებული აქტების ჩამონათვალის საჯაროობა.</p>
<p>9. თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემა</p> <ul style="list-style-type: none"> OGP-ის ღირებულებებთან მიმართება: ნათელი პოტენციური შედეგი: ტრანსფორმაციული შესრულება: არსებითი 	<p>წინა სამოქმედო გეგმაში არსებული ვალდებულება თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შემოწმების ფორმალური მექანიზმის შექმნას მოიცავს. 2016 წლის დეკემბერში პარლამენტმა მიიღო აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც დეკლარაციების შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ან წერილობითი მტკიცებულების საფუძველზე გადამოწმების უფლებას იძლევა. დეკლარაციების შერჩევის ზედამხედველობა დამოუკიდებელი კომისიის ფუნქციაა. საჯარო სამსახურის ბიუროს ყოველწლიურად მონიტორინგის შედეგების პროაქტიულად გამოქვეყნება ევალება. 2017 წლის 14 თებერვალს მთავრობამ მიიღო დადგენილება, რომელიც საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ელექტრონული სისტემის შემუშავების დეტალურ ინსტრუქციას შეიცავს. სისტემა ყველა საჯარო ბაზასთანაა დაკავშირებული და მარტივი, ჯვარედინი გადამოწმების და დეკლარაციებში უზუსტობების იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. 2017 წლის აგვისტოს მდგომარეობით, საჯარო სამსახურის ბიურომ შემთხვევითობის პრინციპით შერჩეულ დეკლარაციებში 40-მდე დარღვევა დააფიქსირა და დამრღვევებს ადმინისტრაციული ჯარიმები დააკისრა. არასამთავრობო ორგანიზაციები აკრიტიკებენ დებულებას, რომელიც საჯარო სამსახურის ბიუროს ანიჭებს უფლებამოსილებას, უარი თქვას დამოუკიდებელი კომისიის შექმნაზე იმ შემთხვევაში, თუ კომისიის წევრობის თაობაზე არასამთავრობო ორგანიზაციების და აკადემიური წრეების წარმომადგენელთა არასაკმარისი რაოდენობის განაცხადი შევა. არასამთავრობო ორგანიზაციები საჯარო სამსახურის ბიუროს რეკომენდაციას აძლევენ, კომისიის წევრობის თაობაზე განაცხადების წარდგენის შესახებ განცხადება სხვადასხვა ელექტრონული და არაელექტრონული საშუალებით გაავრცელოს. საჯარო სამსახურის ბიუროსადმი არასამთავრობო ორგანიზაციების კიდევ ერთი რეკომენდაციაა, ბიურომ ზუსტად განსაზღვროს, თითოეული უწყებიდან რამდენი დეკლარაცია გადამოწმდება და ვის აქვს გასაიდუმლოებული დეკლარაციის შევსების უფლება.</p>

<p>10. სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების ერთიანი წესი</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებებთან მიმართება: ნათელი • პოტენციური შედეგი: საშუალო • შესრულება: არსებითი 	<p>საქართველოს უზენაესი სასამართლო მიზნად ისახავს სასამართლო გადაწყვეტილებების ონლაინსივრცეში გამოქვეყნების ერთიანი სტანდარტის დანერგვას, რომელიც მონაცემების ადვილად გამოყენების საშუალებას იძლევა. უზენაესმა სასამართლომ შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა ერთიანი რეგულაციები, მათ შორის, პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ. ინფორმაციის კატეგორიებისა და გამოქვეყნების ფორმატის განმსაზღვრელი რეგულაციები იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა და გამოაქვეყნა. არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციების მიუხედავად, უზენაესმა სასამართლომ გადაწყვიტა, არ გაესაჯაროებინა ინფორმაცია თანამდებობის პირთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. 2017 წლის აგვისტოს მდგომარეობით, უზენაესი სასამართლო მუშაობდა ახალი რეგულაციების აღსრულებაზე, გადაწყვეტილებების info.court.ge-ზე გამოქვეყნების ტექნიკური პროცედურებისა და დაფინანსების საკითხების მოგვარების პარალელურად. IRM-ის მკვლევართა რეკომენდაციაა, მაღალი საჯარო ინტერესის გამომწვევი მონაცემები გამოქვეყნდეს, თუ გამოქვეყნებით მისაღები სარგებელი აღემატება შესაძლო ზიანს.</p>
<p>11. რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის დარგში გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებებთან მიმართება: ნათელი • პოტენციური შედეგი: საშუალო • შესრულება: შესრულებული 	<p>სექტორული ანტიკორუფციული სტრატეგიების არარსებობის გამო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ ვალდებულება აიღო, დაემტკიცებინა გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომლებიც მისდამი დაქვემდებარებული უწყებების მიერ მასშტაბური პროექტების მართვისა და ზედამხედველობის პროცესში სახელმძღვანელო დოკუმენტები იქნებოდა. ვალდებულება, რომელიც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) რეკომენდაციის საპასუხოდ შეიმუშავდა, მოიცავს ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებას, რაც შეესაბამება OGP-ის ღირებულებას – ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. სამინისტრომ სტრატეგია (რომელიც გამჭვირვალობას, საზოგადოებრივ ჩართულობას, კეთილსინდისიერების სტანდარტებს, გაძლიერებულ მონიტორინგს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს მოიცავს) და სამოქმედო გეგმა 2017 წლის აპრილში დაამტკიცა და პროფესიული უნარების განვითარებისკენ მიმართული ღონისძიებები უკვე ხორციელდება. IRM-ის მკვლევართა რეკომენდაციაა, ვალდებულება მომდევნო სამოქმედო გეგმაში იქნეს შეტანილი, რაც სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებას უზრუნველყოფს. ამასთანავე, შესყიდვების გამჭვირვალობის გასაზრდელად სამინისტრომ შესყიდვების შესახებ გადაწყვეტილებების თაობაზე ინფორმაცია და სტატისტიკური მონაცემები მომხმარებლისთვის მოსახერხებელი</p>

	<p>ფორმით უნდა გამოაქვეყნოს.</p>
<p>12. მსჯავრდებულთა მონაცემთა ბაზა</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებთან მიმართება: გაურკვეველი • პოტენციური შედეგი: მცირე • შესრულება: შეზღუდული 	<p>იმის გამო, რომ საზოგადოებასა და სპეციალიზებულ ორგანიზაციებს სასჯელადსრულების სისტემის შესახებ შეზღუდული ინფორმაცია აქვთ, საქართველოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ არსებული ბაზების ანალიზის, საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტების შესწავლის და აღნიშნული ბაზების განახლების ან ახალი ბაზის შექმნის ვალდებულება აიღო. ეს სისტემის შიგნით ინფორმაციის კლასიფიკაციის გაუმჯობესებისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია, თუმცა განახლებული ბაზა მხოლოდ შიდა მოხმარებისთვის იქნება განკუთვნილი, რის გამოც ვალდებულების OGP-ის ღირებულებებთან კავშირი გაურკვეველია. ანგარიშის წერისას სამინისტრომ არსებული ბაზების შესაფასებლად ევროკავშირი-საქართველოს „მართლმსაჯულების რეფორმების მხარდაჭერის პროგრამასთან“ დაიწყო თანამშრომლობა და ახალი ელექტრონული სისტემის კონცეფცია შეიმუშავა, თუმცა სამინისტროს აუცილებელი კომპიუტერული პროგრამისთვის საჭირო ფინანსური რესურსი არ აქვს, დახმარების თაობაზე გარე დონორისთვის წარდგენილი მოთხოვნა კი არ დაკმაყოფილდა. IRM-ის მკვლევართა რეკომენდაციას, სამინისტრომ განაგრძოს არსებული ბაზების გაუმჯობესება მოთხოვნადი სტატისტიკური მონაცემების (ასაკი, ჩადენილი დანაშაულის ტიპი და სხვა) გამოქვეყნებით, გამოაქვეყნოს ინფორმაცია საპატიმროდან გათავისუფლებულ პირთა მიერ დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობის შესახებ და გაზარდოს საკუთარი ხარჯების გამჭვირვალობა.</p>
<p>13. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების მონაცემების გამოქვეყნება</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებთან მიმართება: ნათელი • პოტენციური შედეგი: მცირე • შესრულება: შესრულებული 	<p>IRM-ის რეკომენდაციების საპასუხოდ, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ვალდებულება აიღო, გამოექვეყნებინა სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების მონაცემები, დახარისხებული დანაშაულის კვალიფიკაციისა და გეოგრაფიული არეალის მიხედვით, რომლისთვისაც სასამართლომ ეჭვმიტანილთა ტელეფონების ფარული მიყურადების შუამდგომლობები დააკმაყოფილა. უზენაესმა სასამართლომ ახალი მონაცემების გამოქვეყნება 2017 წლის იანვარში დაიწყო. ინფორმაცია, რომელიც PDF ფორმატითაა გამოქვეყნებული, შეიცავს ექვსი თვის სტატისტიკურ მონაცემებს, დახარისხებულს დანაშაულის ტიპის მიხედვით, რომლისთვისაც სასამართლომ სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების შუამდგომლობები დააკმაყოფილა. უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ცხრილი შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებს, რომელთა მიხედვითაც ეჭვმიტანილებს ბრალდება წარედგინათ, აგრეთვე სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების შუამდგომლობების დაკმაყოფილების შესახებ პროკურატურის მოთხოვნების</p>

	<p>რაოდენობას და იმ შუამდგომლობათა რაოდენობას, რომლებიც დაკმაყოფილდა, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ან არ დაკმაყოფილდა. ცალკე PDF ფაილში უზენაესი სასამართლო წარმომადგენს რაიონული და საქალაქო სასამართლოების გეოგრაფიულ განაწილებას, აგრეთვე მათ მიერ განხილული შუამდგომლობების რაოდენობას. ახალი მონაცემები PDF ფორმატითაა გამოქვეყნებული და არა Excel-ის ცხრილის სახით, როგორც ეს ვალდებულების ტექსტშია მითითებული. IRM-ის მკვლევართა რეკომენდაციაა, უზენაესმა სასამართლომ შექმნას და გამოაქვეყნოს ძველი მონაცემების არქივი, რათა შესაძლებელი იყოს წლების მიხედვით შედარება და ახალი ტენდენციების ანალიზი.</p>
<p>★14. აუდიტის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებებთან მიმართება: ნათელი • პოტენციური შედეგი: ტრანსფორმაციული • შესრულება: შესრულებული 	<p>სახელმწიფო აუდიტის სამსახური არის დამოუკიდებელი ინსტიტუტი, რომელიც პარლამენტს მთავრობაზე ზედამხედველობის განხორციელებაში ეხმარება. აუდიტის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ვალდებულება აიღო, შეექმნა ვებპლატფორმა, რომელიც მოქალაქეებს სახელმწიფო ბიუჯეტის და აუდიტის დასკვნების შესახებ ინფორმაციას მიანვდიდა და საზოგადოებისგან უკუკავშირის – შესაძლო ინსტიტუციური დარღვევების თაობაზე ინფორმაციის მიღების მექანიზმს გაითვალისწინებდა. ვალდებულება OGP-ის ოთხივე ღირებულებას შეესაბამება, ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველსაყოფად კომპლექსურ მიდგომას ითვალისწინებს და მონიტორინგის მექანიზმს დეტალურად აღწერს. ვებპლატფორმა – Budgetmonitor.ge 2017 წლის მარტში ამოქმედდა და უაღრესად დადებითი შეფასებები მიიღო. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ცნობიერების ასამაღლებლად მრავალი ღონისძიება გამართა და სოციალური მედიით საინფორმაციო ვიდეო გაავრცელა. IRM-ის მკვლევართა რეკომენდაციაა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა განაგრძოს ანონიმური განცხადებების მიღების მექანიზმის შექმნა და ვებპლატფორმის მაქსიმალური გამოყენების მიზნით თართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია ჩაატაროს, მათ შორის, სამუშაო შეხვედრები და კონფერენციები გამართოს.</p>
<p>15. ელექტრონული ინოვაციები საჯარო შესყიდვების მეტი გამჭვირვალობისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებებთან მიმართება: ნათელი • პოტენციური შედეგი: საშუალო 	<p>სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო წინა ვალდებულებების შემდეგ მუშაობას ტენდერების, შემსყიდველი ორგანიზაციების შესყიდვების წლიური გეგმების და ელექტრონული შესყიდვების სისტემაში არსებული თითოეული შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების შესახებ აგრეგირებული მონაცემების გამოქვეყნებით განაგრძობს. ანგარიშის წერისას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ამოქმედებული პქონდა e-Market მოდული (emarket.spa.ge), რომელიც შეიცავს მიმწოდებლების, პროდუქტების, მათი ღირებულებისა და საგარანტიო პირობების შესახებ და სხვა ინფორმაციას. მასში 6000-ზე მეტი მონაცემია.</p>

<ul style="list-style-type: none"> შესრულება: შეზღუდული 	<p>სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო მსოფლიო ბანკის ექსპერტებთან ერთად ინფორმაციის ღია კონტრაქტების მონაცემთა სტანდარტის (Open Contracting Data Standard) მიხედვით გამოქვეყნებაზე მუშაობს. სატესტო ვებგვერდი 2017 წლის აგვისტოში ამოქმედდა. შემდეგ ეტაპზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ ვალდებულების შესრულება უნდა განაგრძოს და მონაცემები ღია ფორმატით უნდა გამოაქვეყნოს, რაც შესაძლებელს გახდის რეგიონების მიხედვით მათ დახარისხებას. ამასთანავე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ ელექტრონული შესყიდვების სისტემიდან გამონაკლისების რაოდენობა უნდა შეზღუდოს, e-Market მოდულისთვის სარეკლამო რგოლები უნდა შექმნას და არასამთავრობო ორგანიზაციებს აპლიკაციის პროგრამირების ინტერფეისი (API) უნდა მიანდოს.</p>
<p>★16. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიღება</p> <ul style="list-style-type: none"> OGP-ის ღირებულებებთან მიმართება: ნათელი პოტენციური შედეგი: ტრანსფორმაციული შესრულება: არსებითი 	<p>საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ ვალდებულება აიღო, შეემუშავებინა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს პროექტების გარემოსდაცვითი ინტერესების გათვალისწინებით შეფასებას და პროექტებზე ლიცენზიების/ნებართვების გაცემის პროცესში გადაწყვეტილების მიღებისას მოქალაქეთა ინფორმირებასა და ჩართვას. კოდექსი 2017 წელს იქნა მიღებული. იგი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფად მათ უფლებას და სამინისტროს ვალდებულებას განსაზღვრავს. კოდექსი ითვალისწინებს მოქალაქეთა ჩართულობის სხვადასხვა გზას, კერძოდ, მათ მიერ მოსაზრებების წერილობით, ელექტრონულად და საჯარო განხილვებისას წარდგენას. ამასთანავე, კოდექსი გადაწყვეტილების მიღებებ ორგანოს ავალდებულებს, განიხილოს მოქალაქეთაგან მიღებული მოსაზრებები და მიანდოს მათ უკუკავშირი იმის თაობაზე, გათვალისწინებულ იქნა თუ არა კონკრეტული წინადადება გადაწყვეტილების მიღებისას. არასამთავრობო ორგანიზაციები ახალ კანონმდებლობას დადებითად აფასებენ, თუმცა ხაზგასმით აღნიშნავენ რამდენიმე ხარვეზს – ლიცენზიები/ნებართვები გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურამდე, დაინტერესებულ მხარეთა ზეწოლით გაიცემა.</p>
<p>17. „112“-თან დაკავშირების ალტერნატიული არხის – მობილური აპლიკაციის დანერგვა</p> <ul style="list-style-type: none"> OGP-ის ღირებულებებებთან მიმართება: 	<p>არსებული პრობლემის გადაჭრისა და გადაუდებელ შემთხვევებში დროული რეაგირების გაუმჯობესებისთვის სსიპ – „112“-მა – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი დაქვემდებარებულმა გადაუდებელი დახმარების ცენტრმა მიზნად დაისახა, შეექმნა მობილური აპლიკაცია, რომელიც მობილურ ტელეფონზე GPS-ფუნქციას ავტომატურად ააქტიურებს და მოქალაქის ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციას ცენტრს უგზავნის. ამასთანავე, „112“-მა ახალი სერვისის შესახებ საზოგადოების ინფორმირების კამპანიის ჩატარების</p>

<p>გაურკვეველი</p> <ul style="list-style-type: none"> • პოტენციური შედეგი: მცირე • შესრულება: არსებითი 	<p>ვალდებულება აიღო. მობილური აპლიკაცია შექმნილია და მზადაა მოხმარებისთვის. ამჟამად „112“ აპლიკაციის ხარისხის შემოწმების პროცესში სტუდენტების ჩართვის და მოხმარებელთა გამოცდილების გაუმჯობესების მიზნით რამდენიმე საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობს. IRM-ის რეკომენდაციაა, მომდევნო სამოქმედო გეგმაში შეტანის შემთხვევაში ვალდებულების OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად „112“-მა მას ისეთი ინიციატივები დაამატოს, რომლებიც შემოსული ზარების და ცენტრის მიერ მათზე რეაგირების შესახებ და აპლიკაციის გამოყენების თაობაზე სტატისტიკური მონაცემების პროაქტიულად გამოქვეყნებას, აგრეთვე აპლიკაციისთვის მოქალაქეთაგან უკუკავშირის მიღების ფუნქციის დამატებას გაითვალისწინებს.</p>
<p>18. დანაშაულის პრევენციის მიზნით შექმნილი ადგილობრივი საბჭოები</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებებთან მიმართება: ნათელი • პოტენციური შედეგი: მცირე • შესრულება: შესრულებული 	<p>დანაშაულის პრევენციაში ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა ჩართვის მიზნით ვალდებულება 6 რეგიონში ადგილობრივი საბჭოების ჩამოყალიბებას და საბჭოების მიერ არანაკლებ 10 სხდომის გამართვას მოიცავს. ანგარიშის წერისას ქვეყნის მასშტაბით შექმნილი იყო 12 საბჭო, მათ შორის, რეგიონების ცენტრებში და თბილისის რამდენიმე უბანში. საბჭო მუდმივი და არამუდმივი წევრებისგან შედგება. მათ შორის არიან ადგილობრივი პროკურორები, ადგილობრივი პოლიცია, საქართველოს სახალხო დამცველი და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა წარმომადგენლები. საბჭოს სხდომებზე დასწრება შეუძლიათ აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს. საბჭოს სხდომებზე წარმოდგენილ იქნა ინფორმაცია რეგიონში არსებული კრიმინოგენული მდგომარეობის შესახებ და კონკრეტული ტიპის დანაშაულის პრევენციისკენ მიმართული ინიციატივები. საბჭოს მიერ განხილულ ზოგიერთ საკითხზე, მაგალითად, ადრეულ ასაკში ქორწინების და ოჯახური ძალადობის თემებზე, ცნობიერების ასამაღლებლად პროექტი განხორციელდა, თუმცა საბჭოებს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული ყველა ინიციატივა არ განხორციელებიათ. IRM-ის მკვლევართა რეკომენდაციაა, ვალდებულება მომდევნო სამოქმედო გეგმაში იქნეს შეტანილი და ყურადღება საბჭოს მუშაობაში მონაწილეობის ფორმალური წესების განსაზღვრას, საინფორმაციო კამპანიის ჩატარებას, საბჭოების მიერ ერთმანეთისთვის გამოცდილების გაზიარებას და მათი სხდომების განრიგისა და ოქმების გამოქვეყნებას დაეთმოს.</p>
<p>19. გზამკვლევი ეკონომიკური აგენტებისათვის</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის 	<p>„კონკურენციის შესახებ“ კანონის თაობაზე ბიზნესსაზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად კონკურენციის სააგენტომ ეკონომიკური აგენტებისთვის გზამკვლევის შემუშავების და ადვოკატირების კამპანიისა და ბაზრის მოთამაშებებთან შეხვედრების გამართვის ვალდებულება აიღო. სააგენტომ</p>

<p>ღირებულებებთან მიმართება: ნათელი</p> <ul style="list-style-type: none"> • პოტენციური შედეგი: მცირე • შესრულება: არსებითი 	<p>გზამკვლევი 2017 წლის მაისში დაამტკიცა. გზამკვლევი განმარტავს ტერმინს „ეკონომიკური აგენტი“ და განიხილავს ისეთ სცენარებს, როდესაც ბაზრის მოთამაშე შესაძლოა არღვევდეს კონკურენციის სტანდარტებს, როგორცაა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, მათ შორის, ფასისმიერი დისკრიმინაცია და მიწოდებაზე უარი. სააგენტო განახორციელებს საინფორმაციო ღონისძიებებს, მათ შორის, მოაწყობს კონფერენციას ბიზნესსაზოგადოებისთვის.</p>
<p>20. კომერციული მომსახურების ხარისხის კონტროლის პროგრამა</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებთან მიმართება: გაურკვეველი • პოტენციური შედეგი: საშუალო • შესრულება: არსებითი 	<p>„მომსახურების კომერციული ხარისხის წესებით“ გათვალისწინებული სტანდარტების სრულად შესასრულებლად საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (სემეკმა) ვალდებულება აიღო, შეექმნა შიდა მექანიზმი, რომელიც კომუნალური მომსახურების მიმწოდებელი კომპანიების საქმიანობას მონიტორინგს გაუწევდა. მე-20 ვალდებულება მოიცავს ხარისხის კონტროლის შიდა პროგრამის შემუშავებას, რომელიც სერვისების მიწოდების მონიტორინგს და მომხმარებელთა უფლებების დაცვას უზრუნველყოფს. 21-ე ვალდებულება მოიცავს ნორმატიული აქტების მიღებას, რომლებიც კომპანიებს ანგარიშების ელექტრონულად წარდგენის საშუალებას მისცემს, რაც ინფორმაციის სისტემატიზაციას გააადვილებს. იქიდან გამომდინარე, რომ ორივე ვალდებულება კომისიის შიდა პროცესების გაუმჯობესებისკენ არის მიმართული და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას არ ზრდის, ამ ვალდებულებების OGP-ის ღირებულებებთან კავშირი გაურკვეველია. ანგარიშის წერისას სემეკს ამოქმედებული ჰქონდა ანგარიშების წარდგენის ელექტრონული პლატფორმა, აგრეთვე სერვისების მიწოდების მონიტორინგის პროგრამა, თუმცა ამ პროგრამის სრულად ამოქმედებასთან დაკავშირებით პრობლემები არსებობს. IRM-ის მკვლევართა რეკომენდაციაა, მაქსიმალური შედეგის მისაღებად კომისიამ სრულად ამოქმედოს ხარისხის კონტროლის პროგრამის ცხრავე სტანდარტი. ამასთანავე, ორივე ვალდებულება უნდა შეესაბამებოდეს OGP-ის ღირებულებებს მომხმარებლისთვის მოსახერხებელი უკუკავშირის ონლაინმექანიზმის შექმნით ან პრეტენზიების დაფიქსირების სხვა ფორმების დანერგვით.</p>
<p>21. კომპანიების მიერ ანგარიშების ელექტრონულად წარმოდგენა</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებთან მიმართება: გაურკვეველი • პოტენციური შედეგი: საშუალო • შესრულება: შესრულებული 	<p>ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ვალდებულება აიღო, ამოქმედებინა მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) სერვისი – „ზუგდიდი-INFO“, რომელიც მოქალაქეებს საკრებულოს სხდომების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ ინფორმაციას მიანვდიდა. ვალდებულება ასევე მოიცავს ელექტრონული პეტციების სისტემის დანერგვას, რომელიც მოქალაქეებს ადგილობრივი პოლიტიკის შესახებ წინადადებების წარდგენის საშუალებას მისცემს. SMS-სერვისი 2016 წლის მაისში, მესამე სამოქმედო გეგმის დამტკიცებამდე დაინერგა.</p>
<p>22. პეტციების ელექტრონული პორტალი და „ზუგდიდი-INFO“</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებთან მიმართება: ნათელი • პოტენციური შედეგი: 	<p>ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ვალდებულება აიღო, ამოქმედებინა მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) სერვისი – „ზუგდიდი-INFO“, რომელიც მოქალაქეებს საკრებულოს სხდომების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ ინფორმაციას მიანვდიდა. ვალდებულება ასევე მოიცავს ელექტრონული პეტციების სისტემის დანერგვას, რომელიც მოქალაქეებს ადგილობრივი პოლიტიკის შესახებ წინადადებების წარდგენის საშუალებას მისცემს. SMS-სერვისი 2016 წლის მაისში, მესამე სამოქმედო გეგმის დამტკიცებამდე დაინერგა.</p>

<p>მცირე</p> <ul style="list-style-type: none"> შესრულება: არსებითი 	<p>საკრებულოს ბაზაში რეგისტრირებულია 11000-მდე მოქალაქე, რომლებიც რეგულარულად იღებენ ახალ ინფორმაციას საკრებულოს სხდომების და ადგილობრივი პროექტების შესახებ. ელექტრონული პეტიციების პორტალის შექმნა დაწყებულია. განხორციელებული პროექტების და დაგეგმილი საკრებულოს სხდომების შესახებ მოკლე ტექსტური შეტყობინება მოქალაქეებს რეგულარულად ეგზავნებათ, თუმცა იმის კონკრეტული მაჩვენებლები, თუ რამდენად ზრდის „ზუგდიდი-INFO“ მათ ჩართულობას, არ არსებობს. IRM-ის მკვლევართა რეკომენდაციაა, ამოქმედდეს ელექტრონული პეტიციების ონლაინპორტალი და შეიქმნას უკუკავშირის ელექტრონული მექანიზმი, რომელიც მოქალაქეებს ამცნობს, განხილულ იქნა თუ არა მათ მიერ წარდგენილი კონკრეტული განაცხადი.</p>
<p>23. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომების გამჭვირვალობა</p> <ul style="list-style-type: none"> OGP-ის ღირებულებებთან მიმართება: ნათელი პოტენციური შედეგი: საშუალო შესრულება: არსებითი 	<p>ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვალდებულება მოიცავს საკრებულოს სხდომების პირდაპირ ტრანსლაციას, რომლის დროსაც მოქალაქეები ონლაინფორუმზე კომენტარების გაკეთებას და კითხვების დასმასაც შეძლებენ, მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) სისტემას საკრებულოს სხდომების შესახებ მოქალაქეთა ინფორმირებისთვის და ელექტრონული გამოკითხვის მექანიზმს, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეები მათთვის მნიშვნელოვან საკითხებს დააფიქსირებენ. საკრებულომ დაიწყო „მართე სახლიდან“ – სხდომების პირდაპირი ტრანსლაცია და საკრებულოს ვებგვერდზე მისი თანმხლები კომენტარების სექციაც აამუშავა. არასამთავრობო ორგანიზაციები სხდომების პირდაპირ ტრანსლაციას, როგორც მოქალაქეთა ჩართულობის ალტერნატიულ ხერხს, დადებითად აფასებენ. საკრებულომ ასევე დანერგა SMS-სისტემა მოქალაქეთა ინფორმირებისთვის. სრულად ამოქმედდა ელექტრონული გამოკითხვის მექანიზმიც, რომელიც მოქალაქეებს მათთვის მნიშვნელოვანი საკითხების დასაფიქსირებლად ონლაინფორმას სთავაზობს. ამასთანავე, საკრებულომ წარმატებით გახსნა 28-დან 5 საზოგადოებრივი ჩართულობის ცენტრი, სადაც მოქალაქეებს საკრებულოს სხდომების პირდაპირი ტრანსლაციის ყურება, კითხვების ონლაინრეჟიმში დასმა და დისკუსიებში მონაწილეობა შეუძლიათ.</p>
<p>24. ქალაქ ქუთაისის, ქალაქ ბათუმის, ქალაქ ახალციხისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების დაგეგმვის ელექტრონული მექანიზმი</p>	<p>ბიუჯეტების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით ოთხმა მუნიციპალიტეტმა ბიუჯეტის მომზადებაში მოქალაქეების მონაწილეობის ელექტრონული მექანიზმის შექმნის ვალდებულება აიღო. ოთხი მუნიციპალიტეტიდან სამმა (ბათუმის, ქუთაისის, ახალციხის), შვერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საქართველოში კარგი მმართველობის ინიციატივის (USAID GGI) მხარდაჭერით, ბიუჯეტს პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით აქვეყნებს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო კი პროგრამული ბიუჯეტის</p>

<ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებთან მიმართება: ნათელი • პოტენციური შედეგი: საშუალო • შესრულება: შეზღუდული 	<p>შედგენაზე ამჟამად მუშაობს. ბათუმის მერიამ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის მოქალაქის გზამკვლევი გამოაქვეყნა, ხოლო ქუთაისისა და ახალციხის ადგილობრივმა მთავრობებმა მოქალაქის გზამკვლევი შეიმუშავეს და ბეჭდური სახით გაავრცელეს, თუმცა მისი ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომი არ არის. სამი მუნიციპალიტეტი ამჟამად მუშაობს ვებგვერდის – „დაგვემე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის“ კონცეფციაზე, რომელიც მოქალაქეს ბიუჯეტის პრიორიტეტების არჩევის საშუალებას მისცემს. IRM-ის მკვლევრები ბიუჯეტირების პროცესში მოქალაქეთა მაქსიმალური ჩართულობის ხელშესაწყობად ვებგვერდის ამოქმედების და ცნობიერების ამაღლების კამპანიის ჩატარების აუცილებლობაზე მიუთითებენ. ამასთანავე, ისინი იძლევიან რეკომენდაციას, ჩართულობის ასეთი ინოვაციური მექანიზმების ერთიანი სტანდარტი ქვეყნის ყველა მუნიციპალიტეტში დაინერგოს.</p>
---	--

რეკომენდაციები

ვალდებულებების შესრულებაში მიღწეული პროგრესის მიუხედავად, ზოგიერთი სფერო გაუმჯობესებას საჭიროებს. მთავარი რეკომენდაციაა, მთავრობამ და სამოქალაქო საზოგადოებამ ითანამშრომლონ ღია მმართველობის სტრატეგიისა და პოლიტიკური ხედვის ჩამოსაყალიბებლად გადანყვეტილების მიღების ყველა დონეზე მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით. საქართველომ OGP-ის თანათავმჯდომარეობის წელი იმისთვის უნდა გამოიყენოს, რომ შეასრულოს ამბიციური ვალდებულებები, მათ შორის, ინფორმაციის თავისუფლების კანონის მიღება და მთავრობის კონტრაქტების გამჭვირვალობის და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა.

2014 წლიდან მოყოლებული, OGP-ის IRM-ის ყველა ანგარიში შეიცავს 5 ძირითად რეკომენდაციას, რომლებიც OGP-ის მომდევნო სამოქმედო გეგმის შემუშავებისას უნდა იქნეს გათვალისწინებული. OGP-ის წევრი ქვეყნების მთავრობები ვალდებული არიან, უპასუხონ ამ რეკომენდაციებს წლიურ თვითშეფასების ანგარიშში. ეს რეკომენდაციები „SMART“ ლოგიკის მიხედვით არის შემუშავებული – ისინი არის კონკრეტული (Specific), გაზომვადი (Measurable), მიღწევადი (Answerable), რელევანტური (Relevant) და დროში შეზღუდული (Timebound). კვლევის დასკვნებზე დაყრდნობით, IRM-ის მკვლევართა რეკომენდაციებია:

ცხრილი 3: ხუთი ძირითადი რეკომენდაცია

ღია მმართველობის სტრატეგიისა და პოლიტიკური ხედვის ჩამოყალიბება გადანყვეტილების მიღების ყველა დონეზე მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით.
საქართველოს მიერ OGP-ის თანათავმჯდომარეობის წლის – 2018 წლის სამაგალითო სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად და თანამონაწილეობისა და ჩართულობის საუკეთესო პრაქტიკის ჩვენებისთვის გამოყენება.
ღია მმართველობისა და OGP-ის ღირებულებებისა და სარგებლის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად მასშტაბური კამპანიის ჩატარება.
ღია კონტრაქტების მონაცემთა სტანდარტის (Open Contracting Data Standard) მიღება და გამოყენება დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით, ბუნებრივი რესურსების სფეროში ლიცენზიების გაცემისას, პრივატიზაციისას და ინფრასტრუქტურული პროექტების სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას მთავრობის კონტრაქტების გამჭვირვალობის გასაზრდელად.
ინფორმაციის თავისუფლების კანონის დროული მიღება და მასში იმ ძირითადი დებულების შეტანა, რომელიც ინფორმაციის ღია ფორმატით, პროაქტიულად გამოქვეყნების უნივერსალურ სტანდარტებს, დამოუკიდებელ ზედამხედველობას და კანონის აღსრულების მექანიზმებს ეხება.

დასაშვებობის მოთხოვნები: OGP-ის წევრობისთვის ქვეყანამ ღია მმართველობის პარტნიორობის მთავარი ღირებულებების მინიმალური კრიტერიუმების დაკმაყოფილებით ღია მმართველობის ერთგულება უნდა აჩვენოს. ქვეყნის მიერ ღია მმართველობის პარტნიორობის

თითოეული ღირებულების კუთხით მიღწეული პროგრესის შესაფასებლად მესამე მხარის მიერ შემუშავებული ინდიკატორები გამოიყენება. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ამ ანგარიშის VII თავი („დასაშვებობის მოთხოვნები“) ან ვებგვერდი: bit.ly/1929F11.

I. შესავალი

ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP) არის ნებაყოფლობითი, მრავალმხრივი საერთაშორისო ინიციატივა, რომლის მიზანია, მთავრობები მოქალაქეებისადმი უფრო ანგარიშვალდებული იყვნენ გამჭვირვალობის გაზრდით, მოქალაქეთა შესაძლებლობების გაძლიერებით, კორუფციასთან ბრძოლით და მმართველობის რეფორმისთვის ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით. ამ მიზნების მიღწევის გზაზე OGP უზრუნველყოფს საერთაშორისო ფორუმს მთავრობებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს (შემდგომ – არასამთავრობო ორგანიზაციები) და კერძო სექტორს შორის დიალოგისა და იდეების გაზიარებისთვის, რაც ხელს უწყობს ღია მმართველობის პრინციპების დანერგვას.

საქართველო ამ ინიციატივას ფორმალურად 2011 წლის აგვისტოში შეუერთდა, როდესაც მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, გრიგოლ ვაშაძემ, გააცხადა მისი ქვეყნის სურვილი, გამხდარიყო პარტნიორობის წევრი.¹

OGP-ში განწევრებისთვის ქვეყნების მთავრობებმა ღია მმართველობისთვის გამოკვეთილი მზადყოფნა იმით უნდა გამოავლინონ, რომ უნდა აკმაყოფილებდნენ ღია მმართველობის მთავარი მიმართულებებით საქმიანობის ზოგიერთ მინიმალურ კრიტერიუმს. სხვა ორგანიზაციების მიერ შემუშავებული ობიექტური ინდიკატორები კონკრეტული ქვეყნის მიერ თითოეული მიმართულებით, როგორცაა ფისკალური გამჭვირვალობა, თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების გამოქვეყნება, მოქალაქეთა ჩართულობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, მიღწეული პროგრესის შესაფასებლად გამოიყენება. დასაშვებობის მოთხოვნებისთვის იხ. VII თავი.

OGP-ის წევრი ყველა ქვეყნის მთავრობა ვალდებულია შეიმუშაოს მისი ქვეყნისთვის განკუთვნილი სამოქმედო გეგმა, რომელშიც არსებული პრაქტიკის შესაცვლელად პირველ ორწლიან პერიოდზე გათვლილი კონკრეტული ვალდებულებები იქნება თავმოყრილი. ეს ვალდებულებები შეიძლება არსებულ ძალისხმევას ეფუძნებოდეს, ითვალისწინებდეს ახალ ნაბიჯებს მიმდინარე რეფორმების დასრულებისთვის ან სულაც სრულიად ახალ სფეროში მოქმედებას უდებდეს სათავეს.

საქართველომ თავისი მესამე სამოქმედო გეგმა 2016 წლის მარტიდან 2016 წლის ივლისამდე პერიოდში შეიმუშავა. ამ გეგმის ოფიციალური განხორციელების პერიოდი იყო 2016 წლის 1 ივლისიდან 2018 წლის 30 ივნისის ჩათვლით. IRM-ის ეს პირველი წლის შეფასება მოიცავს სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პირველ წელს, 2016 წლის ივლისიდან 2017 წლის ივნისის ჩათვლით. უნდა აღინიშნოს, რომ სამოქმედო გეგმის პროექტი 1 ივლისს იყო მზად, თუმცა OGP-ის მხარდაჭერის განყოფილებას იგი 2016 წლის დეკემბერში, საქართველოს მთავრობის სპეციალური დადგენილებით დამტკიცების შემდეგ გაეგზავნა.² 2015 წლის დასაწყისიდან IRM-მა სამოქმედო გეგმის ორწლიანი პერიოდის დასრულების შემდეგ წინსვლის საბოლოო სტატუსის შესახებ საბოლოო ანგარიშების გამოქვეყნება დაიწყო. სამოქმედო გეგმის განხორციელების პირველი წლის შემდგომ, 2017 წლის ივნისის შემდეგ, განხორციელებული ნებისმიერი ღონისძიება ან წინსვლა საბოლოო ანგარიშში შეფასდება. 2017 წლის 1 ნოემბრის

მდგომარეობით, მთავრობას თვითშეფასების ანგარიში გამოქვეყნებული არ ჰქონდა.

OGP-ის მოთხოვნების თანახმად, საქართველოს მესამე სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესის შესაფასებლად OGP-ის ანგარიშგების დამოუკიდებელი მექანიზმი (IRM) დამოუკიდებელ მკვლევრებთან, ლაშა გოგიძესა და თამარ გზირიშვილთან, თანამშრომლობდა. მრავალი დაინტერესებული მხარის მოსაზრებების შესაგროვებლად IRM-ის მკვლევრებმა მათთან როგორც თბილისში, ისე საქართველოს რეგიონებში ინდივიდუალური შეხვედრები გამართეს. თბილისში ასევე გაიმართა ფოკუსჯგუფთან შეხვედრა. IRM-ის მიზანია OGP-ის წევრ თითოეულ ქვეყანაში სამომავლო ვალდებულებების შემუშავებისა და შესრულების თაობაზე მიმდინარე დიალოგის შევსება-გამდიდრება. ამ შეფასებაში გამოყენებული მეთოდებისა და წყაროების შესახებ ინფორმაციისთვის იხ. VI თავი (მეთოდოლოგია და წყაროები).

¹ წერილზე ბმული ხელმისაწვდომი აღარ არის. შესაბამისი ინფორმაციისთვის იხილეთ: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, <http://justice.gov.ge/ministry/Department/347>

² საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 დეკემბრის №539 დადგენილება „ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3456448>

II. კონტექსტი

საქართველო არის რეგიონის ლიდერი დემოკრატიის, ინფორმაციის თავისუფლების და მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით. თუმცა ღია მმართველობის ღირებულებების გასაძლიერებლად, როგორცაა გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება, უფრო მეტის გაკეთება შეიძლება. მთავრობამ, წინა სამოქმედო გეგმებთან შედარებით, OGP-სთან უფრო მეტად დაკავშირებული ვალდებულებები შეიმუშავა და სამოქმედო გეგმის თემატური მასშტაბი გააფართოვა. თუმცა ბევრ ვალდებულებას კვლავ აკლია კომპონენტები, რომლებიც მთავრობას უფრო გამჭვირვალეს გახდის და საზოგადოების ზედამხედველობისა და ჩართულობისთვის მის ღიაობას უზრუნველყოფს.

2.1. ზოგადი ინფორმაცია

საქართველო სამხრეთ კავკასიასა და უფრო ფართო რეგიონში არის ლიდერი დემოკრატიული რეფორმების განხორციელების კუთხით. საბჭოთა მემკვიდრეობის შემდეგ, რომელიც ზემოდან მართულ სისტემაზე, გაყალბებულ არჩევნებსა და ერთპარტიულ ავტორიტარიზმზე იყო დაფუძნებული, ქვეყანა ახლა კონკურენტული, მრავალპარტიული არჩევნებით და ფრაგმენტირებული, თუმცა აქტიური ოპოზიციის არსებობით იწონებს თავს. მოქალაქეებს უმეტესად შეუძლიათ გამოხატვის, შეკრებისა და გაერთიანების ფუნდამენტური თავისუფლებების გამოყენება, ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციები პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში აქტიურ როლს ასრულებენ. საქართველოში მედიაგარემო თავისუფალი და მრავალფეროვანია, რაც რეგიონში ღირსშესანიშნავი გამონაკლისია. ძირითადი დემოკრატიული ინსტიტუტები შექმნილია და კარგად ფუნქციონირებს, ხოლო წვრილმან კორუფციასთან ბრძოლაში საქართველოს წარმატება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკად არის აღიარებული. ქვეყანამ ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას მოაწერა ხელი და 2017 წლის მარტიდან ევროკავშირის შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლის რეჟიმი აამოქმედა. საქართველო ევროკავშირის ქვეყნებთან და ტრანსატლანტიკურ თანამეგობრობასთან უფრო ახლო ინტეგრაციას აგრძელებს. ამასთანავე, ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას ხელს უშლის რუსეთის მიერ ორი სეპარატისტული რეგიონის, აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის, ოკუპაცია და მოსკოვის განგრძობადი ზეწოლა, რათა საქართველომ დასავლეთის მმართველობის მოდელის სასარგებლოდ გაკეთებულ არჩევანს გადაუხვიოს.

ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველოს მოქალაქეებმა ქვეყნის დემოკრატიული მომავლის მიმართ უდიდესი მხარდაჭერა გამოხატეს. ამან, თავის მხრივ, გაზარდა ინფორმაციაზე საზოგადოების ხელმისაწვდომობა და გადამწყვეტილების მიღების პროცესში მისი ჩართულობა, რაც ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტის ღია მმართველობის ინდექსის მიხედვით, საქართველო აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის 13

ქვეყანას შორის ღია მმართველობის კუთხით პირველ ადგილზეა.¹ ქვეყანას განსაკუთრებით ძლიერი პოზიციები აქვს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის კუთხით. თუმცა ინდექსი მნიშვნელოვან სისუსტეებსაც გამოყოფს – საქმე ეხება იმას, თუ რამდენად კარგად ახდენს მთავრობა ბიუჯეტის ხარჯვის შესახებ მოქალაქეთა ინფორმირებას და როგორ მართავენ ადგილობრივი მთავრობები გადაწყვეტილების მიღებამდე ადგილობრივ თემთან კონსულტაციებს. ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ ადგილობრივ დონეზე სუსტია ან არ არსებობს პრეტენზიების დაფიქსირების მექანიზმები თანამდებობის პირთა ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად.²

ინფორმაციის უფლება საქართველოს კონსტიტუციით არის განსაზღვრული და რეგულირდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, რომელიც 1999 წელს იქნა მიღებული. საქართველო საკუთარი ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობით მსოფლიოს 111 ქვეყანას შორის 37-ე ადგილზეა.³ თუმცა მეთვალყურე არასამთავრობო ორგანიზაციები და მედიის წარმომადგენლები ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდას დიდი ხანია ითხოვენ. კანონის პრაქტიკაში განხორციელება პრობლემად რჩება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების საპასუხოდ უწყებების მიერ ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევებში სანქციების დაკისრებას ეხება. 2013 წელს, OGP-ის წევრობიდან გამომდინარე, ქვეყნის მთავრობამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეგულაციების დახვეწის ვალდებულება აიღო და საჯარო უწყებებს ვებგვერდების შექმნა, გარკვეული ინფორმაციის ონლაინსივრცეში გამოქვეყნება და ინფორმაციის ელექტრონული მოთხოვნების მიღება დაავალა.⁴ თუმცა მთავრობის დიდი ხნის განმავლობაში არსებული ვალდებულება, მიეღო ინფორმაციის თავისუფლების ცალკე აქტი, რომლითაც გათვალისწინებული იქნება ძლიერი აღსრულების მექანიზმები, მეორე სამოქმედო გეგმის (2014–2015 წწ.) შემდეგაც შეუსრულებელი დარჩა.⁵ ეს ვალდებულება OGP-ის მესამე სამოქმედო გეგმაში იქნა გადატანილი და მისი შესრულება ამ ანგარიშშია შეფასებული.

საქართველოს მთავრობა საზოგადოებას ბიუჯეტის შესახებ არსებით ინფორმაციას აწვდის და რვა ძირითად საბიუჯეტო დოკუმენტს საჯაროდ ხელმისაწვდომს ხდის ონლაინსივრცეში, იმ ვადებში, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება.⁶ თუმცა „ღია ბიუჯეტის კვლევა“ აღნიშნავს, რომ მთავრობა საზოგადოებას საბიუჯეტო პროცესში ჩართვის შემლუღულ შესაძლებლობებს აძლევს, და ამის საპასუხოდ იძლევა რეკომენდაციას, შეიქმნას ეფექტიანი მექანიზმები საბიუჯეტო საკითხებზე მოქალაქეთა კომენტარების შესაგროვებლად და სარეზერვო ფონდების ხარჯვის შესახებ საკანონმდებლო ორგანოსთან კონსულტაციების ჩასატარებლად.

საქართველოში თანამდებობის პირებს ევალუბათ ყოველწლიური ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შევსება, რომლებშიც მათ საკუთარი და ოჯახის წევრების ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია უნდა ასახონ. 2010 წელს საჯარო სამსახურის ბიურომ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების ონლაინსისტემა აამოქმედა. 2013 წელს ამ ინიციატივამ გაეროს საჯარო სერვისების

ჯილდო აიღო.⁷ ონლაინპორტალი – declaration.gov.ge 3100 თანამდებობის პირის ყოველწლიური ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს. დეკლარაციის მოძებნა თანამდებობის პირის სახელისა და გვარის მიხედვით არის შესაძლებელი. თუმცა კორუფციის პრევენციის კუთხით გამოწვევა იყო ის, რომ დეკლარაციებში ასახული ინფორმაციის სიზუსტის შემოწმების მექანიზმი არ არსებობდა, რასაც არასამთავრობო ორგანიზაციები აკრიტიკებდნენ. ეს ორგანიზაციები საკუთარ ანგარიშებში ხშირად აღნიშნავდნენ, რომ თანამდებობის პირები თავიანთ დეკლარაციებში საკუთარი ქონების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას მალავდნენ ან არასწორ მონაცემებს უთითებდნენ. პირველ ორ სამოქმედო გეგმაში მთავრობამ მონიტორინგის სისტემის შექმნის და მონიტორინგის კომისიის მუშაობაში არასამთავრობო ორგანიზაციების პირდაპირი ჩართვის ვალდებულება აიღო. მეორე სამოქმედო გეგმის ბოლოსთვის მონიტორინგის სისტემა არ ფუნქციონირებდა. სამოქალაქო საზოგადოებისთვის ამ საკითხის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე, ეს ვალდებულება მესამე სამოქმედო გეგმაში იქნა შეტანილი.⁸

OGP-ის წევრობამ ქვეყნის საჯარო ადმინისტრაციის მიერ ღია მონაცემთა პრინციპების უკეთ გაცნობას შეუწყო ხელი. საქართველოს პირველი და მეორე სამოქმედო გეგმები ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების და ღია მონაცემთა პორტალის (data.gov.ge) და ელექტრონული პეტიციების მექანიზმის შექმნის კონკრეტულ ვალდებულებებს შეიცავდა. წინვლის მიუხედავად, ღია მონაცემთა კონცეფცია ფართოდ ინსტიტუციონალიზებული არ არის. „ღია მონაცემთა ბარომეტრის“ მიგნებების მიხედვით, რომელშიც საქართველომ შესაძლო 100 ქულიდან 37.88 მიიღო და მე-40 ადგილი დაიკავა, მეზოგიერთი მნიშვნელოვანი საჯარო მონაცემი, რომელიც შეეხება მიწის საკუთრებას, მოსახლეობის დეტალურ აღწერას, მთავრობის ხარჯების დეტალურ აღწერას და კომპანიების რეგისტრაციას, ჯერ კიდევ არ არის საჯარო.⁹ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მხოლოდ 24-მა საჯარო უწყებამ გამოიყენა www.data.gov.ge – ინფორმაციის ღია მონაცემთა ფორმატით პროაქტიულად გამოქვეყნების პლატფორმა. ამ უწყებებმა პორტალზე სულ 117 მონაცემი გამოაქვეყნეს, თუმცა IDFI-მ დამატებით 162 სხვადასხვა ტიპის მონაცემის გამოქვეყნების საჭიროება გამოკვეთა. რეკომენდებულია სახელმწიფო საგარეო და საშინაო ვალების შესახებ მონაცემთა ბაზის, გადასახადის გადამხდელთა რეესტრის, საავტომობილო გზების, ხიდებისა და გვირაბების მონაცემთა ბაზის და გარემოსდაცვითი პროექტების ბაზის გამოქვეყნება. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ 106 საჯარო უწყებიდან, რომელთაც ინფორმაციის თავისუფლების მოთხოვნები გაეგზავნათ, 13-მა ამ მოთხოვნებს პასუხი საერთოდ არ გასცა, რაც სამთავრობო უწყებების ანგარიშვალდებულების გაზრდის საჭიროებაზე მიუთითებს.¹⁰

მესამე სამოქმედო გეგმის შემუშავება და განხორციელება მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებს დაემთხვა, რაც ქვეყნის მმართველობის სფეროს ჩამოყალიბებაზე გრძელვადიან გავლენას მოახდენს.

2016 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებმა საქართველოში სამწლიანი საარჩევნო ციკლის დაწყებას დაუდო სათავე. მათ 2017 წლის ოქტომბრის

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები მოჰყვება. საპარლამენტო არჩევნების შედეგად მმართველმა პარტიამ, „ქართულმა ოცნებამ“, 150-დან 115 საპარლამენტო მანდატის მიღებით საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვა. ყველაზე ძლიერმა ოპოზიციურმა პარტიამ, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“, 27 მანდატი მიიღო, ხოლო კიდევ ერთმა ოპოზიციურმა პარტიამ, „პატრიოტთა ალიანსმა“, – 6 მანდატი.¹¹ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) არჩევნების შემდგომმა საზოგადოებრივი აზრის კვლევამ აჩვენა, რომ ქართველების უმეტესობა საარჩევნო პროცესს ენდობოდა და არჩევნები შეაფასა, როგორც უსაფრთხო და კარგად ორგანიზებული. უარყოფითი მხარე იყო ის, რომ იმავე კვლევამ ამომრჩევლების ცალკეულ მაჟორიტარ კანდიდატებთან ძლიერი კავშირი არ აჩვენა, რადგან არჩევნებიდან ცოტა ხნის შემდეგ გამოკითხულთა 34-მა პროცენტმა ვერ დაასახელა, ვინ არის მისი მაჟორიტარი დეპუტატი პარლამენტში.¹² არჩევნების შემდეგ განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება – კონსტიტუციაში, აგრეთვე საარჩევნო სისტემასთან, ადგილობრივ თვითმმართველობასთან და სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებით. ასევე მოხდა სკანდალი, რომელშიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ყოფილი უფროსი და ყოფილი მთავარი პროკურორი მონაწილეობდნენ და რომელიც შესაძლო კორუფციის სქემებს მოიცავდა.

საარჩევნო რეფორმა

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მთავრობამ შექმნა საკონსტიტუციო კომისია, რომელმაც საარჩევნო სისტემაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილების ინიცირება მოახდინა.¹³ პარლამენტის შემადგენლობის შერეულიდან სრულად პროპორციულ სისტემაზე გადასვლა იყო ერთ-ერთი წარმოდგენილი ინიციატივა, რომელიც 2024 წელს ამოქმედდება. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება პრეზიდენტის არჩევას შეეხება – 2023 წლიდან ამჟამინდელი, ხალხის მიერ პირდაპირი არჩევის წესი საარჩევნო კოლეგიის მიერ არაპირდაპირი არჩევის წესით შეიცვლება, მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეების 84 პროცენტი პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევას უჭერს მხარს.¹⁴ გარდა ამისა, ინიცირებული ცვლილებებით ერთჯერადად, მხოლოდ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის, საარჩევნო ბარიერი 5-დან 3 პროცენტამდე შემცირდება და პარტიები საარჩევნო ბლოკებად გაერთიანებას შეძლებენ.¹⁵ ვენეციის კომისიამ, ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა და ოპოზიციურმა პარტიებმა კრიტიკულად შეაფასეს ბოლო წუთს მიღებული გადაწყვეტილება, რომ სრულად პროპორციულ სისტემაზე გადასვლა თავდაპირველად დაგეგმილ 2020 წელს არ განხორციელდეს და 2024 წლისთვის გადაიდოს.¹⁶ მათ პრეზიდენტის არაპირდაპირი არჩევის წესიც გააკრიტიკეს.¹⁷ ამ კრიტიკის მიუხედავად, 2017 წლის 26 სექტემბერს პარლამენტმა ახალი კონსტიტუცია ზემოაღნიშნული ცვლილებებით მიიღო. ოპოზიციონერ კანონმდებლებს კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ.¹⁸

ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა

2017 წლის ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე მთავრობამ მოახდინა ადგილობრივი თვითმმართველობის კანონმდებლობაში ცვლილებების ინიცირება, რომლებიც 120-დან 7 ქალაქს

თვითმმართველი ქალაქის სტატუსს ართმევდა და მათ შესაბამისი მუნიციპალიტეტების თემებთან აერთიანებდა. 123 არასამთავრობო ორგანიზაციის შეფასებით, შემოთავაზებული რეფორმა იყოგორც ნაჩქარევი რეფორმა, რომელსაც გამჭვირვალობა და ჩართულობა აკლდა. მათი აზრით, ეს რეფორმა ზემოაღნიშნულ 7 ქალაქში მოქალაქეებსა და არჩეულ თანამდებობის პირებს შორის დისტანციას გაზრდის, ამ ქალაქებსა და ადგილობრივ მოსახლეობას საკუთარ ბიუჯეტს, შემოსავლებსა და ქონებას წაართმევს და თვითმმართველი ერთეულების განვითარებისა და დამოუკიდებლობის პერსპექტივას დააზიანებს.¹⁹ 10-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ სასამართლოში სარჩელი შეიტანა და პარლამენტის გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა, რადგან, მათი მტკიცებით, რეფორმის შესახებ სავალდებულო საჯარო კონსულტაციები არ ჩატარებულა.²⁰

გარდა ამისა, ზემოაღნიშნული ცვლილებებით შვიდიდან ექვს ქალაქში მნიშვნელოვნად შემცირდება ხმის თანაბრობის პრინციპი, რადგან ამ ქალაქების საკრებულოებში ქალაქში არჩეული მაჟორიტარი წევრი თემში არჩეულ მაჟორიტარ წევრზე მნიშვნელოვნად ნაკლები იქნება. მაგალითად, ერთ-ერთ ქალაქს, სადაც დაახლოებით 50 000 რეგისტრირებული ამომრჩეველია, საკრებულოში ხუთი მაჟორიტარი ეყოლება, მის მიმდებარე თემს კი, რომელშიც 70 000 რეგისტრირებული ამომრჩეველია, – 30. ეს თემის მაჟორიტარულ ოლქებს ქალაქის მაჟორიტარულ ოლქებზე ოთხჯერ მეტ ხმას მიაკუთვნებს.²¹ პრეზიდენტმა აღნიშნული ცვლილებების პაკეტს ვეტო დაადო, რომელიც შემდეგ მმართველმა პარტიამ, „ქართულმა ოცნებამ“, დაძლია, რადგან მას კონსტიტუციური უმრავლესობა აქვს. მესამე მოსმენით 2017 წლის 30 ივნისს მიღებულ ცვლილებებს ხელახლა კენჭი 26 ივლისს ეყარა და ძალაში 29 ივლისს შევიდა.²²

ფარული მიყურადების კანონმდებლობა

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები ქვეყანაში არსებულ ფარული მიყურადების პრაქტიკას, რაც პოლიტიკოსების, ჟურნალისტებისა და რიგითი მოქალაქეების ტელეფონების მოსმენით გამოიხატება, დიდი ხანია აკრიტიკებენ. 2016 წლის აპრილში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფლება, მიყურადების მიზნით შეუზღუდავად მიუწვდებოდეს ხელი ელექტრონული კომუნიკაციის ოპერატორების ქსელებზე. სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, 2017 წლის მარტში მიღებულ იქნა პარლამენტის დროებითი, სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებები. ამ ცვლილებებით შეიქმნა ახალი სააგენტო – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისადმი დაქვემდებარებული საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო, რომელსაც ტელე- და ინტერნეტკომუნიკაციის მონიტორინგის, აგრეთვე ვიდეო- და აუდიომიყურადების განხორციელების უფლებამოსილება ექნება.²³

არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომლებიც პარლამენტის სამუშაო ჯგუფის წევრები იყვნენ და სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მოქალაქეთა შეუზღუდავი მიყურადების საწინააღმდეგო კამპანიის, „ეს შენ გეხება“-ს, წამყვან ძალას შეადგენდნენ, აღნიშნული ცვლილებები კრიტიკულად შეაფასეს. მათი განცხადების მიხედვით, შემოთავაზებული მოდელი მოქალაქეთა კონსტიტუციურ

უფლებას უგულებელყოფს, რადგან სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისადმი დაქვემდებარებულ სააგენტოს უნარჩუნდება მოქალაქეთა პერსონალური ინფორმაციის შეუზღუდავი ხელმისაწვდომობის უფლება.²⁴ ეს, თავის მხრივ, განაპირობებს სააგენტოს დამოუკიდებლობისა და მისი ზედამხედველობის მექანიზმების ნაკლებობას, რაც გამოწვევაა. ახალი სააგენტოს დამოუკიდებლობის შესახებ წუხილი პრეზიდენტის აღმინისტრაციამაც გამოთქვა.²⁵

საზედამხედველო ინსტიტუტების დამოუკიდებლობა

საქართველოს საჯარო სამსახურში კორუფციასთან ბრძოლის კარგი ისტორია აქვს, თუმცა საზედამხედველო ორგანოების დამოუკიდებლობა ხელისუფლების სხვადასხვა შტოს უფრო ეფექტიანი ურთიერთკონტროლის უზრუნველყოფის კუთხით ერთ-ერთ ძირითად პრობლემად რჩება. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახური, კანონით საკმარისად გარანტირებული დამოუკიდებლობის მიუხედავად, პოლიტიკური გავლენების ქვეშ რჩება.²⁶ ამ გამოწვევის გათვალისწინებით, იმდროინდელმა სკანდალმა, რომელშიც ყოფილი გენერალური აუდიტორი მონაწილეობდა, საქართველოს უმაღლესი აუდიტორული ორგანოს სიძლიერისა და დამოუკიდებლობის შესახებ კითხვები გაამრავლა.

2017 წლის მაისში, მაშინდელი გენერალური აუდიტორის ლაშა თორდიას მტკიცებით, მას ყოფილმა მთავარმა პროკურორმა ოთარ ფარცხალაძემ და მისი დაცვის წევრებმა თბილისის ერთ-ერთ ღამის კლუბში სცემეს. ამის შედეგად თორდიამ ტვინის შერყევა მიიღო. მეორე დღეს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით, რომელიც გულისხმობს ძალადობას, რამაც ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, და ამ დანაშაულისთვის სასჯელს ითვალისწინებს. იმავე დღეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა გამოაქვეყნეს განცხადება, რომელშიც აღნიშნეს, რომ ეს იყო არა რიგითი მოქალაქის, არამედ გენერალური აუდიტორის ცემა, რაც მოითხოვს სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლების გამოყენებას, რომლებიც ითვალისწინებს სასჯელს დანაშაულისთვის, რომელიც სახელმწიფო ინსტიტუტებისა და საჯარო მოხელეების წინააღმდეგ მათ ოფიციალურ სამსახურებრივ მოვალეობასთან დაკავშირებით არის ჩადენილი. თორდიას თქმით, ამ თავდასხმას კავშირი აქვს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ პროკურატურაში ფარცხალაძის მთავარი პროკურორის თანამდებობაზე ყოფნის დროს გამოვლენილ კორუფციულ სქემებთან.²⁷ თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება ჯერ არ მიღებულა და დამნაშავეები პასუხისგებაში არ მიცემულან.

2.2. სამოქმედო გეგმის ეროვნულ კონტექსტთან მიმართება

წინა სამოქმედო გეგმებთან შედარებით, მესამე სამოქმედო გეგმა მოიცავს საკითხების ფართო სპექტრს, როგორცაა გარემოს დაცვა, ენერჯეტიკა, პენიტენციური სისტემა და ადგილობრივი თვითმმართველობა. მიუხედავად ამისა, ეროვნულ კონტექსტში განვითარებული ზოგიერთი მოვლენა შეიძლება ახალ ვალდებულებებში აისახოს. წინა წინილი იმ მნიშვნელოვანი ცვლილებების მოკლე ანალიზს მოიცავს, რომელთაც შეიძლება გავლენა მოახდინონ საქართველოში OGP-ის განხორციელებაზე, რაც ქვეყნის მიერ ლონდონის 2016 წლის მაისის

ანტიკორუფციულ სამიტზე აღებულ ვალდებულებებთან ერთად მომდევნო სამოქმედო გეგმის შედგენისას შეიძლება იქნეს გამოყენებული. მაგალითად, საქართველომ ვალდებულება აიღო, შეექმნა კომპანიების ერთიანი რეესტრი, რომელშიც ბენეფიციარ მესაკუთრეთა შესახებ ინფორმაცია იქნებოდა ხელმისაწვდომი, აგრეთვე დაენერგა ღია კონტრაქტების მონაცემთა სტანდარტი.²⁸ ეს ვალდებულება, რომელსაც სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად ადგილობრივი მეთვალყურე ორგანიზაციებიც ფართოდ იყენებენ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პროგრესის გათვალისწინებით, რომელსაც საქართველომ ერთიანი ონლაინპორტალის მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გამჭვირვალობის გაზრდის კუთხით მიაღწია. სამთავრობო შესყიდვებში კორუფციის რისკების გათვალისწინებით, არსებული სისტემისთვის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გარანტიის დამატება, როგორცაა ღია კონტრაქტები, ამ სფეროში მეტი ღიაობის უზრუნველსაყოფად გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება.

როგორც წინა ნაწილში აღინიშნა, მოქალაქეთა პერსონალურ მონაცემებზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა და მისი ზედამხედველობის ეფექტიანი მექანიზმის ნაკლებობა კიდევ ერთ გამონკვევად რჩება. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისადმი დაქვემდებარებული ახალი სააგენტოს – ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს საჯარო ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გასაზრდელად აღებული ვალდებულება OGP-ის კონტექსტში უდიდესი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. მაგალითად, ბოლო ორი სამოქმედო გეგმა მოიცავს უზენაესი სასამართლოს მიერ აღებულ ვალდებულებას, პროაქტიულად გამოაქვეყნოს სატელეფონი საუბრის ფარული მიყურადების მონაცემები, აგრეთვე შინაგან საქმეთა სამინისტროს ვალდებულებას, გამოაქვეყნოს ინტერაქტიული კრიმინოგენული რუკა. პირველი ვალდებულება წარმატებით შესრულდა, თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტროს მის მიერ აღებული ვალდებულება არ შეუსრულებია. ამის გათვალისწინებით, ამ სამინისტრომ უფრო მეტი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ საზოგადოებას ქვეყანაში არსებული კრიმინოგენული მდგომარეობის შესახებ დეტალური მონაცემები მიაწოდოს, რაც, თავის მხრივ, სამართალდამცავი ორგანოების უფლებამოსილებისა და ღონისძიებების მიმართ მოქალაქეთა ნდობას გაზრდის.

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების კონტექსტში, საარჩევნო პროცესების შესახებ ყველა სამიზნე ჯგუფის ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები პრიორიტეტად რჩება. მეორე, 2014–2015 წლების სამოქმედო გეგმამ ამ საკითხის მოსაგვარებლად ამომრჩეველთა სხვადასხვა ჯგუფისთვის საგანმანათლებლო აქტივობები უზრუნველყო და განსაკუთრებული აქცენტი ახალგაზრდებზე გააკეთა. IRM-ის მკვლევრის ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო ამ საგანმანათლებლო აქტივობების სხვა ჯგუფებზე გავრცელება და მათი აქტუალობის არჩევნების შემდეგ შენარჩუნება. თუმცა მიმდინარე სამოქმედო გეგმა არჩევნებთან დაკავშირებულ არცერთ ვალდებულებას არ შეიცავს. ამ სფეროში სხვა რეკომენდაციების თანახმად, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) ვებგვერდი მომხმარებლისთვის უფრო მოსახერხებელი უნდა გახდეს ინფორმაციის ღია მონაცემთა ფორმატით გამოქვეყნებით. ამასთანავე, დაინტერესებულ ორგანიზაციებს უნდა მიენდოთ აპლიკაციის პროგრამირების ინტერფეისი (API),

რომელიც მათ ვებგვერდებს არჩევნების ოფიციალურ მონაცემთა ბაზასთან ავტომატურად დააკავშირებს და ამ ორგანიზაციებს აღნიშნულ ბაზაში ხელმისაწვდომი მონაცემების უფრო ღრმა ანალიზის საშუალებას მისცემს.

მიმდინარე სამოქმედო გეგმა პირველად შეიცავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიერ აღებულ ვალდებულებებს, რომლებიც შეესაბამება OGP-ის ღირებულებებს საკრებულოს სხდომების გამჭვირვალობის გაზრდით, ბიუჯეტირების პროცესში მოქალაქეთა ჩართვით და ელექტრონული პეტიციების სისტემის დანერგვით. ეს ვალდებულებები მისასაღებელია. თუმცა, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების კრიტიკულად შეფასების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია 69-ვე მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა ჩართულობის და ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების ერთიანი სტანდარტების შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა. ეს ღონისძიებები შეიძლება აისახოს კონკრეტულ ვალდებულებებში, რომლებიც მოიცავს ბიუჯეტირების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ინსტიტუციონალიზაციის მყარი მექანიზმების შექმნას, ონლაინპეტიციების სისტემის დანერგვას, საკრებულოს სხდომების პირდაპირ ტრანსლაციას (როგორც ეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემთხვევაში მოხდა) და ადგილობრივი თემის პრობლემების გადასაჭრელად მათ შესახებ მოქალაქეებისთვის შეტყობინების და ამ პრობლემებზე რეაგირების ეფექტიანი მექანიზმების შექმნას.

¹ მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტი, <http://data.worldjusticeproject.org/opengov/#/groups/GEO>

² მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტი, <http://data.worldjusticeproject.org/opengov/#/groups/GEO>

³ ინფორმაციის თავისუფლების რეიტინგი, <http://www.rti-rating.org/country-data/>

⁴ პრესის თავისუფლება – საქართველო, <https://freedomhouse.org/report/freedom-press/2015/georgia>

⁵ საქართველოს IRM-ის წინსვლის ანგარიში 2014-2016, <https://www.opengovpartnership.org/documents/georgia-end-of-term-report-2014-2016-public-comment>

⁶ საერთაშორისო საბიუჯეტო პარტნიორობა – საქართველო, <http://bit.ly/21VN8w0>

⁷ გაერო საქართველოში, <http://bit.ly/2AuABF3>

⁸ საქართველოს IRM-ის წინსვლის ანგარიში 2014-2016, <https://www.opengovpartnership.org/documents/georgia-end-of-term-report-2014-2016-public-comment>

⁹ ღია მონაცემების ბარომეტრი – საქართველო, <http://bit.ly/2G15Zim>

¹⁰ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), „ღია მონაცემების ხელმისაწვდომობა საქართველოში“, 2016 წლის 15 იანვარი, <https://idfi.ge/en/access-to-open-data-in-georgia>

¹¹ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო), საქართველოს 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგები, <http://bit.ly/2CHWwOJ>

¹² ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI), 2016 წლის ნოემბრის საზოგადოებრივი აზრის კვლევა საქართველოში, <http://bit.ly/2umiwec>

¹³ Civil.ge, „კონსტიტუციის გადასინჯვის მიზნით სახელმწიფო კომისია შეიქმნა“, 2016 წლის 15 დეკემბერი, <http://bit.ly/2m0p7oa>

¹⁴ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI), 2017 წლის აპრილის საზოგადოებრივი აზრის კვლევა საქართველოში, <http://bit.ly/2t9PWv5>

¹⁵ საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“, მიღებულია 2017 წლის 13 ოქტომბერს, მუხლი 2, პუნქტი 9, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3811818>

¹⁶ ვენეციის კომისია, კომენტარი საქართველოს კონსტიტუციის გადამუშავებულ პროექტზე, 2017 წლის 16-17 ივნისი, <http://bit.ly/2wYRBkO>

-
- ¹⁷ Civil.ge, „არასამთავრობოები კონსტიტუციის პროექტს აკრიტიკებენ და შემდგომი დებატების ინიციატივით გამოდიან“, 2017 წლის 22 აპრილი, <http://bit.ly/2Aup7kU>
- ¹⁸ Civil.ge, „პარლამენტმა ახალი კონსტიტუცია შესამე მოსმენით მიიღო“, 2017 წლის 26 სექტემბერი, <http://bit.ly/2Av3Ya4>
- ¹⁹ „ფონდი ღია საზოგადოება – საქართველო“, არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება 7 თვითმმართველი ქალაქის სტატუსის შესაძლო გაუქმებასთან დაკავშირებით, <http://bit.ly/2CHB1gs>
- ²⁰ Civil.ge, „პარლამენტმა შვიდ ქალაქს საბოლოოდ ჩამოართვა თვითმმართველი ქალაქის სტატუსი“, 2017 წლის 3 ივლისი, <http://bit.ly/2CY4792>
- ²¹ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI), საქართველოში ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის წინასაარჩევნო დელეგაციის განცხადება, 2017 წლის 21 ივლისი, <http://bit.ly/2CHGpkq>
- ²² Civil.ge, „პარლამენტმა შვიდ ქალაქს საბოლოოდ ჩამოართვა თვითმმართველი ქალაქის სტატუსი“, 2017 წლის 3 ივლისი, <http://bit.ly/2CY4792>
- ²³ Civil.ge, „პრეზიდენტმა ფარული მოსმენების შესახებ კანონპროექტს ვეტო დააღო“, 2017 წლის 20 მარტი, <http://bit.ly/2F1sdjM>
- ²⁴ Georgia Today, „არასამთავრობო ორგანიზაციები აკრიტიკებენ უმრავლესობის კანონს ფარული გამოძიების შესახებ“, 2017 წლის 13 თებერვალი, <http://bit.ly/2CTumgF>
- ²⁵ Civil.ge, „პრეზიდენტმა ფარული მოსმენების კანონზე კონსულტაციები გამართა“, 2017 წლის 16 მარტი, <http://bit.ly/2Cund5l>
- ²⁶ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის შეფასება 2015, <http://bit.ly/2qsdXDR>
- ²⁷ Civil.ge, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელს ფიზიკურად გაუსწორდნენ“, 2017 წლის 15 მაისი, <http://bit.ly/2lXqvat>
- ²⁸ საქართველოს განცხადება ლონდონის 2016 წლის ანტიკორუფციულ სამიტზე, <http://bit.ly/2ghbUaT>

III. ხელმძღვანელობა და მრავალმხრივი პროცესი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტი, რომელიც OGP-ის სამდივნოს როლს ასრულებს, საჯარო კონსულტაციების პროცესს ხელმძღვანელობს და სამოქმედო გეგმის განხორციელებას უწევს კოორდინაციას. საზოგადოებას საკონსულტაციო შეხვედრების შესახებ ინფორმაცია წინასწარ მიეწოდება, თუმცა კონსულტაციების პროცესი შეიძლება კიდევ უფრო გაუმჯობესდეს უკუკავშირის ონლაინმექანიზმის შექმნით მათთვის, ვინც საკონსულტაციო შეხვედრებს პირადად ვერ ესწრება.

3.1. ხელმძღვანელობა

ეს განყოფილება საქართველოში OGP-ის ხელმძღვანელობას და OGP-ის ინსტიტუციურ კონტექსტს აღწერს. ცხრილი 3.1 ამ სტრუქტურას აჯამებს, ხოლო ქვემოთ მოყვანილი თხრობითი ნაწილი დამატებით დეტალებს წარმოადგენს.

ცხრილი 3.1: OGP-ის ხელმძღვანელობა

1. სტრუქტურა	კი	არა
არის თუ არა OGP-ისთვის ნათლად განსაზღვრული საკონტაქტო პირი?	✓	
	საზიაროა	ერთია
არსებობს თუ არა ერთი წამყვანი უწყება OGP-ის ღონისძიებებისთვის?		✓
	კი	არა
ხელმძღვანელობს თუ არა მთავრობის მეთაური OGP-ის ინიციატივას?		✓
2. სამართლებრივი მანდატი	კი	არა
უზრუნველყოფილია თუ არა მთავრობის OGP-ის ვალდებულება ფორმალური, საჯაროდ გამოქვეყნებული მანდატით?	✓	
უზრუნველყოფილია თუ არა მთავრობის OGP-ის ვალდებულება იურიდიულად სავალდებულო მანდატით?	✓	
3. განგრძობადობა და არასტაბილურობა	კი	არა
მოხდა თუ არა ცვლილება OGP-ის ხელმძღვანელ ან OGP-ის ინიციატივებში ჩართულ უწყებაში (უწყებებში) OGP-ის სამოქმედო გეგმის განხორციელების პერიოდში?		✓
მოხდა თუ არა ცვლილება აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელობაში OGP-ის სამოქმედო გეგმის პერიოდში?		✓

საქართველო უნიტარული სახელმწიფოა და ძალაუფლება აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებებს შორის არის განაწილებული. საქართველოში OGP-ის განხორციელებისთვის პასუხისმგებელია აღმასრულებელი ხელისუფლება, კერძოდ, იუსტიციის სამინისტრო და მისი ანალიტიკური დეპარტამენტი, რომელიც არის საქართველოს ღია მმართველობის სამდივნო. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა მთავრობის განკარგულებით არის დამტკიცებული და შესაბამისად, მისი შესრულების სამართლებრივ ვალდებულებას უზრუნველყოფს, თავად იუსტიციის სამინისტროს მცირე პოლიტიკური და სამართლებრივი ბერკეტი აქვს იმისთვის, რომ სხვა სამთავრობო უწყებებს მათ პოლიტიკაში ცვლილებების განხორციელება დაავალოს. ამჟამად იუსტიციის სამინისტროს მანდატი ძირითადად ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესის კოორდინაციას მოიცავს (იხ. ცხრილი 3.1 საქართველოში OGP-ის ხელმძღვანელობისა და მანდატის შესახებ). მთავრობის მეთაური, პრემიერ-მინისტრი, უშუალოდ არ არის ჩართული სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში, თუმცა იგი OGP-ის ფორუმში (ეროვნული საკოორდინაციო მექანიზმი) წარმოდგენილია, როგორც კონკრეტული ვალდებულებებისთვის პასუხისმგებელი უწყება. მთავრობას OGP-ისთვის ცალკე ბიუჯეტი ან პერსონალი არ გამოუყვია. შესაბამისად, სამოქმედო გეგმის განხორციელების ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტის მიმდინარე პროგრამების ნაწილია.

2012 წლის აპრილში მთავრობამ შექმნა უწყებათაშორისი საკოორდინაციო მექანიზმი, არასამთავრობო ორგანიზაციების ფორუმი, რომელიც საქართველოს ღია მმართველობის პარტნიორობის 2012-2013 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე იმუშავებდა. დასაწყისში ფორუმის შეხვედრები არაფორმალური იყო. ამ შეხვედრებში რამდენიმე წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაცია და ღია მმართველობის პარტნიორობის საკითხებზე მთავრობის საკონტაქტო პირი მონაწილეობდა. შეხვედრები 2012 წლის ნოემბრიდან 2014 წლის იანვრამდე შეჩერებული იყო. ეს, ერთი მხრივ, განაპირობა 2012 წლის ოქტომბრის მნიშვნელოვანმა საპარლამენტო არჩევნებმა, რადგან იმ პერიოდში ხელისუფლება შეიცვალა – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ შეცვალა. გარდამავალ პერიოდში OGP-ის კოორდინაციის მიზნით იმართებოდა მხოლოდ პერიოდული შეხვედრები დონორი ორგანიზაციის მხარდაჭერით, როგორცაა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID). იუსტიციის სამინისტრომ არასამთავრობო ორგანიზაციების ფორუმი 2014 წლის 15 იანვარს განაახლა. მას ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი ეწოდა და მრავალუწყებრივი სტრუქტურა გახდა. ფორუმის სახელმძღვანელო წესების თანახმად, ფორუმს ჰყავს 40-მდე წევრი, მათ შორის, საჯარო უწყებების, არასამთავრობო ორგანიზაციების და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.¹

ფორუმის გაფართოებული და მრავალფეროვანი შემადგენლობიდან გამომდინარე, 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმა მოიცავს ახალ სექტორებს, როგორცაა გარემოს დაცვა, ენერჯეტიკა და პენიტენციური სისტემა. ამასთანავე, საქართველოს OGP-ში წევრობისას სამოქმედო გეგმაში პირველად იქნა შეტანილი

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიერ აღებული ვალდებულებები, რომლებიც მიზნად ისახავს გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას.

როგორც IRM-ის წინა შუალედურ ანგარიშში აღინიშნა, საქართველოს OGP-ში წევრობის პროცესში პირველი სამართლებრივი დოკუმენტი 2013 წლის ივლისში მიღებული საქართველოს მთავრობის განკარგულება იყო. განკარგულებამ სხვადასხვა სამთავრობო უწყებას, მათ შორის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს OGP-ის ვალდებულებების შესრულებისთვის პასუხისმგებლობა დააკისრა, ხოლო მთავრობას ზედამხედველობის ფუნქცია მიანიჭა. იმავე განკარგულებით იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტი ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესის მაკოორდინირებელ წამყვან უწყებად განისაზღვრა.² უწყებათაშორის სამუშაო ჯგუფში შედიან მუდმივი წარმომადგენლები მთავრობის ადმინისტრაციიდან, საგარეო საქმეთა სამინისტროდან, თბილისის მერიიდან ანდ საქართველოს პარლამენტიდან. ჯგუფში ასევე მინვეული არიან ფორუმის წევრი ყველა არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირები. ჯგუფის შეხვედრებში ასევე მონაწილეობას იღებენ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) წარმომადგენლები.

ამასთანავე, საქართველოს თანათავმჯდომარეობის წელთან და დაგეგმილ სამიტთან დაკავშირებული უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი შეიქმნა. იმისთვის, რომ პროცესში სხვადასხვა შტო იყოს წარმოდგენილი, მათ შორის, ძირითადი სამთავრობო უწყებები, არასამთავრობო ორგანიზაციები და დონორი ორგანიზაციები, უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის მუდმივი წევრები არიან: იუსტიციის სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, თბილისის მერია, პარლამენტი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, USAID, UNDP, GIZ და ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში. არასამთავრობო ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ აუცილებელია OGP-ის პროცესებში პრემიერ მინისტრის აქტიური ჩართულობა, განსაკუთრებით საქართველოს თანათავმჯდომარეობის პერიოდში. მსგავსი რეკომენდაცია წამოყენებულ იქნა პრემიერ მინისტრის OGP-ის ფორუმში ჩართულობასთან დაკავშირებით, რასაც მხარს IRM-ის მკვლევრები და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები უჭერენ.³

3.2. სამთავრობო უწყებათა მონაწილეობა

ეს განყოფილება აღწერს, რომელი სამთავრობო ინსტიტუტები მონაწილეობდნენ OGP-ის პროცესში სხვადასხვა ეტაპზე. შემდეგი ნაწილი OGP-ის პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობას ასახავს.

ცხრილი 3.2: OGP-ის პროცესში სამთავრობო ინსტიტუტების მონაწილეობა

რა ფორმით მონაწილეობდნენ ინსტიტუტები OGP-ის პროცესში?	სამინისტროები, დეპარტამენტები, სააგენტოები	საკანონმდებლო ორგანო	სასამართლო (მათ შორის, კვაზი-სასამართლო უწყებები)	სხვა ორგანოები (მათ შორის, კონსტიტუციურად დამოუკიდებელი ან ავტონომიური ორგანოები)	ადგილობრივი მთავრობები
კონსულტაცია: ინსტიტუტები აკვირდებოდნენ სამოქმედო გეგმას ან მონვეული იყვნენ მის დასაკვირვებლად, მაგრამ ისინი არ არიან პასუხისმგებელი სამოქმედო გეგმის ვალდებულებების შესრულებისთვის.	12	0	0	27	0
წინადადებების წარდგენა: ინსტიტუტებმა წარადგინეს ვალდებულებები სამოქმედო გეგმაში შესატანად.	6	0	1	15	5
განხორციელება: ინსტიტუტები პასუხისმგებელი არიან ვალდებულებების შესრულებისთვის, იმისგან დამოუკიდებლად, თვითონ წარადგინეს ეს ვალდებულებები თუ არა.	2	3	1	4	5

საქართველოს პირველი ორი სამოქმედო გეგმის პერიოდში OGP-ის პროცესს ძირითადად აღმასრულებელი ხელისუფლების უწყებები, რამდენიმე დამოუკიდებელი ორგანო და სასამართლო უძღვებოდნენ. მესამე სამოქმედო გეგმაში წამყვან დანესებულებებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები დაემატა.

იუსტიციის სამინისტრო OGP-ის პროცესში მონაწილეობისთვის მოწვევას ყველა სამთავრობო უწყებას უგზავნის. დაინტერესებული მხარეები ავსებენ სამოქმედო გეგმის ვალდებულების სტანდარტულ ფორმას, რომელსაც იუსტიციის სამინისტროს OGP-ის სამდივნო განიხილავს და ამტკიცებს. მონაწილეობა ნებაყოფლობითია და სამთავრობო უწყებას არანაირ ვალდებულებას არ აკისრებს. კონსულტაციისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში ჩართვა ყველა დაინტერესებულ მხარეს შეუძლია.

იქიდან გამომდინარე, რომ იუსტიციის სამინისტრომ ვერ უზრუნველყო კონსულტაციისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში მონაწილე უწყებების ზუსტი რაოდენობის და სახელების შესახებ მონაცემების მიწოდება, ზემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია მხოლოდ სამოქმედო გეგმის განმახორციელებელი უწყებების შესახებ. მესამე სამოქმედო გეგმაში შეყვანილია ახალი წამყვანი დანესებულებები, მათ შორის, მუნიციპალიტეტების ორგანოები, რაც ინკლუზიური OGP-ის პროცესისკენ გადადგმული დიდი ნაბიჯია.

3.3. სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა

2016-2018 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებამდე OGP-ის სამდივნომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 15 ქალაქში 19 საჯარო კონსულტაცია ჩაატარა. კონსულტაციები ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში“ აქტიური მხარდაჭერით წარიმართა. შეხვედრები USAID-ის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრებსა და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საზოგადოებრივ ცენტრებში გაიმართა. პროცესში მონაწილეობდა 800 ადამიანი, მათ შორის, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი მთავრობების, მედიისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლები, სტუდენტები და სხვა დაინტერესებული მოქალაქეები.⁴ წინა წლებისგან განსხვავებით, იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებისგან წინადადებების მიღებისთვის განკუთვნილი ონლაინმექანიზმი არ ჰქონია და, შესაბამისად, კონსულტაციები საჯარო შეხვედრებითა და ინდივიდუალური შეხვედრებით შემოიფარგლებოდა.⁵

კონსულტაციების დაწყებამდე OGP-ის პროცესის ვადების შესახებ და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია იუსტიციის სამინისტროს OGP-ის ვებგვერდზე არ განთავსებულა. თუმცა სამინისტრომ ინფორმაცია USAID-ის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრებისა და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საზოგადოებრივი ცენტრების მეშვეობით გაავრცელა. ცენტრებმა საჭირო ინფორმაცია შეხვედრებამდე ერთი კვირით ადრე გაავრცელეს.⁶ ამასთანავე, ადგილობრივი მედიის წარმომადგენლები ჩართული იყვნენ დაგეგმილი კონსულტაციების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში. მთავრობას ცალკე ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები არ გაუმართავს და OGP-ის პროცესისა და სამოქმედო გეგმის ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია კონსულტაციების მონაწილეებს შეხვედრებზე მიაწოდა.⁷ დაინტერესებული მხარეების წარმომადგენელთა განცხადებით, OGP-ის შესახებ დაბალი ცნობიერების გამო დისკუსიების სწორი მიმართულებით წარმართვა და ღიაობაზე საუბარი რთული იყო. მიუხედავად ამისა, მათივე შეფასებით, იუსტიციის სამინისტრო პროცესში აქტიურად

იყო ჩართული და ცდილობდა კონსულტაციები რაც შეიძლება პროდუქტიულად წარემართა. ამასთანავე, სამინისტრო კარგად იყო მომზადებული სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიის წარდგენისთვის.⁸ ასევე აღსანიშნავია, რომ ამჟამად USAID-ის პროექტი „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში“ იუსტიციის სამინისტროს ეხმარება OGP-ის კომუნიკაციის სტრატეგიის და თანმდევით სამოქმედო გეგმის შემუშავებაში, რომელიც ხელს უწყობს ამ პლატფორმის შესახებ საზოგადოების უკეთ ინფორმირებას.⁹ USAID-ის აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს იუსტიციის სამინისტროს სამოქმედო გეგმის განხორციელებაში.

საკონსულტაციო შეხვედრებს სამუშაო შეხვედრების ფორმა ჰქონდა და მიზნად ისახავდა მათი მონაწილეებისგან სამოქმედო გეგმის ვალდებულებებზე უკუკავშირის მიღებას. იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, USAID-ის პროექტის „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში“ წარმომადგენლები ადგენდნენ შეხვედრების ოქმებს, რომლებიც შემდეგ სამდივნოს მიანდეს. შეხვედრებზე განხილული ძირითადი საკითხები სამოქმედო გეგმაში აისახა.¹⁰ თუმცა ანგარიშის წერისას შეხვედრების ოქმები და საზოგადოების კომენტარების შეჯამების შედეგი იუსტიციის სამინისტროს OGP-ის ვებგვერდზე საჯაროდ ხელმისაწვდომი არ იყო. სამინისტრომ კონსულტაციების გეგმა და ზოგიერთი რეგიონული შეხვედრის ოქმი 2016 წლის 17 ივლისს გამოაქვეყნა.¹¹

კონსულტაციებისას საზოგადოებისგან მიღებული კომენტარების გათვალისწინებით, სამოქმედო გეგმას დაემატა რამდენიმე ახალი ვალდებულება, მაგალითად, თვითმმართველ ერთეულებში ბიუჯეტირების პროცესში მოქალაქეთა ჩართვის ვალდებულება.¹²

OGP-ის წევრი ქვეყნები OGP-ის სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხორციელებისა და გადახედვის დროს კონსულტაციების კონკრეტულ მოთხოვნებს ექვემდებარებიან. ცხრილი 3.3 საქართველოს 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესს აჯამებს.

ცხრილი 3.3: საქართველოს OGP-ის პროცესი

ძირითადი ნაბიჯები: 2 ქულა (მაქსიმუმი: 7 ქულა)						
შემუშავების პროცესი	1. ვადებისა და პროცესის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა			2. წინასწარი შეტყობინება		
	ვადებისა და პროცესის შესახებ ინფორმაცია კონსულტაციების ჩატარებამდე ხელმისაწვდომია ონლაინსივრცეში	კი	არა	წინასწარი შეტყობინება კონსულტაციების შესახებ	კი	არა
			×		✓	
3. ცნობიერების ამაღლება				4. პროცესში მონაწილეობის სხვადასხვა გზა		

	მთავრობამ გამართა ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები	კი	არა	4ა. ონლაინკონსულტაციები	კი	არა
			×			×
				4ბ. პირისპირ კონსულტაციები	კი	არა
					✓	
5. შეჯამება და უკუკავშირი						
კომენტარების შეჯამების შედეგის გამოქვეყნება					კი	არა
						×
6. რეგულარული მრავალმხრივი ფორუმი						
განხორციელების პროცესი	6ა. არსებობდა თუ არა ფორუმი?	კი	არა	6ბ. იმართებოდა თუ არა ფორუმის შეხვედრები რეგულარულად?	კი	არა
		✓			✓	
7. მთავრობის თვითშეფასების ანგარიში						
განხორციელების შემდგომი პერიოდი	7ა. გამოქვეყნდა თუ არა წლიური თვითშეფასების ანგარიში?	კი	არა	7ბ. იყო თუ არა ანგარიში ხელმისაწვდომი ინგლისურ ენაზე და ადმინისტრაციულ ენაზე?	კი	არა
			×			
	7გ. იყო თუ არა ანგარიშზე საზოგადოების კომენტარების მიღების ორკვირიანი პერიოდი?	კი	არა	7დ. უპასუხებს თუ არა ანგარიში IRM-ის ძირითად რეკომენდაციებს?	კი	არა
			×			

ცხრილი 3.4: მოქალაქეთა ჩართულობის დონე

IRM-მა მიიღო მოქალაქეთა ჩართულობის საერთაშორისო ასოციაციის (IAP2) მოქალაქეთა ჩართულობის სკალა და იგი OGP-ის პროცესს მიუსადაგა.¹³ სკალა აჩვენებს სამოქმედო გეგმის შინაარსზე გავლენის მოსახდენად მოქალაქეთა ჩართულობის პოტენციურ დონეს. OGP-ის სულისკვეთების მიხედვით, ქვეყანა უნდა ეცადოს, რომ „თანამშრომლობის“ დონეს მიაღწიოს.

მოქალაქეთა ჩართულობის დონე		სამოქმედო გეგმის შემუშავებისას	სამოქმედო გეგმის განხორციელებისას
გაძლიერება	მთავრობამ გადანყვეტილების მიღების უფლება საზოგადოების წევრებს გადასცა.		
თანამშრომლობა	გაიმართა განმეორებითი დიალოგი და საზოგადოებამ სამოქმედო გეგმის შემუშავებაში მიიღო მონაწილეობა.	✓	
ჩართულობა	მთავრობამ საზოგადოებას მიაწოდა უკუკავშირი იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად გაითვალისწინა მისი მოსაზრებები.		
კონსულტაცია	საზოგადოებას მიეცა მოსაზრებების წარდგენის საშუალება.		✓
ინფორმირება	მთავრობამ საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია სამოქმედო გეგმის შესახებ.		
არანაირი კონსულტაცია	კონსულტაცია არ ჩატარებულა		

3.4. კონსულტაციები OGP-ის განხორციელების პროცესში

OGP-ის პროცესის მიხედვით, მთავრობები იღებენ ვალდებულებას, შექმნან ფორუმი, რომლის წევრი უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები რეგულარულად გამართავენ კონსულტაციებს OGP-ის განხორციელების პროცესთან დაკავშირებით. ფორუმი შეიძლება იყოს არსებული ან სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი. ეს განყოფილება ჩართულობის ასეთი მექანიზმის შესახებ ინფორმაციას აჭამებს.

OGP-ის პლატფორმაში საქართველოს მონაწილეობის დასაწყისიდან მოყოლებული, OGP-ის ფარგლებში არსებული ფორუმი არის ძირითადი საკონსულტაციო მექანიზმი სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში. ფორუმის სახელმძღვანელო წესები 2014 წლის იანვარში დამტკიცდა.¹⁴

არსებული პრაქტიკის მიხედვით, ფორუმის შეხვედრა ორ თვეში ერთხელ, იუსტიციის სამინისტროს შენობაში, თბილისში იმართება. რეგულარული შეხვედრების გარდა, სამინისტრო მრავალ ინდივიდუალურ შეხვედრას მართავს დაინტერესებულ პირებთან, რომელთაც მესამე სამოქმედო გეგმის ვალდებულებებთან დაკავშირებით საკუთარი რეკომენდაციები წარადგინეს. წინა სამოქმედო გეგმის პერიოდისგან განსხვავებით, სამინისტროს ვებგვერდზე ფორუმის შეხვედრების

ოქმები არ გამოქვეყნებულა, რაც ზემოაღნიშნულ ფორუმის სახელმძღვანელო წესებს ეწინააღმდეგება.

ფორუმის წევრობა სამოქალაქო, საჯარო თუ ბიზნესის სექტორის ნებისმიერ დაინტერესებულ წარმომადგენელს შეუძლია. მისასალმებელია, რომ ფორუმის წევრებს ამერიკის სავაჭრო პალატა (AmCham) და საერთაშორისო სავაჭრო პალატა (ICC) შეუერთდნენ.¹⁵ დაინტერესებული მხარეების წარმომადგენელთა თქმით, AmCham-მა უმასპინძლა შეხვედრას OGP-ს სამდივნოსა და კერძო სექტორის წარმომადგენლებს შორის და ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა იმ ვალდებულებებში, რომლებიც მთავრობის პოლიტიკისა და საკანონმდებლო აქტების შემუშავების პროცესში სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის ბიზნესსექტორის წარმომადგენლების მონაწილეობას ითვალისწინებს.¹⁶ თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძოდ, კონკრეტულ სექტორში მომუშავე ორგანიზაციების, აქტიუბა დაბალია. ამას შესაძლოა რამდენიმე მიზეზი ჰქონდეს. ერთ-ერთი მიზეზია OGP-ის პროცესისა და ფორუმის შესახებ საინფორმაციო ღონისძიებების ნაკლებობა. OGP-ის პროცესში მონაწილეობის დაბალი დონე შეიძლება განპირობებული იყოს არასამთავრობო ორგანიზაციების რესურსების ნაკლებობით, რომლებსაც გამოყოფილი არ ჰყავთ თანამშრომლები და არ აქვთ სახსრები მასში მონაწილეობისთვის.¹⁷ მეტიც, რეგიონულ არასამთავრობო ორგანიზაციებს უჭირთ ფორუმის შეხვედრებზე დასწრება, რადგან ისინი თბილისში იმართება. შესაბამისად, როგორც IRM-ის წინა წინსვლის ანგარიშში იყო რეკომენდებული, უმჯობესია, იუსტიციის სამინისტრომ შექმნას მოქალაქეთა ჩართულობის ონლაინმოდული, რომლის მეშვეობითაც საზოგადოება სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში ჩაერთვება.

მიუხედავად იმისა, რომ ფორუმს გენდერული ბალანსის დაცვასთან დაკავშირებით ფორმალური წესები არ აქვს, პრაქტიკა აჩვენებს, რომ ამ კუთხით ფორუმის შემადგენლობა დაბალანსებულია.

ფორუმის შეხვედრებზე ხუთი-ექვსი პასუხისმგებელი უწყება ფორუმის წევრებს საკუთარი ვალდებულების შესრულებაში მიღწეული პროგრესის შესახებ ინფორმაციას აწვდის, ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურად ერთვებიან დისკუსიაში, სვამენ კითხვებს და წარადგენენ რეკომენდაციებს პროცესის გასაუმჯობესებლად.¹⁸

IRM-ის მკვლევარი აღნიშნულ პროცესს აკვირდება საქართველოს ღია მმართველობის პირველი სამოქმედო გეგმის შემუშავების პერიოდთან, რომელიც 2012 წლის აპრილში დამტკიცდა.

3.5. თვითშეფასების ანგარიში

OGP-ის სახელმძღვანელო დებულებები OGP-ის წევრ ქვეყნებს ავალდებულებს, სამოქმედო გეგმის განხორციელების პირველი წლის დასრულებიდან სამი თვის ვადაში თვითშეფასების ანგარიში გამოაქვეყნონ. თვითშეფასების ანგარიშზე საჯარო

კომენტარების გაკეთება ორი კვირის განმავლობაში უნდა იყოს შესაძლებელი. ეს განყოფილება აღნიშნული ვალდებულების შესრულებას და თვითშეფასების ანგარიშის ხარისხს აფასებს.

2017 წლის 30 ოქტომბრის მდგომარეობით, მთავრობას თვითშეფასების ანგარიში გამოქვეყნებული არ ჰქონდა.

3.6. IRM-ის წინა ანგარიშის რეკომენდაციების გათვალისწინება

ცხრილი 3.5: IRM-ის წინა ანგარიშის ძირითადი რეკომენდაციები

რეკომენდაცია	გათვალისწინებულია?	შეტანილია მომდევნო სამოქმედო გეგმაში?
1 შემუშავდეს მთავრობის სტრატეგია და პოლიტიკის ხედვა OGP-ზე, რათა OGP გახდეს საქვეყნო პროექტი, რომელიც პირდაპირ გავლენას მოახდენს მოქალაქეთა ცხოვრებაზე.	არა	არა
2 ღია მმართველობა საქართველოს ფორუმში ჩართულ იქნენ მაღალი რანგის გადაწყვეტილების მიმღები პირები, რათა გაიზარდოს OGP-ის კონკრეტული ვალდებულებების შესრულებისთვის პასუხისმგებელი უწყებების ანგარიშვალდებულება.	არა	არა
3 შემდეგ ეროვნულ სამოქმედო გეგმაში შეტანილ იქნეს უფრო მეტი „ხალხისგან წამოსული“ ვალდებულება, რათა მოქალაქეებმა გაითავისონ ეს ვალდებულებები.	კი	კი
4 უზრუნველყოფილ იქნეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, როგორც OGP-ის სამომავლო ვალდებულებების შესრულებისთვის პასუხისმგებელი უწყებების, ჩართულობა, რათა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესი უფრო გამჭვირვალე	კი	კი

	გახდეს, ხოლო ადგილობრივი თემები გაძლიერდნენ და მდგრადი განვითარების გზას დაადგინენ.		
5	ყველა საჯარო უწყებას დაევალოს მონაცემების data.gov.ge-ზე გამოქვეყნება, რათა ეს პორტალი მთავრობის მონაცემების ღია, ავტომატურ და განახლებად რეჟიმში მიღების ძირითადი წყარო გახდეს.	არა	არა

მთავრობამ მოცემული ხუთი რეკომენდაციიდან ორი გაითვალისწინა და ისინი სამოქმედო გეგმაში აისახა. კერძოდ, გათვალისწინებულ იქნა რეკომენდაციები „ხალხისგან წამოსული“ ვალდებულებების შემუშავებასა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩართვასთან დაკავშირებით. რეგიონებში ჩატარებული საჯარო კონსულტაციების დროს იუსტიციის სამინისტრომ მოისმინა მათი მონაწილეების მოსაზრებები, რომლებიც ძირითადად სოციალურ და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს, სერვისების მიწოდებას და ადგილობრივი მთავრობების ანგარიშვალდებულებას ეხებოდა. დაინტერესებული მხარეების წარმომადგენელთა თქმით, ეს წინადადებები გათვალისწინებულ იქნა მესამე სამოქმედო გეგმის ვალდებულებების შემუშავებისას.¹⁹ „ხალხისგან წამოსული“ ვალდებულებების მაგალითია იუსტიციის სახლის შემლუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებებისთვის მორგება, რაც მოქალაქეებმა ისეთი მექანიზმის მეშვეობით მოითხოვეს, როგორცაა „მომხმარებლის ხმა“.²⁰

მეორე რეკომენდაცია, რომელიც სამოქმედო გეგმაში იქნა გათვალისწინებული, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩართვას ეხებოდა. ამჟამად ხუთი მუნიციპალიტეტის წამყვანი გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები პასუხისმგებელი არიან შემდეგი სამი ვალდებულების შესრულებისთვის – საკრებულოს სხდომების გამჭვირვალობის გაზრდა, ბიუჯეტირების პროცესში მოქალაქეთა ჩართვა და ელექტრონული პეტიციების მექანიზმის დანერგვა.²¹

¹ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი, ფორუმის სახელმძღვანელო წესები, <http://bit.ly/1xnGePV>

² საქართველოს მთავრობის 2013 წლის 9 ივლისის №775 განკარგულება „ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს სამოქმედო გეგმის განხორციელებისთვის აუცილებელ ღონისძიებათა შესახებ“, <http://bit.ly/2tqNZX2>

³ IDFI, კომენტარები 2016-2017 წლების შუალედური ანგარიშის სამუშაო ვერსიაზე, 2017 წლის 25 დეკემბერი

⁴ ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმა, <http://bit.ly/2qwqU9d>

⁵ ქეთევან ცანავა, ღია მმართველობა საქართველოს ეროვნული კოორდინატორი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 15 ივლისი

-
- ⁶ მიხეილ დარჩიაშვილი, უფროსი მრჩეველი სახელმწიფო მართვის საკითხებში, ლევან სამადაშვილი, პროექტის ხელმძღვანელის მოადგილე, მარიკა გორგაძე, სახელმწიფო მართვის პროგრამის მენეჯერი, დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში, Tetra Tech ARD, ინტერვეი IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 4 აგვისტო
- ⁷ ზურაბ სანიკიძე, ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი, ქეთევან ცანავა, ღია მმართველობა საქართველოს ეროვნული კოორდინატორი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ინტერვეი IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 27 ივლისი
- ⁸ დარჩიაშვილი, სამადაშვილი, გორგაძე, ინტერვეი, აგვისტო, 2017
- ⁹ დარჩიაშვილი, სამადაშვილი, გორგაძე, ინტერვეი, აგვისტო, 2017
- ¹⁰ ცანავა, ინტერვეი, ივლისი, 2017
- ¹¹ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, <http://bit.ly/2u11iRP>
- ¹² ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმა, <http://bit.ly/2qwqU9d>
- ¹³ მოქალაქეთა ჩართულობის საერთაშორისო ასოციაციის (IAP2) მოქალაქეთა ჩართულობის სკალა, http://c.ymcdn.com/sites/www.iap2.org/resource/resmgr/foundations_course/IAP2_P2_Spectrum_FINAL.pdf
- ¹⁴ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი, ფორუმის სახელმძღვანელო წესები, <http://bit.ly/1xnGePV>
- ¹⁵ სანიკიძე, ცანავა, ინტერვეი, ივლისი, 2017
- ¹⁶ დარჩიაშვილი, სამადაშვილი, გორგაძე, ინტერვეი, აგვისტო, 2017
- ¹⁷ საბა ბუაძე, ანტიკორუფციული მიმართულების ხელმძღვანელი, ლევან ავალიშვილი, პროგრამების დირექტორი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), ინტერვეი IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 25 ივლისი
- ¹⁸ სანიკიძე, ცანავა, ინტერვეი, ივლისი, 2017
- ¹⁹ ბუაძე, ავალიშვილი, ინტერვეი, ივლისი, 2017
- ²⁰ ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმა, <http://bit.ly/2qwqU9d>
- ²¹ ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმა, <http://bit.ly/2qwqU9d>

IV. ვალდებულებები

OGP-ის წევრი ყოველი ქვეყნის მთავრობა შეიმუშავებს მისი ქვეყნის OGP-ის ეროვნულ სამოქმედო გეგმას, რომელიც ორწლიან პერიოდზე გათვლილ კონკრეტულ ვალდებულებებს შეიცავს. თითოეული მთავრობა საკუთარი ქვეყნის OGP-ის ეროვნულ სამოქმედო გეგმას იწყებს ღია მმართველობისკენ მიმართული არსებული ძალისხმევის გაზიარებით, მათ შორის, კონკრეტული სტრატეგიების და მიმდინარე პროგრამების განხილვით.

ვალდებულებები ქვეყნის სპეციფიკურ გარემოებებსა და გამოწვევებს უნდა შეესაბამებოდეს. OGP-ის ვალდებულებები ასევე უნდა შეესაბამებოდეს OGP-ის ღირებულებებს, რომლებიც OGP-ის წევრი ყველა ქვეყნის მიერ ხელმოწერილ OGP-ის სახელმძღვანელო დებულებებსა და ღია მმართველობის დეკლარაციაშია მოცემული.¹

რას ნიშნავს კარგი ვალდებულება?

იქიდან გამომდინარე, რომ OGP-ის ვალდებულებების შესრულება რამდენიმეწლიანი პროცესია, მთავრობებმა ვალდებულებებისთვის კონკრეტული ვადები უნდა დაადგინონ და მათი შესრულების ეტაპები უნდა განსაზღვრონ (სადაც ეს შესაძლებელია). ანგარიში ქვეყნის სამოქმედო გეგმაში შეტანილ ვალდებულებებს განიხილავს და მისი განხორციელების პირველ წელს აფასებს.

ვალდებულებების შეფასებისთვის IRM შემდეგ ინდიკატორებს იყენებს:

- **კონკრეტულობა:** მაჩვენებელი აფასებს, რამდენად კონკრეტულია ვალდებულება და რამდენად შესაძლებელია მისი შეფასება. შესაძლო შეფასებებია:
 - **მაღალი:** ვალდებულების ტექსტი აღწერს ნათელ, გაზომვად ღონისძიებებს, რომლებიც ვალდებულების მთავარი მიზნის მიღწევას ემსახურება.
 - **საშუალო:** ვალდებულების ტექსტი აღწერს ღონისძიებებს, რომლებიც ობიექტურად გაზომვადია, და მოიცავს მათი განხორციელების ეტაპებს. თუმცა ამ ეტაპების განხორციელების შეფასება რთულია ან ისინი არ შეესაბამება ვალდებულების მიზანს.
 - **დაბალი:** ვალდებულების ტექსტში აღწერილი ღონისძიებები შეიძლება აღქმულ იქნეს, როგორც გაზომვადი მაჩვენებელი, თუმცა ამისთვის მკითხველმა ტექსტის ინტერპრეტირება უნდა მოახდინოს, რათა განსაზღვროს, რას გულისხმობს ეს ღონისძიებები და როგორი იქნება მათი შედეგი.
 - **არცერთი:** ვალდებულების ტექსტი არცერთ გაზომვად ღონისძიებას, განხორციელების ეტაპს და შედეგს არ აღწერს.

ღირებულებებთან შესაბამისობა: მაჩვენებელი აფასებს, რამდენად შეესაბამება ვალდებულება OGP-ის ღირებულებებს. შესაბამისობის შეფასებისას, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულების ტექსტის მიხედვით, ძირითადი კითხვებია:

- ინფორმაციის ხელმისაწვდომობა: აპირებს თუ არა მთავრობა ახალი ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფას ან არსებული საჯარო ინფორმაციის ხარისხის გაუმჯობესებას?
- მოქალაქეთა ჩართულობა: აპირებს თუ არა მთავრობა ისეთი შესაძლებლობების შექმნას ან გაუმჯობესებას, რომლებიც გადანაცვტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართვასა და მონაწილეობას გააუმჯობესებს?
- საჯარო ანგარიშვალდებულება: აპირებს თუ არა მთავრობა თანამდებობის პირთა ანგარიშვალდებულების გასაზრდელად შესაძლებლობების შექმნას ან გაუმჯობესებას?
- ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის: იქნება თუ არა გამოყენებული ტექნოლოგიები და ინოვაცია OGP-ის რომელიმე სხვა ღირებულებასთან ერთად გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდისთვის?²
- **პოტენციური შედეგი:** მაჩვენებელი აფასებს, როგორი იქნება ვალდებულების პოტენციური შედეგი, თუ ის იმგვარად შესრულდება, როგორც ვალდებულების ტექსტშია მითითებული. IRM-ის მკვლევარი ხელმძღვანელობს სამოქმედო გეგმის ტექსტით, რათა:
 - განსაზღვროს სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ გარემოსთან დაკავშირებული პრობლემები;
 - დააფიქსიროს სამოქმედო გეგმის განხორციელების პერიოდის დასაწყისში არსებული მდგომარეობა;
 - შეაფასოს, რამდენად ჭრის ვალდებულება მოცემულ პრობლემას შესრულების შემთხვევაში.

ვარსკვლავური ვალდებულებები OGP-ის სამაგალითო ვალდებულებებია. იმისთვის, რომ ვალდებულება ვარსკვლავური იყოს, ის რამდენიმე კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს:

- ვარსკვლავურ ვალდებულებას „საშუალო“ ან „მაღალი“ კონკრეტულობა უნდა ჰქონდეს. ვალდებულება ნათლად უნდა აღწერდეს ღონისძიებებს და მათი განხორციელების ეტაპებს, რაც ვალდებულების პოტენციური შედეგის შეფასების საშუალებას იძლევა.
- ვალდებულების ტექსტში უნდა ჩანდეს ღია მმართველობასთან შესაბამისობა. ამისთვის ვალდებულება დაკავშირებული უნდა იყოს OGP-ის არანაკლებ ერთ ვალდებულებასთან – ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან, მოქალაქეთა ჩართულობასთან ან საჯარო ანგარიშვალდებულებასთან.
- სრულად შესრულების შემთხვევაში ვალდებულებას „ტრანსფორმაციული“ პოტენციური შედეგი უნდა ჰქონდეს.³
- მთავრობამ სამოქმედო გეგმის განხორციელების პერიოდში ვალდებულების შესრულებაში მნიშვნელოვან პროგრესს უნდა მიაღწიოს და ვალდებულება უნდა შეფასდეს, როგორც „არსებითად“ ან „სრულად“ შესრულებული.

ამ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, საქართველოს სამოქმედო გეგმაში არის სამი ვარსკვლავური ვალდებულება, კერძოდ, ვალდებულებები 9, 14 და 16.

ამ განყოფილებაში მოყვანილი ცხრილები მოიცავს იმ ინფორმაციის ნაწილს, რომელსაც IRM ანგარიშგების პროცესის დროს აგროვებს. საქართველოს და OGP-ის წევრი სხვა ქვეყნების შესახებ სრული მონაცემებისთვის იხილეთ „OGP Explorer“-ის ვებგვერდი.⁴

ვალდებულებების ზოგადი მიმოხილვა

სამოქმედო გეგმა სამ ძირითად სფეროზე ფოკუსირდება – საჯარო უწყებებში კეთილსინდისიერების ამაღლება, საჯარო სერვისების გაუმჯობესება და რესურსების უკეთ მართვა.

მესამე სამოქმედო გეგმა უპასუხებს OGP-ის ხუთივე გამოწვევას: საჯარო მომსახურების გაუმჯობესება, საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება, რესურსების უფრო ეფექტიანად მართვა, უფრო უსაფრთხო საზოგადოების შექმნა, კორპორაციული ანგარიშვალდებულების გაზრდა. 24-ვე ვალდებულება ამ ხუთ ძირითად გამოწვევას ეხმაურება. 24 პასუხისმგებელ უწყებას შორის არიან: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, ექვსი სამინისტრო, მათ შორის, იუსტიციის სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ენერჯეტიკის სამინისტრო, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, და საქართველოს პროკურატურა. პასუხისმგებლობა იკისრა ასევე სამინისტროებისადმი დაქვემდებარებულმა შვიდმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა (სსიპ) და ხუთმა დამოუკიდებელმა ორგანომ (საჯარო სამსახურის ბიურო, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, კონკურენციის სააგენტო, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია). ნამყვანი დანესებულებები არიან აგრეთვე საქართველოს უზენაესი სასამართლო და ხუთი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო.

მნიშვნელოვანია, რომ მიმდინარე სამოქმედო გეგმის დამტკიცებამდე მასში რამდენიმე არსებითი ცვლილება იქნა შეტანილი. პირველ რიგში, იუსტიციის სამინისტრომ სამოქმედო გეგმის პირველადი ვერსიიდან ამოიღო მრავალი ტექნიკური და სერვისებზე ორიენტირებული ვალდებულება, რომლებიც წინა სამოქმედო გეგმიდან იქნა გადმოტანილი: საჯარო სექტორში ადამიანური რესურსების მართვის შიდა ელექტრონულ სისტემასთან დაკავშირებული ვალდებულება, საჯარო ფინანსების მართვის გასაუმჯობესებელ შიდა ელექტრონულ მოდულებთან დაკავშირებული ვალდებულება და ID-ბარათების ფუნქციურობის გაუმჯობესების ვალდებულება. ამასთანავე, იუსტიციის სამინისტრომ საბოლოო სამოქმედო გეგმა განაახლა დაინტერესებული მხარეების რეკომენდაციების მიხედვით, რომლებიც ახალი პასუხისმგებელი უწყებების ჩართვას და OGP-ის ღირებულებების შესაბამისი ვალდებულებების შემუშავებას მოიცავდა.

თემები

IRM-ს სამოქმედო გეგმის პირველადი სტრუქტურა არ შეუცვლია. ვალდებულებების შესრულების ეტაპების ტექნიკური ხასიათიდან გამომდინარე, ანგარიში ვალდებულებას აფასებს და არა ვალდებულებით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. IRM-მა №20 და №21 ვალდებულებები, მსგავსი ხასიათიდან,

კონტექსტიდან და ანალიზიდან გამომდინარე, ერთ ვალდებულებად გააერთიანა.

¹ ღია მმართველობის პარტნიორობა: სახელმძღვანელო დებულებები, 2012 წლის ივნისი (განახლებულია 2014 წლის მარტსა და 2015 წლის აპრილში), https://www.opengovpartnership.org/sites/default/files/attachments/OGP_Articles-Gov_Apr-21-2015.pdf

² IRM-ის პროცედურების სახელმძღვანელო, <http://bit.ly/2HOqLCN>

³ ეს კრიტერიუმი საერთაშორისო ექსპერტთა პანელმა 2015 წელს შეცვალა. მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ: <http://www.opengovpartnership.org/node/5919>

⁴ „OGP Explorer“ და IRM-ის მონაცემები, bit.ly/1KE2WII

1. შებენიანი შესაძლებლობების მქონე პირების მოთხოვნებთან იუსტიციის სახლის სერვისების ადაპტირება

ვალდებულების ტექსტი:

ღია მმართველობა საქართველოს 2014-2015 წწ. სამოქმედო გეგმის ფარგლებში სსიპ – იუსტიციის სახლმა წარმატებით დაანერგა მოქალაქეებთან ორმხრივი უკუკავშირის სისტემა – „მომხმარებლის ხმა“. პროგრამის მეშვეობით მომხმარებლებს შეუძლიათ შეავსონ სპეციალური აპლიკაცია და თავიანთი შენიშვნები/რეკომენდაციები იუსტიციის სახლს მიაწოდონ. თავის მხრივ, იუსტიციის სახლი ვალდებულია 30 დღის ვადაში განიხილოს მიღებული წერილი, შესაძლებლობის შემთხვევაში გადადგას კონკრეტული ნაბიჯები და, ამის შემდეგ, დაუკავშირდეს მოქალაქეს, რათა მას საქმესთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია მიაწოდოს.

2015 წლის ნოემბერში იუსტიციის სახლს, „მომხმარებლის ხმის“ გამოყენებით, წერილით მიმართა შებენიანი შესაძლებლობების მქონე (შემდგომში – შშმ) მოქალაქემ. წერილის ავტორი აღწერდა სირთულეებს, რომლებიც შშმ პირებს იუსტიციის სახლში, საჯარო თუ კერძო მომსახურებების მიღებისას ექმნებათ. წერილში მოცემული იყო, აგრეთვე, კონკრეტული რეკომენდაციები ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

იუსტიციის სახლმა წერილის ავტორ შშმ პირთან და ამ სფეროს სხვა კვალიფიციურ ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშავა ახალი პროექტი, რომელიც მოგვიანებით ღია მმართველობა საქართველოს მე-3 სამოქმედო გეგმის წინამდებარე ვალდებულებად ჩამოყალიბდა.

ვალდებულების მიზანია, იუსტიციის სახლის ინფრასტრუქტურამ დააკმაყოფილოს ის სტანდარტები, რომლებიც აუცილებელია შშმ პირების შეუფერხებლად გადაადგილებისა და მათ მიერ მომსახურების მიღებისათვის. საწყის ეტაპზე, იუსტიციის სახლმა მიიღო გადაწყვეტილება, შშმ პირთა საჭიროებებს შეუსაბამოს თბილისის ფილიალი.

- თბილისის იუსტიციის სახლის მომსახურების დარბაზში უსინათლო და მცირემხედველი შშმ პირებისთვის შეიქმნება სპეციალური ნავიგაციის სისტემა;

- თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის იუსტიციის სახლების თანამშრომელთა დატრენინგება შშმ პირებთან კომუნიკაციის უნარ-ჩვევებთან დაკავშირებით.

წამყვანი დანესებულება: სსიპ – იუსტიციის სახლი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

დამხმარე დანესებულებები: UNDP; პოლონეთის საელჩო; კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის; არასამთავრობო ორგანიზაცია „მარიანი“

დანების თარიღი: ივლისი, 2016

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2017

ვალდებულების აღწერა

კონკრეტულობა

OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა

პოტენციური შედეგი

დროულად?

შესრულება

	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშგაღებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია	გამჭვირვალობისა და ანგარიშგაღებულები-სათვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული		არ დაწყებულა	შეგუდული	არსებითი	შესრულებული
1. შებნუდული შესაძლებლობების მქონე პირების მოთხოვნებთან იუსტიციის სახლის სერვისების ადაპტირება			✓		გაურკვეველი					✓			✓					✓

კონტექსტი და მიზნები

საქართველოში სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანები ძირითადი საჯარო ინფორმაციისა და სერვისების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით სირთულეებს აწყდებიან, რადგან სამთავრობო შენობებისა და ინფრასტრუქტურის უმეტესობა მათ საჭიროებებთან ადაპტირებული არ არის. თავად მომხმარებელთა მოთხოვნის საპასუხოდ, ვალდებულების მიზანი იყო უსინათლო და მხედველობადაქვეითებული პირების მოთხოვნებთან თბილისის იუსტიციის სახლის სერვისების ადაპტირება.

იქიდან გამომდინარე, რომ ვალდებულების ტექსტი არ ითვალისწინებს საზოგადოებისთვის ახალი ინფორმაციის გამოქვეყნებას ან არსებული ინფორმაციის მეტ ხელმისაწვდომობას, ვალდებულების OGP-სთან კავშირი გაურკვეველია. უფრო მეტიც, ვალდებულება უსინათლო და მხედველობადაქვეითებული პირების მოთხოვნებთან მხოლოდ თბილისის იუსტიციის სახლის სერვისების ადაპტირებას გულისხმობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ვალდებულება შებნუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ძირითადი საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდაზე მცირე გავლენას მოახდენს. ტრანსფორმაციული რეფორმა მოიცავს ვალდებულების ყველა იუსტიციის სახლზე, სამთავრობო უწყებასა და სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანთა სხვა ჯგუფებზე გავრცელებას მათთვის არა მხოლოდ საჯარო სერვისების, არამედ საჯარო ინფორმაციის და გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხელმისაწვდომობის გაზრდით. ამის შედეგად ვალდებულებასა და OGP-ის პრინციპებს შორის უფრო ნათელი კავშირი იქნება.

შესრულება

თბილისის იუსტიციის სახლმა საკუთარი ინფრასტრუქტურის უსინათლო და მხედველობადაქვეითებული პირების საჭიროებებთან ადაპტირება 2016 წლის შემოდგომაზე დაიწყო და პროექტი 2017 წლის თებერვალში დაასრულა. იუსტიციის სახლმა დააყენა სპეციალური სანავიგაციო სისტემა, რომელიც ტაქტილურ ბილიკებს და ბრაილის რუკებს შეიცავს, რომ ბენეფიციარებს თბილისის იუსტიციის სახლის გარეთ და შიგნით მიმართულებების მიგნებაში დაეხმაროს. გარდა ამისა, იუსტიციის სახლმა საკუთარ ვებგვერდზე აუდიონამკითხველი პროგრამა დააყენა, რომ უსინათლო და მხედველობადაქვეითებულმა პირებმა იუსტიციის სახლის მიერ მიწოდებული სერვისების შესახებ ინფორმაცია მიიღონ.¹ იუსტიციის სახლმა

განახლებული ვებგვერდი მომხმარებლებს წარუდგინა და ადაპტირებულ შინაარსთან დაკავშირებით მათგან დადებითი შეფასება მიიღო.²

განხორციელდა სხვა ღონისძიებებიც – თბილისის, ბათუმის, ქუთაისისა და რუსთავის იუსტიციის სახლების 400-ზე მეტ ოპერატორს ჩაუტარდა ტრენინგები ვალდებულების სამიზნე ჯგუფთან კომუნიკაციის მეთოდებზე. შემდეგი ეტაპისთვის იუსტიციის სახლი გეგმავს, ამ ტრენინგებს უესტური კომუნიკაციის კომპონენტი დაამატოს, რომ მისმა ოპერატორებმა შეძლონ კომუნიკაცია სხვა სამიზნე ჯგუფთან – ყრუ და სმენადაქვეითებულ ადამიანებთან.³

ადგილობრივი ორგანიზაცია, „მარიანი“, რომელიც უსინათლო და მხედველობადაქვეითებული პირების უფლებების საკითხზე მუშაობს, ამ პროექტის მთავარი განმახორციელებელი იყო პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პროგრამის (Polish Aid) ფინანსური მხარდაჭერით.⁴ „მარიანის“ დირექტორის თქმით, იუსტიციის სახლთან ვალდებულებაზე მუშაობა რთული იყო, რადგან ყოველთვის არსებობდა შეუსაბამობა, ერთი მხრივ, იუსტიციის სახლის ბრენდინგისა და დიზაინის სტრატეგიასა და, მეორე მხრივ, უსინათლო და მხედველობადაქვეითებული პირებისთვის ინფრასტრუქტურის განვითარების საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულ სტანდარტებს შორის. მაგალითად, ამ სტანდარტების მიხედვით, ყვითელი მხედველობადაქვეითებული ადამიანებისთვის ყველაზე შესაფერისი ფერია. თუმცა იუსტიციის სახლმა თეთრი აირჩია, რადგან მის შენობას ეს ფერი უფრო ესადაგებოდა. იგივე პრობლემა იყო ბრაილის თეთრ რუკებთან დაკავშირებით, რომლებიც იუსტიციის სახლის შესასვლელთან დამონტაჟდა. გარდა ამისა, იუსტიციის სახლის გარეთ განლაგებული ტაქტილური ბილიკები მინის ზედაპირთან მყარად მიმაგრებული არ არის და მანქანების მოძრაობით გამოწვეული ვიბრაციის გამო ირყევა. ბრაილის დაფებიც ხშირად ვარდება კედლიდან ძირს, შემდეგ კი მათ ან არასწორ ადგილას ათავსებენ, ან იმავე ადგილზე არასწორად ამაგრებენ.⁵

ადრეული შედეგები (თუ არის)

არც იუსტიციის სახლი და არც „მარიანი“ არ აწარმოებს სტატისტიკას, თუ რამდენმა უსინათლო ან მხედველობადაქვეითებულმა ადამიანმა ისარგებლა თბილისის იუსტიციის სახლის ახალი ინფრასტრუქტურით და რამდენად კმაყოფილი არიან ისინი. თუმცა, „მარიანის“ დირექტორის თქმით, იმ მცირე რაოდენობის მომხმარებლებმა, რომელთაც ის გაესაუბრა, ვალდებულება დადებითად შეაფასეს.⁶

შემდეგი ნაბიჯები

იუსტიციის სახლმა ბათუმისა და ქუთაისის იუსტიციის სახლების უსინათლო და მხედველობადაქვეითებული პირების საჭიროებებისთვის მორგების გეგმა შეიმუშავა. ამასთანავე, ისინი გეგმავენ, მოახდინონ „მომხმარებლის ხმის“ უკუკავშირის მექანიზმის ონლაინვერსიის ადაპტირება, რომ მოწყვლადმა ჯგუფებმა იუსტიციის სახლის სერვისებზე საკუთარი კომენტარების მიწოდება შეძლონ.⁷

„მარიანი“ მთავრობას რეკომენდაციას აძლევს, შენობების უსინათლო და მხედველობადაქვეითებული ან ყრუ და სმენადაქვეითებული ადამიანების საჭიროებებისთვის მორგების ერთიანი სტანდარტი შეიმუშაოს, რადგან არსებული საკანონმდებლო ბაზა, კერძოდ, საქართველოს მთავრობის №41 დადგენილება,

სტანდარტს მხოლოდ შეზღუდული ფიზიკური უნარის მქონე ადამიანებისთვის აწესებს.⁸ ასეთი ერთიანი სტანდარტის გარეშე ბრენდინგის ვიზუალური ნაწილი ყოველთვის ბენეფიციართა საჭიროებებზე პრიორიტეტული იქნება. კიდევ ერთი რეკომენდაციაა, ზოგადად, ამ სფეროში მთავრობის მეტი ღიაობა იქნეს უზრუნველყოფილი. კერძოდ, მთავრობის მნიშვნელოვანი ვალდებულება უსინათლო და მხედველობადაქვეითებული ადამიანებისთვის უფრო ინკლუზიურ მიდგომას უნდა გულისხმობდეს, რათა ამ ჯგუფმა მისთვის განსაზღვრული დახმარების პროგრამების შემუშავებაში აქტიური მონაწილეობა მიიღოს. ეს მიდგომა მოიცავს აგრეთვე რეგულარულ კონსულტაციებს სპეციალური საჭიროებების გამოსავლენად და დახმარების პროგრამების ამ საჭიროებებისთვის მორგებას.⁹

¹ იუსტიციის სახლი, <http://psh.gov.ge/>.

² ანი გიგინეიშვილი, იუსტიციის სახლის მარკეტინგისა და მომსახურების განვითარების სამსახურის უფროსი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 8 აგვისტო

³ გიგინეიშვილი, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

⁴ გიგინეიშვილი, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

⁵ მარიამ მიქიაშვილი, არასამთავრობო ორგანიზაცია „მარიანის“ დირექტორი, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 9 აგვისტო

⁶ მიქიაშვილი, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

⁷ გიგინეიშვილი, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

⁸ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის №41 დადგენილება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, <http://bit.ly/2glQWqU>

⁹ მიქიაშვილი, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

2. ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი სისტემის საინფორმაციო პორტალის დანერგვა

ვალდებულების ტექსტი:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში – ჯანდაცვის სამინისტრო), მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის (E-Health) ფარგლებში საინფორმაციო პორტალის შექმნას გეგმავს.

ვალდებულება ემსახურება მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას, ჯანდაცვის სისტემის გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ეფექტიანობის გაუმჯობესებას.

ვალდებულების ფარგლებში, საერთაშორისო, არასამთავრობო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან აქტიური თანამშრომლობით, საინფორმაციო პორტალის ძირითადი კონცეფცია შეიქმნება. საინფორმაციო პორტალის მეშვეობით მოქალაქეებს მიენოდებათ სანდო და სრულყოფილი ინფორმაცია ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების, სამედიცინო მომსახურების, მომსახურების მიმწოდებლების (პროფესიული კვალიფიკაცია და ა.შ), სამედიცინო აღჭურვილობის, სისხლის ბანკის, სანოლთა ფონდის, მომხმარებლების, სამედიცინო პერსონალის და მათი სამუშაო ადგილების შესახებ. პორტალის მეშვეობით მოქალაქეს შეეძლება გადაამოწმოს თავისი დაზღვევის სტატუსი, გაიგოს თუ რა მომსახურება ეკუთვნის მას ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ფარგლებში. საინფორმაციო პორტალზე ასევე განთავსდება უახლესი ინფორმაცია ჯანდაცვის სისტემის მიმართულებით მიმდინარე რეფორმების და მათი მონიტორინგის შედეგების შესახებ.

საინფორმაციო პორტალის შექმნა ხელს შეუწყობს ჯანდაცვის სექტორში მიმდინარე პროცესების გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და მოქალაქეების საჭიროებების მიმართ რეაგირების ზრდას.

წამყვანი დანესებულება: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

დამხმარე დანესებულებები: სსიპ – „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“; სსიპ – „სოციალური მომსახურების სააგენტო“, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია

დანყების თარიღი: ნოემბერი, 2016

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2017

ვალდებულების
აღწერა

კონკრეტულობა

OGP-ის
შესაბამისობა

ღირებულებებთან

პოტენციური შედეგი

დროუ-
ლად?

შესრულება

	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშგადებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია	გამჭვირვალობა და ანგარიშგადებულება	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული		არ დანსებულია	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	
2. ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი სისტემის საინფორმაციო პორტალის დანერგვა				✓	გაურკვეველი					✓				არა		✓			

კონტექსტი და მიზნები

2013 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ყველა მოქალაქეს ჯანმრთელობის დაზღვევას სთავაზობს. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) მონაცემებით, მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეებს აქვთ ზოგადი ინფორმაცია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის არსებობის შესახებ, ისინი არ არიან საკმარისად ინფორმირებული საკუთარი უფლებებისა და მათთვის განკუთვნილი სერვისების თაობაზე.¹ ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი სისტემის საინფორმაციო პორტალის (შემდგომ – პორტალი) მიზანია, მიანოდოს მომხმარებელს ინფორმაცია სანოლთა ფონდის, სამედიცინო პერსონალის პროფესიული კვალიფიკაციის და სერვისების მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებების შესახებ. პორტალზე განთავსებული იქნება აგრეთვე პაციენტის პერსონალური ინფორმაცია. სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, მოქალაქეები შეძლებენ მოიძიონ არა მხოლოდ სამედიცინო დაწესებულებების შესახებ ინფორმაცია, არამედ საკუთარი სამედიცინო ისტორია და ელექტრონული სამედიცინო დანიშნულება (რეცეპტი). პორტალი მათ სამედიცინო სერვისების მიმწოდებელ დაწესებულებებში ჩანერით ექიმთან ვიზიტის დანიშვნის საშუალებასაც მისცემს.²

ვალდებულება საკმაოდ კონკრეტულია. თუ ის სრულად შესრულდა, პორტალი ჯანდაცვის სერვისების მიწოდებაზე მცირე გავლენას მოახდენს. სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, ვალდებულებით პორტალისთვის გათვალისწინებული მრავალი ფუნქცია უკვე არსებობს სამინისტროს ვებგვერდზე, პორტალი კი ამ ფუნქციებს ერთიან სივრცეში მოუყრის თავს.³ მაგალითად, სამინისტროს ვებგვერდზე არსებობს ინფორმაცია სისხლის ბანკის, სანოლთა ფონდის და სერვისების მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებების შესახებ.⁴ პორტალზე ამ ინფორმაციას დაემატება პაციენტების პერსონალური სერვისების მოდულები, როგორცაა დაბადება-გარდაცვალების რეგისტრაცია, ელექტრონული სამედიცინო ისტორია, იმუნიზაციის მართვა და სხვა, რომლებიც სამინისტროს ვებგვერდზე არსებობს, მაგრამ სრულად არ ამოქმედებულია.⁵ პერსონალური სერვისების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გათვალისწინება, როგორცაა იმუნიზაცია და მედიკამენტები, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას მოქალაქეებისთვის უფრო ხელმისაწვდომს გახდის. თუმცა ვალდებულება არ გულისხმობს ისეთი ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფას, რომელზედაც

მანამდე საზოგადოებას ხელი არ მიუწვდებოდა. შესაბამისად, ვალდებულებას OGP-ის პრინციპებთან ნათელი კავშირი არ აქვს.

შესრულება

ვალდებულებით გათვალისწინებული ღონისძიებები დაგეგმილ ვადებში არ განხორციელებულა.⁶ 2017 წლის აგვისტოს მდგომარეობით, პორტალის კონცეფცია შემუშავებული არ იყო. სამინისტროს მთავარი პარტნიორის წარმომადგენელთა განცხადებით, ამის მიზეზია კოორდინაციისა და პორტალის შინაარსთან დაკავშირებით ერთიანი ხედვის ნაკლებობა. ამასთანავე, განსაზღვრული არ არის პორტალის ამოქმედებისთვის საჭირო ფინანსური რესურსის ხარჯთაღრიცხვა.⁷ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს (IDFI) მიაჩნია, რომ კონცეფციის შემუშავება ვალდებულების სრულად შესრულებისთვის აუცილებელი პროცედურული ნაბიჯია.⁸

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტი „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში“ აქტიურად ეხმარება სამინისტროს პორტალის კონცეფციის შემუშავებაში.⁹ სამინისტრო გეგმავს, ამ პროექტის მიერ დაქირავებული კონსულტანტის დახმარებით განსაზღვროს, რა ფუნქციები არსებობს სამინისტროს ვებგვერდზე და რომელი მოდულების დამატება გახდება საჭირო 2017 წლის შემოდგომაზე. იქიდან გამომდინარე, რომ სამინისტრო უკვე თანამშრომლობს პარტნიორებთან პორტალის კონცეფციის შესამუშავებლად, ვალდებულების შესრულება შეზღუდულია.

სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, პორტალის შექმნის პროცესში სამინისტრომ ვებგვერდის სხვადასხვა კომპონენტთან დაკავშირებით საკონსულტაციო შეხვედრები გამართა USAID-ის პროექტთან „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში“, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატთან, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან (IDFI), ესტონეთის ელექტრონული მმართველობის აკადემიასა და სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან (NCDC).¹⁰ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საზოგადოებასა და სხვა დაინტერესებულ პირებთან პორტალთან დაკავშირებით კონსულტაციები არ გამართულა.¹¹

ვალდებულების შესრულებაში სამინისტრო ორ პრობლემას ხედავს. პირველ რიგში, იქიდან გამომდინარე, რომ პორტალი ბევრ პერსონალურ მონაცემს შეიცავს, სამინისტროს საკითხის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატთან (შემდგომ – აპარატი) მოგვარება მოუწია. აპარატის წარმომადგენლის თქმით, რამდენიმე შეხვედრის მიუხედავად, პორტალთან დაკავშირებით კონკრეტული რეკომენდაციების წარმოდგენა რთულია, რადგან პორტალის კონცეფცია ჯერ შემუშავებული არ არის. თუმცა ერთ-ერთი რეკომენდაციით, იქიდან გამომდინარე, რომ პორტალზე დიდი მოცულობის დელიკატური ინფორმაციის არსებობა მაღალ რისკს შეიცავს, უმჯობესია, მოქალაქეებს მიეცეთ იმის არჩევის საშუალება, თუ რა სახის პერსონალური მონაცემები იყოს ხელმისაწვდომი პორტალზე. ამასთანავე, სამინისტრომ პაციენტებს სერვისების მიღების ალტერნატიული გზები უნდა შესთავაზოს იმ შემთხვევისთვის, თუ ისინი უარს აცხადებენ პორტალის გამოყენებაზე

ან არ სურთ სისტემაში პერსონალური ინფორმაციის განთავსება. სხვა შემთხვევაში მათ თვითონ უნდა შეძლონ იმის არჩევა, თუ რა ტიპის პერსონალური ინფორმაცია გახდეს ხელმისაწვდომი პორტალზე.¹²

ამასთანავე, სამინისტროს აქვს პრობლემა დაფინანსებასთან დაკავშირებით. იქიდან გამომდინარე, რომ ვებპლატფორმის ამოქმედებისთვის დამატებითი ფინანსური რესურსია საჭირო, დონორების არარსებობის გამო შესაძლოა პროცესი შეფერხდეს.¹³ დაინტერესებული მხარეების წარმომადგენელთა აზრით, პორტალის 2017 წლის ბოლომდე ამოქმედება ნაკლებად სავარაუდოა.¹⁴

შემდეგი ნაბიჯები

იმის გათვალისწინებით, რომ ვალდებულების შესრულება დაგვიანდა, IRM-ის მკვლევართა რეკომენდაციაა, ვალდებულება სრულად შესრულდეს სამოქმედო გეგმის პერიოდში. ამასთანავე, იქიდან გამომდინარე, რომ, 2017 წლის სექტემბრის მდგომარეობით, პორტალის კონცეფცია შემუშავებული არ იყო, უმჯობესია, სამინისტრომ მომავალი ბენეფიციარებისგან წინადადებებისა და მოსაზრებების მისაღებად საჯარო კონსულტაციები და დისკუსიები გამართოს, როგორც ეს ვალდებულების ტექსტშია მითითებული. შესაბამისად, საზოგადოებისგან პორტალის კონკრეტულ ფუნქციებსა და მოდულებზე კომენტარების მიღება კონცეფციის შემუშავებისა და პორტალის შექმნისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება.

ამასთანავე, აპარატის რეკომენდაციებზე დაყრდნობით, სამინისტრომ პერსონალური ინფორმაციის დელიკატურობა უნდა გაითვალისწინოს და შემდეგი ნაბიჯები უნდა გადადგას:

- მოქალაქეებს მისცეს საშუალება, თავად განსაზღვრონ პორტალზე განსათავსებელი პერსონალური ინფორმაციის ტიპი;
- პაციენტებს, რომლებიც უარს განაცხადებენ პორტალის გამოყენებაზე, სერვისების მიღების ალტერნატიული გზები შესთავაზოს;
- დაიცვას პორტალი ინფორმაციის გაუონვისა და შემთხვევითი არალეგალური გამჟღავნებისგან.

მომდევნო სამოქმედო გეგმაში შეტანის შემთხვევაში ვალდებულება უფრო მეტად უნდა დაუკავშირდეს OGP-ის პრინციპებს. მაგალითად, სამინისტრომ უნდა შექმნას სახელმწიფო სერვისების გამოყენებისას უკუკავშირის/პრეტენზიების დაფიქსირების (რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარვეზები, შესაძლო კორუფციის შემთხვევები და სხვა) მექანიზმი, რომელიც სამინისტროსადმი დაქვემდებარებული უწყებების ანგარიშვალდებულებას გაზრდის. ვალდებულების OGP-ის ღირებულებებთან დაკავშირება შეიძლება ასევე ისეთ საკითხებზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებით, რომლებიც საზოგადოებისგან უკუკავშირის მიღებისას გამოიკვეთება. ამასთანავე, სამინისტროს შეუძლია შეათვასოს ჯანდაცვის პოლიტიკა (მათ შორის, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა) იმისთვის, რომ მოქალაქეებს მიაწოდოს ინფორმაცია სამინისტროს პროგრამებისა და მათი უპირატესობების შესახებ.

-
- ¹ ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმა, <http://bit.ly/2qwgU9d>
- ² ქეთევან გოგინაშვილი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აპარატის უფროსი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 2 აგვისტო
- ³ გოგინაშვილი, ინტერვიუ, აგვისტო, 2017
- ⁴ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საინფორმაციო პორტალი, <http://cloud.moh.gov.ge/Pages/SearchPage.aspx>
- ⁵ პორტალის მოძულებების სია, <http://ehealth.moh.gov.ge/Hmis/Portal/Default.aspx>
- ⁶ გოგინაშვილი, ინტერვიუ, აგვისტო, 2017
- ⁷ მიხეილ დარჩიაშვილი, უფროსი მრჩეველი სახელმწიფო მართვის საკითხებში, ლევან სამადაშვილი, პროექტის ხელმძღვანელის მოადგილე, მარიკა გორგაძე, სახელმწიფო მართვის პროგრამის მენეჯერი, დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში, Tetra Tech ARD, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 4 აგვისტო
- ⁸ საბა ბუაძე, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) ანტიკორუფციული მიმართულების ხელმძღვანელი, OGP-ის ფორუმის შეხვედრა, 2017 წლის 14 ივლისი
- ⁹ პროექტის წარმომადგენლის განცხადებით, ამ ღონისძიებების შემდეგ მოხდება ტექნიკური დავალების შემუშავება ერთობლივი საგრანტო პროექტის ფარგლებში, რომელიც ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით ესტონეთის ელექტრონული მმართველობის აკადემიის და მისი ადგილობრივი პარტნიორი ორგანიზაციის - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ ხორციელდება.
- ¹⁰ ქეთევან გოგინაშვილი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აპარატის უფროსი, ელექტრონული მიმონერა IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 12 სექტემბერი
- ¹¹ გოგინაშვილი, ინტერვიუ, აგვისტო, 2017
- ¹² სალომე ბახსოლიანი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, ელექტრონული მიმონერა IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 21 სექტემბერი
- ¹³ გოგინაშვილი, ინტერვიუ, აგვისტო, 2017
- ¹⁴ დარჩიაშვილი, სამადაშვილი, გორგაძე, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

3. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ლიცენზიების ელექტრონული სისტემის დანერგვა

ვალდებულების ტექსტი:

დღეის მდგომარეობით, გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ბუნებრივი რესურსებით (გარდა ნავთობისა და გაზისა) სარგებლობის ლიცენზიების გაცემა მხოლოდ ნაწილობრივ არის ელექტრონიზებული. ლიცენზიანტს ელექტრონულად მხოლოდ აუქციონში მონაწილეობა შეუძლია. მოქალაქეს, რომელსაც ლიცენზიის ან/და სხვა ფასიანი მომსახურების მიღება სურს, აუქციონის მიღმა, აუქციონამდელ და მის შემდეგაც, არაერთი პროცესის (მაგალითად, განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის წარდგენა, მესაკუთრის თანხმობისა და დასკვნის წარდგენა, სტატისტიკური ფორმის წარდგენა და სხვ.) ქალაქდღე წარმართვა უხდება. ეს კი მოქალაქისა და სააგენტოს დამატებითი დროისა და ფინანსური რესურსის ხარჯვას იწვევს. გართულებულია არაელექტრონული სახით მიღებული ინფორმაციის დაჯგუფება და ანალიზიც, რაც უმნიშვნელოვანესი ამოცანაა როგორც ინფორმაციის დროულად და ხარისხიანად გაცემისთვის, ისე მონაცემთა ბაზების ფორმირებისათვის, რათა სხვადასხვა ტიპის მომსახურებები დროულად მიენდოთ ლიცენზიანტებს, ლიცენზიის მაძიებლებს, სახელმწიფო სტრუქტურებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს.

აღნიშნული ვალდებულებით გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ლიცენზიების გაცემა და სხვა ფასიანი მომსახურების განწევა სრულად ელექტრონიზებული გახდება. ელ. სისტემის მეშვეობით განხორციელდება ლიცენზირების სფეროში არსებული მასალის ავტომატური ელექტრონიზაცია. ამის შედეგად, სააგენტო შეძლებს ამ სფეროში არსებული ინფორმაციის დახარისხებას და ელექტრონული სტატისტიკის (ბაზის) წარმოებას. სისტემის საშუალებით გაიზრდება დამუშავებული ინფორმაციის გაცემის სისწრაფე და ხარისხი. გარდა ამისა, მომხმარებელს ექნება გამარტივებული წვდომა ლიცენზირების სფეროში არსებულ ნებისმიერ საჯარო ინფორმაციასთან (სტატისტიკა, რესურსების ონლაინ რუკა, გზამკვლევი და ა.შ) და შესაძლებელი გახდება ლიცენზიანტების ურთიერთდაკავშირება მათ შორის ინფორმაციის გაცვლის მიზნით.

წამყვანი დაწესებულება: სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

დამხმარე დაწესებულება: არ არის

დაწყების თარიღი: დეკემბერი, 2015

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2017

ვალდებულების აღწერა	კონკრეტულობა	OGP-ის დირეზივობა	ლირეზივობა	პოტენციური შედეგი	დროულად?	შესრულება
---------------------	--------------	-------------------	------------	-------------------	----------	-----------

	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშგაღებულ რეზოლუციებსა და ტენდერების ინოვაცია	გამჭვირვალობისა და ანგარიშგაღებულ რეზოლუციების სათვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არა	არ დაწყებულა	შემდეგული	არსებითი	შესრულებული
3. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ლიცენზიების ელექტრონული სისტემის დანერგვა			✓		✓					✓			არა		✓		

კონტექსტი და მიზნები

საქართველოში ინვესტორები ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის გარემოს ეროვნული სააგენტოსგან ლიცენზიების მიღებასთან დაკავშირებით სირთულეებს აწყდებოდნენ. ამ კუთხით მნიშვნელოვანი ოდენობის საკანცელარიო სამუშაოა შესასრულებელი და პროცესი ჭიანურდება. ვალდებულების მიზანია ლიცენზირების დოკუმენტაციის წარმოების დაჩქარება ლიცენზიების ელექტრონული სისტემის დანერგვით.

ამჟამად ლიცენზიების მისაღებად მოთხოვნების უმეტესობა ქვიშით, ხრეშითა და წყლით სარგებლობას უკავშირდება. ვალდებულების შემუშავებამდე გარემოს ეროვნულმა სააგენტომ მსხვილ და მცირე მასშტაბის მწარმოებელთა ფოკუსგუფებთან მრავალი შეხვედრა გამართა. მწარმოებლების უმეტესობამ ლიცენზიების ელექტრონული სისტემის შექმნა მოითხოვა. კონსულტაციის პროცესში სააგენტო ასევე შეხვდა დარგში მომუშავე ძირითად არასამთავრობო ორგანიზაციებს – „მწვანე ალტერნატივას“ და „კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელს“ (CENN), რომლებმაც ვალდებულება დადებითად შეაფასეს.¹

ახალი სისტემა ბუნებრივი რესურსების სფეროში ლიცენზირების პროცედურების გასაუმჯობესებლად წინ გადადგმული, მაგრამ მცირე ნაბიჯია. სისტემა ინვესტორებს საშუალებას მისცემს, გაიარონ ონლაინრეგისტრაცია მომხმარებლის სახელისა და პაროლის გამოყენებით და შექმნან პერსონალური გვერდი, რომელზედაც განთავსდება ყველა სათანადო ინფორმაცია, რომელსაც ინვესტორები გარემოს ეროვნულ სააგენტოს გაუცვლიან. სისტემა იმავე მოდელს გამოიყენებს, რომელსაც იყენებს შემოსავლების სამსახურის ვებგვერდი, rs.ge, რომელზედაც შემოსავლების სამსახურსა და გადასახადის გადამხდელებს შორის გაცვლილი პერსონალიზებული ინფორმაციაა განთავსებული. ლიცენზიების ახალი ელექტრონული პორტალი შეიცავს აგრეთვე საჯაროდ ხელმისაწვდომ ინფორმაციას, როგორცაა გაცემული ლიცენზიების რაოდენობა, სალიცენზიო ობიექტების მახასიათებლები, რესურსების ონლაინრეკა და სახელმძღვანელო დოკუმენტები.² ამდენად, ვალდებულება შეესაბამება OGP-ის ღირებულებას – ზრდის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

შესრულება

შუალედური ანგარიშის დროს ვალდებულება შეზღუდულად იყო შესრულებული. გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პირველი ეტაპი, რომელიც ბიზნესპროცესების ანალიზს მოიცავდა, 2017 წლის ივნისში წარმატებით დასრულდა. თუმცა შემდეგ ეტაპზე სააგენტოს გაუჩნდა ორი იდეა, რომელთა განხორციელებაც, როგორც აღმოჩნდა, სირთულეებთან არის დაკავშირებული: 1. ახალ სისტემაში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინტეგრირება ლიცენზიატების მიერ სალიცენზიო ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის მიზნით; 2. მინერალური რესურსებით სარგებლობის სფეროში უფრო ძლიერი ელექტრონული მოდულების განვითარება. სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტები ამჟამად აანალიზებენ, რამდენად არის შესაძლებელი სისტემისთვის ამ ორი კომპონენტის დამატება, რის გამოც შესაძლოა ვალდებულების შესრულების ვადამ გადაინიოს.³

შემდეგი ნაბიჯები

დაინტერესებულმა მხარეებმა OGP-ის სამოქმედო გეგმის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სფეროზე გავრცელების შესახებ მთავრობის გადანყვეტილება დადებითად შეაფასეს, მით უფრო, რომ მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი იქნება სტატისტიკური მონაცემები, ონლაინრუკები და ბუნებრივი რესურსების ლიცენზირების სახელმძღვანელო დოკუმენტები. ამასთანავე, ისინი თანხმდებიან, რომ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ლიცენზიების გაცემის ელექტრონული პროცესი გარემოს ეროვნულ სააგენტოსა და ინვესტორებს შორის ურთიერთობებს გააუმჯობესებს და ინვესტორებს შესაბამისი ლიცენზიების მისაღებად განაცხადის წარდგენას გაუმარტივებს.⁴

მიუხედავად ამისა, დაინტერესებულმა მხარეებმა ბუნებრივი რესურსების მართვის სფეროში გამჭვირვალობის გასაზრდელად მრავალი რეკომენდაცია წარმოადგინეს:

- კერძოდ, მოქალაქეები აუქციონისთვის ბუნებრივი რესურსების შერჩევის შესახებ გადანყვეტილების მიღების პროცესში ჩართული უნდა იქნენ სანყის ეტაპზე და არა მოგვიანებით, როდესაც რესურსი უკვე აუქციონზეა გატანილი და ამ რესურსით სარგებლობისთვის ლიცენზიაც გაცემულია. ეს იმას ნიშნავს, რომ მთავრობამ უნდა გამოაქვეყნოს დაგეგმილი ლიცენზიების შესახებ ინფორმაცია და აუქციონის პროცესის დაწყებამდე უნდა განუმარტოს საზოგადოებას მათი სარგებელი.
- მეორე, კომპანიების მიერ სალიცენზიო პირობების შესრულების ყველა ანგარიში პროაქტიულად უნდა გამოქვეყნდეს. ამჟამად ამ ინფორმაციის უმეტესი ნაწილი დაფარულია კომერციული საიდუმლოების წესების თანახმად. „მწვანე ალტერნატივამ“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეიტანა ამ და გარემოს შესახებ ყველა სხვა ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფის მოთხოვნით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესების თანახმად.⁵ შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ლიცენზიების ახალი ონლაინსისტემა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით დადგენილი გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების თანახმად მოქმედებდეს.⁶

- დაინტერესებული მხარეების აზრით, ახალი სისტემა ასევე უნდა მოიცავდეს ინფორმაციას სხვა სახის ბუნებრივი რესურსების შესახებ, როგორცაა ტყე და მინა. მაგალითად, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ტერიტორიის 35–50 პროცენტი ტყისგან შედგება, უნდა შეიქმნას აგრეთვე ტყის მართვის ონლაინპორტალი, რომელსაც საზოგადოებრივი მონიტორინგის კომპონენტი ექნება.⁷ გარდა ამისა, მინათსარგებლობის შესახებ გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) სახელმძღვანელოს თანახმად, მთავრობამ მინა ბუნებრივ რესურსად უნდა მიიჩნიოს და მიწით სარგებლობისთვის საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული დაცვის სტანდარტები უნდა გამოიყენოს.⁸

¹ ელენე ქემაშვილი, გარემოს ეროვნული სააგენტოს სტრატეგიული დაცემისა და სისტემური მართვის დეპარტამენტის სისტემური მართვის სამსახურის უფროსი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 10 აგვისტო

² ქემაშვილი, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

³ ქემაშვილი, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

⁴ ნინო ანთაძე, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) გარემოს დაცვისა და ენერჯეტიკის მიმართულების ხელმძღვანელი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 14 აგვისტო

⁵ ქეთი გუჯარაიძე, „მწვანე ალტერნატივის“ ანალიტიკოსი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 9 აგვისტო

⁶ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, მიღებულია 2017 წლის 1 ივნისს, <http://bit.ly/2xdr4Vy>

⁷ რეზო გეთიაშვილი, „კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის“ (CENN) გარემოსდაცვითი პროექტების კოორდინატორი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 11 აგვისტო

⁸ გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, „სურსათის ეროვნული უშიშროების კონტექსტში მინის, მეთევზეობისა და ტყეების ანგარიშვალდებულებული მართვის ნებაყოფლობითი სახელმძღვანელო“, რომი, 2012, <http://bit.ly/11ZY3gX>

4. ენერგეტიკის დარგობრივი სივრცითი (გეოგრაფიული) მონაცემების ვებპორტალის შექმნა

ვალდებულების ტექსტი:

ენერგეტიკულ სექტორში გეოინფორმაციული სისტემები (GIS) სათანადოდ არ არის განვითარებული; არ არსებობს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა; არ არსებობს ინტერნეტსივრცე, სადაც განთავსებული იქნება ინფორმაცია ენერგეტიკული ობიექტების ადგილმდებარეობისა და სხვადასხვა მახასიათებლების შესახებ, რაც ხელს უშლის დაინტერესებულ პირებს (მათ შორის, ინვესტორებს), სწრაფად მოიპოვონ ინფორმაცია. მცირდება სხვადასხვა პროექტის განხორციელების მიმართ ინტერესი, აგრეთვე, მიმდინარე პროექტების ეფექტურად განვითარების შესაძლებლობა.

მოცემული ვალდებულების ფარგლებში ენერგეტიკის სამინისტრო შექმნის საჯაროდ ხელმისაწვდომ ელექტრონულ სივრცეს, სადაც განთავსდება პერიოდულად განახლებადი ინფორმაცია სივრცითი მონაცემების შესახებ. პორტალის მეშვეობით, დაინტერესებული პირი დისტანციურად (როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე საზღვარგარეთიდან) მიიღებს საჭირო ინფორმაციას ენერგეტიკული ობიექტების ადგილმდებარეობისა და სხვადასხვა მახასიათებლების შესახებ. ეს ხელს შეუწყობს ინვესტორებს, შეათვასონ სასურველი პროექტის განხორციელების მიზანშეწონილობა, როგორც საწყის, ისე ნებისმიერ შემდგომ ეტაპზე.

ვალდებულება ემსახურება საჯარო მმართველობის ეფექტიანობის, ინოვაციისა და ტექნოლოგიის პრინციპების განმტკიცებას.

წამყვანი დაწესებულება: საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

დამხმარე დაწესებულება: არ არის

დაწყების თარიღი: სექტემბერი, 2016

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2017

ვალდებულების აღწერა	კონკრეტულობა				OGP-ის შესაბამისობა				ლირებულებებთან				პოტენციური შედეგი				დროულად?	შესრულება			
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები	ინოვაცია	გამჭვირვალობისა	ანგარიშვალდებულები-სათვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსსფორმაციული	არ დაწყებულა		შემდგომი	არსებითი	შესრულებული	
4. ენერგეტიკის დარგობრივი სივრცითი (გეოგრაფიული) მონაცემების ვებპორტალის შექმნა			✓		✓				✓				✓			არა			✓		

კონტექსტი და მიზნები

საქართველოს მოქალაქეებს მთავრობის ენერგეტიკული პროექტების შესახებ, მათ შორის, მათი ადგილმდებარეობისა და მახასიათებლების თაობაზე, მწირი ინფორმაცია აქვთ. ამის საპასუხოდ, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ ვალდებულება აიღო, შეექმნა საჯაროდ ხელმისაწვდომი ონლაინპორტალი, რომელზედაც ზემოაღნიშნული მონაცემები განთავსდებოდა.

თუ ვალდებულება სრულად შესრულდა, პორტალი ენერგეტიკული მონაცემების საჯარო ხელმისაწვდომობის გაზრდაზე მცირე გავლენას მოახდენს. ადრე ენერგოსადგურების ადგილმდებარეობისა და მახასიათებლების შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომი მონაცემები არ არსებობდა – ეს ინფორმაცია მხოლოდ ექსპერტთა მცირე ჯგუფს ჰქონდა. თუმცა ვალდებულება ძალიან შეზღუდული საჯარო ინტერესის გამომწვევი ინფორმაციის გამოქვეყნებას გულისხმობს. ამ სფეროში ტრანსფორმაციული რეფორმა მოიცავს ენერგობიექტების საექსპლუატაციოდ შერჩევის კრიტერიუმების შესახებ დეტალური ინფორმაციის გამოქვეყნებას, აგრეთვე ინვესტორებთან დადებული ხელშეკრულებების პირობების და ენერგოპროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშების გამოქვეყნებას. ის ასევე ითვალისწინებს ადვილად ხელმისაწვდომი მექანიზმების შექმნას გადაწყვეტილების მიღების პროცესის ყველა ეტაპზე მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

შესრულება

შუალედური ანგარიშის დროს ვალდებულება შეზღუდულად იყო შესრულებული, რადგან ახალი ენერგოპორტალი არ ამოქმედებულა. სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, სამინისტრომ შექმნა შიდა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შესაბამისი საჯარო უწყებები და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ენერგოკომპანიები შევიდნენ, და მიაღწია შეთანხმებას იმაზე, თუ რა სახის ინფორმაცია უნდა განთავსდეს პორტალზე. ამასთანავე, სამინისტრომ მოახდინა მისდამი დაქვემდებარებული იმ ენერგოკომპანიების იდენტიფიცირება, რომელთაც პორტალისთვის მონაცემების მიწოდება ევალებათ. კომპანიებმა უკვე დაიწყეს ზოგიერთი საკუთარი მონაცემის გაზიარება და სამინისტრო ამჟამად ამ მონაცემებს ანალიზებს.¹

ახალ პორტალზე განთავსდება მონაცემები შემდეგი ენერგობიექტების ადგილმდებარეობის, სიმძლავრისა და გამანაწილებელი ქსელების შესახებ: ჰიდროელექტროსადგურები, გაზსადენები და ნავთობის რეზერვუარები. განახლებადი ენერჯის წყაროები, კერძოდ, ქარისა და მზის ენერჯია, პოტენციურ პროექტებში შედის და ამ წყაროების შესახებ ინფორმაციაც გამოქვეყნდება. ენერგობიექტების სამშენებლო პროექტები სამი კრიტერიუმის მიხედვით დაჯგუფდება: დასრულებული, მიმდინარე და პოტენციური პროექტები. პორტალზე ინფორმაციის განახლება იქნება როგორც სამინისტროს, ისე ენერგოკომპანიების პასუხისმგებლობა. ამასთანავე, სამინისტრო განიხილავს ინვესტორებთან დადებული ხელშეკრულებისა და მათი ღირებულების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების საკითხს, თუმცა მთავარი გამოწვევა ის არის, რომ შესაძლოა ინვესტორებმა მოისურვონ ამ ინფორმაციის გასაიდუმლოება კომერციული საიდუმლოების წესების თანახმად.² სამინისტრო გეგმავს, ახალი ენერგოპორტალი

საკუთარ ვებგვერდზე 2017 წლის ბოლომდე აამოქმედოს. თუმცა აუცილებელი კომპიუტერული პროგრამის შესაძენად საჭირო თანხების და პროექტში ჩართული ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე მომუშავე თანამშრომლების ნაკლებობის გამო შესაძლებელია ვალდებულების შესრულების ვადამ გადაინიოს.³

შემდეგი ნაბიჯები

დაინტერესებულმა მხარეებმა ვალდებულება დადებითად შეაფასეს, თუმცა, მათი აზრით, OGP-ის კონტექსტში უფრო მნიშვნელოვანია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- ენერგობიომეტიკების საექსპლუატაციოდ შერჩევის პროცესის ღიაობის, შერჩევის მეთოდოლოგიის და ინვესტორებთან დადებული ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების საჯაროობის უზრუნველყოფა. ეს პროცესი უნდა განხორციელდეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესების მიხედვით, ისევე, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაცია ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ლიცენზიების გაცემასთან დაკავშირებით.
- სამინისტრომ მოქალაქეები ენერგობიომეტიკების ექსპლუატაციის შესახებ გადანყვეტილების მიღების ყველაზე ადრეულ ეტაპზე უნდა ჩართოს და პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშები საჯარო უნდა გახადოს. ასე არ მოხდა გახმაურებული შემთხვევების დროს, როდესაც მთავრობამ ნენსკრის, ნამახვანისა და ხუდონის ჰიდროელექტროსადგურების პროექტებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი საპროექტო დოკუმენტები დაფარა კომერციული საიდუმლოების წესების თანახმად და ვერც ფართო საჯარო კონსულტაციების პროცესი უზრუნველყო. ⁴ კიდევ ერთი საკითხი – ბევრი მთავრობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშებს ნაკლებად ენდობა, რადგან ზოგჯერ ეს ანგარიშები არ ითვალისწინებს რეალურ ზიანს, რომელიც შეიძლება ენერგოპროექტმა ადგილობრივ კლიმატს, გარემოსა და მოსახლეობას მიაყენოს. ამის მაგალითია ის, რომ მთავრობამ საქართველოს მთიან რეგიონში, სვანეთში, ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის პროექტის განხორციელებისთვის საკმარისი ახსნა-განმარტება ვერ წარმოადგინა, რამაც საზოგადოების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.⁵
- დაინტერესებული მხარეები მთავრობას რეკომენდაციას აძლევენ, განვითარდეს ხის გადამუშავებით (ნახერხიდან) მყარი ბიომასის, როგორც განახლებადი ენერჯის წყაროს, მიღება, რომელსაც სანვავისთვის საჭირო მნიშვნელოვანი ოდენობის ენერჯის გამომუშავება შეუძლია, განსაკუთრებით – საქართველოში სათბობი რესურსების ამჟამინდელი სიმწირის გათვალისწინებით. ამასთან დაკავშირებული რეკომენდაციაა, მოხდეს საქართველოს ენერგორესურსების, მათ შორის, ბიომასის, არსებული ელექტრონული რუკის ახალ პორტალთან ინტეგრირება და საბაზისო წყაროდ გამოყენება.⁶ ეს რუკა საქართველოს სხვადასხვა ზონად ყოფს და მოცემულ ზონაში ნაგებობის ასაშენებლად საჭირო ენერგორესურსებიდან და თითოეული რეგიონის მახასიათებლებიდან

გამომდინარე ამ რესურსების გამოყენების ეფექტიანობის შესახებ ინფორმაციას შეიცავს.⁷

¹ ირაკლი თავართქილაძე, საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 16 აგვისტო

² თავართქილაძე, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

³ თავართქილაძე, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

⁴ ქეთი გუჯარაიძე, „მწვანე ალტერნატივის“ ანალიტიკოსი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 9 აგვისტო

⁵ ნინო ანთაძე, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) გარემოს დაცვისა და ენერჯეტიკის მიმართულების ხელმძღვანელი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 14 აგვისტო

⁶ რეზო გეთიაშვილი, „კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის“ (CENN) გარემოსდაცვითი პროექტების კოორდინატორი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 11 აგვისტო

⁷ ზაალ ხელაძე, ახალი ტექნოლოგიების ცენტრის დირექტორი, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 7 სექტემბერი

5. ინოვაციების ეკოსისტემის შექმნა

ვალდებულების ტექსტი:

ინოვაციების ეკოსისტემის შექმნის ვალდებულებას საფუძვლად უდევს მსოფლიო ბანკის მიერ განხორციელებული კვლევა.

ინოვაციების ეკოსისტემის ფორმირებისთვის მნიშვნელოვანია კომპლექსური ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელს შეუწყობს ინოვაციური საზოგადოების ჩამოყალიბებას და ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის შექმნას.

სამოქმედო გეგმის ფარგლებში აღებული ორკომპონენტური ვალდებულებით საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო (შემდგომში – ინოვაციების სააგენტო) მიზნად ისახავს მოქალაქეებს გაუმარტივოს თანამედროვე მაღალტექნოლოგიურ დანადგარებზე, კომპიუტერულ ტექნოლოგიებსა და მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომა. ეს განავითარებს საზოგადოების კომპიუტერულ წიგნიერებასა და საქმიანობის კომერციალიზაციისთვის საჭირო უნარებს.

კომპონენტი I – ინოვაციების სააგენტო გეგმავს დედაქალაქში არსებული ინოვაციების ინფრასტრუქტურის (ტექნოპარკი) განვითარებას, ხოლო საქართველოს რეგიონების მასშტაბით ინოვაციების ინფრასტრუქტურის შექმნას მსოფლიო ბანკის დაფინანსებით.

ინოვაციების ინფრასტრუქტურის განვითარება ითვალისწინებს: 1. დედაქალაქში ინოვაციების არსებული ინფრასტრუქტურის განვითარებას; 2. დიდ ქალაქებში რეგიონალური ინოვაციების ჰაბების შექმნას; 3. ინოვაციების ცენტრების (ინოვაციების ცენტრები შეიქმნება არსებული ინფრასტრუქტურის (ბიბლიოთეკები, საგანმანათლებლო დაწესებულებების) ბაზაზე მუნიციპალიტეტის ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობით და მათი უშუალო მონაწილეობით) შექმნას შემოგარენ სოფლებში; 4. რეგიონებში ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის გაზრდას. აღნიშნული შედეგების გასაზომად შემუშავდება ბენეფიციარების აღრიცხვის სისტემა.

რეგიონული ინოვაციების ჰაბი (ცენტრი) წარმოადგენს მინიტექნოპარკს. რეგიონის დიდ ქალაქში შეიქმნება ერთი რეგიონული ჰაბი, რომელსაც სამი რაიონული ინოვაციების ცენტრი დაუკავშირდება. ინოვაციების ცენტრების ლოკაცია წინასწარი კვლევების საფუძველზე შეირჩევა. აღნიშნულ ჰაბებში უზრუნველყოფილი იქნება სხვადასხვა სპექტრის სატრენინგო სერვისების მიწოდება. ინოვაციების ცენტრების მეშვეობით სპეციალური უნარების საჭიროებების კვლევის საფუძველზე ჩატარდება ტრენინგები, რომლებიც მორგებული იქნება კონკრეტული ლოკაციის საჭიროებებს. გარდა საგანმანათლებლო მიზნებისა, ინოვაციების ცენტრები უზრუნველყოფილი იქნება შეხვედრების ოთახებით, სადაც სხვადასხვა თემებზე იქნება შესაძლებელი შეხვედრების, პრეზენტაციების, მენტორინგის ჩატარება. სერვისების მიწოდება განხორციელდება თავისუფალი დასწრების პრინციპით. ინოვაციების ცენტრების მართვას განხორციელებს სპეციალური კომპანია, ხოლო შემდგომ ცენტრები ადგილობრივ თვითმმართველობას გადაეცემა სამართავად.

კომპონენტი II გულისხმობს მოსახლეობის ინოვაციურ მომსახურებებზე წვდომის უზრუნველყოფას ისეთი საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელებით, როგორცაა ტრენინგები, ოლიმპიადები, დისტანციური სწავლება, საკონსულტაციო სერვისები, ფიზიკური პირებისა და მენარმეებისთვის კომპიუტერული წიგნიერების დონისა და საჭირო უნარ-ჩვევების ამაღლება.

წამყვანი დაწესებულება: სსიპ – ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

დამხმარე დაწესებულებები: საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანო – კვლევებისა და ინოვაციების საბჭო, მსოფლიო ბანკი

დაწყების თარიღი: ივნისი, 2016

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2017

ვალდებულების აღწერა	კონკრეტულობა				OGP-ის შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				დროულად?	შესრულება					
	არცერთი	დაბალი	სამუშაო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშგაღებულება	ტექნოლოგიები	ინოვაცია	გამჭვირვალობისა	ანგარიშგაღებულები-სათვის	არცერთი		მცირე	სამუშაო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი
5. ინოვაციების ეკოსისტემის შექმნა			✓		გაურკვეველი						✓		არა		✓				

კონტექსტი და მიზნები

საქართველოში სოფლად მცხოვრები მოქალაქეებისთვის განგრძობადი განათლებისა და ტრენინგურსების ხელმისაწვდომობა შეზღუდულია, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის შრომით ბაზარზე კვალიფიციური კანდიდატების სიმცირეს და წარმოების დაბალ დონეს განაპირობებს.¹ ვალდებულებით საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს მენარმეობასა და სამუშაო ადგილების შექმნას ინოვაციების ეკოსისტემის განვითარებით, კერძოდ, ტექნოპარკებითა და ინოვაციების ცენტრებით, რომლებიც მოქალაქეებისთვის თანამედროვე ტექნოლოგიების და უნარების გასაუმჯობესებელი ტრენინგების თავისუფალ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს.

ვალდებულების OGP-სთან კავშირი გაურკვეველია. თუ ის ქვეყნის მასშტაბით სრულად შესრულდა, ტექნოპარკებსა და ინოვაციების ცენტრებს აქვთ პოტენციალი, გააუმჯობესონ ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი მისი უფასო განათლების და მენარმეობის ღონისძიებების ხელშეწყობით. OGP-ის კონტექსტში ტრანსფორმაციული რეფორმა მოიცავს მომხმარებლებისთვის ქმედითი მექანიზმების შექმნას, რათა მათ ინოვაციური იდეების პირდაპირ ადგილობრივი ხელისუფლებისთვის მიწოდება შეძლონ და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში წვლილი შეიტანონ.

შესრულება

შუალედური ანგარიშის დროს ვალდებულება შეზღუდულად იყო შესრულებული. კვლევის პერიოდში, დაგეგმილი ორი ტექნოპარკისა და 13 ინოვაციების ცენტრის ნაცვლად, ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ ერთი ტექნოპარკი და სამი ინოვაციების ცენტრი გახსნა. კერძოდ, 2016 წლის ოქტომბერში სააგენტომ ზუგდიდში გახსნა ახალი ტექნოპარკი, რომელიც არსებული თბილისის ტექნოპარკის შემდეგ მეორეა. ამას გარდა, სამი საპილოტე ინოვაციების ცენტრი გაიხსნა ხარაგაულში, ბაღდათსა და ჭოპორტში. სააგენტო გეგმავს, 2017 წლის ბოლომდე ერთი ტექნოპარკი თელავში გახსნას.² როგორც ზემოთ აღინიშნა, სააგენტოს რეგიონებში კიდევ 10 ინოვაციების ცენტრი უნდა გაიხსნას, თუმცა ცენტრებისთვის გამოყოფილი ძველი შენობების ცუდ მდგომარეობაში ყოფნის გამო ვალდებულების შესრულების ვადამ გადაინია. ამ საკითხის გადასაწყვეტად ორი ალტერნატივა არსებობს: 1. ახალი შენობების ასაშენებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების გამოყოფა; 2. ცენტრებისთვის კერძო სივრცის დაქირავება. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ 10 ახალი შენობის ასაშენებლად თანხები უკვე გამოყო, თუმცა პირველი ტენდერი ჩავარდა და ამჟამად სამინისტრო მეორე ტენდერს აცხადებს.³

ტექნოპარკებისა და ინოვაციების ცენტრებისთვის ადგილები შეირჩა მსოფლიო ბანკის კვლევის შედეგად, რომელმაც შემდეგი ფაქტორები გაითვალისწინა: მოცემული რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ფართობლოვანი ინტერნეტის ხელმისაწვდომობის და კომპიუტერის ცოდნის დონე, სერვისების მიწოდების ხარისხი და ადგილობრივი მთავრობების თანამშრომლობისთვის მზაობა.⁴ სააგენტოს წარმომადგენლის განცხადებით, ადგილობრივი მთავრობები სააგენტოსთან მთელი პროექტის განმავლობაში ძალიან აქტიურად თანამშრომლობდნენ. კერძოდ, მათ ინოვაციების ცენტრებისთვის შერჩეული მუნიციპალური შენობების რემონტისა და დიზაინისთვის საჭირო თანხები გამოყვეს. ტექნოპარკები სააგენტოს საკუთრებაშია და მომავალშიც ასე იქნება, ინოვაციების ცენტრები კი ადგილობრივ მთავრობებს გადაეცემა საკუთრებაში.⁵ როგორც ტექნოპარკები, ისე ინოვაციების ცენტრები განსხვავდება იუსტიციის სახლებისა და საზოგადოებრივი ცენტრებისგან, რომელთაც საქართველოს იუსტიციის სამინისტრო მართავს. პირველი მათგანი ხელს უწყობს ინოვაციურ ბიზნესგადაწყვეტილებებს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ტრენინგების, დისტანციური სწავლების კურსების, ინოვაციური იდეებისთვის საგრანტო პროგრამების, მაღალი ტექნოლოგიის მექონე ინფრასტრუქტურის და საკონსულტაციო სერვისების მეშვეობით, ხოლო მეორე უზრუნველყოფს ძირითადი საჯარო სერვისების მიწოდებას, როგორცაა პერსონალური დოკუმენტებისა და ქონების რეგისტრაცია.⁶

ადრეული შედეგები (თუ არის)

ტექნოპარკებისა და ინოვაციების ცენტრებისთვის ადგილების შერჩევამდე დამოუკიდებელი კონსულტანტების მიერ ჩატარებულმა საჭიროებების კვლევამ აჩვენა, რომ ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები, მათ შორის, ადგილობრივი მთავრობები, სკოლების მასწავლებლები და სტუდენტები, აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციები ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ მიწოდებული ახალი სერვისების გამოყენებით ძალიან იყვნენ დაინტერესებული.⁷

ისინი განსაკუთრებით დაინტერესდნენ წარმოების, სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სფეროებში ბიზნესსტარტაპების შექმნის შესახებ კონსულტაციებით, აგრეთვე ინფორმაციული ტექნოლოგიების პროგრამირებაზე ტრენინგებით.⁸

სააგენტოს წარმომადგენელთა თქმით, არასამთავრობო ორგანიზაციები ინოვაციური სერვისების მიწოდებაში არიან ჩართული. მაგალითად, ქარელში მდებარე ცენტრის შენობა სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებისთვის უნდა ყოფილიყო ადაპტირებული და სააგენტომ ამის უზრუნველსაყოფად ინკლუზიური ტურიზმის საერთაშორისო ასოციაციასთან ითანამშრომლა.⁹ ამას გარდა, „ელვა - სამოქალაქო ჩართულობამ“ და „ჯეოლაბმა“ ინფორმაციული ტექნოლოგიების პროგრამირებაზე, სოციალურ მედიაზე, ბიზნესის მართვასა და გრაფიკულ დიზაინზე 10 ტრენინგი ჩაატარეს 150 ადგილობრივი სტუდენტისთვის ხუთივე ცენტრში. „ელვამ“ და „ჯეოლაბმა“ ასევე ორგანიზება გაუწიეს 10 ღონისძიებას, რომელთაც დაესწრო 300 ადამიანი, მათ შორის, ინფორმაციული ტექნოლოგიების პროგრამირების დისტანციური სწავლების კურსის მონაწილეები. ამ ღონისძიებების მიზანი იყო ჩატარებული ტრენინგების შეჯამება, ონლაინაპლიკაციებისთვის ინოვაციური იდეების შესაქმნელად კონკურსების ორგანიზება და ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ბიზნესის თემების განხილვა.¹⁰

სააგენტოს მიერ მოწოდებული მონაცემების თანახმად, 3100 ადამიანი ეწვია ერთ ახალ ტექნოპარკს და სამ ინოვაციების ცენტრს, კერძოდ, 800 ადამიანი ეწვია ზუგდიდის ტექნოპარკს, ხოლო 2300 ადამიანი – ხარაგაულის (940 ადამიანი), ბაღდათის (1170 ადამიანი) და ჭოპორტის (190 ადამიანი) ინოვაციების ცენტრებს. ამ სამ ცენტრში სააგენტომ 1500 ადამიანს ჩაუტარა ტრენინგები, ზუგდიდის ტექნოპარკში კი ტრენინგების ბენეფიციართა რაოდენობა 350 იყო. სააგენტოს არ ჩაუტარებია კვლევა იმის შესატყვისებლად, თუ რამდენად კმაყოფილი არიან მომხმარებლები ტრენინგებითა და მიწოდებული სერვისებით. შესაბამისად, ორგანიზებული ღონისძიებების ადრეული შედეგების ანალიზი რთულია. სააგენტოს ასევე არ ჩაუტარებია კვლევა იმის დასადგენად, თუ რამდენად ხელმისაწვდომი გახდა ინტერნეტი იმ ადგილებში, სადაც ტექნოპარკები და ინოვაციების ცენტრები მდებარეობს.¹¹

შემდეგი ნაბიჯები

„ჯეოლაბის“ დირექტორმა და დამოუკიდებელმა კონსულტანტმა საქართველოში ინოვაციების ეკოსისტემის შექმნის ვალდებულება დადებითად შეაფასეს. მათი აზრით, მაღალი ტექნოლოგიის მქონე ინფრასტრუქტურისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობა, დისტანციური მუშაობა და ერთობლივი სამუშაოსთვის გამოყოფილი სივრცეები ცენტრების მიერ მოქალაქეებისთვის მიცემული ყველაზე დიდი სარგებელია.¹² თუმცა მათ ასევე აღნიშნეს, რომ ეს ცენტრები მთავრობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ან ადგილობრივ დონეზე გადანაცვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას არ ითვალისწინებს. ისინი უბრალოდ უზრუნველყოფს საჯარო შეხვედრებისა და ტრენინგებისთვის სივრცეს, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლება და არასამთავრობო ორგანიზაციები მოქალაქეებთან უკეთესი კავშირის დასამყარებლად ნებაყოფლობით გამოიყენებენ.¹³

მიუხედავად იმისა, რომ ცენტრების OGP-სთან კავშირი გაურკვეველია, IRM-ის მკვლევრები ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს რეკომენდაციას აძლევენ, არსებული ტექნოპარკებისა და ინოვაციების ცენტრების ფართო საზოგადოებისთვის უკეთ გასაცნობად შეიქმნას ერთიანი ონლაინპორტალი, რომელზედაც შეთავაზებული პროგრამებისა და სერვისების შესახებ დეტალური ინფორმაცია განთავსდება. როგორც სააგენტოს წარმომადგენლებმა აღნიშნეს, ისინი კვარტალში ერთხელ ორგანიზებას უწევენ ინოვაციების დღეების ზუგდიდში ჩატარებას და ადგილობრივ მოსახლეობას ზუგდიდის ტექნოპარკის სერვისების უფრო აქტიურად გამოყენებისკენ მოუწოდებენ.¹⁴ ასეთი საინფორმაციო ღონისძიებები შეიძლება გაიმართოს სხვა ადგილებშიც, სადაც ტექნოპარკები და ინოვაციების ცენტრები უკვე გახსნილია ან მომავალში გაიხსნება. ამასთანავე, სააგენტომ ადგილობრივ მთავრობებს უნდა შესთავაზოს დახმარება მოქალაქეებთან უკეთ დასაკავშირებლად და საჭიროებებისთვის მორგებული პოლიტიკის შემუშავებისთვის მოქალაქეთა იდეების მისაღებად ონლაინტექნოლოგიების გამოყენებაში. ეს შეიძლება გულისხმობდეს პროგრამული აპლიკაციების შექმნას, რომლებიც მოქალაქეებს ადგილობრივი მთავრობებისთვის პეტიციების გაგზავნასა და საბიუჯეტო პროცესებში მონაწილეობაში დაეხმარება. ცენტრებს ასევე შეუძლიათ რეგულარული ჰაკათონების ორგანიზებით ადგილობრივი მთავრობების წახალისება და დახმარება, რათა მათ ინფორმაციული ტექნოლოგიები და ონლაინმექანიზმები ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების იდენტიფიცირებისთვის და ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებზე მისი აზრის გამოსაკითხად გამოიყენონ.¹⁵

¹ მსოფლიო ბანკი, ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემის პროექტი, 2016 წლის 19 თებერვალი, <http://bit.ly/2wFEiZP>

² გიორგი კინწურაშვილი, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 18 აგვისტო

³ კინწურაშვილი, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

⁴ მსოფლიო ბანკი, ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემის პროექტი, 2016 წლის 19 თებერვალი, <http://bit.ly/2wFEiZP>

⁵ კინწურაშვილი, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

⁶ გიორგი ბეჟიტაშვილი, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ინოვაციების ცენტრების კოორდინატორი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 18 აგვისტო

⁷ სანდრო ასათიანი, „ჯეოლაბის“ დირექტორი, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 18 აგვისტო

⁸ ლაშა დალაქიშვილი, დამოუკიდებელი კონსულტანტი, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 18 აგვისტო

⁹ ბეჟიტაშვილი, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

¹⁰ ნინო ნანიტაშვილი, „ელვა - სამოქალაქო ჩართულობის“ დირექტორი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 8 სექტემბერი

¹¹ მარიამ დახუნდარიძე, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს კონსულტანტი, ელექტრონული მიმონერა IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 7 სექტემბერი

¹² ასათიანი, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

¹³ დალაქიშვილი, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

¹⁴ კინწურაშვილი, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

¹⁵ ნანიტაშვილი, ინტერვიუ, სექტემბერი, 2017

6. სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და განკარგვის ელექტრონული პორტალი – მომხმარებლის მოდული

ვალდებულების ტექსტი:

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო (შემდგომში – ქონების სააგენტო) ორიენტირებულია მომხმარებელს შესთავაზოს სწრაფი და ხელმისაწვდომი მომსახურება, მათ შორის, დისტანციური მომსახურებები მთელი ქვეყნის მასშტაბით, რათა საზოგადოებას შეუქმნას კომფორტი სახლიდან გაუსვლელად მიიღოს სააგენტოსგან ინფორმაცია და მომსახურება.

სამოქმედო გეგმით ქონების სააგენტო იღებს ვალდებულებას შექმნას სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და განკარგვის ელექტრონული პორტალი – მომხმარებლის მოდული. მომხმარებლის მოდულის შექმნა ემსახურება არა მხოლოდ მომსახურების განვების ელექტრონულ სივრცეში დანერგვას, არამედ პროცესების მაქსიმალურად გამჭვირვალედ წარმოებას.

მომხმარებლის მოდული შესაძლებლობას მისცემს ყველა დაინტერესებულ პირს მიიღოს ინფორმაცია სახელმწიფო ქონების, საპრივატიზებო ობიექტების, გამოცხადებული აუქციონების შესახებ. აღნიშნული გაზრდის კონკურენციას და გაუმარტივებს მომხმარებლებს იმ ქონების და მომსახურების (პრივატიზება/იჯარა) იდენტიფიცირებას, რომლისთვისაც შეუძლიათ სააგენტოს მიმართონ.

წამყვანი დაწესებულება: სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

დამხმარე დაწესებულება: არ არის

დაწყების თარიღი: აპრილი, 2016

დასრულების თარიღი: ივლისი, 2016

ვალდებულების აღწერა	კონკრეტულობა				OGP-ის შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				დროულად?	შესრულება				
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშგაღებულულება	ტექნოლოგიები	ინოვაცია	გამჭვირვალობისა და ანგარიშგაღებულულების სათვის	არცერთი	მცირე		საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შემლულული	არსებითი
6. სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და განკარგვის ელექტრონული პორტალი – მომხმარებლის მოდული			✓		✓				✓					არა		✓		

კონტექსტი და მიზნები

კორუფციის რისკების შემსუბუქების და საკანცელარიო სამუშაოს შემცირების მიზნით ბოლო წლებში მთავრობამ საჯარო სერვისების ელექტრონულად მიწოდებას

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო. ვალდებულებით სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ მიზნად დაისახა ელექტრონული პორტალის – „მომხმარებლის მოდულის“ შექმნა, რომელიც მოქალაქეებს მათ საკუთრებაში არსებული სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და მათი შეხედულებისამებრ განკარგვის საშუალებას მისცემს. სერვისის მიწოდების ასპექტის გარდა, ვალდებულება მოიცავს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების, საპრივატიზაციო ობიექტების და გამოცხადებული აუქციონების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას.

„მომხმარებლის მოდული“ მხოლოდ უძრავ სახელმწიფო ქონებას მოიცავს, რადგან ყველა მოძრავი ქონება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკუთრებაშია (და არა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსი, რომელსაც ექვემდებარება სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო). ახალი მოდულის მეშვეობით დაინტერესებული მხარეები უძრავი სახელმწიფო ქონების მიმართ ინტერესს გამოხატავენ, რის შემდეგაც სააგენტო ან მათ მოთხოვნას დააკმაყოფილებს და ქონებას აუქციონზე გაიტანს, ან მოთხოვნას უარყოფს და იმის მიზეზებს განმარტავს, თუ რატომ არ შეიძლება მოცემული ობიექტის აუქციონზე გატანა. სააგენტო საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხას გამოაქვეყნებს, თუმცა განმცხადებლებისა და მათი წინადადებების შესახებ ინფორმაცია, კომერციული საიდუმლოებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის წესებიდან გამომდინარე, საზოგადოებისთვის დაფარული იქნება.¹ არსებული პლატფორმა, eAuction.ge, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების, მათი მახასიათებლების და აუქციონის პროცედურების შესახებ მონაცემებს უკვე მოიცავს. შესაბამისად, მხოლოდ უძრავი სახელმწიფო ქონების შესახებ ონლაინრეკის შექმნის შემთხვევაში, თუ განმცხადებლებისა და მათი წინადადებების პირობების შესახებ მონაცემები დაფარული იქნება, სააგენტოს ძალისხმევა ინფორმაციის საჯარო ხელმისაწვდომობის გაზრდაზე მცირე გავლენას მოახდენს.

შესრულება

შუალედური ანგარიშის დროს ვალდებულება შეზღუდულად იყო შესრულებული. გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური დახმარებით 2016 წელს სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად სახელმწიფო ქონების მართვის სისტემის (SPMS) კომპიუტერულ პროგრამაზე დაიწყო მუშაობა. როგორც პასუხისმგებელი უწყების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, მთავარი გამოწვევა პროგრამის ამოქმედება და ინდივიდუალური საჯარო უწყებების სისტემებთან დაკავშირებაა. თავდაპირველი გეგმის მიხედვით, „მომხმარებლის მოდული“ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე უნდა ამოქმედებულიყო, თუმცა მოგვიანებით სააგენტომ გადაწყვიტა, ამ მიზნით გამოეყენებინა უკვე არსებული პლატფორმა, mygov.ge, რომელიც საქართველოში საჯარო ონლაინსერვისების ძირითადი წყაროა. mygov.ge-ზე „მომხმარებლის მოდულის“ სერვისის კომპონენტი იქნება ხელმისაწვდომი, ხოლო სახელმწიფო ობიექტების ონლაინრეკისები და მათი საკუთრების სტატუსის შესახებ ინფორმაცია სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნდება. რაც შეეხება თავად აუქციონს, იგი არსებული ვებპლატფორმის, eauction.ge-ს, მეშვეობით ჩატარდება.²

2017 წლის აგვისტოს მდგომარეობით, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო „მომხმარებლის მოდულის“ სარეზერვო სისტემის ტესტირებას ახორციელებს. სექტემბრიდან იგი საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად მოდულის სხვადასხვა კომპონენტთან დაკავშირებით მჭიდრო თანამშრომლობას დაიწყებს. მოდულის ამოქმედება 2018 წლის მარტისთვისაა დაგეგმილი.³

შემდეგი ნაბიჯები

დანიტერესებული მხარეები თანხმდებიან, რომ ვალდებულება ძირითადად სერვისის მიწოდებას შეეხება. თუმცა მათ დადებითად შეაფასეს ის ნაწილი, რომლითაც სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ სახელმწიფო ქონების, საპრივატიზაციო ობიექტების და აუქციონების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულება აიღო.⁴ ამასთანავე, როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯერ კიდევ გასარკვევია, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების შესახებ რა ახალი ინფორმაცია გამოქვეყნდება, გარდა იმისა, რაც eAuction.ge-ზე უკვე ხელმისაწვდომია, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებლებისა და მათი წინადადებების შესახებ მნიშვნელოვანი მონაცემები კომერციული საიდუმლოების წესების თანახმად დაფარული იქნება. IRM-ის მკვლევართა რეკომენდაციაა, უზრუნველყოფილ იქნეს ამ მონაცემების საჯაროობა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესების მიხედვით, მათ შორის, გამოქვეყნდეს ინფორმაცია განმცხადებლების მიერ ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისთვის მიკუთვნილებული ნაგებობების რემონტთან ან შენახვასთან დაკავშირებული ლიზინგის ხელშეკრულებების პირობების შესრულების შესახებ. ასეთი მონაცემები მეთვალყურე არასამთავრობო ორგანიზაციებს იმაში დაეხმარება, რომ უკეთ წარმართონ საკუთარი მონიტორინგისა და ადვოკატირების ღონისძიებები ისეთი მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით მთავრობის ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად, როგორცაა სახელმწიფო ქონების გაყიდვა ან ლიზინგით გაცემა.

¹ მაკა მიქაბერიძე, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის დაგეგმვისა და კონტროლის სამსახურის უფროსი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 9 აგვისტო

² მიქაბერიძე, ინტერვიუ, აგვისტო 2017

³ მიქაბერიძე, ინტერვიუ, აგვისტო 2017

⁴ ლევან ავალიშვილი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) პროგრამების დირექტორი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 25 ივლისი

7. ინფორმაციის თავისუფლების კანონის შემუშავება

ვალდებულების ტექსტი:

ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების დახვეწა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა, რომელიც ეტაპობრივად ხორციელდება.

ღია მმართველობა საქართველოს პირველი სამოქმედო გეგმის ფარგლებში აღებული ვალდებულებით შესაძლებელი გახდა საქარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილებების მიღება. ამ რეფორმით საქართველო 7 ფინალისტ ქვეყანას შორის მოხვდა ლონდონში OGP-ის გლობალურ სამიტზე გამართულ კონკურსზე – „Bright Spots“. კონკურსის მიზანი იმ წარმატებული რეფორმების ჩვენება იყო, რომლებიც მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდა.

მოგვიანებით ღია მმართველობა საქართველოს მეორე სამოქმედო გეგმის ფარგლებში მთავრობამ კიდევ უფრო მასშტაბური პროექტი – ინფორმაციის თავისუფლების სპეციალური კანონის შემუშავება დაიწყო. ფართო საკონსულტაციო პროცესის წარმართვის მიზნით შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც იუსტიციის სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებით, ასევე დამოუკიდებელი ექსპერტებით დაკომპლექტდა. სამუშაო ჯგუფმა მნიშვნელოვანი სამუშაო გასწია: (1) ჩამოყალიბდა თემატური სამუშაო ჯგუფები, რომლებმაც ძირითადი პრობლემური საკითხები განსაზღვრეს; (2) მომზადდა პირველადი პროექტი ძირითადი სავარაუდო ცვლილებებით, რომელიც განსახილველად ანტიკორუფციულ საბჭოს წარედგინა; (3) გაიმართა შეხვედრები ფოკუს ჯგუფებთან (მოსამართლეები, ჟურნალისტები, ინფორმაციის გაცემამზე პასუხისმგებელი პირები); (4) სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული კანონპროექტი იუსტიციის სამინისტროს წარედგინა; (5) კანონპროექტმა გაიარა პირველადი საერთაშორისო ექსპერტიზა.

ინფორმაციის თავისუფლების კანონის პროექტის ყველა სამთავრობო უწყებასთან შეთანხმებას იუსტიციის სამინისტრო წინამდებარე გეგმის ფარგლებში დაასრულებს. წარმოდგენილი კანონპროექტის მუხლობრივი განხილვის შემდეგ სამინისტრო ფართო კონსულტაციების კიდევ ერთ რაუნდს ანტიკორუფციული საბჭოს ფარგლებში ჩაატარებს, რომლის დროსაც დაინტერესებულ საჯარო თუ არასამთავრობო ინსტიტუტებთან შეთანხმდება კანონის საბოლოო ტექსტი. ამის შემდეგ კანონპროექტი საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს წარედგინება.

წამყვანი დანესებულებები: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; ანტიკორუფციული საბჭო

დამხმარე დანესებულებები: საქართველოს პარლამენტი, „ფონდი ღია საზოგადოება – საქართველო“, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

დანყების თარიღი: მითითებული არ არის

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2017

ვალდებულების აღწერა	კონკრეტულობა				OGP-ის შესაბამისობა				ლირებულებებთან				პოტენციური შედეგი				დროულად?	შესრულება			
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშგაღებულება	ტენდოლოგები და ინოვაცია	გამჭვირვალობისა და ანგარიშგაღებულებების სათაღის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული		არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული			
7. ინფორმაციის თავისუფლების კანონის შემუშავება				✓	✓		✓					✓		✓		✓					

კონტექსტი და მიზნები

ეს არის უკვე არსებული ვალდებულება, რომლითაც მთავრობამ ინფორმაციის თავისუფლების ცალკე კანონის შემუშავებისა და პარლამენტისთვის წარდგენის პირობა დადო. როგორც წინა წინსვლის ანგარიშში აღინიშნა, „ფონდი ღია საზოგადოება – საქართველო“ და იუსტიციის სამინისტროს მიერ შექმნილმა ერთობლივმა სამუშაო ჯგუფმა კანონის პირველი პროექტი 2014 წლის ოქტომბერში წარმოადგინა. ეს პროექტი მნიშვნელოვან სიახლეებს შეიცავდა: დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოს შექმნა – ინფორმაციის თავისუფლების კომისიონერის თანამდებობის შემოღება, რომელსაც ინფორმაციის თავისუფლების კანონის დარღვევისთვის უწყებებისთვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების უფლებამოსილება ექნება; საჯარო ინფორმაციის კლასიფიკაციისა და მართვის ერთიანი რეესტრის შექმნა და მისი სწრაფი და მარტივი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; იმ უწყებების სიის გაფართოება, რომელთაც ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ევალებათ, მათ შორის, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოებით; მზა საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადის 10 სამუშაო დღიდან 3 სამუშაო დღემდე შემცირება; საჯარო უწყებების დავალდებულება, განმარტონ ზიანი, რომელიც სახელმწიფოსა და საზოგადოებას გასაიდუმლოებული ინფორმაციის გამოქვეყნებით მიაღებება, აგრეთვე გამოაქვეყნონ მაღალი საჯარო ინტერესის გამომწვევი საიდუმლო ინფორმაცია.¹

თუ ინფორმაციის თავისუფლების კანონის ნორმები, კერძოდ, ის დებულებები, რომლებიც შეეხება ახალ საზედამხედველო ორგანოს, ნორმების დარღვევისთვის სანქციებს, ზიანის ტესტს და უწყებების დავალდებულებას, საკუთარი მონაცემები data.gov.ge-ზე გამოაქვეყნონ, ამჟამინდელი პროექტის ფორმით აღსრულდება, ვალდებულება საქართველოში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდაზე ტრანსფორმაციულ გავლენას მოახდენს.

შესრულება

შუალედური ანგარიშის დროს ვალდებულება შეზღუდულად იყო შესრულებული, რადგან განახლებული კანონპროექტი მთავრობისთვის ჯერ კიდევ არ ყოფილა წარდგენილი. იუსტიციის სამინისტრომ თავდაპირველი კანონპროექტი, რომელიც მას 2014 წლის ოქტომბერში წარედგინა, ორ წელზე მეტ ხანს გააჩერა. სამინისტრომ განახლებული კანონპროექტი ყველა დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის, ანტიკორუფციულ საბჭოს და სამუშაო ჯგუფისა და OGP-ის ფორუმის წევრებს, მხოლოდ 2017 წლის მაისში მიაწოდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ახალი კანონპროექტი შეიცავს წინა პროექტში არსებულ ბევრ დებულებას, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია დებულებები ინფორმაციის თავისუფლების კომისიონერის სახით არსებული კანონის აღსრულების მექანიზმის და ინფორმაციის საჯარო მოთხოვნებზე რეაგირების და პროაქტიული გამოქვეყნების ვალდებულების შეუსრულებლობისთვის სანქციების დაწესების (ადმინისტრაციული სახდელის ოდენობაა 200-დან 1000 ლარამდე) შესახებ. წინა წინსვლის ანგარიშში მოცემული IRM-ის რეკომენდაციის საპასუხოდ, კანონპროექტი საჯარო უწყებებს ავალდებულებს, საკუთარი ინფორმაცია ღია მონაცემების ერთიან პორტალზე, data.gov.ge-ზე, გამოაქვეყნონ და განაახლონ. ამას გარდა, მოქალაქეები შეძლებენ ეს პორტალი იმ საჯარო ინფორმაციის ონლაინმოთხოვნის გაგზავნისთვის გამოიყენონ, რომელიც პროაქტიულად გამოქვეყნებული არ არის.² იუსტიციის სამინისტრომ აღნიშნულ კანონპროექტზე მრავალი კომენტარი მიიღო და იგი ამჟამად ამ კომენტარებზე პასუხებს ამზადებს. ამასთანავე, სამინისტრო სხვადასხვა საჯარო უწყებასთან ორმხრივ შეხვედრებს მართავს, რათა მათ წარმოდგენილი სიახლეები განუმარტოს. იუსტიციის სამინისტრო გეგმავდა, ახალი კანონპროექტი მთავრობისთვის 2017 წლის ბოლომდე წარედგინა, რის შემდეგაც პროექტი პარლამენტისთვის უნდა ყოფილიყო გადაგზავნილი.³

შემდეგი ნაბიჯები

დაინტერესებულმა მხარეებმა დადებითად შეაფასეს ის ფაქტი, რომ იუსტიციის სამინისტროს მიერ მიწოდებული ინფორმაციის თავისუფლების კანონის განახლებული პროექტი მეტწილად ეფუძნება წინა პროექტს, რომელიც ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების და დარგის ექსპერტების აქტიური მონაწილეობით შემუშავდა.⁴ მათ განსაკუთრებით მოიწონეს მთავრობის ვალდებულება, შექმნას დამოუკიდებელი საზედამხებველო ორგანო ინფორმაციის თავისუფლების კომისიონერის სახით და დაავალდებულოს საჯარო უწყებები, საკუთარი ინფორმაცია data.gov.ge-ზე ღია მონაცემთა ფორმატით გამოაქვეყნონ და განაახლონ. დაინტერესებული მხარეებისთვის კიდევ ერთი პრიორიტეტი ზიანის ტესტის და საჯარო ინფორმაციის ერთიანი რეესტრის შემოღებაა.⁵

ამასთანავე, დაინტერესებულმა მხარეებმა კანონპროექტის კიდევ უფრო გაუმჯობესებისთვის საკუთარი რეკომენდაციები წარმოადგინეს:

- „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წინადადებაა, ინფორმაციის თავისუფლების ახალი კანონის დებულებები გავრცელდეს აგრეთვე იმ კომპანიებზე, რომლებიც სახელმწიფოს მიერ ფინანსდება ან რომლებშიც სახელმწიფოს წილი 50 პროცენტი ან მეტია, და ინდივიდუალურ

მენარმეებზე, რომლებსაც სახელმწიფო აფინანსებს საჯარო ფუნქციების შესასრულებლად.

- მთავრობამ უნდა გააფართოოს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის სია, მათ შორის, საჯარო მოხელეების ინდივიდუალური ხელფასების, დანამატებისა და სამივლინებო ხარჯების შესახებ დეტალური მონაცემებით.
- პირებმა, რომლებიც ინფორმაციის გაცემაზე უწყების უარს ასაჩივრებენ, უნდა შეძლონ, საჩივრით პირდაპირ მიმართონ ჯერ ინფორმაციის თავისუფლების კომისიონერს და მხოლოდ ამის შემდეგ – ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს და სასამართლოს. ამას გარდა, კომისიონერის გადაწყვეტილებები უნდა აღსრულდეს დაუყოვნებლივ და არა 10 დღის ვადაში, როგორც ეს კანონპროექტით არის გათვალისწინებული.⁶
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA) მთავრობას რეკომენდაციას აძლევს, უფრო ნათლად განმარტოს, რა სახის ინფორმაცია შეიძლება გასაიდუმლოვდეს და რა მიზეზებით; გამოაქვეყნოს მაღალი საჯარო ინტერესის გამომწვევი პერსონალური ინფორმაცია, თუ მისი გამოქვეყნებით მიღებული სარგებელი უფრო მეტია, ვიდრე საიდუმლოდ დატოვებისა; აამაღლოს ინფორმაციის თავისუფლების კომისიონერის ლეგიტიმურობა ამ თანამდებობაზე ხელახალი კონკურსის გამოცხადებით იმ შემთხვევაში, თუ ვერცერთი კანდიდატი ვერ მოიპოვეს საქართველოს პარლამენტის წევრთა უმრავლესობის მხარდაჭერას; კანონის განმეორებით დარღვევისთვის დააწესოს გონივრული სანქციები, რომლებიც უფრო მაღალი უნდა იყოს, ვიდრე დარღვევის პირველად ჩადენის შემთხვევისთვის განსაზღვრული სანქციებია.⁷
- დაინტერესებული მხარეების წინადადებაა, ნათლად განმარტოს, ვინ აგებს პასუხს ზიანის ტესტზე დაყრდნობით საიდუმლო ინფორმაციის გამოქვეყნების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთვის და რა კრიტერიუმები იქნება გამოყენებული ასეთ შემთხვევებში.⁸
- და ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ შეფასების პერიოდის მიღმაა, იუსტიციის სამინისტროს მიერ ამჟამად წარმოდგენილი საქართველოს კონსტიტუციაში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი, რომელმაც მეორე მოსმენა 2017 წლის დეკემბერში გაიარა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა კრიტიკულად შეაფასეს,⁹ რადგან ის ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისთვის დამატებითი საფუძვლების განსაზღვრით საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შემზღვევის მასშტაბს აფართოებს.¹⁰

¹ საქართველოს IRM-ის შუალედური წინსვლის ანგარიში 2014-2015, <http://bit.ly/2wdTJow>

² საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ინფორმაციის თავისუფლების კანონპროექტი 2017 წლის მაისის მდგომარეობით, IRM-ის მკვლევარს 2017 წლის 11 სექტემბერს მიენოდა.

³ ზურაბ სანიკიძე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 27 ივლისი

⁴ ლევან ავალიშვილი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) პროგრამების დირექტორი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 25 ივლისი

⁵ IRM-ის მკვლევართა მიერ ურუნალისტებისა და მკვლევრების ფოკუსჯგუფთან გამართული შეხვედრა, 2017 წლის 27 სექტემბერი

⁶ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, კომენტარები ინფორმაციის თავისუფლების კანონპროექტზე, IRM-ის მკვლევარს 2017 წლის 11 აგვისტოს მიწოდდა

⁷ საიას მოსაზრებები ინფორმაციის თავისუფლების კანონპროექტზე, 2017 წლის 23 მაისი, <http://bit.ly/2vRWWPg>

⁸ IRM-ის მკვლევართა მიერ ურუნალისტებისა და მკვლევრების ფოკუსჯგუფთან გამართული შეხვედრა, 2017 წლის 27 სექტემბერი

⁹ „ფონდი ღია საზოგადოება – საქართველო“, კომენტარები 2016-2017 წლების წინსვლის ანგარიშის პროექტზე, 2017 წლის 21 დეკემბერი

¹⁰ Civil.ge, „ახალ კონსტიტუციაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პირობები დაზუსტდება“, 2017 წლის 15 დეკემბერი, <http://bit.ly/2EYw6Fg>

8. სამთავრობო პოლიტიკისა და საკანონმდებლო აქტების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემუშავება

ვალდებულების ტექსტი:

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, იუსტიციის სამინისტროსთან თანამშრომლობით, სამთავრობო პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტებისა და საკანონმდებლო აქტების შეფასებისა და მონიტორინგის ერთიან ჩარჩოს შეიმუშავებს. აღნიშნული სისტემის მეშვეობით, როგორც ex-ante, ასევე ex-post შეფასების საფუძველზე შესაძლებელი იქნება მთავრობის მიერ აღებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული გამოწვევების დროულად განსაზღვრა და სათანადო გადაწყვეტილებების მიღება, რაც პოლიტიკის პროცესის წარმართვას უფრო ეფექტურს გახდის. გარდა ამისა, ex ante შეფასების საფუძველზე შესაძლებელი გახდება კონკრეტული პრობლემების იდენტიფიცირება და მათზე მორგებული საკანონმდებლო აქტების შემუშავება ან/და პოლიტიკის დაგეგმვა. საზოგადოების ჩართულობის მიზნით გაძლიერდება პლატფორმა დიალოგისათვის, რომელიც, ერთი მხრივ, მთავრობას შესაძლებლობას მისცემს მოქალაქეებს მიანდლოს ინფორმაცია, მეორე მხრივ კი, საზოგადოება შეძლებს გამოიყენოს ეს სივრცე საკუთარი რეკომენდაციების მთავრობისთვის მისაწოდებლად; კერძოდ, მოქალაქეებს წვდომა ექნებათ სისტემასთან და ექნებათ შესაძლებლობა წარმოადგინონ იდეები წერილობით, ელექტრონული სახით.

მონიტორინგის შედეგად მიღებულ მონაცემთა ანალიზის საფუძველზე შედგება მონიტორინგის ანგარიში, რაც მთავრობას საზოგადოების წინაშე კიდევ უფრო გამჭვირვალესა და ანგარიშვალდებულს გახდის. გრძელვადიანი და მოკლევადიანი დოკუმენტების (მაგ.: ქვეყნის მასშტაბის დოკუმენტები ან სექტორული სტრატეგიები) შესრულების შედეგად განხორციელებულ ცვლილებებზე დაკვირვება უნდა მოხდეს ყოველწლიურად. მოკლევადიანი დოკუმენტების (წლიური სამუშაო გეგმა, სამოქმედო გეგმა) მონიტორინგი უნდა განხორციელდეს კვარტალურად ან წელიწადში ორჯერ. შიდა დოკუმენტების (სამინისტროს გეგმა, განყოფილებების გეგმები და ინდივიდუალური გეგმები) მონიტორინგი და ანგარიშგება კი ყოველთვიურად უნდა განხორციელდეს. სტრატეგიის განხორციელების პროცესში უნდა განისაზღვროს თითოეული დაგეგმვის დოკუმენტის ანგარიშგებისა და მონიტორინგის მექანიზმები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მთავრობის საქმიანობის უკეთ წარმართვისა და მონიტორინგის მიზნით, 2017 წელს დაინერგება ახალი ელექტრონული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს: (1) მთავრობის წლიური სამოქმედო გეგმის ფარგლებში უწყებების მიერ სხვადასხვა სფეროში დაგეგმილი აქტივობების შესახებ ელექტრონული ანგარიშგების წარმოებას, (2) შესრულების მონიტორინგსა და ანალიზს. მასში ასევე ინტეგრირებული იქნება სხვადასხვა სექტორული და მულტისექტორული სამოქმედო გეგმები. პლატფორმა დაინტერესებულ პირს შესაძლებლობას მისცემს მოცემული ინფორმაცია დაყოს სექტორებისა თუ მიმართულებების მიხედვით.

წამყვანი დაწესებულება: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

დამხმარე დაწესებულება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

დაწყების თარიღი: მარტი, 2016

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2017

ვალდებულების აღწერა	კონკრეტულობა				OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				დროულად?	შესრულება				
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია	გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებების სათვის	არცერთი	მცირე	საშუალო		ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული
8. სამთავრობო პოლიტიკისა და საკანონმდებლო აქტების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემუშავება			✓		✓									არა		✓		

კონტექსტი და მიზნები

ამ ვალდებულებით საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ მიზნად დაისახა ქვეყნის საკანონმდებლო აქტების და პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტების წინა (ex-ante) და შემდგომი (ex-post) შეფასების ერთიანი სისტემის შემუშავება. ვალდებულება ასევე მოიცავდა მოქალაქეთა მონაწილეობით მონიტორინგისა და ანგარიშგების სისტემის შექმნას და მათთვის საკუთარი იდეებისა და რეკომენდაციების მიწოდების შესაძლებლობის მიცემას.

2014 წელს მთავრობის მიერ ჩატარებულმა სიტუაციურმა ანალიზმა არსებულ სისტემაში მრავალი პრობლემა გამოავლინა. მაგალითად, საჯარო უწყებებს უჭირდათ ნათელი სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების მომზადება და ბიუჯეტისა და სხვა ინდიკატორების განსაზღვრა, რაც პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელებისა და მიღწეული პროგრესის შეფასებისთვის არის აუცილებელი. ამას გარდა, მთავრობას არ ჰქონდა საკუთარი პოლიტიკის დოკუმენტების შესრულების მონიტორინგის ერთიანი მეთოდოლოგია. 2015 წელს ევროკავშირთან თანამშრომლობით მთავრობის ადმინისტრაციამ პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის სტრატეგია შეიმუშავა. 2016 წელს მათ საჯარო უწყებებისთვის მოამზადეს პოლიტიკის სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების ერთიანი მეთოდოლოგიის გამოყენების, აგრეთვე მონიტორინგისა და შეფასების ლოგიკური ჩარჩოს შესახებ სახელმძღვანელო დოკუმენტები, რომლებიც მთავრობის სპეციალური დადგენილებით დამტკიცდა. ეს დადგენილება ყველა საჯარო უწყებას ავალდებულებს, ჩაატაროს საკუთარი პოლიტიკის სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება.¹

თუ ვალდებულება ყველა დონეზე სრულად შესრულდა, ის მთავრობის ანგარიშვალდებულების გაზრდასა და მთავრობის პოლიტიკის საზოგადოების საჭიროებებისთვის მორგებაზე საშუალო გავლენას მოახდენს. თუმცა ეს მხოლოდ მაშინ მიიღწევა, თუ მოქალაქეებისთვის მთავრობის პოლიტიკისა და

საკანონმდებლო აქტების მონიტორინგისა და შეფასების ახალი სისტემა სრულად იქნება ხელმისაწვდომი და ისინი საკუთარი კომენტარების მიწოდებას და მთავრობისგან უკუკავშირის მიღებას შეძლებენ.

შესრულება

შუალედური ანგარიშის დროს ვალდებულება შეზღუდულად იყო შესრულებული. მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილების შესრულების პროცესში მთავრობის ადმინისტრაციამ შეარჩია ხუთი საპილოტე სამინისტრო (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო), რომლებიც კონკრეტულ სტრატეგიებს შეიმუშავებენ და მონიტორინგს განახორციელებენ. შემდეგი ეტაპისთვის სამინისტროს სისტემისთვის კიდევ შვიდი საპილოტე სამინისტროს, უფრო მოგვიანებით კი – ყველა სხვა სამინისტროს დამატება სურს. თუმცა ზოგიერთი სამინისტრო პროცესში მონაწილეობისთვის საჭირო შესაძლებლობების ნაკლებობას განიცდის, რაც სისტემის ყველა სამთავრობო უწყებაში ფუნქციონირებას ხელს უშლის.²

ამ ვალდებულებით მთავრობის ადმინისტრაცია ასევე გეგმავს, შექმნას მონიტორინგისა და შეფასების ელექტრონული სისტემა, რომელშიც განთავსდება პოლიტიკის დაგეგმვის ყველა დოკუმენტი, მათ შორის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს და საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ შექმნილი დოკუმენტები. ამ პროექტის მხარდამჭერი გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) წარმომადგენლის განცხადებით, ამჟამად მუშაობა მხოლოდ მონიტორინგის კომპონენტზე მიმდინარეობს. ახალმა ელექტრონულმა სისტემამ უნდა მოიცვას მნიშვნელოვანი დოკუმენტები, როგორცაა ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმა, OGP-ის სამოქმედო გეგმა, მდგრადი განვითარების მიზნები, მთავრობის ყოველწლიური სამოქმედო გეგმები, საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების შესახებ შეთანხმება და საჯარო ადმინისტრაციის რეფორმის გზამკვლევი. ეს შიდა სისტემა იქნება და მხოლოდ მისი ნაწილი შეიძლება გახდეს საჯარო. თუმცა მთავრობამ ჯერ ვერ მიაღწია შეთანხმებას იმაზე, თუ სისტემის რომელი ნაწილი იქნება საჯაროდ ხელმისაწვდომი.³ აღსანიშნავია, რომ მთავრობის ადმინისტრაცია რეგულაციების გავლენის შეფასების სისტემის მხოლოდ მთავრობის პოლიტიკის დოკუმენტებისთვის შექმნისთვის აგებს პასუხს, იმავე სისტემის საკანონმდებლო აქტებისთვის შექმნისთვის პასუხისმგებელი კი არის იუსტიციის სამინისტრო პარლამენტთან თანამშრომლობით. ⁴ მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლის თქმით, ადმინისტრაცია ამ ახალ სისტემას 2017 წლის ბოლომდე, როგორც ეს დაგეგმილი იყო, ვერ ამოქმედებს. ეს ძირითადად ბევრ საჯარო უწყებას შორის კოორდინაციასა და კონსენსუსის მიღწევასთან დაკავშირებული პრობლემებით არის განპირობებული. ამ პროცესს მოსალოდნელზე მეტი დრო დასჭირდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ვალდებულების შესრულების გადავადების მიზეზი ზოგიერთი უწყების შესაძლებლობების ნაკლებობაცაა, რაც ახალი სისტემის პილოტირებას ხელს უშლის.⁵

შემდეგი ნაბიჯები

დაინტერესებულმა მხარეებმა მთავრობის პოლიტიკისა და საკანონმდებლო აქტების მონიტორინგისა და შეფასების ჩატარების სარგებლიანობა აღიარეს, მაგრამ, მათი აზრით, მხოლოდ შეფასების სისტემა არ არის საკმარისი OGP-ის ღირებულებების დასანერგად. თუმცა სისტემა მთავრობის მიერ გადაწყვეტილების მიღების ხარისხის გაუმჯობესებისთვის გამოყენებული საუკეთესო ინსტრუმენტი, თუ ის ღიაობის, მოქალაქეთა ჩართულობის და ანგარიშვალდებულების გაზრდის ელემენტებს შეიცავს. ისეთი ქვეყნის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, როგორცაა გაერთიანებული სამეფო, მთავრობამ უნდა გამოაქვეყნოს რეგულაციების გავლენის შეფასების შემდეგი დოკუმენტები: ყველა პოლიტიკის დოკუმენტისა და საკანონმდებლო აქტის განმარტებითი ბარათი და ბიუჯეტზე გავლენა; შემოთავაზებული ცვლილების დადებითი და უარყოფითი მხარეების გამარტივებული ანალიზი; კონსულტაციების მონაწილე დაინტერესებულ მხარეთა სახელები და რაოდენობა, მათ შორის, კონსულტაციების შემაჯამებელი ანგარიში და მთავრობის პასუხები. მთავრობამ აღნიშნულ წინადადებასთან დაკავშირებით ყველა ძირითად დაინტერესებულ მხარესთან უნდა გამართოს კონსულტაციები შესაბამის სექტორში კონკურენციის გასაზრდელად.⁶ გარდა ამისა, მთავრობამ დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციისთვის ონლაინმექანიზმი უნდა შექმნას, რათა ყველამ შეძლოს ინდივიდუალური კომენტარების მიწოდება.⁷ ამჟამად მთავრობის შეფასების სისტემა შიდა სისტემაა და მას საჯარო კომპონენტი არ აქვს.⁸ ამის გათვალისწინებით, მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს დაინტერესებულ მხარეთა იმ საკითხების იდენტიფიცირების პროცესში ჩართვას, რომლებზედაც იგი შემდგომ რეგულაციებს შეიმუშავებს, როგორც ეს ვალდებულების ტექსტშია მითითებული. მოქალაქეებმაც უნდა იცოდნენ, რომელი სამთავრობო აქტი გაივლის შეფასებას, ვინ იქნება ამ შეფასებისთვის პასუხისმგებელი და შეფასების რა ნაწილი გახდება საჯარო.⁹

¹ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის №628 დადგენილება „მთავრობის საქმიანობის მონიტორინგის, ანგარიშგებისა და შეფასების სისტემების დამტკიცების თაობაზე“, <http://bit.ly/2wkwgSE>

² მარიამ დანელია, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის ანალიზის, სტრატეგიული დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის სამთავრობო გეგმებისა და ინოვაციების სამსახურის მრჩეველი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 16 აგვისტო

³ ნატალია ბარათაშვილი, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) რესურსების განვითარების სპეციალისტი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 8 აგვისტო

⁴ დანელია, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

⁵ დანელია, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

⁶ აურელიო ლა ტორე, ევროკავშირის პროექტის „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მხარდაჭერა“ გუნდის ხელმძღვანელი/უფროსი იურიდიული ექსპერტი, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 19 სექტემბერი

⁷ გაერთიანებული სამეფოს მთავრობა, გავლენის შეფასებები, <http://bit.ly/2w6Satt>

⁸ ლევან ავალიშვილი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) პროგრამების დირექტორი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 25 ივლისი

⁹ ნინო ცუხიშვილი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (GYLA) საპარლამენტო მდივანი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 5 სექტემბერი

★ 9. თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის დანერგვა

ვალდებულების ტექსტი:

„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2017 წლის დასაწყისიდან საჯარო სამსახურის ბიურო განახორციელებს თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგს. მონიტორინგი უნდა განხორციელდეს ყოველწლიურად, დამოუკიდებელი კომისიის მიერ, ცხადი და ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე შერჩეული, ასევე, ელექტრონული სისტემის მიერ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით იდენტიფიცირებული დეკლარაციების მიმართ. საჯარო სამსახურის რეფორმის განხორციელებამდე აღნიშნული საკითხი კანონმდებლობით არ რეგულირდებოდა. არ არსებობდა რეალური ზემოქმედების ბერკეტები თანამდებობის პირის მიერ ვაცხადებული ეკონომიკური ინტერესისა და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ გასაჯაროებული მონაცემების აუდიტისათვის. თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის მიზანია ხელი შეუწყოს თანამდებობის პირთა ანგარიშვალდებულების ხარისხის ამაღლებას და მოახდინოს კორუფციულ სამართალდარღვევათა პრევენცია.

წამყვანი დაწესებულება: სსიპ – საჯარო სამსახურის ბიურო

დამხმარე დაწესებულებები: საქართველოს მთავრობა; ანტიკორუფციული საბჭო; სსიპ – მონაცემთა გაცვლის სააგენტო

დაწყების თარიღი: მარტი, 2016

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2017

ვალდებულების აღწერა	კონკრეტულობა				OGP-ის შესაბამისობა				ლირებულებებთან				პოტენციური შედეგი				დროულად?	შესრულება			
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები	ინოვაცია	გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებებისათვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული		არ დაწყებულა	შემდეგული	არსებითი	შესრულებული		
★ 9. თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის დანერგვა			✓				✓						✓		✓			✓			

სარედაქციო შენიშვნა: როგორც აღნიშნულია, ეს ვალდებულება ნათლად უპასუხებს OGP-ის ღირებულებებს, ტრანსფორმაციული პოტენციური შედეგი აქვს და არსებითად ან სრულად არის შესრულებული. შესაბამისად, იგი „ვარსკვლავური ვალდებულების“ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს.

კონტექსტი და მიზნები

ეს არის უკვე არსებული ვალდებულება, რომელიც წინა ორ სამოქმედო გეგმაში იყო შეტანილი. იგი საქართველოში თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შემონმების ფორმალური მექანიზმის შექმნას მოიცავს. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულმა არაფორმალურმა შეფასებებმა გამოავლინა მრავალი ფაქტი, როდესაც საჯარო მოხელეებმა თავიანთ დეკლარაციებში საკუთარი ქონების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია დამალეს ან არასწორი მონაცემები მიუთითეს, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია.¹ გამომწვევა იყო ის, რომ თანამდებობის პირთა დეკლარაციებში ასახული ინფორმაციის სიზუსტის შემონმების ოფიციალური მექანიზმი არ არსებობდა. საჯარო სამსახურის ბიურომ ამ უკვე არსებული ვალდებულების დასრულების და 2017 წლის დეკემბრამდე მონიტორინგის ახალი სისტემის დანერგვის პირობა დადო.

ვალდებულება შეესაბამება OGP-ის ღირებულებას, საჯარო ანგარიშვალდებულებას, რადგან საჯარო სამსახურის ბიურომ პირობა დადო, რომ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის შედეგებს საჯაროს გახდიდა, რაც მოქალაქეებსა და მეტვალყურე ორგანიზაციებს თანამდებობის პირთა საზოგადოებისადმი ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის შესაძლებლობას მისცემს. ანგარიშვალდებულების მნიშვნელოვანი ელემენტია ის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები და ექსპერტები შეძლებენ გახდნენ დამოუკიდებელი კომისიის წევრები, რომლებიც მონიტორინგისთვის დეკლარაციების შერჩევითი იქნებიან პასუხისმგებელი. თანამდებობის პირთა მიერ დეკლარაციის წარუდგენლობისთვის ან მასში არაზუსტი მონაცემების შეტანისთვის სანქციებია გათვალისწინებული.

ვალდებულების სრულად შესრულების შემთხვევაში ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის არსებულმა სისტემამ შესაძლოა საჯარო სამსახურში კორუფციის პრევენციასა და თანამდებობის პირთა ეთიკური ქცევის სტანდარტების ამაღლებაზე ტრანსფორმაციული გავლენა მოახდინოს.

შესრულება

შუალედური ანგარიშის დროს ვალდებულება არსებითად იყო შესრულებული. 2016 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა მიიღო მონიტორინგის ახალი სისტემის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც 2017 წლის 1 იანვარს ამოქმედდა. ამ ცვლილებებით თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციები მონიტორინგს დაექვემდებარება, თუ ისინი ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ან წარდგენილ დეკლარაციაში დარღვევის არსებობის წერილობითი მტკიცებულების საფუძველზე შეირჩევა. ამას გარდა, საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსმა უნდა შექმნას დამოუკიდებელი კომისია, რომელიც ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შემთხვევითი შერჩევისთვის სპეციალურ

მეთოდოლოგიას გამოიყენებს. საჯარო სამსახურის ბიუროს მონიტორინგის შედეგების პროაქტიულად, ყოველწლიურად, წლის ბოლოს გამოქვეყნება ვგალებს.²

2017 წლის 14 თებერვალს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება, რომელიც ზემოაღნიშნული საკანონმდებლო დებულებების პრაქტიკაში განხორციელების დეტალურ ინსტრუქციას შეიცავს.³ ამ ინსტრუქციაზე დაყრდნობით საჯარო სამსახურის ბიურომ შეიმუშავა ელექტრონული სისტემა, რომელიც საქართველოში არსებულ ყველა საჯარო ბაზასთან არის დაკავშირებული და მარტივი, ჯვარედინი გადამოწმების და თანამდებობის პირთა მიერ წარდგენილ დეკლარაციებში დარღვევების იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა.⁴ ამასთანავე, დადგენილება საჯარო სამსახურის ბიუროს ავალდებულებს, ყოველი წლის 15 დეკემბრამდე შექმნას დამოუკიდებელი კომისია ხუთი წევრის შემადგენლობით, რომელთაგან სამი არასამთავრობო ორგანიზაციებს უნდა წარმოადგენდეს, ხოლო ორი – აკადემიურ წრეებს. ამ თარიღამდე არანაკლებ სამი კვირით ადრე საჯარო სამსახურის ბიურომ საკუთარ ვებგვერდზე კომისიის წევრობისთვის, რაც არაანაზღაურებადი, ნებაყოფლობითი ფუნქციაა, კონკურსი უნდა გამოაცხადოს.⁵ თუ საჯარო სამსახურის ბიურო ხუთზე მეტ განაცხადს მიიღებს, ის განმცხადებლების წინაშე ლატარეის გათამაშების პრინციპით შეარჩევს კომისიის ხუთ წევრს.⁶ ყოველი წლის 15 იანვრამდე კომისიამ ყველა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის 5 პროცენტი, 6000-იდან 300, უნდა შეარჩიოს მონიტორინგისთვის შემდეგი ოთხი კრიტერიუმის მიხედვით: 1. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირთა დეკლარაციები; 2. განსაკუთრებული კორუფციული რისკის შემცველი დეკლარაციები; 3. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გამომწვევი დეკლარაციები; 4. იმ თანამდებობის პირთა დეკლარაციები, რომელთაც წინა წლებში დეკლარაციის წარდგენის მოთხოვნები დაარღვიეს. მონიტორინგისთვის შერჩეული დეკლარაციებისა და თანამდებობის პირთა შესახებ ინფორმაცია საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდზე უნდა გამოქვეყნდეს.⁷

დარღვევებისთვის არსებობს ორი სახის სანქცია, რომელთა გამოყენებაც საჯარო სამსახურის ბიუროს შეუძლია: 1. 1000 ლარის ოდენობის ადმინისტრაციული ჯარიმის დაკისრება, თუ თანამდებობის პირი დეკლარაციას დროულად ვერ წარმოადგენს; 2. პროკურატურისთვის მიმართვა, თუ უკვე დაჯარიმებული თანამდებობის პირი განმეორებით ვერ წარმოადგენს დეკლარაციას⁸ ან თუ იგი საკუთარი ქონების შესახებ შეგნებულად არასრულ ან არასწორ ინფორმაციას მიუთითებს.⁹

ყოველი კალენდარული წლის ბოლომდე საჯარო სამსახურის ბიურომ პროაქტიულად უნდა გამოაქვეყნოს ანგარიში, მათ შორის, სტატისტიკური მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენი დეკლარაციის მონიტორინგი განხორციელდა და რამდენი თანამდებობის პირი დაჯარიმდა ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა.¹⁰

ადრეული შედეგები (თუ არის)

2017 წლის აგვისტოს მდგომარეობით, საჯარო სამსახურის ბიურომ შემთხვევითობის პრინციპით შერჩეულ დეკლარაციებში 40-მდე დარღვევა დააფიქსირა და დამრღვევებს ადმინისტრაციული ჯარიმები დააკისრა – 1000 ლარი თითოეული დარღვევისთვის. ამას გარდა, საჯარო სამსახურის ბიურომ საეჭვო დეკლარაციების

შემომხმების მოთხოვნები მიიღო გარე სუბიექტებისგან, როგორცაა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და კერძო იურისტი.¹¹

შემდეგი ნაბიჯები

დაინტერესებული მხარეების აზრით, ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების გამოქვეყნებისა და მონიტორინგის ეფექტიანი სისტემები კორუფციისა და საჯარო სამსახურში არასათანადო ქცევის პრევენციისთვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. შესაბამისად, მათ მოიწონეს მთავრობის ვალდებულება, შეექმნა თანამდებობის პირთა მიერ გამოქვეყნებული ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის ფორმალური სისტემა. ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა კრიტიკულად შეაფასეს ის ფაქტი, რომ მთავრობას ამ ახალი სისტემის ამოქმედებისთვის დიდი დრო დასჭირდა. ამასთანავე, მათი აზრით, მთავრობამ ზუსტად უნდა განსაზღვროს, თითოეული უწყებიდან რამდენი თანამდებობის პირის დეკლარაცია გადამოწმდება და ვის აქვს გასაიდუმლოებული დეკლარაციის შევსების უფლება. მაგალითად, კორუფციის რისკებიდან და მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, დაინტერესებულ მხარეებს მიაჩნიათ, რომ უსაფრთხოების სფეროში მომუშავე არცერთი თანამდებობის პირი არ უნდა იყოს უფლებამოსილი, შეავსოს სრულად გასაიდუმლოებული დეკლარაცია.¹²

დაინტერესებული მხარეები ასევე აკრიტიკებენ ზემოაღნიშნული მთავრობის დადგენილების დებულებას, რომელიც საჯარო სამსახურის ბიუროს მონიტორინგისთვის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შერჩევისთვის პასუხისმგებელი დამოუკიდებელი კომისიის შექმნაზე უარის თქმის უფლებამოსილებას ანიჭებს. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ კომისიის წევრობის თაობაზე განაცხადების წარდგენის ვადის გასვლის შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციების სამზე ნაკლები და აკადემიური წრეების წარმომადგენელთა ორზე ნაკლები განაცხადი შევა, საჯარო სამსახურის ბიუროს შეუძლია განაცხადების შემოტანის ვადა მხოლოდ ერთხელ და არაუმეტეს სამი დღით გააგრძელოს. თუ ამ სამი დღის განმავლობაში ახალი განაცხადები არ შევა, საჯარო სამსახურის ბიურომ შეიძლება გადაწყვიტოს, რომ არ შექმნას კომისია.¹³ დაინტერესებული მხარეების აზრით, ამ შემზღუდვამ შესაძლოა ხელი შეუშალოს დეკლარაციების მონიტორინგის პროცესში საზოგადოების ჩართულობას და საჯარო მოხელეების ანგარიშვალდებულებას, რაც ვალდებულების მთავარი მიზანია.¹⁴ ამის გათვალისწინებით, არასამთავრობო ორგანიზაციები საჯარო სამსახურის ბიუროს რეკომენდაციას აძლევენ, კომისიის წევრობის თაობაზე განაცხადების წარდგენის შესახებ განაცხადება, საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდის გარდა, სხვა ელექტრონული და არაელექტრონული საშუალებებით გაავრცელოს, როგორცაა www.hr.gov.ge – საჯარო სამსახურის ვაკანსიების ვებპორტალი, ფეისბუქი და სხვა სოციალური მედიის ქსელები, აგრეთვე უნივერსიტეტები.¹⁵

და ბოლოს, შესაძლოა საჭირო გახდეს ზოგიერთი დეკლარაციის შინაარსის უფრო სრულყოფილი შესწავლა, თუ მონაცემთა ბაზებში ჯვარედინი გადამოწმების შედეგად უზუსტობები ან გამოტოვებული ინფორმაცია გამოვლინდება, შესაბამისი თანამდებობის პირი კი ახსნა-განმარტებას ვერ მისცემს. ასეთ შემთხვევებში საჯარო სამსახურის ბიუროს სხვა საჯარო უწყებების დახმარება დასჭირდება იმ მონაცემების

შეგროვებაში, რომელთა ხელმისაწვდომობა საჯარო სამსახურის ბიუროსთვის შეზღუდულია ან რომლებზედაც მას ხელი საერთოდ არ მიუწვდება. დაინტერესებულ მხარეებს სჯერათ, რომ რთულ საკითხებზე ამ უწყებათაშორისი თანამშრომლობის გამართვებისა და მთავრობის ყველა დონეზე კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისთვის მნიშვნელოვანი სიგნალის მისაცემად საქართველომ უნდა შექმნას დამოუკიდებელი ანტიკორუფციული ორგანო, რომელსაც მაღალი რანგის პოლიტიკოსებისა და მთავრობის თანამდებობის პირთა კორუფციული საქმეების გამოძიების უფლებამოსილება ექნება.¹⁶

¹ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგი: რატომ სჭირდება ის საქართველოს და რას გვეუბნება საერთაშორისო პრაქტიკა“, 2015 წლის მაისი, <http://bit.ly/2DcOv1B>

² საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“, მუხლი 18¹, <http://bit.ly/1Lo3Pbg>

³ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 თებერვლის №81 დადგენილება „შესამოწმებელი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“, <http://bit.ly/2ffYkB7>

⁴ ელგუჯა მაკალათია, საჯარო სამსახურის ბიუროს დეკლარაციების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 16 აგვისტო

⁵ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 თებერვლის №81 დადგენილება „შესამოწმებელი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“, მუხლები 7 და 8, <http://bit.ly/2ffYkB7>

⁶ მაკალათია, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

⁷ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 თებერვლის №81 დადგენილება „შესამოწმებელი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 11, <http://bit.ly/2ffYkB7>

⁸ საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“, მუხლი 20, <http://bit.ly/1Lo3Pbg>

⁹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 355, <http://bit.ly/2fT6QIk>

¹⁰ მაკალათია, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

¹¹ მაკალათია, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

¹² ნინო ცუხიშვილი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (GYLA) საპარლამენტო მდივანი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 5 სექტემბერი

¹³ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 თებერვლის №81 დადგენილება „შესამოწმებელი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 9, <http://bit.ly/2ffYkB7>

¹⁴ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), „ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის ახალი სისტემა – IDFI-ის შეფასება“, 2017 წლის 11 აპრილი, <http://bit.ly/2oYFTXy>

¹⁵ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), კომენტარები 2016-2017 წლების წინსვლის ანგარიშის პროექტზე, 2017 წლის 25 დეკემბერი

¹⁶ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგი: რატომ სჭირდება ის საქართველოს და რას გვეუბნება საერთაშორისო პრაქტიკა“, 2015 წლის მაისი, <http://bit.ly/2DcOv1B>

10. სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების ერთიანი წესის დადგენა

ვალდებულების ტექსტი:

სასამართლო გადაწყვეტილების გამოქვეყნების ერთიანი წესის დადგენა ემსახურება სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ეფექტიანობის გაუმჯობესებას. ვალდებულების მიზანია სასამართლო სისტემისადმი საზოგადოებრივი ნდობის ამაღლება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდება პროექტი სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების ერთიანი წესების ძირითადი მიმართულებების და პრინციპების დადგენის შესახებ. აღნიშნული პროექტი იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარედგინება.

შემუშავებული ერთიანი წესის საფუძველზე სასამართლო გადაწყვეტილებები გამოქვეყნდება სასამართლოს ვებგვერდზე.

წამყვანი დაწესებულება: საქართველოს უზენაესი სასამართლო

დამხმარე დაწესებულებები: საერთო სასამართლოები, იუსტიციის უმაღლესი საბჭო

დაწყების თარიღი: ივლისი, 2016

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2017

ვალდებულების აღწერა	კონკრეტულობა				OGP-ის შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				დროულად?	შესრულება				
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია	გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების სათვის	არცერთი	მცირე	საშუალო		ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შემუდგენილი	არსებითი	შესრულებული
10. სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების ერთიანი წესის დადგენა			✓		✓							✓					✓	

კონტექსტი და მიზნები

საქართველოში სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების ერთიანი სტანდარტი არ არსებობს და მოქალაქეებს ამ გადაწყვეტილებების ონლაინსივრცეში მოძებნა ხშირად უჭირთ. ამასთანავე, ყველა სასამართლო გადაწყვეტილება არ ქვეყნდება, განსაკუთრებით – სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებები. ამ საკითხის გადასაწყვეტად საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ვალდებულება აიღო, შემუშავებინა ძირითადი მიმართულებები და ერთიანი სტანდარტები სასამართლო გადაწყვეტილებების

ონლაინსივრცეში იმგვარად გამოსაქვეყნებლად, რომ ეს მონაცემები ადვილად გამოსაყენებელი ყოფილიყო.

თუ ვალდებულება სასამართლო სისტემის გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე სრულად შესრულდა, მან შესაძლოა საქართველოში მართლმსაჯულების გამჭვირვალობის გაზრდაზე საშუალო გავლენა მოახდინოს. სასამართლო სისტემის ყველა გადაწყვეტილების გამოქვეყნება მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა ვალდებულება ვერ უზრუნველყოფს მართლმსაჯულების გამჭვირვალობის პრაქტიკის შეცვლას, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება მოსამართლეთა დანიშვნის პროცედურებს, მოსამართლეებისთვის საქმეების განაწილებას და მართლმსაჯულების სისტემის წევრების წინააღმდეგ დისციპლინური ზომების მიღების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას.

შესრულება

შუალედური ანგარიშის დროს ვალდებულება შეზღუდულად იყო შესრულებული. 2016 წლის ივლისში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შექმნა ძირითადი სამუშაო ჯგუფი, რომელშიც საქართველოს სასამართლო სისტემის სამივე დონის (უზენაესი, სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოები) წარმომადგენლები, აგრეთვე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ადვოკატთა ასოციაცია, „ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“) წარმომადგენლები შევიდნენ. ამ სამუშაო ჯგუფმა საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული სტანდარტების მიხედვით შეიმუშავა ერთიანი რეგულაციები, მათ შორის, პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ. 2016 წლის 12 სექტემბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ეს რეგულაციები დაამტკიცა და საკუთარ ვებგვერდზე გამოაქვეყნა.¹

ამ ახალი ცვლილებების მიხედვით, უკვე არსებული ერთიანი ონლაინპორტალი, info.court.ge, უზენაესი, სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების საბოლოო გადაწყვეტილებების, მათ შორის, სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების, გამოსაქვეყნებლად უნდა იქნეს გამოყენებული. მოქალაქეებმა მონაცემების შემდეგი კატეგორიების მიხედვით მოძებნა უნდა შეძლონ: გადაწყვეტილების მიმღები სასამართლო; საქმის ნომერი; გადაწყვეტილების მიღების თარიღი; ადმინისტრაციული ორგანო; მოსამართლე; სასამართლო კოლეგიის ან პალატის შემადგენლობა; დავის საგანი; საგნობრივი საძიებო სიტყვა. სასამართლო გადაწყვეტილებები იმგვარად უნდა გამოქვეყნდეს, რომ შესაძლებელი იყოს წარმოდგენილი მონაცემების კოპირება, ჩამოტვირთვა და დაბეჭდვა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოსადმი დაქვემდებარებული საერთო სასამართლოების დეპარტამენტი პორტალის, info.court.ge-ს, ფუნქციონირებისთვის უნდა აგებდეს პასუხს და კონკრეტული პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ინფორმაციაც საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს. როგორც ზემოთ აღინიშნა, ყველა სასამართლო გადაწყვეტილება პერსონალურ მონაცემთა დაცვის გათვალისწინებით უნდა გამოქვეყნდეს, რაც იმას გულისხმობს, რომ საქმის

მონაწილე პირების სახელი და გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, მისამართი და სამუშაო ადგილი, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო ნომერი დაფარული იქნება.²

2017 წლის აგვისტოს მდგომარეობით, საქართველოს უზენაესი სასამართლო ახალი რეგულაციების პრაქტიკაში აღსრულებაზე მუშაობდა. მთავარი გამოწვევა გადანაცვტილებების ონლაინსივრცეში გამოქვეყნებასთან დაკავშირებული ტექნიკური პროცედურების დახვეწის სირთულე და info.court.ge-ს განახლებისთვის აუცილებელი ძვირად ღირებული კომპიუტერული პროგრამის შესაძენად საჭირო თანხების ნაკლებობაა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმომადგენლის განცხადებით, სასამართლო გადანაცვტილებები PDF ფორმატით გამოქვეყნდება, რათა წარმოდგენილი პერსონალური მონაცემები უკეთ დაიფაროს. საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით ევროკავშირი-საქართველოს „მართლმსაჯულების რეფორმების მხარდაჭერის პროგრამა“ და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) ვალდებულებისთვის ტექნიკურ მხარდაჭერას და ტრენინგებს უზრუნველყოფენ.³

შემდეგი ნაბიჯები

დაინტერესებულმა მხარეებმა დადებითად შეაფასეს ვალდებულებასთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ღიაობა, კერძოდ, ის ფაქტი, რომ სასამართლომ შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობენ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებმაც სასამართლო გადანაცვტილებების გამოქვეყნების სტანდარტების გასაუმჯობესებლად მრავალი რეკომენდაცია წარმოადგინეს. თუმცა მნიშვნელოვანი რეკომენდაციები საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადანაცვტილებაში არ ასახულა, რადგან მათი ასახვისთვის საჭიროა კანონში ცვლილებების შეტანა, რისი უფლებამოსილებაც იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არ აქვს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია იყო თანამდებობის პირთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებული გადანაცვტილებების შესახებ ინფორმაციის და სასამართლო დავებში მონაწილე ორგანიზაციების პერსონალური მონაცემების საჯაროობის უზრუნველყოფა. მიუხედავად იმისა, რომ ამ მონაცემების გამოქვეყნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით შეზღუდული არ არის, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მათი დაფარვა გადანაცვტიტა.⁴ IRM-ის მკვლევრები უზენაეს სასამართლოს რეკომენდაციას აძლევენ, გამოაქვეყნოს მაღალი საჯარო ინტერესის გამომწვევი მონაცემები, თუ მათი გამოქვეყნებით მიღებული სარგებელი უფრო მეტია, ვიდრე საიდუმლოდ დატოვებისა. ამასთანავე, სასამართლოების საჯარო ანგარიშვალდებულების გასაზრდელად უმჯობესია, გამოქვეყნდეს გამამტყუნებელი განაჩენების შესახებ სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც დახარისხებული იქნება სხვადასხვა სასამართლოს და მოსამართლის მიხედვით, აგრეთვე ამ საქმეებზე მიმდინარე სასამართლო პროცესების ხანგრძლივობის მიხედვით.

¹ ნინო შონია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარის მწერალი-თანაშემწე, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 21 აგვისტო

² საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის №1/250 გადაწყვეტილება „საერთო სასამართლოების მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“, <http://bit.ly/2f8HIhD>

³ შონია, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

⁴ ნინო ცუხიშვილი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (GYLA) საპარლამენტო მდივანი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 5 სექტემბერი

11. რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის დარგში გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება

ვალდებულების ტექსტი:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (შემდგომში – ინფრასტრუქტურის სამინისტრო) ყოველწლიურად დიდი ოდენობით საბიუჯეტო სახსრებს განკარგავს. შესაბამისად, მიზანშეწონილია გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების სტანდარტის დახვეწა. არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, ინფრასტრუქტურის სამინისტრო შესაბამის საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად მუშაობს სტრატეგიული დოკუმენტის – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე. აღნიშნულ სტრატეგიულ დოკუმენტში ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის და მის სისტემაში შემავალი და მართვაში არსებული სუბიექტებისთვის გაიწერება კეთილსინდისიერების და გამჭვირვალობის სტანდარტები, ხოლო ამ სტანდარტების დანერგვის მიზნით, შემუშავდება სამოქმედო გეგმა. დოკუმენტში მოცემული სტანდარტების დანერგვა კი, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს სამინისტროს ანგარიშვალდებულების და ეფექტიანობის ხარისხის გაუმჯობესებას.

წამყვანი დაწესებულება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

დამხმარე დაწესებულებები: ა(ა)იპ – ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამა დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა საქართველოში (GFI)

დაწყების თარიღი: 2016 წლის მეორე კვარტალი

დასრულების თარიღი: მარტი, 2017

ვალდებულების აღწერა	კონკრეტულობა				OGP-ის დირექტივებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				დროულად?	შესრულება			
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხილვადობის ხარისხი	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტენდერები და ინოვაცია	გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხი	არცერთი	მცირე	საშუალო		ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეწყვეტილი	არსებითი
11. რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის დარგში გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების			✓		✓							✓					✓

კონტექსტი და მიზნები

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (შემდგომ – სამინისტრო) ფართომასშტაბიან ინფრასტრუქტურულ პროექტებს განაგებს, რის გამოც იგი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამთავრობო უწყება ანტიკორუფციული ზომების მიღების, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების გაზრდის კუთხით. საქართველომ პირველი ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია 2005 წელს მიიღო,¹ თუმცა სექტორული ანტიკორუფციული სტრატეგიები დღემდე არ არსებობდა.² სექტორული ანტიკორუფციული სტრატეგიების შემუშავება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ საქართველოსთვის წარდგენილი ერთ-ერთი ძირითადი რეკომენდაციაა და ეს ვალდებულება მის პასუხად შემუშავდა.³ შესაბამისად, სამინისტრომ ვალდებულება აიღო, დაემტკიცებინა გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომლებიც მისდამი დაქვემდებარებული უწყებებისთვის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების გაზრდის კუთხით სახელმძღვანელო დოკუმენტები იქნებოდა. სამინისტროსადმი დაქვემდებარებული უწყებებია: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, ვანო ხუხუნიანიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მონაცემების რეფორმის ცენტრი, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“.

ვალდებულების შედეგი შეფასდა, როგორც საშუალო. ვალდებულებას ტრანსფორმაციული შედეგი ექნებოდა, თუ იგი სექტორში გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების კონკრეტული მექანიზმების დანერგვას გაითვალისწინებდა. ვალდებულება შეესაბამება OGP-ის ღირებულებას – ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რადგან ის ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებას გულისხმობს.

შესრულება

სტრატეგია დამტკიცებულია⁴ და შემდეგ საკითხებს მოიცავს: 1. გამჭვირვალობისა და საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდა; 2. ეთიკისა და კეთილსინდისიერების მექანიზმების გაუმჯობესება; 3. ადამიანური რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესება; 4. დაგეგმვის, მონიტორინგის და შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის დახვეწა.⁵ სტრატეგიაში ასევე ხაზგასმით არის აღნიშნული მამხილებელთა დაცვის აუცილებლობა, რაც ანტიკორუფციული ზომების დანერგვისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია.⁶ სამოქმედო გეგმა ოთხ ექვსთვიან ფაზად იყოფა და სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების მიღწევისთვის კონკრეტულ ღონისძიებებს მოიცავს.

სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებას, მამხილებლის დაცვას (საჯარო ანგარიშვალდებულების გასაზრდელად) და მნიშვნელოვანი პოლიტიკური

დოკუმენტების მომზადებისას მოქალაქეთა მოსაზრებების მიღებისთვის ელექტრონული გამოკითხვის დანერგვას, რაც ტექნოლოგიებისა და ინოვაციის მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდისთვის გამოყენებას გულისხმობს.⁷

ვალდებულება შესრულებულია. სამინისტრომ გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია და სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა მინისტრის №69/ო ბრძანებით 2017 წლის აპრილში დაამტკიცა.⁸ ვალდებულების ტექსტში დასრულების თარიღად 2017 წლის მარტი იყო მითითებული. სამინისტროს გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია და სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დახმარებით, პროექტის „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში“ ფარგლებში ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისთვის (IDFI) გაცემული გრანტის მეშვეობით შემუშავდა.

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცებამდე სამინისტრომ ამ დოკუმენტების სამუშაო ვერსიები სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს მიაწოდა და გამართა კონფერენცია, რომელზედაც არასამთავრობო ორგანიზაციებს მათი განხილვის საშუალება მიეცათ. კონფერენციის მომხსენებელთა შორის იყვნენ დოკუმენტების შემუშავებისას სამინისტროს ძირითადი პარტნიორების ხელმძღვანელები – ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) აღმასრულებელი დირექტორი და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში“ ხელმძღვანელი. კონფერენციას ესწრებოდნენ აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციების, მათ შორის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (GYLA) და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“, წარმომადგენლები.⁹

GYLA-ს წარმომადგენლის განცხადებით, დოკუმენტი სექტორში გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების გაზრდისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია. თუმცა GYLA-ს რეკომენდაცია, დოკუმენტში შეტანილი ყოფილიყო სამინისტროს და მისდამი დაქვემდებარებული უწყებების შესყიდვების გამჭვირვალობის საკითხი, გათვალისწინებული არ იქნა. რეკომენდაცია გულისხმობდა სამინისტროს ვებგვერდზე სპეციალური სექციის შექმნას, რომელშიც განთავსდებოდა ინფორმაცია სამინისტროს გამარტივებული შესყიდვებისა და ელექტრონული ტენდერების შესახებ. სამინისტრო ასევე გამოაქვეყნებდა განმარტებებს, თუ რატომ გაიმარჯვა კონკრეტულმა კომპანიამ მოცემულ ტენდერში. ამასთანავე, GYLA-მ სამინისტროს გამარტივებული შესყიდვების კვარტალური ანგარიშის ადვილად გასაგები ფორმით (მაგალითად, ინფოგრაფიკების სახით) გამოქვეყნებისკენ მოუწოდა.¹⁰ სამინისტროს წარმომადგენელთა თქმით, შესყიდვების პოლიტიკის განსაზღვრა სამინისტროს კომპეტენციას არ განეკუთვნება და, შესაბამისად, მას არ ევალება ამ საკითხის სექტორულ სტრატეგიაში შეტანა.¹¹ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტი “დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა” (GGI) დახმარებას გაუწევს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებაში.

ადრეული შედეგები (თუ არის)

გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიითა და სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების ნაწილი განხორციელების ეტაპზეა. მაგალითად, სრულად არის ამოქმედებული Build.gov.ge – ვებგვერდი, რომელზედაც სამინისტროსადმი დაქვემდებარებული სამშენებლო პროექტების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება.¹² ვებგვერდის გამოყენება მარტივია. ის მომხმარებელს ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული სამშენებლო პროექტების თაობაზე ძირითად ინფორმაციას აწვდის. სამინისტროს ვებგვერდზე ასევე მოცემულია მომხმარებელთა უფლებების დაცვის მოდულის ბმული, რომელზედაც მომხმარებელს მხილების განცხადების შევსება შეუძლია.¹³ ამასთანავე, სამინისტროს აუდიტის სტრუქტურული ერთეული დეპარტამენტად გადაკეთდა და, სხვა ფუნქციებს შორის, ეთიკური ნორმების დაცვის ვალდებულება დაემატა (ეს ადრე ადმინისტრაციული დეპარტამენტის ფუნქცია იყო, რომელსაც ამ საპასუხისმგებლო ვალდებულების შესრულებისთვის არასაკმარისი რესურსი ჰქონდა).¹⁴ სამინისტროს წარმომადგენელთა განცხადებით, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები დოკუმენტით განსაზღვრულ ვადებში განხორციელდება.¹⁵

გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა ასევე მოიცავს პროფესიული უნარების განვითარებისკენ მიმართულ ღონისძიებებს, მათ შორის, საჯარო სამსახურში ეთიკისა და კეთილსინდისიერების შესახებ თანამშრომლების ცნობიერების ამაღლებას, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების თაობაზე მათ ინფორმირებას და ადამიანური რესურსების მართვასა და პროფესიული მოვალეობის შესრულების შეფასებაში ტრენინგების ჩატარებას. გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში UNDP სამინისტროს თანამშრომლებს ტრენინგებს უტარებს. მათ შორისაა 2016 წელს ჩატარებული ტრენინგები საჯარო მოხელის უნარებში, პროფესიული მოვალეობის შესრულების შეფასებაში, შიდა აუდიტში, საჯარო სამსახურის რეფორმასა და პოლიტიკის ანალიზსა და შეფასებაში. 2017 წელს ჩატარდა ტრენინგები პროექტის მართვასა და სახელმწიფო შესყიდვებში. შესაბამისად, პროფესიული უნარების განვითარებისკენ მიმართული ზოგიერთი ღონისძიება უკვე განხორციელდა.¹⁶

შემდეგი ნაბიჯები

ვალდებულება კორუფციასთან ბრძოლისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია, განსაკუთრებით ისეთ სექტორში, როგორცაა ინფრასტრუქტურული და რეგიონული განვითარება. გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიისა და სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების მიუხედავად, სამოქმედო გეგმა ჯერ კიდევ შესასრულებელია. სამინისტრომ საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და სტრატეგიის განხორციელების 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში აიღო რამდენიმე ვალდებულება, რომლებიც პირდაპირ სამინისტროს სექტორული გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიითა და სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმით იყო გათვალისწინებული.¹⁷ იმისთვის, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინიციატივები სრულად განხორციელდეს,

უმჯობესია, სამინისტრომ კონკრეტული ღონისძიებები ვალდებულების სახით OGP-ის მომდევნო სამოქმედო გეგმაში შეიტანოს.

ამასთანავე, GYLA-ს მოსაზრებებზე დაყრდნობით, IRM-ის მკვლევართა რეკომენდაციაა, სამინისტროს და მისდამი დაქვემდებარებული უწყებების მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვებისა და ელექტრონული ტენდერების გამჭვირვალობის საკითხი OGP-ის მომდევნო სამოქმედო გეგმაში იქნეს შეტანილი. მიუხედავად იმისა, რომ სამინისტრო არ არის ქვეყანაში შესყიდვების პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები პირი და ის შესყიდვების ზოგად ნორმებს ექვემდებარება, არსებული შესყიდვების სისტემა დგას კონკრეტული გამოწვევების წინაშე, როგორცაა ელექტრონული შესყიდვების სისტემის გამოწვევები და შესაძლო გამარტივებული შესყიდვები. სექტორის მონაცვლადობიდან გამომდინარე, სამინისტრომ შესყიდვების გამჭვირვალობის გასაზრდელად კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადადგას, კერძოდ, შესყიდვების შესახებ გადაწყვეტილებების და დადებული ხელშეკრულებების თაობაზე სტატისტიკური მონაცემები ონლაინსივრცეში, მომხმარებლისთვის მოსახერხებელი ფორმით უნდა გამოაქვეყნოს.

¹ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, <http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/174>

² ეკა სეფაშვილი, მინისტრის მრჩეველი, თამარ ჯორჯოშვილი, იურიდიული განყოფილების მრჩეველი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 3 აგვისტო

³ OECD, საქართველოში ანტიკორუფციული რეფორმების განხორციელების მეოთხე რაუნდის ანგარიში, 2016, <http://bit.ly/2Dx42LX>

⁴ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2017 წლის 26 აპრილის №69/თ ბრძანება „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიის (2017-2020 წწ.) და სტრატეგიის განხორციელების 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/ministris_brzaneba.pdf

⁵ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია (2017-2020 წწ.), <https://goo.gl/pN8WhG>

⁶ საბა ბუაძე, ანტიკორუფციული მიმართულების ხელმძღვანელი, ლევან ავალიშვილი, პროგრამების დირექტორი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 25 ივლისი

⁷ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა (2017-2018), <http://bit.ly/2ExfiFh>

⁸ გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დახმარებას უწევდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) “დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა”, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისათვის (IDFI) გამოყოფილი გრანტის საშუალებით

⁹ სეფაშვილი, ჯორჯოშვილი, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

¹⁰ სალომე საღარაძე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (GYLA) პროექტის იურისტი, ელექტრონული მიმოწერა IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 12 სექტემბერი

¹¹ სეფაშვილი, ჯორჯოშვილი, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

¹² საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სამშენებლო პროექტების ბაზა, <http://build.gov.ge/ge/projects>

¹³ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მამხილებლის გვერდი, <https://mkhileba.gov.ge/>

¹⁴ სეფაშვილი, ჯორჯოშვილი, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

¹⁵ სეფაშვილი, ჯორჯოშვილი, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

¹⁶ მარია შიოშვილი, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში“ მენეჯერი, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 13 სექტემბერი

¹⁷ საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია და საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა, <http://bit.ly/2mX2bG1>

12. მსჯავრდებულთა მონაცემთა ბაზის სრულყოფა და პენიტენციური დეპარტამენტის სრულად გადასვლა ელექტრონულ საქმისწარმოებაზე

ვალდებულების ტექსტი:

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო 2017 წლისათვის გააუმჯობესებს არსებულს ან შექმნის მსჯავრდებულთა მონაცემთა ახალ ბაზას. დღეისათვის არსებული მონაცემთა ბაზა ვერ უზრუნველყოფს მონაცემთა დამუშავება/დახარისხებას სათანადო დონეზე; ბაზაში არ არის ასახული სრულყოფილი მონაცემები და ვერ ხდება მათი სათანადო ფილტრაცია.

განახლებული ბაზის დანერგვა მოხდება ეტაპობრივად. პირველ ეტაპზე განხორციელდება არსებული სისტემის ნაკლოვანებათა დადგენა. სამინისტრო შეისწავლის სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო პრაქტიკასა და ამ სფეროში წარმატებულ სისტემებს. შემდგომ ეტაპზე, შემუშავდება სამომავლოდ დასანერგი სისტემის მოდელი და მოხდება მისი პილოტირება.

განახლებული ბაზა უზრუნველყოფს სასჯელაღსრულების დანესებულებებისა და პენიტენციური დეპარტამენტის სრულად ელექტრონულ საქმისწარმოებაზე გადასვლას. ამავდროულად, შესაძლებელი იქნება სტატისტიკური მონაცემების უკეთესად დამუშავება, ანალიზი და პერსონალურ მონაცემთა უკეთესად დაცვა.

წამყვანი დანესებულება: საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

დამხმარე დანესებულება: ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტი

დაწყების თარიღი: აპრილი, 2016

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2017

ვალდებულების აღწერა	კონკრეტულობა				OGP-ის შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				დროულად?	შესრულება					
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშგაღებულება	ტექნოლოგიები	ინოვაცია	გამჭვირვალობისა და ანგარიშგაღებულების სათაისი	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული		არ დაწყებულა	შემდგომი	არსებითი	შესრულებული
12. მსჯავრდებულთა მონაცემთა ბაზის სრულყოფა და პენიტენციური დეპარტამენტის სრულად გადასვლა ელექტრონულ საქმისწარმოებაზე				✓	გაურკვეველი									✓					✓

კონტექსტი და მიზნები

საქართველოში სასჯელაღსრულების სისტემა ყოველთვის ჩაკეტილი სფერო იყო. საზოგადოებას სისტემის შიგნით მიმდინარე პროცესების შესახებ ძალიან მწირი ინფორმაცია აქვს და პატიმრებისა და მათი მდგომარეობის თაობაზე ოფიციალური მონაცემების მოპოვება სპეციალიზებულ ორგანიზაციებსაც კი უჭირთ. ეს ნაწილობრივ იმით არის განპირობებული, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მსჯავრდებულთა შესახებ სრულყოფილი მონაცემთა ბაზები არ აქვს, კერძოდ, არსებული ბაზები ერთმანეთთან დაკავშირებული არ არის და, შესაბამისად, ინფორმაციის გარე მოთხოვნებზე პასუხის გაცემა სამინისტროსთვის გამონვევა.¹ ამ ვალდებულებით სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ არსებული მონაცემთა ბაზების ნაკლოვანებების, აგრეთვე მსჯავრდებულთა შესახებ მონაცემთა ბაზების შექმნისა და მართვისთვის საჭირო საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტების შესწავლის და ამ სტანდარტებზე დაყრდნობით აღნიშნული ბაზების განახლების ან ახალი ბაზის შექმნის პირობა დადო.

ეს სასჯელაღსრულების სისტემაში მონაცემთა კლასიფიკაციისა და მართვის პროცესების გაუმჯობესებისკენ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა განახლებული მონაცემთა ბაზა შიდა მოხმარებისთვის იქნება განკუთვნილი და მოქალაქეები მას მხოლოდ ირიბად გამოიყენებენ, როდესაც ბაზიდან ზოგიერთ ინფორმაციას ინფორმაციის თავისუფლების მოთხოვნების მეშვეობით მიიღებენ. შესაბამისად, ვალდებულების OGP-ის ღირებულებებთან კავშირი გაურკვეველია და იგი სასჯელაღსრულების სისტემაში მონაცემთა საჯარო ხელმისაწვდომობის გაზრდაზე მცირე გავლენას მოახდენს.

შესრულება

შუალედური ანგარიშის დროს ვალდებულება შემლუდულად იყო შესრულებული. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო მონაცემთა ბაზების გასაუმჯობესებლად ევროკავშირი-საქართველოს „მართლმსაჯულების რეფორმების მხარდაჭერის პროგრამასთან“ თანამშრომლობს. სისტემის შიგნით ჩატარებული შეფასებით დადგინდა, რომ აუცილებელია მსჯავრდებულთა შესახებ სხვადასხვა მონაცემთა ბაზის ჰარმონიზება და ახალი, ერთიანი ბაზის შექმნა, რომელიც საჭირო ინფორმაციის გენერირებას ავტომატურად მოახდენს. სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, ახალი ბაზა მხოლოდ შიდა მოხმარებისთვის იქნება განკუთვნილი. სასჯელაღსრულების სისტემის შიგნითაც ბაზის ხელმისაწვდომობის სხვადასხვა დონე იარსებებს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი სრულად ყველასთვის ხელმისაწვდომი არ იქნება.² მაგალითად, მსჯავრდებულთა სამედიცინო ისტორიების მონაცემებზე ხელი მხოლოდ სამედიცინო დეპარტამენტს უნდა მიუწვდებოდეს, ხოლო მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო პროგრამებზე – პრობაციის ეროვნულ სააგენტოს.³

სამინისტრომ შეიმუშავა ახალი ელექტრონული სისტემის კონცეფცია, რომელიც პატიმართა შესახებ მონაცემების უკეთ დამუშავებისა და მართვის საშუალებას იძლევა. თუმცა მან ვერ შეიძინა აუცილებელი კომპიუტერული პროგრამა, რომელიც ძვირი ჯდება. სამინისტრომ დახმარებისთვის გარე დონორს, კერძოდ, გაეროს, მიმართა, თუმცა მან ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა, რადგან

პასუხისმგებელი საჯარო უწყებების მიერ წარსულში გაეროს მიერ დაფინანსებული ასეთი მონაცემთა ბაზები პრაქტიკაში გამოყენებული არ ყოფილა. შესაბამისად, ევროკავშირი-საქართველოს „მართლმსაჯულების რეფორმების მხარდაჭერის პროგრამასთან“ თანამშრომლობით სამინისტრო არსებული მონაცემთა ბაზების გაუმჯობესებასა და მათთვის ახალი ინფორმაციის დამატებაზეა ორიენტირებული, რაც მონაცემების უფრო დეტალური ანალიზის საშუალებას იძლევა. ეს პროექტი 2019 წლის მაისამდე ხორციელდება და მონაცემთა ბაზის განახლების პროცესი ამ დრომდე უნდა დასრულდეს.⁴

შემდეგი ნაბიჯები

დაინტერესებული მხარეების წარმომადგენელთა აზრით, მნიშვნელოვანია, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ ვალდებულება აიღო, გაეუმჯობესებინა მის ხელთ არსებული მსჯავრდებულთა შესახებ მონაცემთა ბაზები, რაც შესაძლებელს გახდიდა სისტემის შიგნით ამ მონაცემების უფრო ღრმა ანალიზსა და კლასიფიკაციას, აგრეთვე სისტემის გარეთ გამოსაყენებლად უფრო ინფორმაციული, საჯაროდ ხელმისაწვდომი სტატისტიკის წარმოებას. თუმცა სამინისტრომ ასევე განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს მაღალი საჯარო ინტერესის გამომწვევი სტატისტიკური მონაცემების პროაქტიულ გამოქვეყნებას, როგორცაა პატიმართა საერთო რაოდენობა და თითოეული სასჯელაღსრულების დაწესებულების მიხედვით პატიმართა პროცენტული მაჩვენებელი, პატიმართა საპატიმრო რეჟიმი, სქესი, ასაკი, მოქალაქეობა და ჩადენილი დანაშაულის ტიპი. ამას გარდა, სამინისტრომ უნდა დაიწყოს განმეორებით ჩადენილი დანაშაულის შესახებ მონაცემების სტატისტიკის წარმოება, რომლებიც მოქალაქეებს იმის გაგების საშუალებას მისცემს, თუ რამდენად მოსალოდნელია, საპატიმროდან გათავისუფლებულმა პირებმა დანაშაული კიდევ ჩაიდინონ და, ჩვეულებრივ, რამდენ განმეორებით დანაშაულს ჩაიდენენ. ასეთი მონაცემების გამოქვეყნება პატიმართა სარეაბილიტაციო პროგრამების განმახორციელებელ ორგანიზაციებსაც დაეხმარება მათი საქმიანობის შედეგების შეფასებაში და დამნაშავეებისთვის ამ სარეაბილიტაციო პროგრამების ეფექტიანობის გაზრდაში.⁵

ამასთან დაკავშირებული რეკომენდაციაა, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ საკუთარი ხარჯების გამჭვირვალობა გაზარდოს და გამოაქვეყნოს დეტალური სტატისტიკური მონაცემები იმის შესახებ, თუ როგორ ხარჯავს ის საჯარო ფინანსებს. მაგალითად, მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ, სახელმწიფო ბიუჯეტის რამდენი პროცენტი გამოყოფილი ციხეებში არსებული სამედიცინო დაწესებულებების მდგომარეობის გაუმჯობესებისა და თითოეული პატიმრის კვებისთვის, აგრეთვე როგორია დამნაშავეებისთვის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სარეაბილიტაციო/რესოციალიზაციის პროგრამების შედეგები. ეს სამინისტროს სისტემის შიგნით არსებული პრობლემების უკეთ დადგენასა და ამ პრობლემების გადასაჭრელად ქმედითი მექანიზმების შემუშავებაშიც დაეხმარება.⁶

¹ ცირა ჭანტურია, „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისის ხელმძღვანელი საქართველოში, ირენა გაბუნია, „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ სამხრეთ

კავკასიის რეგიონული ოფისის გრანტების მოძიების სპეციალისტი/პროექტის კოორდინატორი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 29 აგვისტო

² ელენე ბერაძე, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 11 აგვისტო

³ თინათინ უფლისაშვილი, ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის დახმარების პროექტის გუნდის ლიდერის მოადგილე, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 16 აგვისტო

⁴ უფლისაშვილი, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

⁵ ჭანტურია, გაბუნია, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

⁶ ჭანტურია, გაბუნია, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

13. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების მონაცემების გამოქვეყნება დანაშაულის კვალიფიკაციისა და გეოგრაფიული არეალის მიხედვით

ვალდებულების ტექსტი:

წინამდებარე ვალდებულება მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთთანამშრომლობის თვალსაჩინო მაგალითია. ფორუმის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციით ღია მმართველობა საქართველოს მეორე სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ფარული მიყურადების შესახებ სასამართლოს სტატისტიკის პროაქტიული გამოქვეყნება დაიწყო. ამით საქართველო მსოფლიოს იმ ქვეყანათა მცირერიცხოვან ჯგუფში მოხვდა, სადაც ასეთი მონაცემები საჯაროდ ქვეყნდება. OGP-ის დამოუკიდებელი ანგარიშების მექანიზმმა (Independent Reporting Mechanism – IRM) აღნიშნული ვალდებულება მეორე სამოქმედო გეგმის ე.წ. „ვარსკვლავურ“ ვალდებულებად დაასახელა.

ამასთან, IRM-ის ანგარიშში აღინიშნა, რომ რეკომენდირებულია მონაცემების იმგვარად გამოქვეყნება, რომ შესაძლებელი იყოს მათი დახარისხება დანაშაულის დიფერენცირებისა და გეოგრაფიული არეალის მიხედვით. რეკომენდაციას უშუალოდ უპასუხა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ და აღნიშნა, რომ სასამართლო აღნიშნულს ახალ ვალდებულებად ღია მმართველობა საქართველოს მესამე სამოქმედო გეგმის ფარგლებში აიღებდა.

შესაბამისად, სასამართლომ გეგმავს ახალი სტატისტიკური ანგარიშების ფორმების შემოღებას, რაც შესაძლებელს გახდის სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების შესახებ დანვრილებითი მონაცემების მიღებას და გამოქვეყნებას, ასევე მონაცემთა დამუშავებას დანაშაულის დიფერენცირებისა და სასამართლოების მიხედვით. მონაცემები Excel-ის ცხრილების სახით გამოქვეყნდება ვებგვერდზე: www.supremecourt.ge OGP-ის სექციის ქვეშ, სიახლეების ბლოკსა და სტატისტიკის ბმულზე.


წამყვანი დანესებულება: საქართველოს უზენაესი სასამართლო

დამხმარე დანესებულება: არ არის

დაწყების თარიღი: ივლისი, 2016

დასრულების თარიღი: იანვარი, 2017

ვალდებულების აღწერა	კონკრეტულობა				OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				დროულად?	შესრულება				
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშგაუაზრობის აღქმა	ტექნოლოგიები და ინოვაცია	გამჭვირვალობისა და ანგარიშგაუაზრობის აღქმა	არცერთი	მცირე	საშუალო		ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შემდგომი	არსებითი	შესრულებული
13. სატელეფონო საუბრის ფარული				✓	✓						✓			✓				✓



კონტექსტი და მიზნები

ვალდებულება წინა წინსვლის ანგარიშში მოცემულ IRM-ის რეკომენდაციებს პირდაპირ უპასუხებს. კერძოდ, საქართველოს უზენაეს სასამართლოს მიერ რეკომენდაცია, გამოქვეყნებისა სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადღების მონაცემები, დახარისხებული დანაშაულის კვალიფიკაციისა და გეოგრაფიული არეალის მიხედვით, რომლისთვისაც სასამართლომ ეჭვმიტანილთა ტელეფონების ფარული მიყურადღების შუამდგომლობები დააკმაყოფილა. უზენაესმა სასამართლომ ამ რეკომენდაციის გათვალისწინების და მოთხოვნილი ინფორმაციის საკუთარ ვებგვერდზე Excel-ის ცხრილების სახით გამოქვეყნების პირობა დადო.

სრულად შესრულების შემთხვევაში ვალდებულება მთავრობის მხრიდან სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადღების პრაქტიკის სიხშირის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე და მოქალაქეთათვის იმის გაგებაში დახმარების განწევაზე, იზრდება თუ არა ეს ტენდენცია, მცირე გავლენას მოახდენს. წინა სამოქმედო გეგმაში არსებულ ვალდებულებას ტრანსფორმაციული შედეგი ჰქონდა, რადგან მაშინ ფარული მიყურადღების შესახებ სტატისტიკური მონაცემები პირველად გამოქვეყნდა, ხოლო მიმდინარე ვალდებულება აღნიშნული ვალდებულების დანამატია და უფრო დეტალური მონაცემების გამოქვეყნებას გულისხმობს.

შესრულება

შუალედური ანგარიშის დროს ვალდებულება შესრულებული იყო. უზენაესმა სასამართლომ ახალი მონაცემების გამოქვეყნება 2017 წლის იანვრიდან დაიწყო. ეს ინფორმაცია PDF ფორმატითაა გამოქვეყნებული და შეიცავს ექვსი თვის სტატისტიკურ მონაცემებს, დახარისხებულს დანაშაულის ტიპის მიხედვით, რომლისთვისაც სასამართლომ სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადღების შუამდგომლობები დააკმაყოფილა. უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ცხრილი შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებს, რომელთა მიხედვითაც ეჭვმიტანილებს ბრალდება წარედგინათ, აგრეთვე სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადღების შუამდგომლობების დაკმაყოფილების შესახებ პროკურატურის მოთხოვნების რაოდენობას და იმ შუამდგომლობათა რაოდენობას, რომლებიც დაკმაყოფილდა, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ან არ დაკმაყოფილდა.¹ ცალკე PDF ფაილში უზენაესი სასამართლო წარმოადგენს რაიონული და საქალაქო სასამართლოების გეოგრაფიულ განაწილებას, ამ სასამართლოების მიერ განხილული შუამდგომლობების რაოდენობას და იმ შუამდგომლობათა რაოდენობას, რომლებიც მათ დააკმაყოფილეს, ნაწილობრივ დააკმაყოფილეს ან არ დააკმაყოფილეს.² უზენაესი სასამართლოს წარმომადგენლის განცხადებით, იმის

მიზნები, რომ ახალი მონაცემები PDF ფორმატითაა გამოქვეყნებული და არა Excel-ის ცხრილის სახით, როგორც ეს ვალდებულების ტექსტშია მითითებული, არის უსაფრთხოების საკითხის გათვალისწინება – მომხმარებლებმა ვერ უნდა შეძლონ წარმოდგენილი ინფორმაციის შეცვლა.³

ადრეული შედეგები (თუ არის)

სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების შესახებ მონაცემებს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები სხვადასხვა სიხშირით იყენებენ. ზოგიერთი ორგანიზაცია, კერძოდ, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), ამ მონაცემებს საკუთარი მონიტორინგისა და ადვოკატირების ღონისძიებებისთვის უფრო აქტიურად იყენებს, ვიდრე სხვა ორგანიზაციები.⁴ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (GYLA) წარმომადგენლის აზრით, აღნიშნული მონაცემების მოხმარების არც ისე მაღალი მაჩვენებელი ნაწილობრივ შეიძლება მათში მოყვანილი დეტალების ნაკლებობით აიხსნას.⁵

შემდეგი ნაბიჯები

დაინტერესებულმა მხარეებმა დადებითად შეაფასეს უზენაესი სასამართლოს ძალისხმევა, მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებების – სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების შესახებ არსებული მონაცემებისთვის დაემატებინა მეტი დეტალი, დახარისხებული დანაშაულის კვალიფიკაციისა და გეოგრაფიული არეალის მიხედვით, რომლისთვისაც სასამართლოებმა ფარული მიყურადების შუამდგომლობები დააკმაყოფილეს. თუმცა, მათი აზრით, შესაძლებელია ამ მონაცემების კიდევ უფრო დეტალიზება შემდეგი სასარგებლო დეტალების მიხედვით: პირთა კატეგორია, რომლის მიმართაც მთავრობა ფარულ მიყურადებას ახორციელებს, აგრეთვე პროკურატურის მიერ წარმოებული სტატისტიკა იმის თაობაზე, თუ რამდენ ფარული მიყურადების შუამდგომლობას წარუდგენენ ისინი სასამართლოებს და რა სიხშირით. გარდა ამისა, არასამთავრობო ორგანიზაციები არ ეთანხმებიან უზენაესი სასამართლოს ახსნა-განმარტებას, რომ PDF ფორმატი Excel-ის ცხრილთან შედარებით გამოქვეყნებული მონაცემების უკეთ დაცვას უზრუნველყოფს. მათი აზრით, ეს არგუმენტი მყარი არ არის, რადგან უწყებას, რომელიც მონაცემებს აქვეყნებს, შეუძლია მიიღოს ყველა დოკუმენტის დედნის გაყალბების საწინააღმდეგო უსაფრთხოების ზომები, ფორმატის მიუხედავად. უფრო მეტიც, უზენაეს სასამართლოს ვალდებულების ტექსტის შედგენის დროს ეს საკითხი არ უხსენებია და სასამართლოს საკუთარი მონაცემების Excel-ის ცხრილში გამოქვეყნების გამოცდილება უკვე აქვს.⁶

ამასთანავე, დაინტერესებული მხარეები უზენაეს სასამართლოს და პროკურატურას რეკომენდაციას აძლევენ, OGP-ის მომდევნო სამოქმედო გეგმაში აიღონ ერთობლივი ვალდებულება, რომლის მიზანი მთავრობის მხრიდან ფარული მიყურადების პრაქტიკის მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფა იქნება.⁷ გარდა ამისა, უზენაესი სასამართლოს მიერ იმის შესახებ ზოგადი წლიური სტატისტიკის გამოქვეყნების მიუხედავად, თუ რამდენი ფარული მიყურადების მონაცემი გაანადგურეს რაიონულმა და საქალაქო სასამართლოებმა პროკურატურის საგამოძიებო მოქმედებების დასრულების შემდეგ, ცალკე სტატისტიკა იმის თაობაზე, თუ რამდენი სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების მონაცემი განადგურდა,

არ ქვეყნდება. თუმცა ეს IRM-ის წინა ანგარიშში მოცემული კიდევ ერთი რეკომენდაცია იყო. ამჟამინდელი, 2016 წლის მონაცემები ძალიან ზოგადია და მოიცავს მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განადგურებულ ფარული მიყურადების მონაცემებს, რომელთა საერთო რაოდენობაა 33, სხვა რაიონული და საქალაქო სასამართლოების მიხედვით კი ასეთი მონაცემები წარმოდგენილი არ არის.⁸

და ბოლოს, უზენაესი სასამართლო წელიწადში ორჯერ გამოქვეყნებულ სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების შესახებ სტატისტიკურ მონაცემებს არ აარქივებს. სასამართლოს ვებგვერდზე ძველი ინფორმაცია უბრალოდ ახალი ინფორმაციით იცვლება. IRM-ის მკვლევრები სასამართლოს რეკომენდაციას აძლევენ, შექმნას ძველი მონაცემების არქივი და იგი საკუთარ ვებგვერდზე გამოაქვეყნოს, რათა ყველა დაინტერესებულმა მომხმარებელმა შეძლოს წლების მიხედვით შედარება და ახალი ტენდენციების ანალიზი. და ბოლოს, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების შესახებ სტატისტიკური მონაცემები სასამართლოს ვებგვერდზე მარტივად უნდა იძებნებოდეს და ადვილად გამოსაყენებელი უნდა იყოს.

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლო, სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებული სტატისტიკა, <http://bit.ly/2EqVxz1>

² საქართველოს უზენაესი სასამართლო, სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებული სტატისტიკა, <http://bit.ly/2EqVxz1>

³ ლია მჭედლიშვილი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს აპარატის სტატისტიკის სექტორის უფროსი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 21 აგვისტო

⁴ ლევან ავალიშვილი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) პროგრამების დირექტორი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 25 ივლისი

⁵ ნინო ცუხიშვილი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (GYLA) საპარლამენტო მდივანი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 5 სექტემბერი

⁶ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), კომენტარები 2016-2017 წლების წინსვლის ანგარიშის პროექტზე, 2017 წლის 25 დეკემბერი

⁷ ცუხიშვილი, ინტერვიუ, სექტემბერი, 2017

⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლო, სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებული მონაცემები, <http://bit.ly/2jzjskY>

❖14. საჯარო ფინანსების ზედამხედველობის (საჯარო აუდიტის) პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა

ვალდებულების ტექსტი:

სახელმწიფო აუდიტის სამსახური სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით გეგმავს გააძლიეროს საჯარო ფინანსების ზედამხედველობის (საჯარო აუდიტის) პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა, რაც სახელმწიფო აუდიტის სამსახურისადმი მათ ნდობას აამაღლებს.

პირველ ეტაპზე, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან აქტიური თანამშრომლობით, შეიქმნება სტრატეგია. სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, სტრატეგიაში მოცემული იქნება მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს მოქალაქეთა კონსტრუქციულ მონაწილეობას აუდიტის სრული ციკლის პროცესში, მათ შორის, რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ეტაპზე.

გარდა ამისა, ინოვაციური ICT მექანიზმის, ვებპლატფორმის მეშვეობით მოქალაქეებს მიეწოდებათ სრულყოფილი ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტის, საჯარო ფინანსების მართვის, აუდიტის მიგნებების, გაცემული რეკომენდაციებისა და მათი შესრულების მდგომარეობის შესახებ. ვებპლატფორმაზე ინფორმაციის მარტივად აღსაქმელად გამოყენებული იქნება ვიზუალიზაციის სხვადასხვა მეთოდი.

ვებპლატფორმა შექმნის ორმხრივი კომუნიკაციის არხს სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და მოქალაქეებს შორის. ერთი მხრივ, მოქალაქეები გაეცნობიან აუდიტის სამსახურის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მეორე მხრივ, საშუალება ექნებათ სამსახურს აცნობონ მათ მიერ იდენტიფიცირებული როგორც კონკრეტული გადაცდომების ასევე, სახელმწიფო მომსახურებების ნაკლოვანების შესახებ. ამასთან, მოქალაქეები შეძლებენ წარმოდგინონ პროფესიულ კვლევებზე დაფუძნებული წინადადებები აღმოჩენილი ნაკლოვანებების გაუმჯობესების მიზნით. მოქალაქეებისგან მიღებული ინფორმაცია გაანალიზებული და მიზანშეწონილობის შემთხვევაში გათვალისწინებული იქნება აუდიტის გეგმის შედგენისა და განხორციელების პროცესებში.

საჯარო აუდიტის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა აამაღლებს მოქალაქეთა ცნობიერებას საბიუჯეტო პროცესების შესახებ, რაც გაზრდის მათ მოთხოვნას საჯარო რესურსების გამჭვირვალედ მართვის შესახებ; სრულყოფილი ინფორმაცია კი გაუმჯობესებს მოქალაქეთა ზედამხედველობის ხარისხს მმართველობით პროცესებზე.

განხორციელების ეტაპები:

საჯარო კონსულტაციების წარმართვა სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან საჯარო აუდიტის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის სხვადასხვა მექანიზმის შემუშავებისა და გაუმჯობესების მიზნით

საჯარო აუდიტის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის სტრატეგიის დოკუმენტის სამუშაო ვერსიის მომზადება

საჯარო აუდიტის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის სტრატეგიის დასრულება და დამტკიცება

ვებპლატფორმის ძირითადი კონცეფციის განსაზღვრა და შეთანხმება სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან

ვებპლატფორმის ტექნიკური განვითარება და საზოგადოებისათვის წარდგენა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მინიმუმ 15 სამუშაო შეხვედრის ორგანიზება მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან, სტუდენტებსა და მედიასთან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებით მათი უფლებებისა და ვებპლატფორმის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით

ვებპლატფორმის შესახებ მოკლემეტრაჟიანი ვიდეო რგოლის მომზადება და სოციალური მედიის მეშვეობით გავრცელება

წამყვანი დაწესებულება: სახელმწიფო აუდიტის სამსახური

დამხმარე დაწესებულებები: სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებით ფორმირებული საჯარო ფინანსების მართვის ზედამხედველობაში მოქალაქეთა ჩართულობის საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო ჯგუფი

დაწყების თარიღი: აგვისტო, 2016

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2017

ვალდებულების აღწერა	კონკრეტულობა				OGP-ის შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				დროულად?	შესრულება				
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშგაღებულულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია	გამჭვირვალობისა და ანგარიშგაღებულულება	ბისიზნის	არცერთი	მცირე		საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შემდგომი	არსებითი
14. საჯარო ფინანსების ზედამხედველობის (საჯარო აუდიტის) პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა				✓	✓	✓	✓	✓					✓					✓

კონტექსტი და მიზნები

სახელმწიფო აუდიტის სამსახური (შემდგომ – აუდიტის სამსახური) არის დამოუკიდებელი ინსტიტუტი, რომელიც საქართველოს პარლამენტს საქართველოს მთავრობაზე ზედამხედველობის განხორციელებაში ეხმარება. აუდიტის სამსახურის ფუნქციებს განეკუთვნება საჯარო სექტორის გარე აუდიტის განხორციელება, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონიტორინგი და პარლამენტისთვის რეკომენდაციების წარდგენა.¹ 2015 წლის ღია ბიუჯეტის კვლევის (OBS) მიხედვით, აუდიტის სამსახურმა ბიუჯეტის ზედამხედველობაში 100 ქულიდან

100 მილიონ, თუმცა მოქალაქეთა ჩართულობა 100-დან მხოლოდ 46 ქულით შეფასდა.² აუდიტის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით აუდიტის სამსახურმა ვალდებულება აიღო, შეექმნა ვებპლატფორმა, რომელიც მოქალაქეებს სახელმწიფო ბიუჯეტის და აუდიტის დასკვნების შესახებ ინფორმაციას ადვილად აღსაქმელი ფორმით მიაწვდიდა და საზოგადოებისგან უკუკავშირის – სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ ჩადენილი შესაძლო დარღვევების თაობაზე ინფორმაციის მიღების მექანიზმს გაითვალისწინებდა.³ ვალდებულების ძირითადი მიზანია მოქალაქეთა ჩართვით საჯარო სექტორში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა. ვალდებულების ტექსტში OGP-ის გამოწვევებად საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება, საჯარო სერვისების გაუმჯობესება და საჯარო რესურსების უკეთესი მართვაა მითითებული.⁴

ვალდებულება შეფასდა, როგორც მაღალი კონკრეტულობის, აგრეთვე მკაფიოდ განსაზღვრული და შემოწმებადი ღონისძიებების მქონე, როგორცაა სამოქალაქო სექტორთან საჯარო კონსულტაციების გამართვა, საჯარო აუდიტის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის სტრატეგიის შემუშავება და დამტკიცება, ვებპლატფორმის ამოქმედება და სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან ვებპლატფორმის გამოყენების შესახებ 15 სამუშაო შეხვედრის ჩატარება. ამასთანავე, აუდიტის სამსახურის მიერ შერჩეული ინდიკატორებია: ვებპლატფორმის ყოველთვიურად არანაკლებ 50 ახალი ვიზიტორის მიერ გამოყენება; მოქალაქეების მიერ აუდიტის თაობაზე არანაკლებ 12 წინადადების წარმოდგენა; არანაკლებ 3 ასეთი განხილული წინადადების აუდიტის გეგმაში გათვალისწინება.⁵ ვალდებულება ითვალისწინებს კომპლექსურ მიდგომას, რომელიც მოიცავს როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის პროაქტიულად, მომხმარებლისთვის მოსახერხებელი ფორმით გამოქვეყნებას, ისე საჯარო ფინანსების მონიტორინგის პროცესში მოქალაქეთა ჩართვისა და საჯარო აუდიტის ჩასატარებლად კონკრეტული წინადადებების მიღების მექანიზმების შემუშავებას.⁶ იქიდან გამომდინარე, რომ ინიციატივა ვალდებულების ტექსტში დეტალურად არის განხილული და დაინტერესებულ მხარეებს იგი ბიუჯეტის გამჭვირვალობის გაზრდისთვის სამაგალითო წამოწყებად მიაჩნიათ,⁷ ვალდებულება შეფასდა, როგორც ტრანსფორმაციული შედეგის მქონე. ამასთანავე, ვალდებულება OGP-ის ოთხივე ღირებულებას შეესაბამება, რადგან ის ვებტექნოლოგიებს იყენებს: 1 ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებისთვის, რაც ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ზრდის; 2. მოქალაქეებისთვის წინადადებებისა და მოსაზრებების წარდგენის საშუალების მიცემისთვის, რაც აუდიტის პროცესში მათ ჩართვას და, შესაბამისად, მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას გულისხმობს; 3. მოქალაქეებისთვის საჯარო ფინანსების მონიტორინგის მექანიზმის შექმნისთვის, რომელიც საშუალებას იძლევა, გამოვლინდეს პოტენციური დარღვევები და შესაძლო კორუფციის შემთხვევები, რაც, თავის მხრივ, ზრდის საჯარო ანგარიშვალდებულებას.

შესრულება

ვალდებულება სრულად 2017 წლის სექტემბერში შესრულდა. 2015 წლის 4 დეკემბერს გენერალური აუდიტორის მიერ გამოცემული №196/37 ბრძანებით შეიქმნა საკონსულტაციო სამუშაო ჯგუფი სხვადასხვა ორგანიზაციის, მათ შორის, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის (AYEG), ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის, PMC კვლევითი ცენტრის, სამოქალაქო განვითარების სააგენტოს

(CIDA), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI), წარმომადგენელთა მონაწილეობით. სამუშაო ჯგუფი მიზნად ისახავდა ვებპლატფორმის კონცეფციის შემუშავებას.⁸ ამასთანავე, საქართველოს საზოგადოებრივი აზრისა და ბიზნესის კვლევის საერთაშორისო ცენტრის (GORBI) დახმარებით აუდიტის სამსახურმა 14 ფოკუს ჯგუფთან გამართა შეხვედრები, რომელთა მონაწილეები ვებპლატფორმის მათთვის სასურველი მოდულების შესახებ გამოიკითხნენ.⁹

აუდიტის სამსახურმა საჯარო ფინანსების ზედამხედველობაში მოქალაქეთა ჩართულობის სტრატეგია №04597/21 ბრძანებით 2017 წლის 14 ივლისს დაამტკიცა.¹⁰ სტრატეგიაში ხაზგასმით არის აღნიშნული საკონსულტაციო ჯგუფისა და ვებპლატფორმის, Budgetmonitor.ge-ს, შექმნის, ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების და მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების შემუშავების მნიშვნელობა.¹¹ სტრატეგიის დამტკიცების შემდეგ აუდიტის სამსახურმა დაამტკიცა ვებპლატფორმის კონცეფცია, რომელიც „ბიუჯეტის მონიტორის“ მოდულებს და ტექნიკურ აღწერილობას შეიცავს.¹²

„ბიუჯეტის მონიტორი“ 2017 წლის მარტში ამოქმედდა და საქართველოს პარლამენტს წარედგინა.¹³ IRM-ის მკვლევრები ვებგვერდს დადებითად აფასებენ, როგორც მომხმარებლისთვის მოსახერხებელ და მარტივად სამართავ პლატფორმას. პლატფორმა მეთვალყურე ორგანიზაციებმაც დადებითად შეაფასეს. ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, „ბიუჯეტის მონიტორი“ სასარგებლო ინსტრუმენტია ბიუჯეტის გამჭვირვალობის გაზრდისთვის.¹⁴ პლატფორმა მოიცავს მოდულებს „სახელმწიფო ბიუჯეტი“, „მუნიციპალური ბიუჯეტი“, „აუდიტები“, „მოქალაქის გვერდი“ და სხვა.¹⁵ აუდიტის სამსახურის წარმომადგენელთა განმარტებით, პლატფორმის ძირითადი მიზანია მოქალაქეთა საჯარო ფინანსების ზედამხედველობის პროცესში ჩართვა. თუმცა ამისთვის მოქალაქეებს ჯერ ინფორმაცია უნდა მიეწოდოთ, რომ მათ გააზრებული გადანყვეტილებები მიიღონ. შესაბამისად, ვებგვერდზე მოცემულია ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირების ფინანსების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესახებ.¹⁶ მომხმარებლებს შეუძლიათ მოიძიონ ინფორმაცია ხარჯებისა და შემოსავლების თაობაზე, იხილონ ხარჯებისა და შემოსავლების კატეგორიები და შეადარონ სხვადასხვა საჯარო უწყების დანახარჯები წლების მიხედვით.¹⁷ ამასთანავე, პლატფორმა მოქალაქეს სხვადასხვა მხარჯავი დაწესებულების აუდიტის ანგარიშის ნახვის საშუალებას აძლევს.¹⁸ „მოქალაქის გვერდი“ მოიცავს შემდეგ ფუნქციებს: 1. „დაგეგმე ჩვენთან ერთად“, რომელიც მოქალაქეებს აუდიტის წლიური გეგმის შესახებ წინადადებების წარდგენის საშუალებას აძლევს; 2. „ებრძოლე კორუფციას“, რომლითაც მოქალაქე შესაძლო კორუფციის შემთხვევას აფიქსირებს; 3. „ხმა მიეცი პრიორიტეტს“, რომლის მეშვეობითაც მოქალაქე შესამომწმბელი სფეროების პრიორიტეტებს განსაზღვრავს.¹⁹ სექციების გამოყენება მარტივია და ანონიმურობის გარანტიას იძლევა. შესაბამისად, ვებგვერდის გამოსაყენებლად ავტორიზაცია საჭირო არ არის.

პორტალის შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად აუდიტის სამსახურმა საქართველოში 15-დან 13 შეხვედრა გამართა, მათ შორის, ზუგდიდში²⁰, თელავში²¹, რუსთავსა²² და ბათუმში²³. შეხვედრებში მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა, მედიისა

და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, სტუდენტები, აგრეთვე საერთაშორისო ექსპერტები (საერთაშორისო კონფერენციებზე).²⁴ აუდიტის სამსახურმა ასევე შექმნა „ბიუჯეტის მონიტორის“ შესახებ საინფორმაციო ვიდეო, რომელიც სოციალურ ქსელში გავრცელდა.²⁵

ადრეული შედეგები (თუ არის)

დარჩენილი ორი შეხვედრის მიუხედავად, IRM-ის მკვლევრები ვალდებულებას ატფასებენ, როგორც შესრულებულს. ამასთანავე, არის ადრეული შედეგებიც. აუდიტის სამსახურის წარმომადგენელთა განცხადებით, „ბიუჯეტის მონიტორის“ ვიზიტორების რაოდენობა დღეების მიხედვით განსხვავებულია. პლატფორმის ამოქმედებისა და პირველი წარდგენის შემდეგ ვებგვერდს ყოველდღიურად 1000-მდე ადამიანი ნახულობდა, თუმცა ზოგჯერ მომხმარებელთა რაოდენობა 100 ან 10 იყო. ანგარიშის წერისას პლატფორმის მეშვეობით მიღებული იყო აუდიტის თაობაზე 10 წინადადება, მათ შორის, რამდენიმე მხილების განცხადება შესაძლო კორუფციის შემთხვევის შესახებ.²⁶ ვებპლატფორმა მედიასაშუალებებით გაშუქდა.²⁷ პლატფორმის პოპულარიზაციისთვის არასამთავრობო ორგანიზაციებიც მუშაობენ, რაც მიზნად ისახავს მომხმარებელთა აქტიურობის გაზრდას.²⁸

2017 წლის სექტემბერში „ბიუჯეტის მონიტორმა“ „ფისკალური გამჭვირვალობის გლობალური ინიციატივის“ (GIFT) კონკურსში გაიმარჯვა, როგორც ინოვაციურმა ინიციატივამ გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობისთვის.²⁹

შემდეგი ნაბიჯები

დაინტერესებული მხარეებისა და მკვლევართა შეფასებით, „ბიუჯეტის მონიტორი“ სამაგალითო ვალდებულებაა, რადგან ის OGP-ის ოთხივე ღირებულებას შეესაბამება – ვალდებულება მოქალაქეთა ინფორმირებისა და ზედამხედველობის პროცესში ჩართვისთვის და მათი ჩართულობით საჯარო ანგარიშვალდებულების გაზრდისთვის კომპლექსურ მიდგომას ითვალისწინებს. აუდიტის სამსახურმა ვალდებულება ტექსტში მოცემული აღწერილობის მიხედვით შეასრულა და განხორციელების ეტაპები ზუსტად განსაზღვრულ დროში დაასრულა. IRM-ის მკვლევართა რეკომენდაციაა, ვებპლატფორმის მაქსიმალური გამოყენების მიზნით ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია ჩატარდეს. პირველ რიგში, წამყვანმა დანესებულებამ დარჩენილი ორი შეხვედრა სამოქმედო გეგმის პერიოდის დასრულებამდე უნდა გამართოს. ამასთანავე, იქიდან გამომდინარე, რომ აუდიტის სამსახურმა უკვე შექმნა მომხმარებლისთვის მოსახერხებელი და ეფექტიანი პლატფორმა ინფორმაციის მიწოდებისთვის, მოქალაქეთა ჩართულობისთვის და საჯარო ანგარიშვალდებულების ხელშეწყობისთვის, უმჯობესია, მან „ბიუჯეტის მონიტორის“ შესახებ ცნობიერების ამაღლების და მაქსიმალური შედეგის მიღების მიზნით მომდევნო სამოქმედო გეგმის ფარგლებში ფართომასშტაბიანი საინფორმაციო ღონისძიებების, სამუშაო შეხვედრებისა და კონფერენციების გამართვის ვალდებულება აიღოს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის ინფორმირება საქართველოს რეგიონებში, რაც ინფორმაციის ფართო აუდიტორიისთვის მიწოდებას უზრუნველყოფს.

ამასთანავე, ვებპლატფორმაზე დაფიქსირებული ყველა წინადადების კონკრეტულ აუდიტორთან გადამისამართება ხდება, რომელიც პირდაპირ ანგარიშვალდებულება წინადადების განცხადების ავტორის წინაშე. ანონიმური განცხადებების შემთხვევაში

ასეთი უკუკავშირი შეუძლებელია.³⁰ აუდიტის სამსახურის წარმომადგენელთა თქმით, მიმდინარეობს ანონიმური განცხადებებზე პასუხის გაცემის მექანიზმის შექმნა. IRM-ის მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ ასეთი მექანიზმი მნიშვნელოვანია, და წამყვან დაწესებულებას ამ ფუნქციის დროულად დამატებისკენ მოუწოდებენ.

სამოქალაქო სექტორის ერთ-ერთი წარმომადგენლის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ პლატფორმა საჯარო ფინანსების ზედამხედველობისთვის უნიკალური ინსტრუმენტია, შესაძლებელია ზოგიერთი ინფორმაციის უფრო დეტალურად წარმოდგენა. მაგალითად, ზოგიერთ მომხმარებელს, მათ შორის, მეთვალყურე არასამთავრობო ორგანიზაციებს, მუნიციპალიტეტებში არსებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების (ა(ა)იპ) ჯამურ ხარჯებთან ერთად მათი დეტალური მონაცემებიც ესაჭიროება.³¹ აღსანიშნავია, რომ შესაძლოა აუდიტის სამსახურს არ ჰქონდეს საკმარისი ადამიანური რესურსი ვებპლატფორმაზე ასეთი დეტალური ინფორმაციის განსათავსებლად. თუმცა პლატფორმის დასახვეწად შეიძლება მან ითანამშრომლოს სხვა საჯარო უწყებებთან, მათ შორის, მუნიციპალიტეტების ორგანოებთან ან/და ცენტრალურ სამთავრობო ინსტიტუტებთან, რომლებიც მზად იქნებიან, წამყვან დაწესებულებას მონაცემების კიდევ უფრო დეტალიზებაში შეუწყონ ხელი.

¹ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ოფიციალური ვებგვერდი, შესვლის თარიღი: 2017 წლის 10 აგვისტო, <http://sao.ge/about-us/office-structure-and-functions>

² ღია ბიუჯეტის კვლევა 2015 – საქართველო, <https://goo.gl/o6hA4Y>

³ ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმა, <http://bit.ly/2qwqU9d>

⁴ ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმა, <http://bit.ly/2qwqU9d>

⁵ ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმა, <http://bit.ly/2qwqU9d>

⁶ საბა ბუაძე, ანტიკორუფციული მიმართულების ხელმძღვანელი, ლევან ავალიშვილი, პროგრამების დირექტორი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 25 ივლისი

⁷ საბა ბუაძე, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) ანტიკორუფციული მიმართულების ხელმძღვანელი, OGP-ის ფორუმის შეხვედრა, 2017 წლის 14 ივლისი

⁸ გენერალური აუდიტორის 2015 წლის 24 დეკემბრის №196/37 ბრძანება

⁹ მარკა ნაცვლიშვილი, სახელმწიფო ბიუჯეტის ანალიზისა და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი, მარიამ ხერგიანი, სტრატეგიული დაგეგმვის განყოფილების უფროსი, ნინო ცინცაძე, უფროსი ანალიტიკოსი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 10 აგვისტო

¹⁰ გენერალური აუდიტორის 2017 წლის 14 ივლისის №04597/21 ბრძანება

¹¹ „საჯარო ფინანსების ზედამხედველობაში მოქალაქეთა ჩართულობის 2017-2019 წლების ქვესტრატეგია“, მოწოდებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2017 წლის 25 ივლისს

¹² „ტექნიკური დავალება: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საინფორმაციო პორტალი“, მოწოდებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2017 წლის 25 ივლისს

¹³ სახელმწიფო აუდიტის სამსახური, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ახალი ვებპლატფორმის პრეზენტაცია საქართველოს პარლამენტში“, 2017 წლის 9 მარტი, <http://sao.ge/news/857>

¹⁴ გიორგი ნასრაშვილი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ უფროსი ანალიტიკოსი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 15 სექტემბერი

¹⁵ სახელმწიფო აუდიტის სამსახური, „ბიუჯეტის მონიტორი“, <http://budgetmonitor.ge>

¹⁶ ნაცვლიშვილი, ხერგიანი, ცინცაძე, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

-
- ¹⁷ სახელმწიფო აუდიტის სამსახური, „ბიუჯეტის მონიტორი“, <http://budgetmonitor.ge>
- ¹⁸ სახელმწიფო აუდიტის სამსახური, „ბიუჯეტის მონიტორი“, <http://budgetmonitor.ge>
- ¹⁹ სახელმწიფო აუდიტის სამსახური, „ბიუჯეტის მონიტორი“, <http://budgetmonitor.ge>
- ²⁰ სახელმწიფო აუდიტის სამსახური, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენელთა საქარო განხილვა ქ. ზუგდიდში“, 2017 წლის 5 მაისი, <http://sao.ge/news/872>
- ²¹ სახელმწიფო აუდიტის სამსახური, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენელთა საქარო შეხვედრა ქ. თელავში“, 2017 წლის 28 აპრილი, <http://sao.ge/news/868>
- ²² სახელმწიფო აუდიტის სამსახური, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენელთა საქარო შეხვედრა ქ. რუსთავში“, 2017 წლის 27 აპრილი, <http://sao.ge/news/866>
- ²³ სახელმწიფო აუდიტის სამსახური, „საქარო განხილვა აჭარის რეგიონის წარმომადგენლებთან“, 2017 წლის 10 ივლისი, <https://www.sao.ge/news/901>
- ²⁴ სახელმწიფო აუდიტის სამსახური, „ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში შესრულებული ვალდებულების ანგარიში“, მოწოდებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2017 წლის 25 ივლისს
- ²⁵ „ვებ პლატფორმის ბიუჯეტის მონიტორის ვიდეო რგოლი“, <https://www.youtube.com/watch?v=CFkvUXtgBQ4>
- ²⁶ ნაცვლიშვილი, ხერგია, ცინცაძე, ინტერვიუ, აგვისტო, 2017
- ²⁷ მაესტრო TV, ნინო ლომჯარია, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის პირველი მოადგილე, 2017 წლის 13 მარტი
- ²⁸ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „როგორ მოვიძიოთ ინფორმაცია საქარო ფინანსების შესახებ?“, <https://goo.gl/uxyRUU>
- ²⁹ „ფისკალური გამჭვირვალობის გლობალური ინიციატივა“ (GIFT), http://www.fiscaltransparency.net/blog_open_public.php?IdToOpen=5408
- ³⁰ ნინო ცინცაძე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფროსი ანალიტიკოსი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 4 დეკემბერი
- ³¹ ნასრაშვილი, ინტერვიუ, სექტემბერი, 2017

15. ელექტრონული ინოვაციები საჯარო შესყიდვების მეტი გამჭვირვალობისა და ეფექტიანობისთვის

ვალდებულების ტექსტი:

სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალედ განხორციელება და ამ პროცესში ანგარიშვალდებულების ხარისხის ამაღლება, გეოგრაფიული ბარიერების აღმოფხვრა და კონკურენტუნარიანობის გაზრდა საქართველოს მთავრობის მუდმივი პრიორიტეტია. ამ მიზნის მისაღწევად, სახელმწიფო შესყიდვების საავტენტო გვერდს შემდეგი ინოვაციური პროექტების დანერგვას:

კომპონენტი 1 – ტენდერებზე აგრეგირებული ინფორმაცია: 2010 წლის დეკემბრიდან სახელმწიფო შესყიდვებზე ტენდერები მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის (www.procurement.gov.ge) მეშვეობით ტარდება. ამ სისტემის გამოყენებით ყოველწლიურად 36000-მდე ტენდერი ცხადდება და ეს რიცხვი, ისევე როგორც სხვა მრავალი მონაცემი ჩატარებული ტენდერების შესახებ, იზრდება. აღნიშნული ზრდა ართულებს დაინტერესებული პირების მიერ კონკრეტული ტენდერის თუ შესყიდვის ობიექტის შესახებ ინფორმაციის თავმოყრასა და ანალიზს.

ტენდერების შესახებ მონაცემების ერთ სივრცეში თავმოყრით (აგრეგირებით) მარტივად ხელმისაწვდომი იქნება:

- მონაცემები შესყიდვის ობიექტების, ტენდერის ტიპების, პრეტენდენტთა რაოდენობის, ტენდერის სავარაუდო და სახელშეკრულებო ღირებულების, გამარჯვებული მიმწოდებლების, დისკვალიფიცირებულ პრეტენდენტთა რაოდენობის და სხვათა შესახებ;

- წლიური მონაცემები (მონაცემები განთავსდება მანქანით წაკითხვად ფორმატში (CSV, JSON, XML)).

ტენდერებზე განახლებულ ფორმატში აგრეგირებული ინფორმაცია საშუალებას მისცემს შემსყიდველ ორგანიზაციებს, სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ და აგრეთვე დამწყებ ბიზნესმენებს და მცირე ბიზნესისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს სრულად გაანალიზონ ბაზარზე არსებული მდგომარეობა და გააკეთონ ბიზნეს პროგნოზები.

კომპონენტი 2 – სახელმწიფო შესყიდვების წლიური გვერდების შესახებ გაერთიანებული ინფორმაცია: სახელმწიფო შესყიდვები ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული შესყიდვების წლიური გვერდის შესაბამისად, რომელსაც შემსყიდველი ორგანიზაცია სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის e-Plan მოდულში არეგისტრირებს. დაინტერესებული პირებისთვის კი წლიური გვერდის შესახებ მხოლოდ ზოგადი ინფორმაციაა ხელმისაწვდომი. ელექტრონულ მოდულში დაგეგმილი ცვლილება მომხმარებელს შესაძლებლობას მისცემს, მიიღოს დეტალური ინფორმაცია თითოეული შემსყიდველი ორგანიზაციის წლიურ შესყიდვებზე, ასევე, უზრუნველყოს დაგეგმილ სახელმწიფო შესყიდვებზე ინფორმაციის გაერთიანება რეგიონების და ფასის მიხედვით. შედეგად, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს მიეცემათ უნიკალური საშუალება, CPV კოდის

მითითებით მიიღონ ინფორმაცია, თუ e-Procurement-ის სისტემაში რეგისტრირებული 4469 შემსყიდველი ორგანიზაციიდან რომელი გეგმავს ამა თუ იმ შესყიდვის ობიექტის შექენას, რა ფასად და რომელ რეგიონში. დამატებით იგეგმება სახელმწიფო შესყიდვების ოფიციალურ ვებგვერდზე სახელმწიფო შესყიდვებში დაგეგმილი ტოპ პროდუქტების სიისა და მათი შესყიდვისთვის გათვალისწინებული ჯამური თანხის გამოქვეყნება. ეს სიახლეები ბიზნესის წარმომადგენლებს საშუალებას მისცემს, უკეთ შეაფასონ ბაზარზე არსებული მოთხოვნა და უკეთ დაგეგმონ მომავალი საქმიანობა.

კომპონენტი 3 – შესყიდვის ობიექტებისა და მიმწოდებლების ელექტრონული კატალოგი (e-Market): შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების დადგენას ნინ უსწრებს შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ ბაზრის კვლევა, რომელიც მნიშვნელოვანია როგორც კონკრეტული ტენდერის ობიექტურად ჩატარებისათვის, ისე წლიური გეგმის შემუშავების პროცესში შესყიდვების წლიური ბიუჯეტის სწორად განსაზღვრისთვის.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, შესყიდვების ძირითადი პროდუქტების ელექტრონული კატალოგის შექმნა, რომელიც:

- ობიექტურად ასახავს ბაზარზე არსებულ ფასებს;
- თავს მოუყრის სხვადასხვა პროდუქტის ფასს მიმწოდებლების მიხედვით;
- ასახავს ინფორმაციას პოტენციურ მიმწოდებლებზე როგორც მთლიანი ქვეყნის, ისე რეგიონების მასშტაბით და ა.შ.

სიახლე შემსყიდველ ორგანიზაციებს საშუალებას მისცემს სახელმწიფო შესყიდვის მოსამზადებელ ეტაპზე უფრო ეფექტურად დაგეგმონ შესყიდვები და მაქსიმალურად მოკლე დროში მიიღონ ინფორმაცია ბაზარზე არსებული ფასების, მიმწოდებლების და პირობების შესახებ. მონაცემთა მაქსიმალური ღიაობა დაეხმარება შემსყიდველ ორგანიზაციებს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების სწორად განსაზღვრაში, რაც შემსყიდველების მხრიდან მაღალი ფასების დანესებას, კორუფციულ რისკებს და ჩავარდნილი ტენდერების რაოდენობას შეამცირებს.

მოცემული სამი კომპონენტით გათვალისწინებული სიახლეების დანერგვა უზრუნველყოფს მთელი ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფო შესყიდვების პროცესში სახელმწიფო ფინანსების მართვის გამჭვირვალობას, გეოგრაფიული უთანასწორობის აღმოფხვრას, ანტიკორუფციული ძალისხმევის და კონტროლის გაძლიერებასა და ბიზნესის მხარდაჭერას.

წამყვანი დაწესებულება: სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

დამხმარე დაწესებულება: სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

დაწყების თარიღი: ივნისი, 2016

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2017

ვალდებულების აღწერა	კონკრეტულობა	OGP-ის შესაბამისობა	ღირებულებებთან	პოტენციური შედეგი	დროულად?	შესრულება
---------------------	--------------	---------------------	----------------	-------------------	----------	-----------

	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშგაღებულება	ტენდერები და ინოვაცია	გამჭვირვალობისა და ანგარიშგაღებულებების სათაისი	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არცერთი	მცირე	საშუალო	მაღალი
15. ელექტრონული ინოვაციები საჯარო შესყიდვების მეთი გამჭვირვალობისა და ეფექტიანობისთვის				✓	✓							✓					✓

კონტექსტი და მიზნები

საქართველო საკუთარი ელექტრონული შესყიდვების სისტემით ამაცობს. სისტემა 2010 წლის დეკემბერში ამოქმედდა და, ბევრის აზრით, ეს გამჭვირვალე სახელმწიფო შესყიდვების პროცესების კუთხით მსოფლიოში საუკეთესო პრაქტიკაა. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ, რომელიც ამ სისტემისთვის პასუხისმგებელი ძირითადი უწყებაა, OGP-ის სამივე ეროვნულ სამოქმედო გეგმაში აილო ვალდებულებები, რაც ღიაობის უზრუნველსაყოფად სააგენტოს დიდ ძალისხმევას მოწმობს. ეს კონკრეტული ვალდებულება მიზნად ისახავს, უზრუნველყოფილ იქნეს არსებული სისტემის მეთი გამჭვირვალობა ტენდერების, შემსყიდველი ორგანიზაციების შესყიდვების წლიური გეგმების და მიმწოდებლების მიერ მიწოდებული თითოეული შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების შესახებ აგრეგირებული მონაცემების გამოქვეყნებით.

სრულად შესრულების შემთხვევაში ვალდებულება შესყიდვების შესახებ მონაცემების საჯარო ხელმისაწვდომობის გაზრდაზე საშუალო გავლენას მოახდენს. ამ სფეროში ტრანსფორმაციული რეფორმა მოიცავს მეთი დეტალის გამოქვეყნებას გამარტივებული შესყიდვების შესახებ, რომლებსაც საჯარო უწყებები ძალიან ძვირად ღირებული ტენდერების ჩატარების პროცედურების დასაჩქარებლად ხშირად იყენებენ გადაუდებელი საჭიროებისა და საზოგადოებრივი აუცილებლობის მიზნებიდან გამომდინარე. ეს გულისხმობს ასეთი ტენდერების რაოდენობის, გამარტივებული პროცედურების ჩატარების მიზნების და კონტრაქტების ღირებულების, აგრეთვე წლიური სტატისტიკის შესახებ აგრეგირებული მონაცემების გამოქვეყნებას, რომლებიც წლების მიხედვით შედარების საშუალებას იძლევა.¹

შესრულება

შუალედური ანგარიშის დროს ვალდებულება შეზღუდულად იყო შესრულებული, რადგან მისი პირველი ორი კომპონენტი არ დასრულებულა. 2017 წლის დასაწყისში მსოფლიო ბანკის ექსპერტებმა საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის შეფასება ჩაატარეს. მათი მიგნებები ასეთია: პირველი, საჯარო უწყებების შესყიდვებში პირდაპირი შესყიდვის ფორმით განხორციელებული შესყიდვების მაღალი მაჩვენებელია. მეორე, რეგიონებში ჩავარდნილი ტენდერები მრავლად არის. მესამე, არსებობს ელექტრონული შესყიდვების სისტემიდან ბევრი გამონაკლისი გადაუდებელი საჭიროებისა და საზოგადოებრივი აუცილებლობის

მიზნებიდან გამომდინარე. და ბოლოს, საჯაროდ ხელმისაწვდომი შესყიდვების შესახებ მონაცემები ღია მონაცემთა ფორმატით გამოქვეყნებული არ არის.² ამ მიზნების საპასუხოდ, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ ტენდერებისა და შესყიდვების წლიური გეგმების შესახებ აგრეგირებული მონაცემების ღია მონაცემთა ფორმატით გამოქვეყნების პირობა დადო, რაც არის ნაწილი სააგენტოს ვალდებულებისა, შეასრულოს ღია კონტრაქტების მოთხოვნები, რომ მოქალაქეებმა საჯაროდ ხელმისაწვდომი მონაცემების უფრო ღრმა ანალიზი შეძლონ. მსოფლიო ბანკის და გაერთიანებული სამეფოს საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის (UK Aid) დახმარებით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ ღია კონტრაქტების მონაცემთა სტანდარტის შესახებ კვლევა და სამუშაო შეხვედრა ჩაატარა, შემდეგ კი სამოქმედო გეგმაც შეიმუშავა.³

2017 წლის ივნისში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (GYLA) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წერილი გაუგზავნეს, რომელშიც ზემოაღნიშნული ორი კომპონენტის სწრაფად შესრულებას მოითხოვდნენ. თავიანთ რეკომენდაციებში ამ არასამთავრობო ორგანიზაციებმა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საკუთარი ვებგვერდების „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ უკვე არსებული ვებპლატფორმისთვის, tendermonitor.ge-სთვის, მორგება სთხოვეს.⁴ მათ Excel-ის ცხრილიც შექმნეს, რომელშიც დეტალურად იყო მითითებული ის დოკუმენტები, რომელთა საჯარო ხელმისაწვდომობასაც ისინი ითხოვდნენ, მათ შორის, ტენდერების, პირდაპირი სახელმწიფო შესყიდვების, პირდაპირი სახელმწიფო შესყიდვების ნებართვების და საჯარო უწყებების შესყიდვების წლიური გეგმების შესახებ აგრეგირებული მონაცემები. არასამთავრობო ორგანიზაციებმა ამ ინფორმაციის ღია მონაცემთა ფორმატით გამოქვეყნება მოითხოვეს. 12 ივლისის საპასუხო წერილში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ აღნიშნა, რომ ის მითითებულ ორ კომპონენტზე მსოფლიო ბანკის ექსპერტებთან ერთად მუშაობს.⁵ ეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენელმაც დაადასტურა – როგორც მან IRM-ის მკვლევარს ინტერვიუს დროს განუცხადა, სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტები ახალი სისტემის ტექნიკურ კომპონენტებს სატესტო რეჟიმში ამუშავებენ და დაგეგმილია, რომ სისტემა 2017 წლის ბოლომდე ამოქმედდეს.⁶

ვალდებულების მესამე კომპონენტი, e-Market მოდული, 2016 წლის შემოდგომაზე ამოქმედდა. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, ეს ახალი მოდული, რომელიც emarket.spa.ge-ზე განთავსდა, მიზნად ისახავს, საჯარო უწყებებს შესყიდვების განსახორციელებლად ტენდერის გამოცხადებამდე საბაზრო კვლევისა და მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარებაში დაეხმაროს. E-Market მოდული შეიცავს მიმწოდებლების, მათი პროდუქტების, ამ პროდუქტების ღირებულების, საგარანტიო პირობების და მიწოდების ადგილის შესახებ ინფორმაციას. ეს მოდული ყოველკვარტალურად განახლდება და მიმწოდებლებისა და მათი პროდუქტების შესახებ ახალი მონაცემები დაემატება.⁷

2017 წლის სექტემბრის მდგომარეობით, emarket.spa.ge 6000-ზე მეტ მონაცემს შეიცავს და, როგორც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენელმა აღნიშნა, იზრდება იმ კომპანიების რაოდენობა, რომლებიც სააგენტოს საკუთარი

პროდუქტების შესახებ ინფორმაციას აწვდიან. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სურს, ეს მოდული ყველა მიმწოდებელზე გაავრცელოს. თუმცა მიმწოდებლებს საკუთარი მონაცემების მონოდება არ ევალუებათ და ზოგიერთ კომპანიას შეიძლება თავისი ფასების სიის კონკურენტებისთვის გაზიარებაც არ უნდოდეს. კომპანიები ნებაყოფლობით ავსებენ სპეციალურ ონლაინფორმას და მას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს აწვდიან.⁸ სააგენტოს ყველა მიმწოდებლის მონაცემთა ბაზა აქვს. იგი მათ ინდივიდუალურ შეტყობინებებს უგზავნის და ამ ფორმების შევსებას სთხოვს. სააგენტოს წარმომადგენლის განცხადებით, კომპანიები მონდომებული არიან, საკუთარი მონაცემები emarket.spa.ge-ზე განათავსონ და ეს მოდული თავიანთი პროდუქტების რეკლამირების შესაძლებლობად მიაჩნიათ. თავის მხრივ, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ახალი e-Market მოდულის რეკლამირებას საკუთარ ფეისბუკვერდზე, აგრეთვე დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების დროს ახდენს.⁹

ადრეული შედეგები (თუ არის)

როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ტენდერების შესახებ აგრეგირებული მონაცემების გამოქვეყნებასა და e-Plan მოდულზე, რომელიც საჯარო უწყებების შესყიდვების წლიური გეგმების დეტალურ ჩამონათვალს შეიცავს, ჯერ კიდევ მუშაობს. შეფასების პერიოდის მიღმა, 2017 წლის აგვისტოში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ აამოქმედა საკუთარი დამოუკიდებელი ვებგვერდის სატესტო ვერსია, რომელიც შეიცავს 2015 და 2016 წლებში ჩატარებული ტენდერების შესახებ აგრეგირებულ მონაცემებს, რომლებიც ღია კონტრაქტების მონაცემთა სტანდარტის მიხედვით არის გამოქვეყნებული. 2017 წლის სექტემბრის მდგომარეობით, ეს ვებგვერდი 39026 ტენდერის თაობაზე შემდეგ ინფორმაციას მოიცავდა: ტენდერების რაოდენობა, შესყიდვის, ტიპი, თარიღი და საბოლოო სტატუსი, აგრეთვე შემსყიდველი ორგანიზაციების სახელწოდებები და საიდენტიფიკაციო კოდები.¹⁰ თუმცა ამ ვებგვერდის საზოგადოებისთვის გაცნობა არ მომხდარა და დაინტერესებული მხარეების მხოლოდ ძალიან მცირე ჯგუფს, კერძოდ, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს (IDFI), აქვს ინფორმაცია მისი არსებობის შესახებ.¹¹ რაც შეეხება e-Market მოდულს, დაინტერესებულმა მხარეებმა აღნიშნეს, რომ მოქალაქეები და არასამთავრობო ორგანიზაციები მას იშვიათად იყენებენ, ძირითადად იმის გამო, რომ ამ მოდულის არსებობის თაობაზე არ იციან. მოდული არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის შეიძლება ახალი სასარგებლო წყარო იყოს სხვადასხვა შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულების გადამოწმებისთვის, თუმცა e-Market მოდულით ყველაზე მეტად მაინც თავად შემსყიდველი ორგანიზაციები და მიმწოდებლები ისარგებლებენ.¹² სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ჯერ არ ჩაუტარებია კვლევა იმის დასადგენად, თუ როგორ აფასებენ ახალ მოდულს შემსყიდველი ორგანიზაციები და მისგან რა სარგებელს იღებენ.¹³

შემდეგი ნაბიჯები

დაინტერესებული მხარეების აზრით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვალდებულების ყველაზე სასარგებლო ნაწილი ტენდერებისა და უწყებების შესყიდვების წლიური გეგმების შესახებ აგრეგირებული მონაცემების ღია მონაცემთა ფორმატით გამოქვეყნებაა. ისინი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს

რეკომენდაციას აძლევენ, შესრულების პროცესში წინ წაინიოს და მონაცემები რევიონების მიხედვით დაახარისხოს და იმგვარად გამოაქვეყნოს, რომ მათი ერთიანად გადმოწერა იყოს შესაძლებელი.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ განსაკუთრებული აქცენტი შემდეგ ღონისძიებებზე უნდა გააკეთოს:

- ღია კონტრაქტების მონაცემთა სტანდარტის მიხედვით, მონაცემების ხარისხის გაუმჯობესება კონტრაქტების დადების ხუთივე ეტაპზე, დაგეგმვიდან შესრულებამდე, სრული ინფორმაციის გამოქვეყნებით.
- ღია მონაცემთა მოდულის შესახებ ცნობიერების ამაღლება მეტი მომხმარებლის ჩართვით; ნაბიჯების გადადგმა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ძირითადად დაინტერესებულმა მხარეებმა, როგორცაა ბიზნესისა და მეთვალყურე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, გამოქვეყნებული მონაცემები აქტიურად გამოიყენონ. OGP-ის სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების მიხედვით, ამისთვის სასურველია, განვითარდეს ბიზნესინტელექტის მექანიზმები (BI tools) ბიზნესსაოციაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური თანამშრომლობით.

ამასთანავე, მთავრობამ ელექტრონული შესყიდვების სისტემიდან გამონაკლისების რაოდენობა უნდა შეზღუდოს და იმ ტენდერების ღირებულების ზღვარი უნდა დაანესოს, რომლებიც გამარტივებული შესყიდვის წესების მიხედვით უნდა ჩატარდეს, აგრეთვე დამატებითი რეგულაციები უნდა დაანესოს იმ ტენდერებისთვის, რომელთა ღირებულება აღნიშნულ ზღვარს აღემატება. ეს კორუფციის პრევენციას და სახელმწიფო შესყიდვების სისტემის მეტ გამჭვირვალობას უზრუნველყოფს.¹⁴ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსადმი კიდევ ერთი რეკომენდაციაა, დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს აპლიკაციის პროგრამირების ინტერფეისი (API) მიენდოთ, რომ მათ საკუთარი დამოუკიდებელი პორტალები, როგორცაა tendermonitor.ge, შესყიდვების შესახებ ოფიციალურ მონაცემებს პირდაპირ დაუკავშირონ და ავტომატური განახლებების გენერირება მოახდინონ.¹⁵ რაც შეეხება e-Market მოდულს, დაინტერესებული მხარეების რეკომენდაციაა, შეიქმნას სარეკლამო რგოლები და ჩატარდეს საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანია, რომ ამ მოდულით მეტი ადამიანი დაინტერესდეს და იგი მთავრობის მიმწოდებლების კატეგორიისა და მათი პროდუქტების ღირებულების ანალიზისთვის წყაროდ გამოიყენოს.¹⁶

¹ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), „გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვები“, 2017, <http://bit.ly/2jCmTNh>

² გიორგი ლომთაძე, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) კვლევითი მიმართულების ხელმძღვანელი, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 18 აგვისტო

³ მარიამ თავდგირიძე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მთავარი სპეციალისტი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 10 აგვისტო

⁴ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ტენდერების მონიტორი, <http://bit.ly/2nZbveE>

⁵ გიორგი ნასრაშვილი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ უფროსი ანალიტიკოსი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 11 აგვისტო

-
- ⁶ თავდგირიძე, ინტერვიუ, აგვისტო, 2017
- ⁷ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, e-Market მოდული, <http://emarket.spa.ge/>
- ⁸ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, ონლაინფორმა, <http://bit.ly/2wygkMN>
- ⁹ თავდგირიძე, ინტერვიუ, აგვისტო, 2017
- ¹⁰ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, აგრეგირებული ტენდერები, <http://bit.ly/2fd2gSq>
- ¹¹ ლომთაძე, ინტერვიუ, აგვისტო, 2017
- ¹² ლომთაძე, ინტერვიუ, აგვისტო, 2017
- ¹³ თავდგირიძე, ინტერვიუ, აგვისტო, 2017
- ¹⁴ სალომე საღარაძე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (GYLA) იურისტი, ელექტრონული მიმოწერა IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 19 სექტემბერი
- ¹⁵ ლომთაძე, ინტერვიუ, აგვისტო, 2017
- ¹⁶ ლომთაძე, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

❖16. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიღება

ვალდებულების ტექსტი:

ვალდებულება გულისხმობს გარემოსდაცვითი კოდექსის მიღებას, რომელიც გაითვალისწინებს გარემოსდაცვით საკითხებში „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადანყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის (შემდგომში – ორჰუსის კონვენცია) მოთხოვნებს და უზრუნველყოფს გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებული გადანყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობას, კერძოდ:

- ბუნებრივ გარემოს მდგომარეობაზე, ასევე ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების მაღალი რისკების შემსველი საქმიანობების გარემოსდაცვითი შეფასების რეგულირების ქვეშ მოქცევა, „ზოგიერთი გეგმისა და პროგრამის გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ ევროკავშირის 2011/92/EC დირექტივის მოთხოვნათა შესაბამისად;
- ბუნებრივ გარემოს მდგომარეობაზე, ასევე ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების გამომწვევი საქმიანობის მარეგულირებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების (სტრატეგიული დოკუმენტები) შემუშავებისა და დამტკიცების პროცესში საზოგადოების ჩართულობა, სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავების საწყის ეტაპზე ინფორმაციის ბეჭდვითი ორგანოებისა და მართვის ელექტრონული საშუალებებით გავრცელება, აღნიშნული დოკუმენტების შემუშავების პროცესში საზოგადოებრივი და სამეცნიერო აზრის საჯარო განხილვებში ჩართვა;
- გარემოსდაცვითი გადანყვეტილებების მიღება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების პრინციპების შესაბამისად დაინტერესებული საზოგადოების ჩართვა წარმოების საწყის ეტაპზე. ინფორმაციის დაგეგმილი საქმიანობის ადგილზე, ასევე, მართვის ელექტრონული და ბეჭდვითი მედიის საშუალებებით გამოქვეყნება, საჯარო განხილვების დაგეგმილი საქმიანობის ადგილზე ჩატარება, დაინტერესებული პირების მოსაზრებებისა და წინადადებების გათვალისწინება გადანყვეტილების მიღებისას;
- ბუნებრივ გარემოზე ტრანსსაზღვრო ზემოქმედების გამომწვევ საქმიანობებზე გადანყვეტილების მიღებისას, შესაბამისი ქვეყნის ჩართვის მიზნით, ტრანსსაზღვრო პროცედურების დანერგვა.

ნამყვანი დანესებულება: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

დამხმარე დანესებულებები: ფინანსური მხარდაჭერა – ევროკავშირი, პროგრამა „მწვანე ეკონომიკა აღმოსავლეთ სამეზობლოში“ – EaP GREEN; პროგრამის განმახორციელებელი – გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია – UNECE

დანყების თარიღი: მითითებული არ არის

დასრულების თარიღი: აგვისტო, 2017

ვალდებულების აღწერა	კონკრეტულობა				OGP-ის შესაბამისობა				ლირებულებებთან				პოტენციური შედეგი		დროულად?	შესრულება			
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშგაღებულებ	და ტექნოლოგიები ინოვაცია	გამჭვირვალობისა და ანგარიშგაღებულებ	ხისაოიის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული		არ დაწყებულა	შემდგომი	არსებითი	შესრულებული
16. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიღება				✓	✓	✓						✓		✓			✓		

კონტექსტი და მიზნები

1997 წლიდან 2005 წლამდე გარემოსდაცვითი კანონმდებლობა პროექტების დამტკიცების პროცესში მოქალაქეებს პროექტის შეფასებისა და მისი შესაძლო უარყოფითი შედეგის დადგენის საშუალებას აძლევდა, რაც ევროკავშირის სტანდარტებს შეესაბამებოდა.¹ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის, „მწვანე ალტერნატივის“, წარმომადგენლის განცხადებით, ეს პროცედურა 2000-იანი წლების შუა პერიოდში გაუქმდა, რის გამოც სამოქალაქო საზოგადოებას პროექტების შესახებ გადანაცვტილების მიღების პროცესში ჩართვის შესაძლებლობა წაერთვა.² საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ (შემდგომ – სამინისტრო) ვალდებულება აიღო, შეემუშავებინა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს გარემოზე შესაძლო ზემოქმედების მომხდენი ყველა პროექტის სამინისტროს რეგულირების სფეროში მოქცევას, პროექტების გარემოსდაცვითი ინტერესების გათვალისწინებით შეფასებას და პროექტებზე ლიცენზიების/ნებართვების გაცემის პროცესში გადანაცვტილების მიღებისას მოქალაქეთა ინფორმირებასა და ჩართვას.³

ვალდებულების ტექსტში მითითებულია კონკრეტული ღონისძიებები, მათ შორის: 1. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიღება; 2. სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება და მათი პროფესიული გადამზადება ახალი რეგულაციების შესაბამისად; 3. კოდექსით განსაზღვრულ გადანაცვტილებათა მიღების პროცესებში მონაწილე სხვა ადმინისტრაციული ორგანოების ინფორმირება; 4. პროფესიული და სამეცნიერო წრეების გადამზადება განახლებული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, შეფასების დოკუმენტის მოსამზადებლად.⁴ ვალდებულება შეფასდა, როგორც ტრანსფორმაციული შედეგის მქონე, რადგან მისი სრულად შესრულების შემთხვევაში ახალი კანონმდებლობა მოქალაქეებს გადანაცვტილების მიღების პროცესში ჩართულობის პლატფორმას შესთავაზებს.⁵ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის დებულებებიდან გამომდინარე, როგორცაა პროექტების შესახებ მოქალაქეთა ინფორმირება, მათგან პროექტის გარემოზე შესაძლო უარყოფითი გავლენის თაობაზე მოსაზრებების მიღება და მოქალაქეთა მიერ წარმოდგენილ წინადადებებზე უკუკავშირის მიწოდება,⁶ სამინისტროს მიერ აღებული ვალდებულება OGP-ის ორ ღირებულებას შეესაბამება – ზრდის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და მოქალაქეთა ჩართულობას.

შესრულება

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი 2017 წლის ივნისში იქნა მიღებული. კოდექსის IV თავი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფად მათ უფლებას და სამინისტროს ვალდებულებას განსაზღვრავს. კერძოდ, 32-ე მუხლი ადგენს სამინისტროს ვალდებულებას, მოახდინოს მოქალაქეთა ინფორმირება სხვადასხვა გზით, როგორცაა ინფორმაციის სამინისტროს ვებგვერდზე, გაზეთებსა და იმ მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შენობაში განთავსება, სადაც პროექტის განხორციელება იგეგმება. 34-ე მუხლი ითვალისწინებს მოქალაქეთა მიერ მოსაზრებების წარდგენის სხვადასხვა გზას, როგორცაა მათი წერილობით, ელექტრონულად და საჯარო განხილვებისას წარდგენა, ხოლო 35-ე მუხლი გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს ავალდებულებს, განიხილოს მოქალაქეთაგან მიღებული მოსაზრებები და მიაწოდოს მათ უკუკავშირი იმის თაობაზე, გათვალისწინებულ იქნა თუ არა კონკრეტული წინადადება გადაწყვეტილების მიღებისას.⁷

არასამთავრობო ორგანიზაციები გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის პროექტის შემუშავების პროცესთან დაკავშირებით უკმაყოფილებას გამოხატავენ. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები მიწვეული იყვნენ კოდექსის შესახებ გამართულ რამდენიმე დისკუსიაში მონაწილეობისთვის, ისინი მათ მიერ წარდგენილ მოსაზრებებზე უკუკავშირს იშვიათად იღებდნენ. მაგალითად, ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ ანალიტიკოსის თქმით, მან სამინისტროს 60-გვერდიანი კომენტარების დოკუმენტი მიაწოდა, თუმცა პასუხი იმის თაობაზე, გათვალისწინებული იქნა თუ არა მისი შეხედულებები კოდექსის სამუშაო ვერსიაში, არ მიუღია.⁸

ანგარიშის წერისას OGP-ის საკითხებზე სამინისტროს საკონტაქტო პირი შეიცვალა, რის გამოც კვლევის პროცესში სამინისტროსთან დაკავშირება ვერ მოხერხდა. შესაბამისად, IRM-ის მკვლევარებს არ აქვთ ინფორმაცია განხორციელების სხვა ეტაპების შესახებ, კერძოდ, სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დაკომპლექტების და თანამშრომლების გადამზადების თაობაზე.⁹

ადრეული შედეგები (თუ არის)

რამდენიმე ხარვეზის მიუხედავად, გარემოს დაცვის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები ახალ კანონმდებლობას დადებითად აფასებენ, რადგან ის გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის პლატფორმას ქმნის.¹⁰ თუმცა დაინტერესებული მხარეები კანონმდებლობის სისუსტეებსაც ხაზგასმით აღნიშნავენ. ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენლის განცხადებით, წიაღით სარგებლობის პროექტების ლიცენზირება ევალუა გარემოს ეროვნულ სააგენტოს, რომელიც ლიცენზიებს/ნებართვებს შეფასების პროცედურის ჩატარებამდე გასცემს. შესაბამისად, წიაღით სარგებლობის პროექტების შემთხვევაში ლიცენზია საჯარო განხილვების დროს გამოთქმული მოსაზრებებისგან დამოუკიდებლად გაიცემა.¹¹ მიუხედავად იმისა, რომ ლიცენზიის/ნებართვის მქონე კომპანია ვერ დაიწყებს საქმიანობას გარემოზე ზემოქმედების შეფასების გადაწყვეტილების გარეშე, არასამთავრობო ორგანიზაციებს მიაჩნიათ, რომ პროცესი არათანამიმდევრულია და გარემოზე

ზემოქმედების შეფასების პროცედურაზე დაინტერესებული მხარეების ზეწოლის რისკს ქმნის.¹²

„კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის“ (CENN) წარმომადგენლის თქმით, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი არ მოიცავს ლიცენზიებს ტყის სფეროში განსახორციელებელი ყველა ღონისძიებისთვის. იგი განმარტავს, რომ ამ ღონისძიებების კოდექსის მოქმედების სფეროს გარეთ დატოვების შესახებ გადაწყვეტილება განპირობებულია საქართველოს ტყის კოდექსის არსებობით, რადგან ტყესთან დაკავშირებულ საკითხებს ის არეგულირებს. თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც სამინისტრომ საქართველოს ტყის კოდექსი დაარღვია ლიცენზიების შესახებ რეგულაციის სასარგებლოდ, როდესაც ეს ორი აქტი ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა. ორჰუსის კონვენციის სამდივნომ სამინისტროს გაამართლა იმ არგუმენტის საფუძველზე, რომ სამინისტრო ასეთი გადაწყვეტილებით ერთ-ერთი კანონის დაცვას ცდილობდა. ამგვარი საკანონმდებლო ხარვეზი არასასურველ პრეცედენტს ქმნის, რაც ზრდის იმის რისკს, რომ საქართველოს ტყის კოდექსი მომავალშიც უგულებელყოფილი იქნება.¹³

იქიდან გამომდინარე, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი ცოტა ხნის წინ ამოქმედდა, ამ ეტაპზე გარემოსდაცვითი შეფასების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის შედეგების შეფასება რთულია.

შემდეგი ნაბიჯები

ვალდებულება არის საზოგადოებისთვის გარემოსდაცვითი შეფასების პროცესის გახსნისკენ, ახალი პროექტების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდისა და აკადემიური წრეების წარმომადგენელთა და სხვა დაინტერესებული მხარეების აღნიშნულ პროცესში ჩართვისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც გარემოზე უარყოფითი გავლენის მქონე ინიციატივების შემლუღვას ემსახურება. ვალდებულების სრულად შესასრულებლად სამინისტრომ ვალდებულების ტექსტში მითითებული ღონისძიებები სამოქმედო გეგმის პერიოდში უნდა დაასრულოს, კერძოდ, უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა ახალ რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი არ იძლევა უფლებას, გარემოზე შესაძლო უარყოფითი გავლენის მქონე საქმიანობა გარემოზე ზემოქმედების შეფასების გადაწყვეტილების გარეშე დაიწყოს (როგორც ეს წიაღით სარგებლობის შემთხვევაში ხდება, როდესაც კომპანიებს შეუძლიათ ლიცენზია წინასწარ მიიღონ), უმჯობესია, პროცესი უფრო თანამიმდევრული გახდეს. ამისთვის სასურველია, გარემოზე ზემოქმედების შეფასება უსწრებდეს ლიცენზიის/წებართვის გაცემას, რაც შეამცირებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურაზე ზეწოლის შესაძლო რისკებს.

¹ Liberali.ge, დათო ფარულავა, „როგორ დაიცავს გარემოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, 2017 წლის 16 მარტი, <https://goo.gl/eGAmrV>

² ქეთი გუჯარაიძე, „მწვანე ალტერნატივის“ ანალიტიკოსი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 9 აგვისტო

-
- ³ ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმა, <http://bit.ly/2qwgU9d>
- ⁴ ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმა, <http://bit.ly/2qwgU9d>
- ⁵ რეზო გეთიაშვილი, „კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის“ (CENN) გარემოსდაცვითი პროექტების კოორდინატორი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 11 აგვისტო
- ⁶ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, მიღებულია 2017 წლის 1 ივნისს, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3691981>
- ⁷ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, მიღებულია 2017 წლის 1 ივნისს, თავი IV, მუხლები 30–36, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3691981>
- ⁸ გუჯარაიძე, ინტერვიუ, აგვისტო, 2017
- ⁹ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთან ელექტრონული მიმოწერა, 2017 წლის 18 აგვისტო, 2017 წლის 16 სექტემბერი – არ იყო პასუხი; სატელეფონო ზარი, 2017 წლის 15 აგვისტო – დაკავშირება ვერ მოხერხდა
- ¹⁰ გეთიაშვილი, ინტერვიუ, აგვისტო, 2017
- ¹¹ გუჯარაიძე, ინტერვიუ, აგვისტო, 2017
- ¹² ქეთი გუჯარაიძე, „მწვანე ალტერნატივის“ ანალიტიკოსი, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 21 იანვარი
- ¹³ გეთიაშვილი, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

17. „112“-თან დაკავშირების ალტერნატიული არხის – მობილური აპლიკაციის დანერგვა

ვალდებულების ტექსტი:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112“-ს მისიაა – შეამციროს გადაუდებელი დახმარების მიღების დრო. გადაუდებელი დახმარების შესახებ მიღებული შეტყობინების უმოკლეს დროში დამუშავების თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ინიციატორის ზუსტი ადგილმდებარეობის განსაზღვრას. რთულდება შეტყობინების ინიციატორის ლოკაციის დადგენა, როცა ის დაუმისამართებელ ადგილას იმყოფება ან ვერ ახერხებს ადგილმდებარეობის ზუსტ იდენტიფიცირებას. გარდა აღნიშნულისა, არის შემთხვევები, როდესაც სიტუაციის სპეციფიკიდან გამომდინარე, ინიციატორი ვერ ახერხებს ოპერატორთან სატელეფონო საუბარს.

ლოკაციის დაუყოვნებლივ განსაზღვრის მიზნით მიზანშეწონილია „112“-თან დაკავშირების ალტერნატიული საკომუნიკაციო არხის, მობილური აპლიკაციის დანერგვა. შესაბამისად გაიწერა გრძელვადიანი სტრატეგია, რომლის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას „112“-თან დაკავშირების ალტერნატიული არხების შექმნა წარმოადგენს.

პროექტის ყველაზე დიდი უპირატესობაა: ა) ინიციატორს და 112-ის ოპერატორს შორის უმოკლეს დროში კავშირის დამყარება, და ბ) ზარის ინიციატორის ადგილმდებარეობის დაუყოვნებლივ განსაზღვრის შესაძლებლობა, რაც გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის პროცესში მოქალაქისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

წამყვანი დანესებულება: შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112“

დამხმარე დანესებულება: არ არის

დაწყების თარიღი: 2016

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2017

ვალდებულების აღწერა	კონკრეტულობა				OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				დროულად?	შესრულება			
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხილვადობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშგადამტკიცება	ტექნოლოგიები და ინოვაცია	გამჭვირვალობა და ანგარიშგადამტკიცების ბისოპის	არცერთი	მცირე	საშუალო		ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შემდგომი	არსებითი
17. „112“-თან დაკავშირების ალტერნატიული არხის – მობილური აპლიკაციის დანერგვა			✓		გაურკვეველი					✓						✓	

კონტექსტი და მიზნები

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „112“ არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი დაქვემდებარებული გადაუდებელი დახმარების ცენტრი, რომელიც მოქალაქეებისთვის დახმარების დროულად განწვევას უზრუნველყოფს. „112“-ის წარმომადგენლის განცხადებით, ზარის განმხორციელებლის ადგილმდებარეობის დადგენა დახმარების დროულად განწვევას და მოქალაქის უსაფრთხოების უზრუნველყოფისას ერთ-ერთი უდიდესი პრობლემაა. მისი თქმით, ზარი საშუალოდ 1.5 წუთს გრძელდება, რომლის უმეტესი ნაწილი სწორედ მოქალაქის ადგილმდებარეობის განსაზღვრას ეთმობა. ეს პრობლემა უფრო მწვავეა ისეთ შემთხვევაში, როდესაც ზარს ტურისტული ახორციელებს, რადგან ზარის განმხორციელებლის ადგილმდებარეობის დადგენა კიდევ უფრო რთულია.¹ პრობლემის გადაჭრის და საკუთარი საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით „112“-მა ვალდებულება აიღო, შეექმნა მობილური აპლიკაცია, რომელიც მობილურ ტელეფონზე GPS-ფუნქციას ავტომატურად ააქტიურებს და მოქალაქის ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციას გადაუდებელი დახმარების ცენტრს უგზავნის.² თუ მომხმარებელს ინტერნეტზე ხელი არ მიუწვდება, აპლიკაცია მისი ადგილმდებარეობის თაობაზე მონაცემებს მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) მეშვეობით აგზავნის.³ ამასთანავე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენელი დადებითად აფასებს აპლიკაციისთვის „SOS“ ღილაკის დამატებას, რომელიც მომხმარებელს დახმარების გარემომცველების შეუმჩნეველად გამოძახების საშუალებას აძლევს. მომხმარებელს შეუძლია აპლიკაციაში შეიყვანოს პერსონალური ინფორმაცია გადაუდებელ შემთხვევაში საკონტაქტო პირის ინფორმაციასთან ერთად, რომელსაც „112“ საჭიროების შემთხვევაში დაუკავშირდება.⁴

ვალდებულება მოიცავს კონკრეტულ ღონისძიებებს, როგორცაა მობილური აპლიკაციის შექმნა, მისი ტესტირება მოქალაქეთა ჩართულობით და აპლიკაციის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად PR-კამპანიის გამართვა. თუ ვალდებულება სრულად შესრულდა, აპლიკაცია გამოძახებაზე რეაგირების დროს შეამცირებს, რასაც მცირე გავლენა ექნება „112“-ის ეფექტიანობაზე. შესაბამისად, ვალდებულება აუმჯობესებს საჯარო სერვისების მიწოდებას და წვლილი შეაქვს მოქალაქეებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნაში. თუმცა ვალდებულების OGP-ის ღირებულებებთან კავშირი გაურკვეველია.

შესრულება

„112“-ის წარმომადგენლის თქმით, მობილური აპლიკაცია შექმნილია და მისი მოხმარება 2017 წლის შემოდგომიდან შესაძლებელი იქნება Google Play Store-სა და Apple App Store-დან. აპლიკაცია ხელმისაწვდომია სამ ენაზე, მოიცავს „ჩატის“ (ოპერატორთან დაკავშირების) ფუნქციას, რაც შესაძლებელს ხდის შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანების მიერ მის გამოყენებას. აპლიკაციას ასევე აქვს GPS მომსახურება, რომლის გააქტიურებაც მხოლოდ მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში ხდება. ამჟამად უწყება აპლიკაციის ტესტირების პროცესში სტუდენტების ჩართვის მიზნით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან თანამშრომლობს. „112“-ის წარმომადგენლის თქმითვე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან უკვე 100-მდე სტუდენტი ჩაერთო, რომელთაც ახლო მომავალში დანარჩენი ორი

უნივერსიტეტის სტუდენტებიც შეუერთდებიან. ტესტირების პროცესში ჩართული სტუდენტები ჯერჯერობით მხოლოდ ოპერაციული ხარვეზების აღმოჩენაში მონაწილეობდნენ. ისინი „112“-ისგან პრაქტიკულ დავალებებს იღებდნენ, რაც უწყებას ისეთი ფუნქციის გაუმჯობესების საშუალებას აძლევდა, როგორცაა მოკლე ტექსტური შეტყობინების უცხოური ანბანით გაგზავნა.⁵ „112“-ის წარმომადგენლის განცხადებით, უნივერსიტეტებთან მომავალი თანამშრომლობა გულისხმობს სტუდენტების აპლიკაციის გაუმჯობესების პროცესში ჩართვას აპლიკაციისთვის დასამატებელი ფუნქციების განსაზღვრის მიზნით.⁶ აპლიკაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია პერსონალური ინფორმაციის დაცვას ეხება: მომხმარებელმა იმაში დასარწმუნებლად, რომ მისი ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაცია „112“-ს მხოლოდ მომხმარებლის სურვილის შემთხვევაში ეგზავნება, ყოველი გამოძახების წინ აპლიკაციას ინფორმაციის გადაგზავნამდე „თანხმობა“ უნდა მისცეს.⁷ „112“ სტუდენტებისგან დამატებით უკუკავშირის მიიღებს მომხმარებლის გამოცდილების გასაუმჯობესებლად.

აპლიკაციის შესახებ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების გამართვას „112“ 2018 წლის თებერვლისთვის გეგმავს. ერთ-ერთი დამაბრკოლებელი ფაქტორი დაფინანსების ნაკლებობაა – პროექტი უწყების შიდა ბიუჯეტით, ყოველგვარი გარე დახმარების გარეშე ხორციელდება.

შემდეგი ნაბიჯები

ახალი მობილური აპლიკაცია „112“-ის მუშაობის ეფექტიანობას გაზრდის და, შესაბამისად, უსაფრთხო გარემოს შექმნას შეუწყობს ხელს. IRM-ის მკვლევართა რეკომენდაციაა, აპლიკაციის მომხმარებელთა რაოდენობის გასაზრდელად ფართომასშტაბიანი ცნობიერების ამაღლების კამპანია ჩატარდეს. ამასთანავე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლის თქმით, სასურველია აპლიკაციის უსინათლო მომხმარებლებისთვის მორგებაც. მობილური აპლიკაცია გამოსადეგია სმენადაქვეითებული მომხმარებლისთვის, უსინათლო მომხმარებლისთვის დამატებითი ფუნქციების შექმნა კი გააუმჯობესებს მის მუშაობას.⁸

ამასთანავე, მომდევნო სამოქმედო გეგმაში შეტანის შემთხვევაში ვალდებულების OGP-ის პრინციპებთან მიახლოებისთვის „112“-მა მას ისეთი ინიციატივები უნდა დაამატოს, რომლებიც გაზრდის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, ხელს შეუწყობს მოქალაქეთა ჩართულობას ან/და გააუმჯობესებს საჯარო ანგარიშვალდებულებას. მაგალითად, უწყებას შეუძლია შემოსული ზარებისა და ცენტრის მიერ მათზე რეაგირების შესახებ სტატისტიკური მონაცემების და აპლიკაციის გამოყენების თაობაზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება. ასევე შესაძლებელია მობილური აპლიკაციისთვის მოქალაქეთაგან უკუკავშირის მიღების ფუნქციის დამატება.

¹ გიორგი სულთანიშვილი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „112“, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 9 აგვისტო

² ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმა, <http://bit.ly/2qwqU9d>

³ სულთანიშვილი, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

⁴ თემურ ბოჭორიშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 21 სექტემბერი

⁵ ბოჭორიშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ელექტრონული კომუნიკაცია IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 18 სექტემბერი

⁶ სულთანიშვილი, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

⁷ Netgazeti.ge, „112-ის ახალი აპლიკაცია და კითხვები პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით, 2016 წლის 26 სექტემბერი, <http://netgazeti.ge/news/143360/>

⁸ ბოჭორიშვილი, ინტერვიუ, სექტემბერი, 2017

18. დანაშაულის პრევენციის მიზნით შექმნილი ადგილობრივი საბჭოების განვითარება

ვალდებულების ტექსტი:

2016 წლიდან საქართველოს მთავარ პროკურატურაში დაიწყო პროექტი „ადგილობრივი საბჭო“-ს განხორციელება, რომლის მიზანია შესაბამის უწყებებს შორის დანაშაულის პრევენციისკენ მიმართული ღონისძიებების კოორდინაცია და ახალი ღონისძიებების ინიცირება. მოცემულ ეტაპზე დანაშაულის პრევენციით რამდენიმე სახელმწიფო უწყებაა დაკავებული. მნიშვნელოვანია მათ შორის კოორდინაციის გაზრდა, რათა თავიდან იქნას აცილებული სხვადასხვა უწყების მიერ ერთი და იმავე შინაარსის პრევენციული ღონისძიებების განხორციელება.

პროექტის ძირითადი მიზანია რეგიონში არსებული კრიმინოგენური მდგომარეობის განხილვა, რეგიონისთვის საჭირო პრევენციულ ღონისძიებებთან დაკავშირებით გადამწყვეტილებების მიღება, ინიციატივების შემუშავება და სხვა სახელმწიფო უწყებებთან და არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობით დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინირებული გეგმის დასახვა. პროექტი შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატებში მოქმედი მოდელის მიხედვით და წარმოადგენს რეგიონალურ დონეზე საკოორდინაციო ორგანოს. საბჭოს მუდმივი წევრები არიან სამართალდამცავი ორგანოების (პროკურატურა, შსს, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო), მუნიციპალიტეტების, ადვოკატთა კორპუსის, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. საბჭოს შესაძლოა ჰყავდეს დროებითი წევრებიც საზოგადოების ნებისმიერი წევრი სახით.

ადგილობრივი საბჭოების განხორციელება პილოტურად დაიწყო აჭარის რეგიონში. ვალდებულების ფარგლებში, უახლოეს მომავალში ადგილობრივი საბჭოები ქვემო ქართლში, სამეგრელოში და მოგვიანებით კი საქართველოს სხვა რეგიონებშიც შეიქმნება.

წამყვანი დაწესებულება: საქართველოს მთავარი პროკურატურა

დამხმარე დაწესებულებები: მუნიციპალიტეტების ორგანოები; პრობაციის ეროვნული სააგენტო; შინაგან საქმეთა სამინისტრო

დაწყების თარიღი: მარტი, 2016

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2017

ვალდებულების აღწერა	კონკრეტულობა				OGP-ის შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				დროულად?	შესრულება				
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხილვის ანაღორობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშგაღებულე-ბა	ტექნოლოგიები და ინოვაცია	გამჭვირვალობისა და ანგარიშგაღებულე-ბისათვის	არცერთი	მცირე	საშუალო		ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შემდგომი	არსებითი	შესრულებული
18. დანაშაულის პრევენციის მიზნით შექმნილი			✓		✓	✓					✓			✓				✓

კონტექსტი და მიზნები

2016 წლის მარტში საქართველოს პროკურატურამ წამოიწყო პროექტი „ადგილობრივი საბჭო“, რომლის ფარგლებში საქართველოს რეგიონებში დანაშაულის პრევენციის ღონისძიებების კოორდინაციისთვის ადგილობრივი საბჭოები შეიქმნება.¹ პროექტი ეფუძნება ამერიკულ მოდელს, რომლის მიხედვით, ასეთი საბჭოები ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოების, აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებით და სხვა დაინტერესებული პირებით კომპლექტდება.² მაკოორდინირებელ ღონისძიებებში მოქალაქეთა ჩართვის მიზნით საქართველოს პროკურატურამ ვალდებულება აიღო, პროექტი მიმდინარე სამოქმედო გეგმის ფარგლებში განეხორციელებინა, რაც 2017 წლის დეკემბრამდე 6 ადგილობრივი საბჭოს შექმნას გულისხმობდა.³ ვალდებულების ძირითადი მიზანია, უზრუნველყოფილ იქნეს სხვადასხვა სამთავრობო უწყების დანაშაულის პრევენციის ღონისძიებების ერთმანეთთან შესაბამისობა ასეთი ინიციატივების დუბლირების თავიდან ასაცილებლად, აგრეთვე ადგილობრივი საჭიროებებისთვის მორგებული ინიციატივების დანერგვა. ვალდებულება OGP-ის გამოწვევას, უსაფრთხო გარემოს შექმნას, ეხმაურება.⁴

ვალდებულება ადგილობრივი საბჭოების 6 რეგიონში ჩამოყალიბებას და მათ მიერ 10 სხდომის გამართვას გულისხმობს. სრულად შესრულების შემთხვევაში ვალდებულება დანაშაულის პრევენციის ღონისძიებებსა და ადგილობრივი საჭიროებებისთვის მორგებული ინიციატივების დანერგვაზე საშუალო გავლენას მოახდენს. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) ვალდებულებას დადებითად აფასებს, რადგან ის ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა ჩართულობისკენ გადადგმული ნაბიჯია.⁵ ვალდებულება OGP-ის ორ ღირებულებას შეესაბამება – იქიდან გამომდინარე, რომ საბჭოს სხდომები, პირველ რიგში, ანგარიშების, დანაშაულის შესახებ სტატისტიკური მონაცემების და პროკურატურის მიერ შემუშავებული სხვა დოკუმენტების წარდგენას ემსახურება,⁶ ვალდებულება ზრდის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, სხდომებში მონაწილეობის შესაძლებლობა კი ხელს უწყობს მოქალაქეთა ჩართულობას.

შესრულება

ვალდებულება სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ვადაში სრულად შესრულდა. ამჟამად ქვეყნის მასშტაბით დანაშაულის პრევენციის მიზნით 12 საბჭოა შექმნილი, მათ შორის, ზუგდიდში, ოზურგეთში, ახალციხეში, რუსთავში, მარნეულში, ბოლნისში, ხელვაჩაურსა და თელავში. პროკურატურა გეგმავს, რამდენიმე ადგილობრივი საბჭო თბილისის სხვადასხვა უბანშიც შექმნას.⁷

საბჭო მუდმივი და არამუდმივი წევრებისგან შედგება. წევრებს შორის არიან ადგილობრივი პროკურორები და სხვადასხვა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები, როგორცაა ადგილობრივი პოლიცია, საქართველოს სახალხო დამცველი და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა წარმომადგენლები.⁸ არასამთავრობო ორგანიზაციებთან კოორდინაციას მთავარი

პროკურატურა ახდენს, რაც პროკურატურას საბჭოების საქმიანობის მონიტორინგისა და მათი მუშაობის კოორდინაციის საშუალებას აძლევს. საბჭოს სხდომის დანიშვნის შემდეგ მთავარი პროკურატურა ადგილობრივ პროკურატურას უკავშირდება და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების საკონტაქტო მონაცემებს გამოითხოვს, რის შემდეგაც მათ სხდომის შესახებ ინფორმაციას უგზავნის. დაგეგმილი სხდომების შესახებ ინფორმაცია ონლაინსივრცეში ხელმისაწვდომი არ არის, თუმცა მათ მონაწილეებს სხვა დაინტერესებული პირების მოძიება და მონვევა შეუძლიათ.⁹

თითოეულმა საბჭომ არანაკლებ ერთი სხდომა გამართა. სხდომებზე წარმოდგენილ იქნა ინფორმაცია რეგიონში არსებული კრიმინოგენული მდგომარეობის შესახებ და გაიმართა დისკუსიები, რომლებზედაც მონაწილეებმა კონკრეტული ტიპის დანაშაულის პრევენციისკენ მიმართული პროექტები და ინიციატივები განიხილეს. გამართული სხდომები ადგილობრივი მედიასაშუალებებით, მათ შორის, სატელევიზიო არხებზე და გაზეთებში, გაშუქდა.¹⁰

ადრეული შედეგები (თუ არის)

საქართველოს პროკურატურის წარმომადგენელთა განცხადებით, საბჭოს სხდომებზე წარდგენილი რამდენიმე წინადადება უკვე განხორციელდა. მაგალითად, ერთ-ერთ სხდომაზე ორგანიზაცია „World Vision“-ის წარმომადგენელმა გურჯაანში ქალთა წინადაცვეთის პრობლემა წამოსწია, რის შემდეგაც ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ასამაღლებლად დისკუსიები გაიმართა. შეხვედრებს ესწრებოდნენ ექიმები, ადგილობრივი პოლიცია და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებმაც ქალთა წინადაცვეთის კრიმინალურ მხარეზე ისაუბრეს.¹¹

საბჭოს სხდომებზე განხილულ საკითხებს შორის იყო ადრეულ ასაკში ქორწინების და ოჯახური ძალადობის თემები. ამ საკითხებზე ცნობიერების ასამაღლებლად განხორციელდა პროექტი „ახალგაზრდები ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ“, რომლის ფარგლებში სტუდენტებმა ოჯახური ძალადობის თემაზე ვიდეოები მოამზადეს. ასეთი კონკურსები საქართველოს სხვადასხვა ქალაქში გაიმართა, მათ შორის, ზუგდიდში¹², ბათუმსა¹³ და რუსთავში¹⁴. პროექტში 307 საჯარო სკოლა მონაწილეობდა, მოსწავლეთა რაოდენობა კი 2279 იყო.¹⁵

წარმატებულ ინიციატივებს შორისაა სატრანსპორტო დანაშაულის პრევენციის კამპანია. ინიციატივის ფარგლებში სულ 81 პრევენციული ღონისძიება ჩატარდა, მათ შორის, გაიმართა 37 შეხვედრა საჯარო სკოლის და ავტოსკოლის მოსწავლეებთან, 24 შეხვედრა – საზოგადოებასთან, მოიხატა 9 ქვეითთა გადასასვლელი და ნაჩვენები იქნა 5 იმიტირებული ავტოსაგზაო შემთხვევა.¹⁶

არასამთავრობო ორგანიზაციის, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“, ბათუმის ოფისის რეგიონული წარმომადგენლის თქმით, ორგანიზაციის წარმომადგენლები 2016 წელს საბჭოს ორ სხდომას დაესწრნენ, თუმცა მას შემდეგ პროკურატურისგან არაფერი სმენიათ. მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ სხდომებზე ზოგად საკითხებზე საინტერესო დისკუსია იმართება, ინიციატივები ძირითადად სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრას ეხება, რაც სხდომებზე წარმოდგენილი ბევრი სხვა საკითხის მოგვარებისთვის არასაკმარისია. მაგალითად, ერთ-ერთ სხდომაზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა –

საქართველოს“ წარმომადგენელმა აჭარაში პროსტიტუციისა და ტრეფიკინგის პრობლემა წამოსწია, თუმცა სხდომის შემდეგ ამ საკითხს რეაგირება არ მოჰყოლია.¹⁷

შემდეგი ნაბიჯები

ვალდებულებას OGP-ის პრინციპებთან პირდაპირი კავშირი აქვს და რეგიონებში არსებული კრიმინოგენული მდგომარეობის და პროკურატურის მუშაობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდისა და მოქალაქეთა ჩართულობისთვის პლატფორმის შექმნისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ინიციატივა მუდმივი იყოს და საბჭოს სხდომები რეგულარულად გაიმართოს. ამასთანავე, IRM-ის მკვლევართა რეკომენდაციაა, მომდევნო სამოქმედო გეგმაში პროკურატურამ შემდეგი საკითხები გაითვალისწინოს:

- ადგილობრივი საბჭოებისთვის შეიქმნას პირობები, რომლებიც უზრუნველყოფს საბჭოს მუშაობაში მონაწილეობის ფორმალური წესების განსაზღვრას, სხდომების რეგულარულად გამართვას და სხვა პროცედურული დეტალების დადგენას;
- არასამთავრობო ორგანიზაციების და საზოგადოების საბჭოების სხდომების შესახებ ინფორმირებისთვის ჩატარდეს საინფორმაციო კამპანია, რათა მათ შეძლონ ადგილობრივ საკოორდინაციო მექანიზმში მონაწილეობა;
- ონლაინსივრცეში გამოქვეყნდეს დაგეგმილი სხდომის განრიგი, მათ შორის, თარიღი და განსახილველი საკითხების ნუსხა, აგრეთვე გამართული სხდომის ოქმი, რომელსაც ისეთი დაინტერესებული პირები გაეცნობიან, რომლებიც მას ვერ დაესწრნენ;
- შეიქმნას ელექტრონული მექანიზმი (მაგალითად, გამოკითხვის), რომლის მეშვეობითაც დაინტერესებული პირები დაგეგმილი სხდომისთვის მათთვის საინტერესო თემას აირჩევენ, რაც კონკრეტულ სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს და დაინტერესებულ მოქალაქეებს შეხვედრისთვის მომზადებაში დაეხმარება;
- ჩატარდეს რეგულარული ღონისძიებები, რომლებზედაც სხვადასხვა რეგიონის ადგილობრივი პროკურორები და სამართალდამცავი ორგანოების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა წარმომადგენლები ერთმანეთს გამოცდილებას გაუზიარებენ, რაც გააუმჯობესებს საბჭოების მუშაობას (საქართველოს პროკურატურა პირველი შეხვედრის გამართვას 2017 წლის ბოლოსთვის გეგმავს).¹⁸

¹ ინტერპრესნიუსი, „მთავარ პროკურატურაში პროექტის „ადგილობრივი საბჭო“ პრეზენტაცია გაიმართა“, 2016 წლის 10 მარტი, <https://goo.gl/Z1jsoL5>

² „ადგილობრივი საბჭოები: განხორციელებული აქტივობები“, მონოდებულება საქართველოს პროკურატურის მიერ 2017 წლის 18 აგვისტოს

³ ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმა, <http://bit.ly/2qwqU9d>

⁴ ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმა, <http://bit.ly/2qwqU9d>

⁵ საბა ბუაძე, ანტიკორუფციული მიმართულების ხელმძღვანელი, ლევან ავალიშვილი, პროგრამების დირექტორი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 25 ივლისი

⁶ ნინო ცაციაშვილი, საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ანალიტიკური სამმართველოს პროკურორი, ლონდა თოლორაია, საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს მთავარი პროკურატურა, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 15 აგვისტო

⁷ ცაციაშვილი, თოლორაია, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

⁸ ადგილობრივი საბჭოს პირველი სხდომა თელავში, მონაწილეთა სია, მოწოდებულია საქართველოს პროკურატურის მიერ 2017 წლის 18 აგვისტოს

⁹ ცაციაშვილი, თოლორაია, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

¹⁰ ცაციაშვილი, თოლორაია, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

¹¹ ცაციაშვილი, თოლორაია, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

¹² ინტერპრესნიუსი, „კამპანიის - „მოზარდები ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ“ ფარგლებში, ზუგდიდის საჯარო სკოლის მოსწავლეებს შორის ვიდეორგოლების კონკურსი ჩატარდა“, 2017 წლის 28 თებერვალი, <https://goo.gl/vjphgP>

¹³ აჭარის ტელევიზია, „მოზარდები ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ“, 2017 წლის 19 აპრილი, <http://ajaratv.ge/news/ge/14263/mozardebi-ojakhshi-dzaladobis.html>

¹⁴ ტელეგრაფი, „მოზარდები ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ“, 2017 წლის 21 აპრილი, <https://goo.gl/joKg9x>

¹⁵ „წარმატებული აქტივობები“, მოწოდებულია საქართველოს პროკურატურის მიერ 2017 წლის 18 აგვისტოს

¹⁶ საქართველოს მთავარი პროკურორის ანგარიში, 2017 წლის 19 ივლისი, http://pog.gov.ge/res/docs/angarisi19_07_2017.pdf

¹⁷ მალხაზ ჭკადუა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ბათუმის ოფისის რეგიონული კოორდინატორი, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 18 სექტემბერი

¹⁸ ცაციაშვილი, თოლორაია, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

19. ეკონომიკური აგენტებისათვის გზამკვლევის შემუშავება

ვალდებულების ტექსტი:

ეკონომიკურ აგენტებს, რომლებიც მხოლოდ კონკურენციის კანონითა და მის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტებით ხელმძღვანელობენ, არ აქვთ სათანადო ინფორმაცია კონკურენციის კანონმდებლობის გამოყენების თაობაზე. ამასთან, საზოგადოება არ ფლობს საკმარის ინფორმაციას ახლადშექმნილი კონკურენციის სააგენტოს შესახებ.

აუცილებელია, არსებობდეს კომუნიკაცია მაკონტროლებელ ორგანოსა და შესაბამის ბიზნეს სუბიექტს შორის, რათა ეკონომიკური აგენტი ინფორმირებული იყოს იმ ვალდებულებების შესახებ, რომელსაც მას კონკურენციის კანონმდებლობა აკისრებს. შედეგად, უფრო ეფექტური გახდება სააგენტოს მუშაობა, სუბიექტები კი, თავის მხრივ, მიიღებენ შესაბამის ზომებს, რათა მინიმუმამდე დაიყვანონ თავისუფალი კონკურენტული ბაზრის ხელისშემშლელი ქმედებები.

ვალდებულება ემსახურება საჯარო მმართველობის გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების პრინციპების გაუმჯობესებას. კონკურენციის სააგენტო შეიმუშავებს გზამკვლევებს/ბროშურებს, რომელთა ძირითადი თემატიკა კონკურენციის კანონის პრობლემატური და აქტუალური საკითხები და სააგენტოს ძირითადი სამოქმედო პრინციპები იქნება. გზამკვლევი გავრცელდება როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით, კონკურენციის საკითხებზე ბიზნესისა და საზოგადოებისათვის მაქსიმალური ინფორმაციის მინოდების მიზნით.

წამყვანი დანესებულება: სსიპ – კონკურენციის სააგენტო

დამხმარე დანესებულება: არ არის

დანყების თარიღი: სექტემბერი, 2016

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2017

ვალდებულების აღწერა	კონკრეტულობა				OGP-ის შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				დროულად?	შესრულება				
	არსებითი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია	გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხისტი	არსებითი	მცირე	საშუალო		ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შემდგომი	არსებითი	შესრულებული
19. ეკონომიკური აგენტებისათვის გზამკვლევის შემუშავება			✓		✓						✓			✓			✓	

კონტექსტი და მიზნები

2014 წლის მაისში მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა ეკონომიკური აგენტების მიერ კონკურენციის პრინციპების დარღვევის პრევენციას.¹ კანონის მიღებასთან ერთად კონკურენციის სააგენტო (შემდგომ –

სააგენტო) გარდაიქმნა დამოუკიდებელ სტრუქტურად, რომლის ძირითადი ფუნქციებია ბაზრის დინამიკის ზედამხედველობა და რეგულაციების სანინაალმდეგო ეკონომიკური პრაქტიკის დადგენა.² სააგენტოს წარმომადგენელთა განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ „კონკურენციის შესახებ“ კანონი ბაზრის სტანდარტებს წარმატებით განსაზღვრავს, ეკონომიკურ აგენტებს არ აქვთ სათანადო ცოდნა რეგულაციებთან დაკავშირებით.³ შესაბამისად, ბიზნესსაზოგადოების წარმომადგენლებმა ზუსტად არ იციან, რას გულისხმობს კონკურენციის სტანდარტების დარღვევა, როგორცაა ისეთი ზეპირი შეთანხმების დადება, რომელიც მათ ბაზარზე პრივილეგიურულ მდგომარეობას შეუქმნის, ფასებით მანიპულაცია და სხვა. რეგულაციების დარღვევის პრევენციის და, აქედან გამომდინარე, ბაზრის მოთამაშეებს შორის კონკურენციის შენარჩუნების მიზნით ვალდებულება ეკონომიკური აგენტებისთვის „კონკურენციის შესახებ“ კანონის საფუძველზე გზამკვლევის შემუშავებას მოიცავს. სააგენტო გზამკვლევს ონლაინსივრცეში და ბეჭდური სახით გაავრცელებს და ადვოკატირების კამპანიას და დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრებს გამართავს.⁴

ვალდებულება პრობლემას დეტალურად აღწერს და მის გადასაჭრელად აუცილებელ გაზომვად ნაბიჯებს გვთავაზობს: 1. გზამკვლევის შემუშავება; 2. მის შესახებ ინფორმაციის გავრცელება. ევროკავშირის პროექტის „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მხარდაჭერა“ გუნდის ხელმძღვანელის თქმით, კონკურენციის კანონმდებლობის კომპლექსურობიდან გამომდინარე, გზამკვლევი ეკონომიკური აგენტების ინფორმირებისთვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.⁵ თუმცა, მოახდენს თუ არა კანონის შესახებ ცნობიერების ამაღლება სხვადასხვა აგენტის ეკონომიკურ გადანყვეტილებებზე პირდაპირ გავლენას და, შესაბამისად, მიიღწევა თუ არა ვალდებულების ძირითადი მიზანი – კანონდარღვევების პრევენცია, რთული სათქმელია. სრულად შესრულების შემთხვევაში ვალდებულება მცირე გავლენას მოახდენს რეგულაციების თაობაზე ბიზნესსაზოგადოების ცოდნის ღონის ამაღლებაზე, რაც გზამკვლევის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისა და ადვოკატირების ღონისძიებების მასშტაბურობაზეა დამოკიდებული. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ გზამკვლევი კერძო სექტორის წარმომადგენლებს უკვე არსებულ ნორმებს განუმარტავს, ის ამ დებულებებს უფრო გასაგებ ენაზე გადმოსცემს, რათა მათი საქმიანობა „კონკურენციის შესახებ“ კანონის შესაბამისი გახდეს. აქედან გამომდინარე, ვალდებულება შეესაბამება OGP-ის ღირებულებას – ზრდის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

შესრულება

სააგენტომ ეკონომიკური აგენტებისთვის გზამკვლევი 2017 წლის მაისში, ვალდებულებაში მითითებულ დასრულების თარიღამდე (2017 წლის დეკემბერი) დაამტკიცა.⁶ გზამკვლევი განმარტავს „ეკონომიკური აგენტის“ მნიშვნელობას და ყველა ისეთ სცენარს განიხილავს, როდესაც ბაზრის მოთამაშე შესაძლოა არღვევდეს კონკურენციის სტანდარტებს, როგორცაა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, მათ შორის, მტაცებლური ფასის დაწესება, ფასისმიერი დისკრიმინაცია და მიწოდებაზე უარი. განმარტებებს თან ახლავს ევროპის სასამართლოს გადანყვეტილებები, რომლებიც კონკურენციის სტანდარტების პრეცედენტია. გზამკვლევის სტრუქტურა კარგად არის აგებული,

ხოლო განმარტებები ისეთი მკითხველისთვის გასაგებ ენაზეა წარმოდგენილი, რომელსაც ამ საკითხზე არასოდეს უმუშავია.

ვალდებულების შესრულება შეფასდა, როგორც არსებითი, იქიდან გამომდინარე, რომ სააგენტოს გზამკვლევის გამოცემასთან ერთად მისი პოპულარიზაციაც ევალება. პასუხისმგებელი უწყების წარმომადგენელთა თქმით, სააგენტო გეგმავს, 2017 წლის შემოდგომაზე გამართოს ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები, მათ შორის, ბიზნესსაზოგადოებისთვის მოაწყოს კონფერენცია, რომელზედაც გზამკვლევი იქნება წარდგენილი.⁷

ადრეული შედეგები (თუ არის)

ეკონომიკური აგენტებისთვის გზამკვლევი შემუშავდა და დამტკიცდა. თუმცა სააგენტოს ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები არ გაუმართავს. შესაბამისად, მიზანშეწონილი იქნება, ვალდებულების შედეგები 2017 წლის შემოდგომის შემდგომ, ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ შეფასდეს.

ამასთანავე, კერძო სექტორის წარმომადგენელთა აზრით, სააგენტომ უნდა გაითვალისწინოს გზამკვლევის შინაარსთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი. საქართველოს ბიზნეს ასოციაციის იურიდიული ანალიტიკოსის განცხადებით, დოკუმენტი „კონკურენციის შესახებ“ კანონს ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებების მაგალითების თანხლებით წარმატებით განმარტავს. თუმცა, მისი თქმით, ბოლო ათი წლის განმავლობაში ევროკავშირმა კონკურენციის საკითხისადმი მიდგომა შეცვალა, რაც იმას ნიშნავს, რომ დოკუმენტში განხილული ზოგი შემთხვევა „კონკურენციის შესახებ“ კანონს აღარ ესადაგება. ამასთანავე, ექსპერტის განცხადებით, ზოგიერთი განმარტება ბუნდოვანია და შესაძლოა კითხვები გააჩინოს. მაგალითად, გზამკვლევის 1.5 ნაწილის თანახმად, ფასის დადგენა აკრძალულია როგორც ჰორიზონტალურ, ისე ვერტიკალურ შეთანხმებებში. ექსპერტის თქმით, ჰორიზონტალურ შეთანხმებებში ფასის დადგენა დარღვევაა, თუმცა ზოგიერთი გარემოების გამო შესაძლებელია ვერტიკალურ შეთანხმებებში ფასების დადგენა კანონს არ არღვევდეს. ამის საჩვენებლად დოკუმენტში წესიდან გამონაკლისიც კი არის მოყვანილი. თუმცა წინადადების მკაცრი ფორმულირების გამო შეიძლება მკითხველმა, რომელიც კონკურენციის რეგულაციებს არ იცნობს, არასწორი დასკვნა გამოიტანოს. საქართველოს ბიზნეს ასოციაციის წარმომადგენლის განცხადებით, სამიზნე ჯგუფების ინფორმირებისთვის უმჯობესია, შეიქმნას სახელმძღვანელოს ტიპის დოკუმენტი, რომელშიც წარმოდგენილი იქნება სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძვლად აღებული სხვადასხვა გარემოება და ყოველისმომსხვეველი ანალიზი კონკრეტულ რეკომენდაციებთან ერთად.⁸

შემდეგი ნაბიჯები

ვალდებულება ბიზნესსაზოგადოების „კონკურენციის შესახებ“ კანონის თაობაზე ინფორმირებისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია. იმისთვის, რომ სამოქმედო გეგმის განხორციელების პერიოდში ვალდებულებას მაქსიმალური შედეგი ჰქონდეს, ევროკავშირის პროექტის „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მხარდაჭერა“ გუნდის ხელმძღვანელი დოკუმენტის (გზამკვლევის) მნიშვნელობის გაზრდისთვის შემდეგ რეკომენდაციებს იძლევა:

- სააგენტოს ან პროექტის მიერ ყველა ღონისძიების წინასწარ გაშუქება;
- სააგენტოს ვებგვერდზე ინფორმაციის მომხმარებლისთვის მოსახერხებელი ფორმით გამოქვეყნება (მაგალითად, სექციაში „ხშირად დასმული კითხვები“), რაც ინფორმაციას ბიზნესსაზოგადოებისთვის უფრო ხელმისაწვდომს გახდის;
- გზამკვლევის სხვა სამიზნე ჯგუფისთვის გაცნობა, როგორცაა იურისტები და მოსამართლეები, რადგან მათ კონკურენციის რეგულაციების დარღვევებთან პირდაპირი შეხება აქვთ.⁹

სააგენტოს რეკომენდაციები საქართველოს ბიზნეს ასოციაციის წარმომადგენელმაც წარუდგინა:

- გზამკვლევის ევროკავშირის კონკურენციის პოლიტიკისთვის მისადაგებული საქმეებით განახლება;
- კონცეფციებისა და გარემოებების უფრო დეტალური და სიღრმისეული განმარტება, ანალიზი და რეკომენდაციების წარმოდგენა სახელმძღვანელოს ტიპის დოკუმენტში;
- დოკუმენტისთვის სწორი აუდიტორიის, მათ შორის, ეკონომისტებისა და ფინანსისტების, შერჩევა, რადგან ეკონომიკური აგენტების გადანყვეტილებებსა და პოლიტიკას სწორედ ისინი განსაზღვრავენ.¹⁰

მომდევნო სამოქმედო გეგმაში შეტანის შემთხვევაში ვალდებულება სააგენტომ პირდაპირ უნდა დაუკავშიროს OGP-ს ისეთი ინიციატივით, რომელიც გაზრდის უწყების გამჭვირვალობას, გააუმჯობესებს მოქალაქეთა ჩართულობას ან/და შექმნის საჯარო ანგარიშვალდებულების მექანიზმს. მაგალითად, სააგენტომ შეიძლება მოქალაქეები ჩართოს კონკურენციის სტანდარტების შესაძლო დარღვევების აღმოჩენაში ანგარიშგების ონლაინმექანიზმის დანერგვით ან პირადად. ასევე შესაძლებელია, სააგენტომ კონკურენციის სფეროში კანონდარღვევებისა და მათზე სააგენტოს რეაგირების შესახებ სტატისტიკური მონაცემები პროაქტიულად გამოაქვეყნოს. უმჯობესია, სააგენტომ სამომავლო ვალდებულებაში ფოკუსირება ბიზნესსაზოგადოებასთან ერთად სხვა მოქალაქეებზედაც მოახდინოს, რათა ვალდებულება კიდევ უფრო მიუახლოვდეს OGP-ის პრინციპებს.

¹ საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659450>

² საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის №288 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კონკურენციის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“, <http://competition.ge/ge/page2.php?m=63>

³ სოფიო მომცელიძე, იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, ლიანა ჯაფარიძე, იურიდიული დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი, კონკურენციის სააგენტო, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 3 აგვისტო

⁴ ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმა, <http://bit.ly/2qwgU9d>

⁵ აურელიო ლა ტორე, ევროკავშირის პროექტის „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მხარდაჭერა“ გუნდის ხელმძღვანელი/უფროსი იურიდიული ექსპერტი, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 13 სექტემბერი

⁶ გზამკვლევი დოკუმენტი „ეკონომიკური აგენტების საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები“, 2017 წლის მაისი, <http://bit.ly/2CV1Sqi>

⁷ მომცელიძე, ჯაფარიძე, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

⁸ ნიკა ნანუაშვილი, საქართველოს ბიზნეს ასოციაციის იურიდიული ანალიტიკოსი, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 20 სექტემბერი

⁹ აურელიო ლა ტორე, ევროკავშირის პროექტის „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მხარდაჭერა“ გუნდის ხელმძღვანელი/უფროსი იურიდიული ექსპერტი, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 18 სექტემბერი

¹⁰ ლა ტორე, ინტერვიუ, სექტემბერი, 2017

20. კომერციული მომსახურების ხარისხის კონტროლის პროგრამის შემუშავება და დანერგვა

21. კომპანიების მიერ ანგარიშების ელექტრონულად წარმოდგენა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

№20 ვალდებულების ტექსტი:

სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (შემდგომში – კომისია) უზრუნველყოფს კომერციული მომსახურების ხარისხის კონტროლის პროგრამის შემუშავებასა და დანერგვას.

კომისიამ 2016 წლის 25 ივლისის №13 დადგენილებით დაამტკიცა „მომსახურების კომერციული ხარისხის წესები“, რომლის მიზანია ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატების, წყალმომარაგების ლიცენზიატებისა და ბუნებრივი გაზის მიმწოდებლების (შემდგომში – სანარმო) მიერ მომხმარებლისათვის განეული მომსახურების კომერციული ხარისხის გაუმჯობესება.

მომსახურების კომერციული ხარისხი მნიშვნელოვანია მომხმარებელთა უფლებების განხორციელების თვალსაზრისით, რადგან შეიცავს ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის განაწილებისა და წყალმომარაგების სფეროში მომხმარებელთათვის მომსახურების ხელმისაწვდომობისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ძირითად სტანდარტებს, რაც, როგორც შიდასახელმწიფოებრივი, ისე საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხია. მაგალითად, ჯერ კიდევ 2011 წლის მდგომარეობით Doing Business პროექტის ფარგლებში მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებულ საერთო რეიტინგში საქართველოს მე-17 ადგილი ეკავა, თუმცა, კვლევის ერთ-ერთ კრიტერიუმში, როგორცაა ელექტროენერჯის მიღება (ქსელზე მიერთება), საქართველო მხოლოდ 91-ე ადგილით შემოიფარგლა. მას შემდეგ, რაც კომისიის მიერ მიღებული და დანერგილი იქნა რეგულაცია, რომლის ერთ-ერთ ამოცანას სწორედ მომხმარებლის მიერ ელექტროენერჯის მიღების/ქსელზე მიერთების მომსახურების ხელმისაწვდომობა წარმოადგენდა, აღნიშნულ კრიტერიუმში საქართველოს მაჩვენებელმა 91-დან 50-ე ადგილზე გადაინაცვლა.

ამჟამად კომისიის უმთავრესი გამოწვევა კომერციული მომსახურების ხარისხის შესრულების მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმის შემუშავება და მისი რეგულირებაა. აღნიშნულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა მომხმარებელთა ინფორმირება როგორც მათი, ისე სანარმოების უფლებათა და მოვალეობათა შესახებ, რაც ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, სანარმოთა ანგარიშვალდებულების გაზრდას, ხოლო მეორე მხრივ, მომხმარებელთა უფლებების შეუფერხებელ განხორციელებას.

წამყვანი დანესებულება: საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

დამხმარე დანესებულება: არ არის

დაწყების თარიღი: იანვარი, 2016

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2017

№21 ვალდებულების ტექსტი:

მოცემული ვალდებულების ფარგლებში საწარმოების მიერ ანგარიშების ელექტრონულად წარმოდგენა საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას საშუალებას მისცემს, შექმნას სანდო და სრულყოფილი მონაცემთა ბაზა, განახორციელოს მიღებული ინფორმაციის მრავალმხრივი ანალიზი, თვალყური ადევნოს საწარმოების საქმიანობის მაჩვენებლების დინამიკას, განახორციელოს სალიცენზიო პირობების შესრულების მონიტორინგი და უმოკლეს დროში უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეებისთვის სისტემატიზებული ინფორმაციის მიწოდება. ელექტრონული ფორმით ანგარიშის წარმოდგენის სისტემის დანერგვა აგრეთვე ხელს შეუწყობს როგორც კომპანიების, ისე კომისიის ადმინისტრაციული რესურსების ეფექტიან გამოყენებას და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

ვალდებულების მიზანია საწარმოების მიერ ანგარიშის წარმოდგენის სპეციალური ელექტრონული პლატფორმის შექმნა აღნიშნული პროცესის მობილურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით.

წამყვანი დაწესებულება: საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

დამხმარე დაწესებულება: არ არის

დაწყების თარიღი: მითითებული არ არის

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2017

ვალდებულების აღწერა	კონკრეტულობა				OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				დროულად?	შესრულება				
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხილვადობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშგაუქმებლობა	ტექნოლოგიები და ინოვაცია	გამჭვირვალობისა და ანგარიშგაუქმებლობის ბისილის	არცერთი	მცირე	საშუალო		ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შემდგომი	არსებითი	შესრულებული
20. კომერციული მომსახურების ხარისხის კონტროლის პროგრამის შემუშავება და დანერგვა				✓	გაურკვეველი								✓				✓	
21. კომპანიების მიერ ანგარიშების ელექტრონულად წარმოდგენა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა				✓	გაურკვეველი								✓					✓

კონტექსტი და მიზნები

საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი) არის დამოუკიდებელი სუბიექტი, რომელიც წყლის, ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის მიწოდებას ზედამხედველობს და მომხმარებელთა უფლებების დაცვას უზრუნველყოფს.¹ 2016 წელს კომისიამ დაამტკიცა „მომსახურების კომერციული ხარისხის წესები“, რომლებიც მომხმარებლისთვის წყლის, ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის მიწოდების ხარისხს უზრუნველყოფს.² სემეკის წარმომადგენელთა განცხადებით, დოკუმენტით განსაზღვრული სტანდარტები სრულად დაცული არ არის.³ შესაბამისად, კომისიამ ვალდებულება აიღო, შეექმნა შიდა მექანიზმი, რომელიც კომუნალური მომსახურების მიწოდებელი კომპანიების საქმიანობას მონიტორინგს გაუწევდა კანონით დადგენილი 9 სტანდარტის მიხედვით. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი სტანდარტია გადაუხდელობის გამო სერვისის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში მისი კონკრეტულ დროში განახლების ვალდებულება.⁴ ეს მექანიზმი სემეკს საშუალებას აძლევს, სერვისის მიწოდებას დააკვირდეს და მომხმარებლის უფლებების დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი ზომები მიიღოს.

ვალდებულება №20: ვალდებულება მოიცავს ხარისხის კონტროლის პროგრამის შემუშავებას, რომელიც ლიცენზიატი კომპანიების მიერ სერვისის მიწოდებას მონიტორინგს გაუწევს დარღვევების აღრიცხვით, რაც მომხმარებლის უფლებების დაცვას და სერვისის მიწოდების მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს.⁵ ასეთი პროგრამის დანერგვა სერვისის მიწოდების გაუმჯობესებაზე საშუალო გავლენას მოახდენს, რადგან სემეკი კანონით დადგენილი სტანდარტების დაცვის მონიტორინგის მექანიზმს საჭიროებს.⁶

მიუხედავად იმისა, რომ ვალდებულება მართლაც ხელს შეუწყობს სემეკს მომხმარებლისთვის სერვისების მიწოდების გაუმჯობესებაში, პროგრამა არის მთლიანად შიდა მექანიზმი, რომელიც უწყებას საკუთარი მოვალეობის უკეთ შესრულებაში დაეხმარება. ამასთანავე, ვალდებულების მიზანი სერვისებზე ორიენტირებულია. სემეკის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ პროგრამის მეშვეობით განხორციელებულ ანალიზზე დაყრდნობით კომისია მომხმარებელს მიაწვდის მისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას (რომელიც მომხმარებელს საკუთარი უფლებების ან რეგულაციების არცოდნის გამო არ აქვს).⁷ მიუხედავად ამისა, ვალდებულება მაინც შიდა სისტემისკენ არის მიმართული და, შესაბამისად, მისი OGP-ის ღირებულებებთან კავშირი გაურკვეველია.

ვალდებულება №21: ვალდებულება მოიცავს ნორმატიული აქტების მიღებას, რომლებიც კომპანიებს ანგარიშების ელექტრონულად წარდგენის საშუალებას მისცემს.⁸ სემეკს ანგარიშებში მოცემული ინფორმაციის სისტემატიზაცია უჭირს, რადგან მას ანგარიშები მხოლოდ ბეჭდური სახით წარედგინება. ანგარიშების ელექტრონულად წარდგენის მექანიზმი გაამარტივებს მიღებული ინფორმაციის სისტემატიზაციას და შესაძლებელს გახდის მის უმოკლეს დროში დამუშავებას. შესაბამისად, შესრულების შემთხვევაში ვალდებულებას საშუალო შედეგი ექნება. ამასთანავე, იქიდან გამომდინარე, რომ ვალდებულება სემეკის ფუნქციონირებისთვის საჭირო შიდა პროცესების გაუმჯობესებისკენ არის მიმართული, ის არ შეესაბამება OGP-ის ღირებულებას – არ ზრდის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. ეს ვალდებულება სემეკს დამატებით მოვალეობებს არ

აკისრებს – იგი ისედაც ვალდებულია, პარლამენტს წარუდგინოს წლიური ანგარიშები, რომლებშიც კომპანიების ანგარიშებში მოცემული ინფორმაცია ასახული.⁹ შესაბამისად, ვალდებულებას OGP-ის პრინციპებთან ნათელი კავშირი არ აქვს.

შესრულება

ვალდებულება №20: სემეკის წარმომადგენლის თქმით, ხარისხის კონტროლის პროგრამა 2017 წლის თებერვალში ამოქმედდა.¹⁰ პროგრამა შედგება 9 სტანდარტისგან, რომელთა მეშვეობითაც სერვისის მიწოდების ხარისხი ფასდება. თუმცა ყველა კომპონენტი სრულად არ ამოქმედებულია.¹¹ მაგალითად, ერთ-ერთი კომპონენტის მიხედვით, თუ კომპანია სერვისის მიწოდებას გადაუხდელობის გამო წყვეტს, დავალიანების დაფარვის შემთხვევაში სერვისის მიწოდება 5 საათის განმავლობაში უნდა აღდგეს. წინააღმდეგ შემთხვევაში კომპანია ვალდებულია კომპენსაციის სახით მომხმარებელს 5 ლარი გადაუხადოს. თუმცა კომპანიები აცხადებენ, რომ რესურსის ნაკლებობის გამო მათ სერვისის მიწოდების ამ ვადაში განახლება უჭირთ. შესაბამისად, თუ კომპანიებმა სტანდარტი უნდა დაიცვან, მათ შესაძლოა სერვისის ფასის გაზრდა მოუწიოთ. ამგვარი საკითხები ჯერ კიდევ სემეკსა და ლიცენზიატ კომპანიებს შორის განხილვის ეტაპზეა, რაც არსებული ხარისხის კონტროლის პროგრამის სრულად ამოქმედებას ხელს უშლის.¹²

ვალდებულება №21: ანგარიშების წარდგენის ელექტრონული პლატფორმა 2017 წელს ამოქმედდა. სემეკმა სხვადასხვა სერვისის მიწოდებლების მიერ ანგარიშების ახალი სტანდარტით წარდგენისთვის შესაბამისი ნორმატიული აქტები მიიღო.¹³ უწყების წარმომადგენლის განცხადებით, ანგარიშების ელექტრონულად წარდგენის პლატფორმა სრულად არის ამოქმედებული და კომპანიები მას კვარტალური და წლიური ანგარიშებისთვის იყენებენ.¹⁴ თუმცა, მისივე თქმით, სანამ 2018 წლის ივლისში არ ამოქმედდება „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი, რომელიც ელექტრონული ხელმოწერის იურიდიულ უფლებამოსილებას ეხება, კომპანიებს ანგარიშების ბეჭდური სახით წარდგენაც უწევთ.¹⁵ შესაბამისად, კომპანიები სემეკს ანგარიშებს ელექტრონულადაც აწვდიან და ბეჭდური ფორმითაც.¹⁶

ადრეული შედეგები (თუ არის)

ვალდებულების შესრულების შედეგად კომუნალური მომსახურების მიწოდებელი კომპანიების მიერ სერვისების მიწოდების ხარისხის და მომხმარებელთა უფლებების დაცვის გაუმჯობესების შეფასება მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც ხარისხის კონტროლის პროგრამის სრულად ამოქმედებიდან საკმარისი დრო გავა.

შემდეგი ნაბიჯები

ორივე ვალდებულება ემსახურება ერთ-ერთი მთავარი მარეგულირებელი ორგანოს მუშაობის გაუმჯობესებას, რომლის ძირითადი ფუნქციებია სერვისების მიწოდების მონიტორინგი და მომხმარებელთა უფლებების დაცვა. იმისთვის, რომ სემეკმა ვალდებულების მთავარ მიზნებს და სასურველ შედეგებს მიაღწიოს, აუცილებელია ვალდებულების სამოქმედო გეგმის ფარგლებში სრულად შესრულება და, შესაბამისად, ხარისხის კონტროლის პროგრამის ცხრავე სტანდარტის ამოქმედება.

მომდევნო სამოქმედო გეგმაში შეტანის შემთხვევაში ვალდებულება უფრო მეტად უნდა შეესაბამებოდეს OGP-ის ღირებულებებს. მომავალში, ვალდებულებების ღია მმართველობის პრინციპებთან მიახლოება შესაძლებელია შემდეგი ნაბიჯებით:

- საკუთარი უფლებების შესახებ მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლება;
- კომპანიების მიერ სერვისის მიწოდებისას ჩადენილი დარღვევების შესახებ სტატისტიკური მონაცემების, ტარიფების ცვლილების ტენდენციების და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის ღია ფორმატით, მომხმარებლისთვის ადვილად გასაგები ფორმით გამოქვეყნება;
- მომხმარებლისთვის მოსახერხებელი უკუკავშირის ონლაინმექანიზმის შექმნა, რომლითაც საზოგადოება საკუთარი გამოცდილების გაზიარებას და კომუნალური მომსახურების გაუმჯობესების შესახებ წინადადებების წარდგენას შეძლებს. მიუხედავად იმისა, რომ სემეკის ვებგვერდზე განთავსებულია პრეტენზიების დაფიქსირების სტანდარტული ფორმა, მოქალაქეს მისი ამობეჭდვა, ხელით შევსება და კომისიაში მიტანა უწევს. პრეტენზიების დაფიქსირების ელექტრონული მექანიზმი პროცესს მნიშვნელოვნად გაამარტივებს და მომხმარებელთა მიერ უკუკავშირის მიწოდებას წახალისებს, რაც, თავის მხრივ, გაუმჯობესებს კომუნალური მომსახურების მიწოდებას;
- დარღვევების თაობაზე პრეტენზიების დაფიქსირების ეფექტიანი მექანიზმის შექმნა, რომელიც პრეტენზიების განხილვისა და მათზე უკუკავშირის მიწოდების სტანდარტიზებულ პროცედურას ითვალისწინებს.¹⁷

ამასთანავე, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, უმჯობესია, კომუნალური მომსახურების მიმწოდებელ კომპანიებს მხოლოდ ფინანსური ანგარიშების წარდგენა კი არ დაევალოთ, არამედ მათ ანგარიშებში სოციალური პასუხისმგებლობის საკითხებიც იყოს განხილული. ასეთი ინფორმაციაა:

- კომპანიების მიერ განხორციელებული საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების ანალიზი ან/და მათ მიერ გარემოზე უარყოფითი გავლენის შემცირებისთვის ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ ინფორმაცია, განსაკუთრებით, კომპანიების საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- კომპანიების მიერ მიღებული ანტიკორუფციული ზომების ანალიზი, რადგან ლიცენზიატები სერვისის მიმწოდებელი ძირითადი კომპანიები არიან და, შესაბამისად, კორუფციის რისკი მაღალია;¹⁸
- კერძო სექტორში მამხილებელთა დაცვა, იმის გათვალისწინებით, რომ არსებული კანონმდებლობა მამხილებლებს მხოლოდ საჯარო სექტორში იცავს.¹⁹

იქიდან გამომდინარე, რომ ყველა ზემოაღნიშნული ინიციატივა სემეკის კომპეტენციას არ განეკუთვნება, ასეთი ღონისძიებების განხორციელება სხვა სამთავრობო უწყებებთან თანამშრომლობით არის შესაძლებელი. რადგან მომხმარებელთა უფლებების დაცვა სემეკის ფუნქციაა, სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კორპორაციული პრაქტიკის წახალისება კომპანიების

მიერ ზოგადი სერვისის მიწოდების ხარისხის კონტროლთან ერთად დიდი წილად დადგმული ნაბიჯი იქნება.

¹ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, <http://gnerc.org/en/about/komisia>

² საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2016 წლის 25 ივლისის №13 დადგენილება „მომსახურების კომერციული ხარისხის წესების“ დამტკიცების შესახებ“, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3349746>

³ თამარ ბაზლაძე, იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, თემურ იზორია, მეთოდოლოგიური უზრუნველყოფის დეპარტამენტი, საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 3 აგვისტო

⁴ ბაზლაძე, იზორია, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

⁵ ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმა, <http://bit.ly/2qwqU9d>

⁶ სალომე ზურაბიშვილი, სამოქალაქო განვითარების სააგენტოს (CIDA) კორპორაციული პასუხისმგებლობის მიმართულების მენეჯერი, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 13 სექტემბერი

⁷ ბაზლაძე, იზორია, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

⁸ ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმა, <http://bit.ly/2qwqU9d>

⁹ ბაზლაძე, იზორია, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

¹⁰ თამარ ბაზლაძე, საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 14 სექტემბერი

¹¹ მუხლი მე-4, თავი მე-2, საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2016 წლის 25 ივლისის №13 დადგენილება „მომსახურების კომერციული ხარისხის წესების“ დამტკიცების შესახებ“, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3349746>

¹² ბაზლაძე, იზორია, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

¹³ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2016 წლის 7 ივლისის №47/66 გადაწყვეტილება „წყალმომარაგების ლიცენზიატებისთვის ერთიანი ანგარიშგებისა და უზრუნველყოფის ფორმების დამტკიცების შესახებ“, №47/64 გადაწყვეტილება „ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატებისთვის ერთიანი ანგარიშგებისა და უზრუნველყოფის ფორმების დამტკიცების შესახებ“, №47/63 გადაწყვეტილება „ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატებისთვის ერთიანი ანგარიშგებისა და უზრუნველყოფის ფორმების დამტკიცების შესახებ“, <https://goo.gl/gAiBSB>

¹⁴ ბაზლაძე, ინტერვიუ, სექტემბერი, 2017

¹⁵ საქართველოს კანონი „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3654557>

¹⁶ ბაზლაძე, ინტერვიუ, სექტემბერი, 2017

¹⁷ ზურაბიშვილი, ინტერვიუ, სექტემბერი, 2017

¹⁸ ზურაბიშვილი, ინტერვიუ, სექტემბერი, 2017

¹⁹ საქართველოს კანონი „საჯარო დანესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33550>

22. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე პეტიციების ელექტრონული პორტალისა და „ზუგდიდი-INFO“-ს დანერგვა

ვალდებულების ტექსტი:

სამოქმედო გეგმის ფარგლებში ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირებულობის მიმართულებით ორი პროექტი მუშავდება: 1) ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის www.zugdidi.gov.ge-ს მეშვეობით შესაძლებელი იქნება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოში პეტიციების ელექტრონული ფორმით წარდგენა; 2) საინფორმაციო ცენტრის „ზუგდიდი-INFO“-ს მეშვეობით, მოქალაქეები მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) სახით მიიღებენ ინფორმაციას ქალაქში მიმდინარე ინტერასტრუქტურული, კულტურული, სპორტული თუ სხვა სახის პროექტების, ასევე ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების შესახებ. ამავე მეთოდით მოსახლეობა იღებს ინფორმაციას საკრებულოს სხდომების ჩატარების თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ.

„ზუგდიდი - INFO“, როგორც მოქალაქეებთან ურთიერთობის სწრაფი და პირდაპირი საკომუნიკაციო სივრცე, ხელს შეუწყობს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობასა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მონაწილეობას.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის www.zugdidi.gov.ge-ს მეშვეობით პეტიციების ელექტრონული ფორმით წარდგენის შესაძლებლობა სხვადასხვა საკითხით დაინტერესებულ მოქალაქეებს მათი საჭიროებებისა და ინტერესების მუნიციპალიტეტის ორგანოების წინაშე წარმოჩენას გაუმარტივებს.

წამყვანი დანესებულება: ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დამხმარე დანესებულებები: ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია და მუნიციპალური არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები

დანების თარიღი: მითითებული არ არის

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2017

ვალდებულების აღწერა	კონკრეტულობა				OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				დროულად?	შესრულება			
	არსებითი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხილვისა და აქტიურობის	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშგაღებულულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია	გამჭვირვალობისა და ანგარიშგაღებულულება	არსებითი	მცირე	საშუალო		ტრანსფორმაციული	არ დანესებულია	შემდგომი	არსებითი
22. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს			✓		✓	✓		✓					✓			✓	



კონტექსტი და მიზნები

ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიმდინარე სამოქმედო გეგმის ფარგლებში შემდეგი ვალდებულება აიღო: 1. მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) სერვისის – „ზუგდიდი-INFO“-ს ამოქმედება, რომელიც მოქალაქეებს საკრებულოს სხდომების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ ინფორმაციას მიაწვდის; 2. ელექტრონული პეტიციების სისტემის დანერგვა, რომელიც მოქალაქეებს ადგილობრივი პოლიტიკის შესახებ წინადადებების წარდგენის საშუალებას მისცემს და, შესაბამისად, მათ ჩართულობას გაზრდის.¹ საკრებულოს წარმომადგენლის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ საკრებულო რეგულარულად აქვეყნებს სხდომების და სხვა საკითხების შესახებ ინფორმაციას საკუთარ ფეისბუქგვერდზე, მოქალაქეთა ჩართულობის დონე მაინც დაბალია.² ვალდებულება მიზნად ისახავს მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდასა და ინფორმირებას. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე განთავსებულია პეტიციების სტანდარტული ფორმა, რომელიც მოქალაქეს შეუძლია ამობეჭდოს, შეავსოს და საკრებულოში მიიტანოს,³ 2017 წლის მდგომარეობით, საკრებულოს მხოლოდ 3 ასეთი პეტიცია წარედგინა.⁴ პეტიციების ელექტრონული პორტალი პროცედურას გაამარტივებს და, შესაბამისად, მოქალაქეთა მმართველობის პროცესში ჩართვას შეუწყობს ხელს.

სრულად შესრულების შემთხვევაში ვალდებულებას მცირე შედეგი ექნება. „ზუგდიდი-INFO“-ს მოკლე ტექსტური შეტყობინების სერვისი (SMS) კარგი მექანიზმია მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდებისთვის. რაც შეეხება ელექტრონული პეტიციების მექანიზმს, იმის წინასწარ განსაზღვრა, თუ რამდენად პოპულარული იქნება ის მოსახლეობაში, რთულია, რადგან შესაძლოა მოსახლეობის ნაწილს ინტერნეტზე ხელი არ მიუწვდებოდეს. ვალდებულების შედეგი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნება, თუ ის საზოგადოებისგან მოსაზრებების მიღების სხვა ფორმებსაც დანერგავს და მიღებულ პეტიციებზე უკუკავშირის მიწოდების მექანიზმს შეიმუშავებს.

შესრულება

ვალდებულება არსებითად არის შესრულებული. „ზუგდიდი-INFO“-ს სერვისი მოქალაქეებს 2016 წლის მაისიდან მიეწოდებათ. საკრებულოს ბაზაში ამჟამად რეგისტრირებულია 11000-მდე მოქალაქე, რომლებიც რეგულარულად იღებენ მოკლე ტექსტურ შეტყობინებას „ზუგდიდი-INFO“-ს მეშვეობით. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ზუგდიდის ოფისის რეგიონული წარმომადგენლის თქმით, SMS-სერვისი სრულად ამოქმედდა და მოქალაქეებს მულტივალდ აწვდის ინფორმაციას საკრებულოს სხდომების შესახებ. ერთ-ერთი ასეთი შეტყობინება მოქალაქეებს საკრებულოს სხდომის თარიღს, დროსა და ადგილს აუწყებდა. ასევე გაგზავნილი იყო შეტყობინება, რომელიც მოქალაქეებს ზუგდიდში

ერთ-ერთი შენობის რემონტის დასრულებას ამცნობდა.⁵ შესაბამისად, სერვისის მოსახლეობას სხვადასხვა სახის ინფორმაციას აწვდის.

ელექტრონული პეტიციების პორტალის შექმნა დაწყებულია. 2017 წლის სექტემბრის მდგომარეობით, საკრებულოს ვებგვერდზე სისტემა არ ამოქმედებულა. თუმცა ვალდებულების შესრულების ვადა 2017 წლის დეკემბერში იწურება, რაც იმას ნიშნავს, რომ წამყვან დაწესებულებას ჯერ კიდევ აქვს დრო ამ კომპონენტის შესრულებისთვის. საკრებულოს წარმომადგენლის განცხადებით, ონლაინმექანიზმი 2017 წლის ოქტომბერში შემუშავების ეტაპზე იყო და სრულად 2017 წლის ნოემბერში ამოქმედდება.

ადრეული შედეგები (თუ არის)

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წარმომადგენლის თქმით, განხორციელებული პროექტების და დაგეგმილი საკრებულოს სხდომების შესახებ მოკლე ტექსტური შეტყობინება მოქალაქეებს რეგულარულად ეგზავნებათ, რაც სხდომებზე მათ დასწრებაზე დადებითად მოქმედებს.⁶ თუმცა საკრებულოს „ზუგდიდი-INFO“-ს მოქალაქეთა ჩართულობაზე გავლენის შესაფასებლად კვლევა არ ჩატარებია.⁷

შემდეგი ნაბიჯები

ვალდებულების შესრულებისთვის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ელექტრონული პეტიციების პორტალი სამოქმედო გეგმის პერიოდში უნდა დაანერგოს. ამასთანავე, ვალდებულება არ მოიცავს პორტალის შესახებ საინფორმაციო თუ ცნობიერების ამაღლების კამპანიების ჩატარებას. მაქსიმალური შედეგის მისაღწევად უმჯობესია, საკრებულომ პორტალის შექმნის შემდეგ მოსახლეობის ინფორმირებისთვის სხვადასხვა ღონისძიება გამართოს, მათ შორის, პეტიციების მექანიზმის გამოყენებაზე ტრენინგები ჩაატაროს. ასეთი ღონისძიებები მოქალაქეთა მიერ წინადადებებისა და მოსაზრებების წარმოდგენას შეუწყობს ხელს და, შესაბამისად, წამყვან დაწესებულებას ვალდებულების მთავარი მიზნის მიღწევაში – გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდაში დაეხმარება. ასევე უმჯობესია, საკრებულომ მიღებულ პეტიციებზე პასუხის გასაცემად დაანერგოს უკუკავშირის ელექტრონული მექანიზმი, რომელიც მოქალაქეებს ამცნობს, განხილულ იქნა თუ არა მათ მიერ წარდგენილი კონკრეტული განაცხადი, და უარის შემთხვევაში მის მიზეზებს განმარტავს.

¹ ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმა, <http://bit.ly/2qwgU9d>

² ირაკლი ლავგილავა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან და არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 4 აგვისტო

³ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოფიციალური ვებგვერდი, ოფიციალური ინფორმაცია, პეტიციების სტანდარტული ფორმა, <http://www.zugdidi.gov.ge/1532-0-geo.html>

⁴ სალომე აკობია, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მთავარი სპეციალისტი, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 6 სექტემბერი

⁵ არჩილ თოდუა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ზუგდიდის ოფისის რეგიონული კოორდინატორი, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 11 ოქტომბერი

⁶ თოდუა, ინტერვიუ, სექტემბერი, 2017

⁷ ლავვილავა, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

23. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომების გამჭვირვალობა

ვალდებულების ტექსტი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აქტიურად მუშაობს გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და მოქალაქეთა ჩართულობის გაუმჯობესებასა და საკრებულოს საქმიანობაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაზე.

აღნიშნული ვალდებულების ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო სხდომების პირდაპირ ტრანსლირებასა და სრული ვიდეო ჩანაწერების ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე განთავსებას უზრუნველყოფს.

ვალდებულებით გათვალისწინებული იქნება შემდეგი ნოვაციები:

- პირდაპირი ტრანსლაციისას მოქალაქეები შეძლებენ კომენტარებისა და შეკითხვების დატოვებას, რომელთა რაოდენობა და შინაარსი საკრებულოს აპარატის მიერ საჯაროდ გამოქვეყნდება. ინტერაქციის შედეგები აისახება საკრებულოს წლიურ ანგარიშში;

- ჩამოყალიბდება ინტერესთა ჯგუფები, რომელთა თითოეულ წევრთან (სახელმწიფო, კერძო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლებთან თუ კერძო პირებთან) მათთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდების შესახებ ანკეტა-მემორანდუმები გაფორმდება. ამ ჯგუფებისთვის დაინერგება მოკლე ტექსტური შეტყობინებების გავზავნის სისტემა. საკრებულო ასევე მონაცემთა ბაზის შექმნაზე იზრუნებს, რათა ინფორმაციის მიწოდებას სისტემური სახე მიეცეს;

- სხდომებისა და არსებული მომსახურებების შესახებ მოსახლეობას ელ-ფოსტისა და მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით ეცნობება. შეიქმნება დაინტერესებულ პირთა მონაცემთა ბაზა და მასში აღრიცხულ პირებს სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით შეტყობინების სახით მათთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია დაეგზავნებათ;

- დაინერგება ელექტრონული გამოკითხვები; გამოკითხვის შედეგები აისახება საკრებულოს მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებში;

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 28 ადმინისტრაციულ ერთეულში შეიქმნება და თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიებით აღიჭურვება საზოგადოებრივი ჩართულობის ცენტრები (ამჟამად მსგავსი ცენტრები ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის 5 სოფელში: კონჭკათში, მელექედურში, ლიხაურში, თხინვალსა და ბახვში).

წამყვანი დანესებულება: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დამხმარე დანესებულება: არ არის

დანყების თარიღი: სექტემბერი, 2016

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2017

ვალდებულების აღწერა	კონკრეტულობა	OGP-ის შესაბამისობა	ღირებულებებთან	პოტენციური შედეგი	დროულად?	შესრულება
---------------------	--------------	---------------------	----------------	-------------------	----------	-----------

	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხილვის ანგარიშობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშგაღებულ რეზულტატებს	ტექნოლოგიები და ინოვაციები	ანგარიშგაღებულ რეზულტატებს	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული		არ დაწყებულა	შეგდებული	არსებითი	შესრულებული
23. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომების გამჭვირვალობა			✓	✓	✓		✓				✓		✓				✓	

კონტექსტი და მიზნები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო არის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც მოსახლეობის მიერ არჩეული წარმომადგენლებით კომპლექტდება. იქიდან გამომდინარე, რომ მოქალაქეები აქტიურად არ ერთვებიან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში, საკრებულომ გამჭვირვალობის გაზრდის და გადანწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართვის ვალდებულება აიღო.¹ ვალდებულება მოიცავს შემდეგი ინიციატივების დანერგვას: „მართე სახლიდან“ – საკრებულოს სხდომების პირდაპირი ტრანსლაცია, რომლის დროსაც მოქალაქეები ონლაინრეჟიმში კომენტარების გაკეთებას და კითხვების დასმასაც შეძლებენ; მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) სისტემა, რომლის მიზანია დაგეგმილი სხდომებისა და შეხვედრების შესახებ მოქალაქეთა ინფორმირება; ელექტრონული გამოკითხვის სისტემა, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეები მათთვის მნიშვნელოვან საკითხებს დააფიქსირებენ; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე განთავსებული გამართული სხდომების ვიდეოარქივი. ამასთანავე, წამყვანი დანერგვები გეგმავს საზოგადოებრივი ჩართულობის ცენტრების (შემდგომ – ცენტრები) გახსნას, რომლებიც მოქალაქეებს საშუალებას მისცემს, საკრებულოს სხდომების პირდაპირ ტრანსლაციას უყურონ და დისკუსიებში ჩაერთონ, მაშინაც კი, თუ სახლში ინტერნეტზე ხელი არ მიუწვდებათ.²

ვალდებულება საკმაოდ კონკრეტულია, რადგან ნათლად აღწერს გამოვად ღონისძიებებს და მთავარ მიზნებს, როგორცაა ინფორმაციის ხელმისაწვდომის გაზრდა, გადანწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაუმჯობესება და ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება. სრულად შესრულების შემთხვევაში ვალდებულებას საშუალო შედეგი ექნება, რადგან დაგეგმილი ონლაინპლატფორმა მოქალაქეთა ჩართულობას გაზრდის, ხოლო სხდომების პირდაპირი ტრანსლაცია და მათი ჩანაწერების ონლაინარქივის შექმნა საკრებულოს საქმიანობის შესახებ მოქალაქეთა ცნობიერებას აამაღლებს.

შესრულება

ვალდებულება არსებითად არის შესრულებული, იქიდან გამომდინარე, რომ, 2017 წლის აგვისტოს მდგომარეობით, ვალდებულების ტექსტში მითითებული ღონისძიებების უმრავლესობა განხორციელებული იყო. „მართე სახლიდან“ – სხდომების ონლაინტრანსლაცია და მისი თანხმლები კომენტარების სექცია საკრებულოს ვებგვერდზე სრულად არის ამოქმედებული.³ გურიის ახალგაზრდული

რესურსცენტრის წარმომადგენლის განცხადებით, თავდაპირველად ვალდებულება სხდომების თვეში ერთხელ ტრანსლაციას ითვალისწინებდა. თუმცა მას შემდეგ, რაც საკრებულომ ამისთვის საჭირო ტექნიკა შეიძინა და გამართა, წამყვანმა დანესებულებამ ყველა საჯარო სხდომის პირდაპირი ტრანსლაცია გადაწყვიტა.⁴ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები ამ ინიციატივას, როგორც მოქალაქეთა ჩართულობის ალტერნატიულ ხერხს, დადებითად აფასებენ.⁵ თუ მოქალაქემ საჯარო სხდომას პირდაპირ ეთერში ვერ უყურა, მას შეუძლია ჩანაწერი მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე ნახოს.⁶

SMS-სისტემა დანერგულია. მისი პოპულარიზაციის ღონისძიებებში ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი, ჩაერთო.⁷ სერვისის გააქტიურებისთვის მოქალაქეებმა საკრებულოსთან ერთგვერდიანი მემორანდუმი უნდა გააფორმონ. ამით ისინი საკრებულოს უფლებას აძლევენ, გაეგზავნოთ ინფორმაცია საკრებულოს სხდომების, პროექტების და სხვა საკითხების შესახებ.⁸ საკრებულოს ვებგვერდს დაემატა ელექტრონული გამოკითხვის მოდული, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეები მათთვის მნიშვნელოვან საკითხებს აფიქსირებენ.⁹ ელექტრონული გამოკითხვა ანონიმურია და, შესაბამისად, რეგისტრაცია ან ავტორიზაცია საჭირო არ არის, რაც პროცესს კიდევ უფრო ამარტივებს.¹⁰

ამასთანავე, საკრებულომ სამოქმედო გეგმის დამტკიცებამდე გახსნა 28-დან 5 ცენტრი, სადაც მოქალაქეებს საკრებულოს სხდომების პირდაპირი ტრანსლაციის ყურება, კითხვების ონლაინრეჟიმში დასმა და დისკუსიებში მონაწილეობა შეუძლიათ.¹¹ ეს მნიშვნელოვანია ისეთი მოქალაქეების ჩართულობისთვის, რომლებსაც სახლში ინტერნეტზე ხელი არ მიუწვდებათ. ცენტრების გახსნა ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა, ხოლო საჭირო აღჭურვილობა დონორების მხარდაჭერით იქნა შეძენილი. საკრებულოს წარმომადგენლის თქმით, დანარჩენი 23 ცენტრის გახსნა დამოკიდებულია დაფინანსების მოძიებაზე, რაზედაც საკრებულო ამჟამად მუშაობს.¹²

ადრეული შედეგები (თუ არის)

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის განცხადებით, მოქალაქეები ონლაინგამოკითხვას ხშირად იყენებენ. გამოკითხვის ამოქმედებიდან პირველ 2 თვეში საკრებულომ მოქალაქეებისგან 80-მდე წინადადება მიიღო. მოქალაქეთა მიერ დასმულ კითხვებსა და საკითხებზე პასუხებს საკრებულო პერიოდულად აქვეყნებს, თუმცა ეს მას არ ევალება.¹³ რაც შეეხება SMS-სისტემას, ზოგად შეფასებაზე დაყრდნობით, სერვისით მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 40 პროცენტი სარგებლობს.¹⁴

ამასთანავე, 2016 წლის ნოემბრის ჩათვლით, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურად იყვნენ ჩართული სოფლად მცხოვრები მოსახლეობის საკრებულოს სხდომების პირდაპირი ტრანსლაციის შესახებ ინფორმირებაში.¹⁵ არასამთავრობო ორგანიზაციის, „საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის“, წარმომადგენლის თქმით, საკრებულოს ყველა აქტიური მოკავშირე ორგანიზაცია ჩართულია საკრებულოს ახალი ინიციატივების თაობაზე ინფორმაციის გავრცელებაში. ისინი ინფორმაციას საკუთარი ღონისძიებებისა და შეხვედრების დროს ავრცელებდნენ.¹⁶

შემდეგი ნაბიჯები

ვალდებულება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებითა და მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამჭვირვალობის გაზრდისკენ გადადგმული დიდი ნაბიჯია. წამყვანმა დაწესებულებამ დარჩენილი ღონისძიებები, კერძოდ, დანარჩენი 23 ცენტრის გახსნა, სამოქმედო გეგმის განხორციელების პერიოდში უნდა დაასრულოს.

ვალდებულების მომდევნო სამოქმედო გეგმაში შეტანის შემთხვევაში სასურველია, მას უკუკავშირის მექანიზმები დაემატოს. კერძოდ, არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციაა, შემუშავდეს მოქალაქეთაგან ელექტრონული გამოკითხვით მიღებულ წინადადებებზე პასუხის გაცემის სტანდარტული მექანიზმი, რათა ეს პროცესი საკრებულოს კეთილ ნებაზე არ იყოს დამოკიდებული.¹⁷ თუ მოქალაქეები დარწმუნდებიან, რომ მათი წინადადებები ნაკითხული და განხილული იქნა, რაზედაც მათ შესაბამისი პასუხი მიიღეს, ისინი საკრებულოს საქმიანობით მუდმივად დაინტერესდებიან.

არასამთავრობო ორგანიზაციები აღნიშნავენ, რომ საკრებულოს არ აქვს უფლებამოსილება, უპასუხოს სხდომებზე თუ ონლაინგამოკითხვისას მოქალაქეთა მიერ წარმოდგენილ წინადადებებს.¹⁸ ბუნებრივია, მომდევნო სამოქმედო გეგმაში საკრებულოს კომპეტენციის გაზრდაზე საუბარი ვერ იქნება. თუმცა შესაძლებელია, საკრებულომ ადგილობრივ აღმასრულებელ ორგანოსთან (გამგეობა) მჭიდრო თანამშრომლობა დაიწყოს, რათა მათ ერთად გადანყვიტონ მოქალაქეთა მიერ წამოწეული საკითხები.

აღსანიშნავია, რომ 2017 წლის ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ შესაძლოა საკრებულოს აპარატის თანამშრომლების შემადგენლობა შეიცვალოს, რაც ვალდებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განგრძობითობას საეჭვოს ხდის.¹⁹ აქედან გამომდინარე, IRM-ის მკვლევარები საკრებულოს შემდეგ რეკომენდაციებს აძლევენ:

- საკრებულოს მიერ დანერგილი ახალი სერვისებისა და ფუნქციების შესახებ საზოგადოების უკეთ ინფორმირება;
- ონლაინგამოკითხვის მეშვეობით მიღებულ წინადადებებზე პასუხის გაცემის და უკუკავშირის სტანდარტული პროცედურის დანერგვის ვალდებულება;
- დანარჩენი 23 ცენტრის გახსნა;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობას შორის კოორდინაციის გაუმჯობესება.

¹ ნანა თავღუმაძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 3 აგვისტო

² ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმა, <http://bit.ly/2qwqU9d>

³ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოფიციალური ვებგვერდი, სხდომების ონლაინტრანსლაცია, <http://ozurgeti.mun.gov.ge/ge/live>

-
- ⁴ თამარ ლლონტი, გურიის ახალგაზრდული რესურსსცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 8 სექტემბერი
- ⁵ ლევან ხინთიბიძე, საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის ხელმძღვანელი, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 6 სექტემბერი
- ⁶ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოფიციალური ვებგვერდი, ვიდეოგალერეა, <http://oz.gov.ge/ge/pages/view/video>
- ⁷ ლლონტი, ინტერვიუ, სექტემბერი 2017
- ⁸ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოფიციალური ვებგვერდი, „სმს-ი თვითმმართველობის საკითხებზე - იყავი ინფორმირებული!“, 2016 წლის 18 აპრილი, <https://goo.gl/5N1vtm>
- ⁹ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოფიციალური ვებგვერდი, ონლაინ გამოკითხვა, <https://goo.gl/KDZa7X>
- ¹⁰ ლლონტი, ინტერვიუ, სექტემბერი, 2017
- ¹¹ თავდუმაძე, ინტერვიუ, აგვისტო, 2017
- ¹² თავდუმაძე, ინტერვიუ, აგვისტო, 2017
- ¹³ ლლონტი, ინტერვიუ, სექტემბერი, 2017
- ¹⁴ ლლონტი, ინტერვიუ, სექტემბერი, 2017
- ¹⁵ ლლონტი, ინტერვიუ, სექტემბერი, 2017
- ¹⁶ ხინთიბიძე, ინტერვიუ, სექტემბერი, 2017
- ¹⁷ ლლონტი, ინტერვიუ, სექტემბერი, 2017
- ¹⁸ ხინთიბიძე, ინტერვიუ, სექტემბერი, 2017
- ¹⁹ თავდუმაძე, ინტერვიუ, აგვისტო, 2017

24. ქალაქ ქუთაისის, ქალაქ ბათუმის, ქალაქ ახალციხისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების დაგეგმვის ელექტრონული მექანიზმის შექმნა

ვალდებულების ტექსტი:

ქალაქ ქუთაისის, ქალაქ ბათუმის, ქალაქ ახალციხისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების შესაბამისი სამსახურები აქტიურად მუშაობენ საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობის საკითხებზე. USAID-ის პროექტის „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში“ მხარდაჭერით ადგილობრივ დონეზე საბიუჯეტო პროცესების განმტკიცებასა და მასში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის მექანიზმის გაუმჯობესებაზე მიმდინარეობს მუშაობა.

ღია მმართველობა საქართველოს მესამე სამოქმედო გეგმის ფარგლებში აღნიშნული 4 მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ელექტრონული მექანიზმის „დაგეგმე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი“ შექმნასა და შესაბამის ვებგვერდებზე დამატებას. გარდა ამისა, შემუშავდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტთან დაკავშირებით მოქალაქის გზამკვლევი.

განხორციელების ეტაპები:

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით შედგენა

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით „დაგეგმე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის“ ელექტრონული მექანიზმის შექმნა

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტთან დაკავშირებით მოქალაქის გზამკვლევის შემუშავება


წამყვანი დანესებულებები: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია; ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია; ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დამხმარე დანესებულებები: USAID-ის პროექტის დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში; ფორუმის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციები

დანების თარიღი: სექტემბერი, 2016

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2017

ვალდებულების აღწერა	კონკრეტულობა				OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				დროულად?	შესრულება			
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხილვის ან აქიზირება	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშგაღებულუბა	ტენდლოვები და ინოვაცია	გამჭვირვალობისა და ანგარიშგაღებულუბის ხილვის	არცერთი	მცირე	საშუალო		ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეგლუდული	არსებითი
24. ქალაქ ქუთაისის, ქალაქ ბათუმის, ქალაქ ახალციხისა და			✓		✓	✓		✓				✓			✓		



კონტექსტი და მიზნები

ბიუჯეტირების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით ოთხმა მუნიციპალიტეტმა ბიუჯეტის მომზადებაში მოქალაქეების მონაწილეობის ელექტრონული მექანიზმის შექმნის ვალდებულება აიღო. კერძოდ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე ელექტრონული მექანიზმის „დაგეგმე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი“ დამატებას გეგმავენ¹ ვალდებულების მიზანია ადგილობრივი ბიუჯეტის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება და ბიუჯეტირების პროცესში მისი ჩართულობის გაზრდა. ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტი “დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა” აქტიურად უჭერს მხარს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას და ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიას ამ ვალდებულების წარმატებით განხორციელებაში. მხარდაჭერა ხდება ერთობლივი გრანტის ფარგლებში რომელიც ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ესტონეთის ელექტრონული მმართველობის აკადემიის და მისი ადგილობრივი პარტნიორი ორგანიზაციის, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისთვის (IDFI) არის გამოყოფილი.

ვალდებულება მოიცავს სამ ღონისძიებას: 1. პროგრამული ბიუჯეტის შემუშავება; 2. მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე „დაგეგმე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი“-ს დამატება; 3. ბიუჯეტთან დაკავშირებით მოქალაქის გზამკვლევის შემუშავება. სრულად შესრულების შემთხვევაში ვალდებულება ბიუჯეტის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა ჩართვაზე საშუალო გავლენას მოახდენს, რადგან მოქალაქეები ბიუჯეტის პრიორიტეტების არჩევას შეძლებენ. თუმცა ვალდებულება არ აღწერს, როგორ მოხდება ბიუჯეტირების პროცესში მოქალაქეთა ჩართვა და მათ მიერ დაფიქსირებული წინადადებების შესაბამისი სამთავრობო უწყებების მიერ განხილვა. ვალდებულება OGP-ის სამ ღირებულებას შეესაბამება – მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტისა და მისი თანხმლები მოქალაქის გზამკვლევის გამოქვეყნებით წამყვანი დანესებულებები ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ზრდიან, ხოლო ბიუჯეტის პრიორიტეტების დადგენის ელექტრონულ მექანიზმს პირდაპირი კავშირი აქვს ღია მმართველობის ისეთ პრინციპებთან, როგორცაა მოქალაქეთა ჩართულობის გაუმჯობესება და ტექნოლოგიებისა და ინოვაციის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის გამოყენება.

შესრულება

სამიდან ოთხმა წამყვანმა დანესებულებამ (ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია², ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია³, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია⁴) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გამოაქვეყნა პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით,

რომელშიც ხარჯები პროგრამების მიხედვით არის აღწერილი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო პროგრამული ბიუჯეტის შედგენაზე ამჟამად მუშაობს. საკრებულოს წარმომადგენლის განცხადებით, ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით შედგენა კომპეტენციისა და გამოცდილების ნაკლებობის გამო რთული აღმოჩნდა.⁵ აღსანიშნავია, რომ, დანარჩენი სამი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსგან განსხვავებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო არ არის ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში“ პარტნიორი და, შესაბამისად, მსგავსი მხარდაჭერა არ აქვს. გამოცდილებისა და საჭირო უნარების არქონის გამო საკრებულო მხარდაჭერისთვის ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს მიმართავს.

ბათუმის მერიამ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის მოქალაქის გზამკვლევი გამოაქვეყნა.⁶ ქუთაისის მერიის მიერ გამოცემული მოქალაქის გზამკვლევისგან განსხვავებით, ბათუმის ბიუჯეტის მოქალაქის გზამკვლევი ბათუმის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზეა გამოქვეყნებული. ქუთაისის მერიის წარმომადგენლის თქმით, USAID-ის პროექტის „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა“ დახმარებით, მერიამ გზამკვლევის 300 ეგზემპლარი დაბეჭდა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობებში გაავრცელა.⁷ ახალციხის მერიამ მსგავსი მიდგომა აირჩია და USAID-ის მხარდაჭერით, გზამკვლევის 250 ეგზემპლარი მოსახლეობაში ბეჭდური სახით გაავრცელა. ელექტრონული ვერსია ვებგვერდზე ხელმისაწვდომი არ არის.⁸

სამი წამყვანი დაწესებულება (ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტთან „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში“ და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან (IDFI) ერთად ვებგვერდის კონცეფციაზე მუშაობს. IDFI-ს წარმომადგენელთა განცხადებით, „დაგეგმე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი“ 2017 წლის ბოლომდე ამოქმედდება.⁹ ბათუმის მერიის წარმომადგენლის თქმით, უწყებას სურს შეიმუშაოს საზოგადოების პრიორიტეტების დადგენის მარტივი მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეები კომენტარებს გააკეთებენ და დისკუსიაში ჩაერთვებიან. ამასთანავე, ბათუმის მერია გეგმავს, საკუთარ ვებგვერდზე დანერგოს ბიუჯეტირების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმი, რომელიც მათ 20000 ლარის ფარგლებში პროექტებზე განცხადებების შეტანის საშუალებას მისცემს. მერია სპორტისა და ახალგაზრდობის საკითხებთან დაკავშირებით ბიუჯეტირების პროცესში მოქალაქეთა ჩართვის შესაძლებლობას უკვე იძლევა (არა ელექტრონული ფორმით), ახლა კი სურს ეს პროცედურა ონლაინმექანიზმის მეშვეობით სხვა სექტორებშიც დანერგოს.¹⁰

ადრეული შედეგები (თუ არის)

იქიდან გამომდინარე, რომ „დაგეგმე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი“ არ ამოქმედებულა, ვალდებულების შედეგების შეფასება ჯერ ადრეა. თუმცა გასათვალისწინებელია რამდენიმე საკითხი. აღსანიშნავია, რომ ბათუმის მერია, ქუთაისის მერია და ახალციხის მერია აღმასრულებელი ორგანოები არიან და ბიუჯეტის პრიორიტეტების დადგენა მათ კომპეტენციას განეკუთვნება. მათგან

განსხვავებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუჯეტის პრიორიტეტებზე მხოლოდ რეკომენდაციების წარდგენა შეუძლია.¹¹ შესაბამისად, ერთ-ერთი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ მაშინაც კი, თუ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე პრიორიტეტების დადგენის ელექტრონული მექანიზმი დაინერგება, ამ პრიორიტეტების მიღება მაინც ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოს (გამგეობის) პრეროგატივა იქნება.¹² ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოქალაქეთა მიერ დაფიქსირებული პრიორიტეტების გათვალისწინება ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოს კეთილ ნებაზე იქნება დამოკიდებული.¹³

ასევე მნიშვნელოვანია 2017 წლის ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გათვალისწინება. ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში“ წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ არჩევნების შედეგები ვალდებულების შესრულებაზე გავლენას არ მოახდენს.¹⁴ თუმცა განსხვავებული მოსაზრებაც არსებობს. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთა განცხადებით, არჩევნების შემდგომ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შემადგენლობის ცვლილების შემდეგ, ძველი თანამშრომლობის მიუხედავად, ხშირად საკითხებზე მუშაობის თავიდან დანწყება უწევთ.¹⁵ შესაბამისად, ყველაფერი ბიუჯეტირების პროცესის გამჭვირვალობის და მასში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის ღონისძიებებისადმი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ერთგულებაზე იქნება დამოკიდებული.

შემდეგი ნაბიჯები

ვალდებულება მოქალაქეთა ბიუჯეტირების პროცესში ჩართულობის გაზრდისა და საბიუჯეტო საკითხების შესახებ ინფორმირებისკენ გადადგმული დიდი ნაბიჯია. ვალდებულების მნიშვნელობიდან გამომდინარე, წამყვანმა დაწესებულებებმა დარჩენილი ღონისძიებები სამოქმედო გეგმის პერიოდში უნდა დაასრულონ. IRM-ის მკვლევართა რეკომენდაციით, თუ ვალდებულების რომელიმე კომპონენტი ვერ შესრულდება, ვალდებულება მომდევნო სამოქმედო გეგმაში უნდა იქნეს შეტანილი. მათი სხვა რეკომენდაციებია:

- ვალდებულების სრულად შესრულება, მათ შორის, მოქალაქის გზამკვლევის შემუშავება, რადგან ის მოქალაქეთა ინფორმირებისთვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. აუცილებელია გზამკვლევის ონლაინსივრცეში გამოქვეყნება;
- სამოქმედო გეგმის განხორციელებაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჩართვა, რათა მოქალაქეთა ჩართულობისა და საინფორმაციო ღონისძიებები მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან იყოს კოორდინირებული;
- მოდულის „დაგეგმე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი“ ამოქმედების შემდეგ ცნობიერების ამაღლების კამპანიის ჩატარება, მათ შორის, მედიასაშუალებებით, ამომრჩევლებთან შეხვედრით, საჯარო დისკუსიების გამართვით და სოციალური ქსელების გამოყენებით, რაც ხელს შეუწყობს ბიუჯეტირების პროცესში მოქალაქეთა მაქსიმალურ ჩართულობას;

- ჩართულობის ისეთი ინოვაციური მექანიზმების, როგორცაა ბიუჯეტირების პროცესში მოქალაქეთა ჩართვა, ერთიანი სტანდარტის ქვეყნის ყველა მუნიციპალიტეტში დანერგვა. ბუნებრივია, ასეთი ვალდებულება მთავრობის ჩართულობას საჭიროებს.

¹ ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმა, <http://bit.ly/2qwqU9d>

² ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2016 წლის 29 დეკემბრის №20 დადგენილება „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3526946>

³ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 14 დეკემბრის №151 დადგენილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3468659>

⁴ ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 დეკემბრის №23 დადგენილება „ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3495541>

⁵ ნანა თავდუმაძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 3 აგვისტო

⁶ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის მოქალაქის გზამკვლევი, <https://goo.gl/SKCa3n>.

⁷ პანტელეიმონ კლდიაშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახურის უფროსი, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 18 სექტემბერი

⁸ ნინო მიქაბერიძე, ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, ელექტრონული მიმოწერა IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 18 სექტემბერი

⁹ საბა ბუაძე, ანტიკორუფციული მიმართულების ხელმძღვანელი, ლევან ავალიშვილი, პროგრამების დირექტორი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 25 ივლისი

¹⁰ არჩილ ვანაძე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 4 აგვისტო

¹¹ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მიღებულია 2014 წლის 5 თებერვალს, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429#DOCUMENT:1>

¹² ლევან ხინთიბიძე, საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის ხელმძღვანელი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 6 სექტემბერი

¹³ თამარ ლლონტი, გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 8 სექტემბერი

¹⁴ მიხეილ დარჩიაშვილი, უფროსი მრჩეველი სახელმწიფო მართვის საკითხებში, ლევან სამადაშვილი, პროექტის ხელმძღვანელის მოადგილე, მარიკა გორგაძე, სახელმწიფო მართვის პროგრამის მენეჯერი, დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში, Tetra Tech ARD, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 4 აგვისტო

¹⁵ ხინთიბიძე, ინტერვიუ, სექტემბერი, 2017

V. ზოგადი რეკომენდაციები

დაინტერესებული მხარეები ინფორმაციის თავისუფლების ცალკე კანონის დროული მიღებისა და კანონის აღსრულებისთვის პასუხისმგებელი დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოს შექმნის აუცილებლობაზე მიუთითებენ. რაც შეეხება სხვა სფეროებს, რომლებსაც გამჭვირვალობისა და საზოგადოების ჩართულობის გაზრდით დიდი სარგებლის მიღება შეუძლია, აღსანიშნავია ლიცენზირებისა და სახელმწიფო შესყიდვების სექტორებში მთავრობის მიერ დადებული ხელშეკრულებები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე პრივატიზაციასა და ფართომასშტაბიან ინფრასტრუქტურულ პროექტებს ეხება. სამოქალაქო საზოგადოება ინფორმაციის ღია მონაცემთა ფორმატით პროაქტიული გამოქვეყნებისა და გაგზავნისთვის საჭირო ერთიანი სტანდარტისა და მექანიზმების დანერგვის აუცილებლობაზე, აგრეთვე კანონმდებლობისა და პოლიტიკის განსაზღვრის პროცესებში საჯარო კონსულტაციების სავალდებულოობის შესახებ საკანონმდებლო ნორმების შემოღების საჭიროებაზე მიუთითებს.

ამ თავის მიზანია მომდევნო სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ინფორმაციისა და მიმდინარე სამოქმედო გეგმის დასრულებისთვის გზამკვლევის შექმნა. იგი ორ ნაწილად იყოფა: 1. ამ ანგარიშის მომზადების დროს სამოქალაქო საზოგადოების და მთავრობის მიერ განცხადებული პრიორიტეტები; 2. IRM-ის რეკომენდაციები.

5.1. დაინტერესებულ მხარეთა პრიორიტეტები

მოქალაქეთა ჩართულობის და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა საქართველოში დაინტერესებულ მხარეთა მთავარ პრიორიტეტებად რჩება. შესაბამისად, ინფორმაციის თავისუფლების ცალკე კანონის მიღების, საჯარო ფინანსების ზედამხედველობის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაუმჯობესების და სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობის გაზრდის ვალდებულებები, აგრეთვე მუნიციპალიტეტების ორგანოების მიერ აღებული ვალდებულებები, რომლებიც ადგილობრივი საბიუჯეტო პროცესების გამჭვირვალობისა და მათში მოქალაქეთა ჩართულობის გაუმჯობესებას მოიცავს, პრიორიტეტული საკითხებია. უფრო მეტიც, ახალ სექტორებში, როგორცაა ბუნებრივი რესურსების მართვა, ენერჯეტიკა და დანაშაულის პრევენცია, ვალდებულებების აღება არის იმ საკითხების სპექტრის გაფართოებისკენ გადადგმული დიდი ნაბიჯი, რომელსაც სამოქმედო გეგმა მოიცავს.

მომდევნო სამოქმედო გეგმისთვის დაინტერესებული მხარეების, მათ შორის, გამოკითხული არასამთავრობო ორგანიზაციების და მედიის ფოკუსჯგუფთან გამართული შეხვედრის მონაწილეების, პრიორიტეტები ასეთია:

- გაიზარდოს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გამჭვირვალობა, რომელიც მოქალაქეთა ფარულ მიყურადებას ახორციელებს. ამასთანავე, ანტიკორუფციულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები უარყოფითად აფასებენ ამჟამინდელ ინსტიტუციურ მონაცემებს, როდესაც ანტიკორუფციული საბჭო იუსტიციის სამინისტროსთან არსებობს.

- დანაშაულის შესახებ დეტალური სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნება წინა სამოქმედო გეგმაში არსებული ვალდებულება იყო და ის კვლავ შეუსრულებელია. არასამთავრობო ორგანიზაციები ყურადღებას ქვეყანაში მომხდარი დანაშაულის შესახებ დეტალური სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნების საჭიროებაზე ამახვილებენ.
- არასამთავრობო ორგანიზაციების აზრით, 2017 წლის დეკემბერში ამოქმედებული ონლაინპეტიციების ეროვნული პორტალის შესახებ ინფორმირება სასარგებლო მექანიზმი იქნება მთავრობის ყველა დონეზე მოქალაქეთა ჩართულობის გასაზრდელად.
- მთავრობას შეუძლია ბიუჯეტის გამჭვირვალობა კიდევ უფრო გაზარდოს ყველა სამთავრობო პროექტის, განსაკუთრებით – მუნიციპალური პროექტების, ხარჯებისა და ზემოქმედების შეფასების შესახებ დეტალური ინფორმაციის გამოქვეყნებით.
- გამოქვეყნდეს პირობები, რომელთა მიხედვითაც სახელმწიფო საკუთარ ქონებას ინვესტორებს სიმბოლურ ფასად გადასცემს, რაც საქართველოში ბოლო წლების გავრცელებული პრაქტიკაა.
- გამოქვეყნდეს მეტი ინფორმაცია პენიტენციური სისტემის და სასამართლოებში მიმდინარე პროცესებისა და ღონისძიებების შესახებ.
- საჯარო მონაცემების ღიაობის უზრუნველსაყოფად მთავრობას ნათელი ხედვა უნდა ჰქონდეს იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის ღია მონაცემი და როგორ უწყობს მთავრობა ხელს საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად მონაცემთა ღიაობის საკითხის აქტუალურობას.
- საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად ქვეყნის მასშტაბით რეგულარულად უნდა ჩატარდეს საინფორმაციო კამპანიები განხორციელებული ამბიციური პროექტების შესახებ, როგორცაა data.gov.ge და budgetmonitor.ge, აგრეთვე OGP-სთან დაკავშირებული ახალი პროექტების თაობაზე, რათა მოქალაქეებმა ეს პროექტები მათ სასარგებლოდ გამოიყენონ.

5.2. IRM-ის რეკომენდაციები

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ წინა წინსვლის ანგარიშში მოცემული რამდენიმე რეკომენდაცია გაითვალისწინა, ზოგიერთი საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა. აქედან გამომდინარე, მიმდინარე წინსვლის ანგარიშში მოიცავს როგორც არსებულ რეკომენდაციებს, ისე ახალ წინადადებებს.

ღია მმართველობის სტრატეგიისა და პოლიტიკური ხედვის ჩამოყალიბება გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით

IRM-ის მკვლევართა რეკომენდაციაა, მთავრობამ ჩამოაყალიბოს ღია მმართველობის სტრატეგია, რომელიც მოიცავს ღია მმართველობის მოკლევადიან და გრძელვადიან ხედვას, ძირითად ინიციატივებთან, მიზნებთან და ინდიკატორებთან ერთად. მათივე რეკომენდაციით, მთავრობამ უნდა მიიღოს

ყოველსიმომცველი ჩარჩო გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე მოქალაქეთა ღია და კონსტრუქციული ჩართულობის გაზრდის მიზნით და დანერგოს პრობლემის იდენტიფიცირებისა და საჯარო კონსულტაციების სტანდარტული პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი წინადადებების მიღებას და პოლიტიკის ზედამხედველობას. მთავრობამ უნდა შეიმუშაოს პეტიციის მიღების გზები და თანხმობები უკუკავშირის მექანიზმები. IRM-ის მკვლევართა რეკომენდაციითვე, უნდა დადგინდეს ნორმატიული პროცედურები კანონპროექტების შემუშავებისას საჯარო კონსულტაციების ჩასატარებლად.

საქართველოს მიერ OGP-ის თანათავმჯდომარეობის წლის – 2018 წლის სამაგალითო სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად და თანამონაწილეობისა და ჩართულობის საუკეთესო პრაქტიკის ჩვენებისთვის გამოყენება

ამ მიზნის მისაღწევად OGP-ის ფორუმი უნდა გაფართოვდეს ახალი მონაწილეების მონვევით, რომელთა შორის იქნებიან შესაბამისი სამინისტროების და სხვა საჯარო უწყებების წარმომადგენელი მაღალი დონის გადაწყვეტილების მიმღები პირები. ამასთანავე, მომდევნო სამოქმედო გეგმაში შეტანილი უნდა იქნეს შეუსრულებელი ტრანსფორმაციული ვალდებულებები სხვა ამბიციურ ინიციატივებთან ერთად, რომლებიც წარმოდგენილი იყო საქართველოს თანათავმჯდომარეობის ხედვაში, მათ შორის, საჯარო სერვისების მიწოდების და ანტიკორუფციული ზომების კუთხით.

ღია მმართველობისა და OGP-ის ღირებულებებისა და სარგებლის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად მასშტაბური კამპანიის ჩატარება

იმისთვის, რომ უფრო აქტუალური და შედეგიანი ვალდებულებები შემუშავდეს და ამაღლდეს მოქალაქეთა ცნობიერება იმის შესახებ, თუ რა დადებით გავლენას ახდენს ღია მმართველობის ინიციატივები მათ ცხოვრებაზე, IRM-ის მკვლევართა რეკომენდაციაა, მთავრობამ სამოქმედო გეგმის დამტკიცებამდე და დამტკიცების შემდეგ ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია ჩაატაროს.

ღია კონტრაქტების მონაცემთა სტანდარტის (Open Contracting Data Standard) მიღება და გამოყენება დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით, ბუნებრივი რესურსების სფეროში ლიცენზიების გაცემისას, პრივატიზაციისას და ინფრასტრუქტურული პროექტების სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას მთავრობის კონტრაქტების გამჭვირვალობის გასაზრდელად

ამ სფეროში შესაძლო ვალდებულებებია: 1. შეიქმნას სამუშაო ჯგუფი დაინტერესებული პირების მონაწილეობით, ღია კონტრაქტების მონაცემთა სტანდარტის (Open Contracting Data Standard) მიღებისა და განხორციელების ზედამხედველობისთვის, რომელიც ყველა სახელმწიფო შესყიდვას შეეხება და გამარტივებული შესყიდვებისა და ელექტრონული ტენდერების შესახებ

ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებას მოიცავს; 2. უზრუნველყოფილ იქნეს განმცხადებლებისა და მათ მიერ წარდგენილი წინადადებების შესახებ ინფორმაციის საჯაროობა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესების მიხედვით, აგრეთვე გამოქვეყნდეს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რამდენად აკმაყოფილებენ განმცხადებლები ხელშეკრულებების პირობებს; 3. გამოქვეყნდეს მთავრობის მიერ ინვესტორებისთვის გადაცემულ ქონებაზე შეთანხმების პირობები; 4. ლიცენზიის გაცემამდე ან სახელმწიფო ქონების აუქციონზე გატანამდე ჩამოყალიბდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საჯარო ჩართულობის მექანიზმი. მთავრობამ უნდა გამოაქვეყნოს დაგეგმილი ლიცენზიების შესახებ ინფორმაცია და აუქციონის პროცესის დაწყებამდე უნდა განუმარტოს საზოგადოებას მათი სარგებელი.

ინფორმაციის თავისუფლების კანონის დროული მიღება

მიუხედავად იმისა, რომ ეს ვალდებულება OGP-ის ორ სამოქმედო გეგმაში იყო შეტანილი, ინფორმაციის თავისუფლების კანონი ჯერაც არ არის მიღებული. IRM-ის მკვლევართა რეკომენდაციაა, იუსტიციის სამინისტრომ უზრუნველყოს კანონპროექტის პარლამენტისთვის დროულად წარდგენა. მათივე რეკომენდაციით, ინფორმაციის თავისუფლების კანონში უნდა იყოს დებულებები ინფორმაციის ღია ფორმატით, პროაქტიულად გამოქვეყნების უნივერსალური სტანდარტების, დამოუკიდებელი ზედამხედველობისა და კანონის აღსრულების მექანიზმების შესახებ.

ცხრილი 5.1: ხუთი ძირითადი რეკომენდაცია

1	ღია მმართველობის სტრატეგიისა და პოლიტიკური ხედვის ჩამოყალიბება გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით.
2	საქართველოს მიერ OGP-ის თანათავმჯდომარეობის წლის – 2018 წლის სამაგალითო სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად და თანამონაწილეობისა და ჩართულობის საუკეთესო პრაქტიკის ჩვენებისთვის გამოყენება.
3	ღია მმართველობისა და OGP-ის ღირებულებებისა და სარგებლის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად მასშტაბური კამპანიის ჩატარება.
4	ღია კონტრაქტების მონაცემთა სტანდარტის (Open Contracting Data Standard) მიღება და გამოყენება დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით, ბუნებრივი რესურსების სფეროში ლიცენზიების გაცემისას, პრივატიზაციისას და ინფრასტრუქტურული პროექტების სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას მთავრობის კონტრაქტების გამჭვირვალობის გასაზრდელად.
5	ინფორმაციის თავისუფლების კანონის დროული მიღება და მასში იმ ძირითადი დებულების შეტანა, რომელიც ინფორმაციის ღია ფორმატით, პროაქტიულად გამოქვეყნების უნივერსალურ სტანდარტებს, დამოუკიდებელ ზედამხედველობას და კანონის აღსრულების მექანიზმებს ეხება.

VI. მეთოდოლოგია და წყაროები

IRM-ის წინსვლის ანგარიშს OGP-ის წვერი ყველა ქვეყნის წარმომადგენელი მკვლევრები წერენ. IRM-ის ყველა ანგარიში ხარისხის კონტროლის პროცესს გადის, რათა დადასტურდეს, რომ კვლევა უმაღლესი სტანდარტებისა და სათანადო და ამომწურავი ანალიზის საფუძველზე მიმდინარეობდა.

OGP-ის სამოქმედო გეგმის განხორციელების ანალიზი ინტერვიუების, მეორეული კვლევისა და დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების შეხვედრების უკუკავშირის მასალებს აერთიანებს. IRM-ის ანგარიში მთავრობის თვითშეფასების ანგარიშის და სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორის და საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლების მიერ გაკეთებული ნებისმიერი სხვა შეფასების დასკვნებს ეფუძნება.

თითოეული ადგილობრივი მკვლევარი მოვლენების ამსახველი ზუსტი სურათის შესაქმნელად დაინტერესებულ მხარეებს ხვდება. საბიუჯეტო და კალენდარული შეზღუდვების გათვალისწინებით, IRM ყველა დაინტერესებულ ან OGP-ში მონაწილე მხარეს ვერ დაუკავშირდება. შესაბამისად, IRM-ისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია მეთოდოლოგიური გამჭვირვალობა. ამიტომ შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფილია საჯარო პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მაქსიმალური საჯაროობა (ქვემოთ ამ საკითხს დეტალურად განვიხილავთ). იქ, სადაც, ქვეყნის ფარგლებში, ინფორმაცია ანონიმურობის დაცვაა საჭირო, IRM უფლებას იტოვებს, ინფორმაციათა მაიდენტიფიცირებელი პერსონალური ინფორმაცია დაფაროს. გარდა ამისა, მეთოდის შეზღუდვებიდან გამომდინარე, IRM აქცენტს ყველა ანგარიშის პროექტზე საზოგადოების კომენტარების წარმოდგენის ხელშეწყობაზე აკეთებს.

ყველა ანგარიში შემოწმებისა და ხარისხის კონტროლის პროცესის ოთხ ეტაპს გადის:

1. თანამშრომლების მიერ შემოწმება: IRM-ის თანამშრომლები ანგარიშს გრამატიკის, აღქმადობის, შინაარსისა და IRM-ის მეთოდოლოგიასთან შესაბამისობის კუთხით ამოწმებენ.
2. საერთაშორისო ექსპერტთა პანელის მიერ შემოწმება: ექსპერტთა პანელი სწავლობს ანგარიშის შინაარსს, რომ მასში მოცემული მიგნებების გასამყარებელი ძლიერი არგუმენტები შეამოწმოს; აფასებს სამოქმედო გეგმის OGP-ის ღირებულებებთან მიმართებას; წარმოადგენს ტექნიკურ რეკომენდაციებს ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესებისა და მთლიანი სამოქმედო გეგმის მეშვეობით OGP-ის ღირებულებების განხორციელებისთვის (ექსპერტთა პანელის წევრების შესახებ ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ).
3. შემოწმება გამოქვეყნების წინ: IRM-ის ანგარიშის პროექტი ეგზავნებათ მთავრობასა და შერჩეულ არასამთავრობო ორგანიზაციებს მის შინაარსზე კომენტარების მისაღებად.

4. საჯარო კომენტარების მიღების პერიოდი: IRM-ის ანგარიშის პროექტი საჯაროდ ქვეყნდება მის შინაარსზე საზოგადოების კომენტარების მისაღებად.

შემომხმების მიმდინარე პროცესი, მათ შორის, მიღებული კომენტარების გასათვალისწინებლად არსებული პროცედურები, პროცედურების გზამკვლევის მესამე განყოფილებაში უფრო დეტალურად არის მოცემული.¹

ინტერვიუები და ფოკუსგუფები

თითოეულმა ადგილობრივმა მკვლევარმა ინფორმაციის შესაგროვებლად ერთი საჯარო შეხვედრა მაინც უნდა გამართოს. ის უნდა შეეცადოს, რომ ამ შეხვედრაზე ისეთი დაინტერესებული მხარეები მოიწვიოს, რომლებიც აქტიურად არ არიან ჩართული OGP-ის პროცესში. დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებების უფრო ეფექტიანი გზით მისაღებად შეიძლება დამატებითი საშუალებები (კერძოდ, ონლაინკითხვარი, წერილობითი პასუხები, დამატებითი ინტერვიუები) იქნეს გამოყენებული. გარდა ამისა, როდესაც ვალდებულებების შესახებ მეტი ინფორმაციის მიღებაა საჭირო, მაგრამ ეს ინფორმაცია მთავრობის თვითშეფასების ანგარიშში მოცემული არ არის და არც ონლაინსივრცეშია ხელმისაწვდომი, მკვლევრები პასუხისმგებელ უწყებებთან ცალკე ინტერვიუებს ატარებენ.

საქართველოში IRM-ის მკვლევრებმა ეროვნული სამოქმედო გეგმის თითოეულ ვალდებულებასთან დაკავშირებით ინტერვიუები პასუხისმგებელ უწყებებთან და წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაციების არანაკლებ ერთ წარმომადგენელთან ჩაატარეს. რესპონდენტები მთავრობის ვალდებულებების შემუშავებასა და შესრულებაში მათი როლისა და მონაწილეობის, აგრეთვე დარგში საექსპერტო ცოდნის მიხედვით შეირჩნენ. სულ ჩატარდა 55 ინტერვიუ 52 დაინტერესებულ მხარესთან ტელეფონის, პირადი შეხვედრებისა და ელექტრონული მიმოწერის მეშვეობით. გაიმართა ერთი შეხვედრა მედიის ფოკუსგუფთან. რაც შეეხება თემატიკას, მიმოხილულ იქნა OGP-ის პროცესი და 2016-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა, ინფორმაციის თავისუფლების კანონის პროექტი და გაიმართა ზოგადი დისკუსია მომდევნო სამოქმედო გეგმის OGP-ის პრინციპებთან მიახლოებისთვის საჭირო რეკომენდაციების თაობაზე.

№	წყარო	თარიღი	ინტერვიუს ფორმატი	მოკლე შეჯამება
1	ქეთევან ცანავა, ღია მმართველობა საქართველოს ეროვნული კოორდინატორი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	2017 წლის 15 ივლისი	სატელეფონო ინტერვიუ	წარმოდგენილ იქნა ინფორმაცია ინსტიტუციური კონტექსტის, OGP-ის ფორუმის და საჯარო კონსულტაციების შესახებ.
2	საბა ბუაძე, ანტიკორუფციული მიმართულების ხელმძღვანელი, ლევან ავალიშვილი, პროგრამების დირექტორი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)	2017 წლის 25 ივლისი	ინტერვიუ	წარმოდგენილ იქნა პერსპექტივები საჯარო კონსულტაციებთან, OGP-ის ფორუმთან და სამოქმედო გეგმის ინდივიდუალურ ვალდებულებებთან დაკავშირებით.

3	ზურაბ სანიკიძე, ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი, ქეთევან ცანავა, ღია მმართველობა საქართველოს ეროვნული კოორდინატორი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	2017 წლის 27 ივლისი	ინტერვიუ	წარმოდგენილ იქნა დეტალური ანგარიში საჯარო კონსულტაციების, OGP-ის ფორუმის და ორი ვალდებულების თაობაზე, რომლებიც შეეხება ინფორმაციის თავისუფლებას და სამთავრობო პოლიტიკისა და საკანონმდებლო აქტების მონიტორინგის სისტემას.
4	ქეთევან გოგინაშვილი, აპარატის უფროსი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2017 წლის 2 აგვისტო	ინტერვიუ	წარმოდგენილ იქნა სამინისტროს პერსპექტივა პორტალის მიზნებთან და მათ მიღწევასთან დაკავშირებით.
5	ეკა სეფაშვილი, მინისტრის მრჩეველი, თამარ ჯორჯოშვილი, იურიდიული განყოფილების მრჩეველი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	2017 წლის 3 აგვისტო	ინტერვიუ	წარმოდგენილ იქნა სამინისტროს პერსპექტივა სამინისტროს გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიისა და სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით.
6	ნანა თავდუმაძე, აპარატის უფროსი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო	2017 წლის 3 აგვისტო	სატელეფონო ინტერვიუ	მიღებულ იქნა წამყვანი დაწესებულების უკუკავშირი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომების გამჭვირვალობის გაზრდის შესახებ; განხილულ იქნა ადგილობრივ საბიუჯეტო პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობის გასაზრდელად ელექტრონული მექანიზმების შექმნის საკითხი.
7	სოფიო მომცელიძე, იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, ლიანა ჯაფარიძე, იურიდიული დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი, კონკურენციის სააგენტო	2017 წლის 3 აგვისტო	ინტერვიუ	წარმოდგენილ იქნა კონკურენციის სააგენტოს პერსპექტივა ეკონომიკური აგენტებისთვის გზამკვლევის შემუშავებასთან დაკავშირებით.
8	თამარ ბაზლაძე, იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, თემურ იზორია, მეთოდოლოგიური უზრუნველყოფის დეპარტამენტი,	2017 წლის 3 აგვისტო 2017 წლის 14 სექტემბერი	ინტერვიუ, სატელეფონო ინტერვიუ	განხილულ იქნა კომისიის ორი ვალდებულება, მათი შესრულება და OGP-ის პრინციპებთან კავშირი.

	საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია				
9	მიხეილ დარჩიაშვილი, უფროსი მრჩეველი სახელმწიფო მართვის საკითხებში, ლევან სამადაშვილი, პროექტის ხელმძღვანელის მოადგილე, მარიკა გორგაძე, სახელმწიფო მართვის პროგრამის მენეჯერი, დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში, Tetra Tech ARD	2017 წლის 4 აგვისტო	4	ინტერვიუ	საუბარი იყო ეროვნული სამოქმედო გეგმის წინა და შემდგომ საჯარო კონსულტაციებსა და შესაბამის ვალდებულებებზე.
10	ირაკლი ლავგილავა, საზოგადოებასთან, მედიასთან და არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი	2017 წლის 4 აგვისტო	4	სატელეფონო ინტერვიუ	განხილულ იქნა „ზუგდიდი-ინფო“ და ელექტრონული პეტიციების სისტემა.
11	არჩილ ვანაძე, საფინანსო სამსახურის უფროსი, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	2017 წლის 4 აგვისტო	4	სატელეფონო ინტერვიუ	საუბარი იყო საბიუჯეტო პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობის გასაზრდელად ელექტრონული მექანიზმის შექმნაზე.
12	ანი გიგინეიშვილი, მარკეტინგისა და მომსახურების განვითარების სამსახურის უფროსი, ოსტისის სახლი	2017 წლის 8 აგვისტო	8	ინტერვიუ	საუბარი იყო ოსტისის სახლის ინფრასტრუქტურის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საჭიროებების მიხედვით ადაპტირებაზე.
13	ნატალია ბარათაშვილი, რესურსების განვითარების სპეციალისტი, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)	2017 წლის 8 აგვისტო	8	ინტერვიუ	განხილულ იქნა ორი ვალდებულება, რომლებიც შეეხება სამთავრობო პოლიტიკისა და საკანონმდებლო აქტების მონიტორინგის სისტემას და ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემას.
14	გივი ჩიხლაძე, უფროსი იურისტი, გიორგი ონიანი, აღმასრულებელი	2017 წლის 9 აგვისტო	9	ინტერვიუ	განხილულ იქნა საჯარო კონსულტაციების პროცესი და „საერთაშორისო გამჭვირვალობა –

	დირექტორის მოადგილე, ლაშა სენაშვილი, უფროსი ანალიტიკოსი, ოლიგო შერმადინი, იურისტი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“				საქართველოს“ საქმიანობასთან დაკავშირებული კონკრეტული ვალდებულებები.
15	მაკა მიქაბერიძე, სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის დაგეგმვისა და კონტროლის სამსახურის უფროსი, რევაზ ინაიშვილი, სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის სერვისებისა და პროცედურების სამსახურის უფროსი, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო	2017 წლის 9 აგვისტო	9	ინტერვიუ	განხილული იქნა ინფორმაცია პორტალის – მომხმარებლის მოდულის შექმნასთან დაკავშირებით.
16	მარიამ მიქაშვილი, დირექტორი, არასამთავრობო ორგანიზაცია „მარიანი“	2017 წლის 9 აგვისტო	9	სატელეფონო ინტერვიუ	საუბარი იყო იუსტიციის სახლის ინფრასტრუქტურის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საჭიროებებისთვის მორგებაზე.
17	ქეთი გუჯარაიძე, ანალიტიკოსი, „მწვანე ალტერნატივა“	2017 წლის 9 აგვისტო 2018 წლის 21 სექტემბერი	9 21	ინტერვიუ, სატელეფონო ინტერვიუ	განხილულ იქნა სამი ვალდებულება, რომლებიც შეეხება ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ლიცენზიების ელექტრონულ სისტემას, ენერჯეტიკის ვებპორტალს და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსს.
18	გიორგი სულთანშვილი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „112“	2017 წლის 9 აგვისტო	9	სატელეფონო ინტერვიუ	განხილულ იქნა „112“-ის მობილური აპლიკაცია.
19	მარიამ თავდგირიძე, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მთავარი სპეციალისტი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	2017 წლის 10 აგვისტო	10	ინტერვიუ	განხილულ იქნა სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობის გაზრდის ვალდებულება.
20	ელენე ქემაშვილი, სტრატეგიული დაგეგმვისა და	2017 წლის 10 აგვისტო	10	ინტერვიუ	განხილულ იქნა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის

	სისტემური მართვის დეპარტამენტის სისტემური მართვის სამსახურის უფროსი, გარემოს ეროვნული სააგენტო			სფეროში ლიცენზიების ელექტრონული სისტემის დანერგვის პროცესის ეტაპები.
21	მარია ნაცვლიშვილი, სახელმწიფო ბიუჯეტის ანალიზისა და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი, მარიამ ხერგიანი, სტრატეგიული დაგეგმვის განყოფილების უფროსი, ნინო ცინცაძე, უფროსი ანალიტიკოსი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური	2017 წლის 10 აგვისტო	ინტერვიუ	საუბარი იყო საჯარო ფინანსების ზედამხედველობის ელექტრონულ პლატფორმაზე, მის დანერგვასა და შემდგომ ნაბიჯებზე.
22	ნინო ცაციაშვილი, საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ანალიტიკური სამმართველოს პროკურორი, ლონდა თოლორაია, საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს მთავარი პროკურატურა	2017 წლის 15 აგვისტო	ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან	განხილულ იქნა დანაშაულის პრევენციის ადგილობრივი საბჭოების დანერგვისა და ფუნქციონირების საკითხი.
23	რეზო გეთიაშვილი, პროექტების კოორდინატორი, „კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი“ (CENN)	2017 წლის 11 აგვისტო	ინტერვიუ	განხილულ იქნა სამი ვალდებულება, რომლებიც შეეხება ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ლიცენზიების ელექტრონულ სისტემას, ენერგეტიკის ვებპორტალს და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსს.
24	ელენე ბერაძე, საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსი, ნინო ბალარჯიშვილი, საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროინტეგრაციის	2017 წლის 11 აგვისტო	ინტერვიუ	წარმოდგენილ იქნა ინფორმაცია მსჯავრდებულთა ბაზის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

	დეპარტამენტის მრჩეველი, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო			
25	ნინო ანთაძე, გარემოს დაცვისა და ენერჯეტიკის მმართველების ხელმძღვანელი, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)	2017 წლის 14 აგვისტო	ინტერვიუ	განხილულ იქნა ორი ვალდებულება, რომლებიც შეეხება ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ლიცენზიების ელექტრონულ სისტემას და ენერჯეტიკის ვებპორტალს.
26	თინათინ უფლისაშვილი, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის დახმარების პროექტის გუნდის ლიდერის მოადგილე, ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტი	2017 წლის 16 აგვისტო	სატელეფონო ინტერვიუ	განხილულ იქნა მოსაზრება მსჯავრდებულთა ბაზის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.
27	ირაკლი თავართქილაძე, იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო	2017 წლის 16 აგვისტო	სატელეფონო ინტერვიუ	განხილულ იქნა ენერჯეტიკის ვებპორტალი.
28	მარიამ დანელია, პოლიტიკის ანალიზის, სტრატეგიული დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის სამთავრობო გეგმებისა და ინიციატივების სამსახურის მრჩეველი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	2017 წლის 16 აგვისტო	ინტერვიუ	განხილულ იქნა სამთავრობო პოლიტიკისა და საკანონმდებლო აქტების მონიტორინგის სისტემის დანერგვა.
29	ელგუჯა მაკალათია, დეკლარაციების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი, საჯარო სამსახურის ბიურო	2017 წლის 16 აგვისტო	ინტერვიუ	განხილულ იქნა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის მექანიზმის დანერგვის საკითხი.
30	გიორგი ლომთაძე, კვლევითი მმართველების ხელმძღვანელი, ინტორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)	2017 წლის 18 აგვისტო	სატელეფონო ინტერვიუ	განხილულ იქნა სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობის გაზრდის ვალდებულება.
31	გიორგი კინწურაშვილი,	2017 წლის 18 აგვისტო	ინტერვიუ	განხილულ იქნა ინიციატივების ეკონისტემის შექმნის საკითხი.

	სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო			
32	ლაშა დალაქიშვილი, დამოუკიდებელი კონსულტანტი	2017 წლის 18 აგვისტო	სატელეფონო ინტერვიუ	განხილულ იქნა ინოვაციების ეკოსისტემის შექმნის საკითხი.
33	სანდრო ასათიანი, დირექტორი, „ჯეოლაბი“	2017 წლის 18 აგვისტო	სატელეფონო ინტერვიუ	განხილულ იქნა ინოვაციების ეკოსისტემის შექმნის საკითხი.
34	ლია მჭედლიშვილი, სტატისტიკის სექტორის უფროსი, ნინო შონია, სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარის მწერალი-თანაშემწე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს აპარატი	2017 წლის 21 აგვისტო	ინტერვიუ	განხილულ იქნა ორი ვალდებულება, რომლებიც შეეხება სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების ერთიანი წესის დადგენას და სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების მონაცემების გამოქვეყნებას.
35	გიორგი თოფურია, უფროსი ანალიტიკოსი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“	2017 წლის 22 აგვისტო	სატელეფონო ინტერვიუ	განხილულ იქნა მოსაზრება სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და საჯარო კონსულტაციების პროცესის შესახებ.
36	ცირა ჭანტურია, „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისის ხელმძღვანელი საქართველოში, ირენა გაბუნია, „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისის გრანტების მოძიების სპეციალისტი/პროექტის კოორდინატორი	2017 წლის 29 აგვისტო	ინტერვიუ	განხილულ იქნა ბაზის გაუმჯობესების საკითხი.
37	ნინო ცუხიშვილი, საპარლამენტო მდივანი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA)	2017 წლის 5 სექტემბერი	ინტერვიუ	განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: ინფორმაციის თავისუფლების კანონის პროექტი, ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგი, სასამართლო გადაწყვეტილებების

				გამოქვეყნების ერთიანი წესი, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების მონაცემების გამოქვეყნება, სამთავრობო პოლიტიკისა და საკანონმდებლო აქტების მონიტორინგი.
38	ლევან ხინთიბიძე, ხელმძღვანელი, საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი	2017 წლის 6 სექტემბერი	სატელეფონო ინტერვიუ	განხილულ იქნა არასამთავრობო ორგანიზაციის მოსაზრებები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ აღებული ვალდებულების შესახებ; საუბარი იყო ადგილობრივი ბიუჯეტის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გასაზრდელად ელექტრონული მექანიზმის დანერგვაზე.
39	სალომე აკობია, მთავარი სპეციალისტი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი	2017 წლის 6 სექტემბერი	სატელეფონო ინტერვიუ	განხილულ იქნა „ზუგდიდი-INFO“ და ელექტრონული პეტიციების პორტალი.
40	არჩილ თოდუა, ზუგდიდის ოფისის რეგიონული კოორდინატორი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“	2017 წლის 6 სექტემბერი 2017 წლის 11 სექტემბერი	სატელეფონო ინტერვიუ	განხილულ იქნა „ზუგდიდი-INFO“ და ელექტრონული პეტიციების პორტალი.
41	ზაალ ხელაძე, დირექტორი, ახალი ტექნოლოგიების ცენტრი	2017 წლის 7 სექტემბერი	სატელეფონო ინტერვიუ	განხილულ იქნა მოსაზრება ენერჯეტიკის ვებპორტალის შესახებ.
42	მარიამ დახუნდარიძე, კონსულტანტი, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო	2017 წლის 7 სექტემბერი	ელექტრონული მიმოწერა	განხილულ იქნა ტექნოპარკებისა და ინოვაციების ცენტრების ვიზიტორებისა და ბენეფიციარების შესახებ სტატისტიკური მონაცემები.
43	ნინო ნანიტაშვილი, დირექტორი, „ელვა - სამოქალაქო ჩართულობა“	2017 წლის 8 სექტემბერი	ინტერვიუ	განხილულ იქნა ინფორმაცია ინოვაციების ეკოსისტემის შექმნის თაობაზე.
44	თამარ ღლონტი, აღმასრულებელი დირექტორი, ახალგაზრდული რესურსცენტრი გურიის	2017 წლის 8 სექტემბერი	სატელეფონო ინტერვიუ	განხილულ იქნა არასამთავრობო ორგანიზაციის მოსაზრებები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ აღებული ვალდებულების შესახებ;

				საუბარი იყო ადგილობრივი ბიუჯეტის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გასაზრდელად ელექტრონული მექანიზმის დანერგვაზე.
45	სალომე სალარაძე, იურისტი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA)	2017 წლის 12 სექტემბერი, 2017 წლის 19 სექტემბერი	ელექტრონული მიმოწერა	განხილულ იქნა GYLA-ს რეკომენდაციები საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამალგების სტრატეგიისა და სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის შესახებ.
46	სალომე ზურაბიშვილი, კორპორაციული პასუხისმგებლობის მიმართულების მენეჯერი, სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CIDA)	2017 წლის 13 სექტემბერი	სატელეფონო ინტერვიუ	განხილულ იქნა CIDA-ს რეკომენდაციები და წინადადებები სემეკის მიერ აღებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით.
47	მარიკა შიოშვილი, პროექტის „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში“ მენეჯერი, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)	2017 წლის 13 სექტემბერი	სატელეფონო ინტერვიუ	განხილულ იქნა თანამშრომლობის საკითხი UNDP-ისა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შორის.
48	აურელიო ლა ტორე, გუნდის ხელმძღვანელი/უფროსი იურიდიული ექსპერტი, ევროკავშირის პროექტი „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მხარდაჭერა“	2017 წლის 13 სექტემბერი, 2017 წლის 18 სექტემბერი, 2017 წლის 19 სექტემბერი	სატელეფონო ინტერვიუ	განხილულ იქნა ეკონომიკური აგენტებისთვის შემუშავებული გზამკვლევის შესაძლო შედეგები.
49	გიორგი ნასრაშვილი, უფროსი ანალიტიკოსი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“	2017 წლის 11 აგვისტო, 2017 წლის 15 სექტემბერი	ინტერვიუ	წარმოდგენილ იქნა რეკომენდაციები საჯარო ფინანსების ზედამხედველობის ელექტრონული პლატფორმის შესახებ.
50	პანტელეიმონ კლდიაშვილი, ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახურის უფროსი, ქალაქ ქუთაისის	2017 წლის 18 სექტემბერი	სატელეფონო ინტერვიუ	საუბარი იყო ადგილობრივი ბიუჯეტის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გასაზრდელად ელექტრონული მექანიზმის დანერგვაზე.

	მუნიციპალიტეტის მერია			
51	ნინო მიქაბერიძე, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია	2017 წლის 18 სექტემბერი	ელექტრონული მიმოწერა	საუბარი იყო ადგილობრივი ბიუჯეტის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გასაზრდელად ელექტრონული მექანიზმის დანერგვაზე.
52	მალხაზ ჭკადუა, ბათუმის ოფისის რეგიონული კოორდინატორი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“	2017 წლის 19 სექტემბერი	სატელეფონო ინტერვიუ	განხილულ იქნა დანაშაულის პრევენციის მიზნით შექმნილი ადგილობრივი საბჭოების საკითხი.
53	ნიკა ნანუაშვილი, იურიდიული ანალიტიკოსი, საქართველოს ბიზნეს ასოციაცია	2017 წლის 20 სექტემბერი	სატელეფონო ინტერვიუ	განხილულ იქნა ეკონომიკური აგენტებისთვის შემუშავებული გზამკვლევის შესაძლო შედეგები.
54	სალომე ბახსოლიანი, იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი	2017 წლის 21 სექტემბერი	ელექტრონული მიმოწერა	წარმოდგენილ იქნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის რეკომენდაციები ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი სისტემის პორტალთან დაკავშირებით.
55	თემურ ბოჭორიშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	2017 წლის 21 სექტემბერი	სატელეფონო ინტერვიუ	განხილულ იქნა უნივერსიტეტის „112“-თან თანამშრომლობის საკითხი.

დაინტერესებული პირების ფოკუსჯგუფთან 2017 წლის 27 სექტემბრის შეხვედრა

№	სახელი და გვარი	ორგანიზაცია
1	ნინო მუჟაუნაძე	CRRC-საქართველო
2	მარიამ გამხარაშვილი	ForSet
3	კობა გოგავა	ფრილანსერი
4	ცისანა ხუნდაძე	CRRC-საქართველო

დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმის შესახებ

დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმი (IRM) არის ის ძირითადი საშუალება, რომლითაც მთავრობა, სამოქალაქო საზოგადოება და კერძო სექტორი ყოველწლიურად ადევნებენ თვალყურს, თუ როგორ შეიმუშავებს და ასრულებს მთავრობა OGP-ის სამოქმედო გეგმის ვალდებულებებს. საერთაშორისო

ექსპერტთა ჯგუფი კვლევის მეთოდოლოგიას შემუშავებს და ანგარიშების ხარისხს აკონტროლებს. ეს ჯგუფი შედგება ექსპერტებისგან, რომლებიც გამჭვირვალობის, მოქალაქეთა ჩართულობის, ანგარიშვალდებულებისა და სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდების საკითხებზე მუშაობენ.

ამჟამად საერთაშორისო ექსპერტთა პანელის წევრები არიან:

- ცეზარ კრუმ-რუბიო
- ჰაზელ ფაიგენბლატი
- მერი ფრანკოლი
- ბრენდან ჰალორანი
- ჰილი ჰინსბერგი
- ანურადჰა ჯოში
- ჯეფ ლევიტი
- ფრედლინ მაკკორმაკ-ჰალე
- შოუერს მაუოუა
- ერნესტო ველასკო.

ანგარიშებს მეთვალყურეობს ვაშინგტონში მოქმედი IRM-ის მცირერიცხოვანი შტატი IRM-ის პროცესისა და მკვლევართან მჭიდრო თანამშრომლობის მეშვეობით. ამ ანგარიშთან დაკავშირებით კითხვები და კომენტარები შეიძლება გაეგზავნოს აღნიშნულ შტატს შემდეგ მისამართზე: irm@opengovpartnership.org.

VII. დასაშვებობის მოთხოვნები

OGP-ის მხარდაჭერის განყოფილება OGP-ში განვრცობის კრიტერიუმებს ყოველწლიურად იხილავს. შესაბამისი ქულები ქვემოთ არის მოცემული.² საჭიროების შემთხვევაში ქვეყნის მიერ კონკრეტული კრიტერიუმის კუთხით მიღწეული პროგრესი ან მისი რეგრესი ფასდება IRM-ის ანგარიშის თავში „ქვეყნის კონტექსტი“.

2012 წლის სექტემბერში OGP-მ გადანყვიტა, მისი წევრი ქვეყნების განვრცობის კრიტერიუმებზე დაყრდნობით, მათი მთავრობებისთვის ამბიციური ვალდებულებების ასაღებად ძლიერი ბიძგი მიეცა.

ცხრილი 7.1: დასაშვებობის მოთხოვნების დანართი, საქართველო

კრიტერიუმები	2011	ამჟამად	ცვლილება	განმარტება
ბიუჯეტის გამჭვირვალობა ³	4	4	არ არის	4 = აღმასრულებელი ხელისუფლების ბიუჯეტის პროექტისა და აუდიტის დასკვნის გამოქვეყნება 2 = ერთ-ერთი ქვეყნდება 0 = არცერთი არ ქვეყნდება
ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ⁴	4	4	არ არის	4 = ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კანონი 3 = ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკონსტიტუციო

				<p>დებულება 1 = ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კანონის პროექტი 0 = ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კანონი არ არსებობს</p>
ქონებრივი დეკლარაციები ⁵	4	4	არ არის	<p>4 = ქონებრივი დეკლარაციების კანონი, მონაცემები საჭაროა 2 = ქონებრივი დეკლარაციების კანონი, მონაცემები საჭარო არ არის 0 = ქონებრივი დეკლარაციების კანონი არ არსებობს</p>
მოქალაქეთა ჩართულობა (პირველადი ქულა)	3 (6.18) ⁶	3 (5.59) ⁷	არ არის	<p>„ეკონომისტის“ ანალიტიკური განყოფილების (EIU) მოქალაქეთა ჩართულობის ინდექსი, პირველადი ქულა 1 > 0 2 > 2.5 3 > 5 4 > 7.5</p>
სულ / შესაძლო (პროცენტი)	15/16 (94%)	15/16 (94%)	არ არის	განვერებისთვის შესაძლო ქულების 75%

¹ IRM-ის პროცედურების გზამკვლევი, V.3: <https://www.opengovpartnership.org/documents/irm-procedures-manual>

² მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ: <http://www.opengovpartnership.org/how-it-works/eligibility-criteria>

³ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ ცხრილი 1: <http://internationalbudget.org/what-we-do/open-budget-survey/>. უახლესი შეფასებებისთვის იხილეთ: <http://www.obstracker.org/>.

⁴ გამოყენებული ორი მონაცემთა ბაზა შეიცავს საკონსტიტუციო დებულებებს (<http://www.right2info.org/constitutional-protections>) და კანონებსა და კანონპროექტებს (<http://www.right2info.org/access-to-information-laws>).

⁵ სიმონ ჯანკოვი, რათაელ ლა პორტა, ფლორენციო ლოპეზ დე სილანესი, ანდრეი შლაიფერი, „პოლიტიკოსების მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია“ (ტაკის ბიზნესის სკოლის სამუშაო კვლევა №2009–60), 2009, <http://bit.ly/19nDEFK>; ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, „ინფორმაციის ტიპები, რომლის გამოქვეყნებაც ევალებათ გადაწყვეტილების მიმღებთ, და გამჭვირვალობის დონე (2009)“ – „მთავრობა ერთი შეხედვით, 2009“, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, საფრანგეთი, 2009, <http://bit.ly/13vGtqS>; „მსოფლიო ბანკის კლიენტი ქვეყნების შემოსავლები და ქონებრივი დეკლარაციები“ – რიჩარდ მესიკი, „შემოსავლები და ქონებრივი დეკლარაციები: მათი კორუფციაზე გავლენის გლობალური გამოცდილება“, <http://bit.ly/2CNEWEt>. უფრო ახალი ინფორმაციისთვის იხილეთ: <http://publicofficialsfinancialdisclosure.worldbank.org>. 2014 წელს OGP-ის მართვის კომიტეტმა ქონებრივი დეკლარაციების საზომი ინდიკატორების ცვლილება დაამტკიცა. ამ დეკლარაციების კანონის

არსებობამ და საზოგადოების თაქტობრივმა ხელმისაწვდომობამ შეცვალა ძველი ინდიკატორები, რომლებიც პოლიტიკოსებისა და მაღალი თანამდებობის პირების მიერ ქონების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას გულისხმობდა. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: [//bit.ly/1EjLJ4Y](http://bit.ly/1EjLJ4Y).

⁶ „ეკონომისტის“ ანალიტიკური განყოფილება, „2010 წლის დემოკრატიის ინდექსი: დემოკრატია უკან იხევს“ („ეკონომისტი“, ლონდონი, 2010), <http://bit.ly/eLC1rE>.

⁷ „ეკონომისტის“ ანალიტიკური განყოფილება, „2014 წლის დემოკრატიის ინდექსი: დემოკრატია და მასთან დაკავშირებული უკმაყოფილებანი“ („ეკონომისტი“, ლონდონი, 2014), <http://bit.ly/18kEzCt>.